ახალი მოკოლაბი

სპეციალური გამოშვება
2008-2011

ზაფხული 2011 №72
ფასი 5 ლარი

ISSN 1512-2220

კომენტარები

კონფორმიზმი
რატი ამაღლობელი

პროფილი ანფასში
სანდრო ნავერიანი

შეცვლილი ისტორიული რეალობა
ზურაბ კიკნაძე

მეომარი ანა პოლიტკოვსკაია
ნინო ბექიშვილი

საკანი ნომერი ხუთი
დათო ტურაშვილი

ულრიკე!
ანა კორძაია-სამადაშვილი

ბეჭანი და ნოე
არჩილ ქიქოძე

წერილი

კანის ფესტივალი 2011
გიორგი გვახარია

ისტორია

იასონ ბადრიძე
კახა თოლორდავა

მაია სარიშვილი
სალომე კიკალეიშვილი

რუსუდან მირზიკაშვილი, ლევან ასაბაშვილი
ნინო ლომაძე

გია ეძგვერაძე
მიხეილ ხუნდაძე

ინტერვიუ

სალმან რაშდი, ორჰან ფამუქი
შორენა შავერდაშვილი

ესე

„პირველი რუსის“ ამბავი
ლაშა ბუღაძე

გინდა, ამერიკა დაგანახო?
თამარ ბაბუაძე

სხეულის ძიებაში
დავით ბუხრიკიძე

ბედისწერათა არქიპელაგი
ლევან ბერძენიშვილი

ბებიაჩემის პატივსაგებად
ანა არგანაშვილი

რალაცეები ჰემინგუეის შესახებ
აკა მორჩილაძე

ბანკირის ერთი დღე

"დილა ჩემი საყვარელი სპორტით იწყება..."

07:34

ფოტო: მინდია მიდელაშვილი



10:23

"ბატონი ზურაბ ლილუაშვილი ჩემი თაობის საყვარელი ლექტორია, ახლა ის ჩემი საყვარელი კლიენტია".

TBC STATUS –

პერსონალური საბანკო მომსახურება!

თუ თანამედროვე ადამიანის ყველაზე დიდი პრობლემა დროის დეფიციტია, მაშინ ამ პრობლემის ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტაა გყავდეთ ადამიანი, რომელიც ინდივიდუალურად მიუდგება თქვენს ფინანსურ ინტერესებს და საჭიროებებს.

თქვენ კი, ამით, ყველაზე ძვირფასს – დროს მოიგებთ, რომელიც მერე ბევრად უფრო მნიშვნელოვანს შეგიძლიათ მოახმაროთ.

TBC STATUS
Personal Banking

თიბისი ბანკმა TBC STATUS სწორედ ამისთვის შექმნა: დაზოგოს თიბისი ბანკის STATUS-კლიენტების დრო და თავად იზრუნოს მათი მიმდინარე ფინანსური საკითხების მოგვარებაზე.

TBC STATUS – ეს არის უნიკალური სტატუსი, რომელსაც თიბისი ბანკი თავის განსაკუთრებულ მომხმარებელს ანიჭებს.

TBC STATUS არ არის მხოლოდ საბანკო მომსახურება, რომელიც შემოიფარგლება ფინანსური პროდუქტების ვრცელი მენიუთი. ეს არის პერსონიფიცირებული და ექსკლუზიური სერვისი, რომელიც ზუსტად არის მორგებული კლიენტის მოთხოვნებსა და ცხოვრების სტილზე.

კლიენტსა და პერსონალურ ბანკირს შორის ურთიერთობა იწყება კლიენტის მოსმენით, რათა ყურადღებით შევაფასოთ თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მოთხოვნები, მიზნები, პრიორიტეტები და ფინანსური გეგმები. ამის შემდეგ თქვენი სურვილები ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიზანი ხდება!

დროსთან ერთად, პერსონალურ ბანკირსა და კლიენტს შორის ყალიბდება გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობა, რომელიც მთლიანად ემყარება მაღალ პროფესიონალიზმსა და ურთიერთნდობის პრინციპებს.

პერსონალური ბანკირი არის თქვენი საკონტაქტო პირი ბანკში, რომელსაც თქვენ თავად ირჩევთ. იგი თქვენი საქმიანი ინტერესების დამცველი და ფინანსური მრჩეველი ხდება და დაგეხმარებათ დააგროვოთ, მართოთ და დაიცვათ თქვენი ქონება.

TBC STATUS – ეს არის:

- პერსონალური ბანკირი,
- ინდივიდუალური მიდგომა,
- განსაკუთრებული ურთიერთობა და მომსახურების მაღალი ხარისხი,
- დისტანციური საბანკო მომსახურება,
- სპეციალური სტატუს-პროდუქტები,
- კონფიდენციალობა,
- მომსახურების სწრაფი და კომფორტული პროცესი,
- ბენეფიტები და ბანკის პარტნიორი ორგანიზაციების სპეციალური შემოთავაზებები.

"ჩემი მეგობრები თვლიან, რომ რეალიზებული ადამიანი ვარ: ვაკეთებ საყვარელ საქმეს და, როგორც ამბობენ, წარმატებით".

"ჩემი სამსახური საშუალებას მაძლევს, ხშირად აღმოვჩნდე ჩემთვის უჩვეულო გარემოში. აქ ზღვის პროდუქტებს ამზადებენ. ბატონი პაატა შაორშაძე კი შპს "ახალი პროდუქტის" ხელმძღვანელია".

"ჩემს შვილს განსაკუთრებული პატივი ერგო – ზოოპარკის ახალი ბინადარი, პატარა ბუ, თავად ზოოპარკის დირექტორის მოადგილემ, STATUS-კლიენტმა დავით თაქთაქიშვილმა გააცნო".



ახალი მოკოლაღი

N72, ზაფხული 2011

კომენტარები

8 კონფორმიზმი ***რატი ამაღლობელი***

10 პროფილი ანფასში ***სანდრო ნავერიანი***

14 შეცვლილი ისტორიული რეალობა ***ზურაბ კიკნაძე***

18 მეომარი ანა პოლიტკოვსკაია ***ნინო ბექიშვილი***

20 საკანი ნომერი ხუთი ***დათო ტურაშვილი***

24 ულრიკე! ***ანა კორძაია-სამადაშვილი***

26 ბეჟანი და ნოე ***არჩილ ქიქოძე***

წერილი

30 ეზოთერული კიტჩის რეაბილიტაცია ***გიორგი გვახარია***

ისტორიები

36 კონტაქტი ***კახა თოლორდავა***

44 მაია ***სალომე კიკალეიშვილი***

52 რაზე ფიქრობს ურბან რეაქტორი ***ნინო ლომაძე***

60 "Born in Georgia or From surface to abyss" ***მიხეილ ხუნდაძე***

ინტერვიუ

72 თავისუფლების ამარა ***შორენა შავერდაშვილი***

ესე

80 „პირველი რუსის" ამბავი ***ლაშა ბულაძე***

92 გინდა, ამერიკა დაგანახო? ***თამარ ბაბუაძე***

98 სხეულის ძიებაში ***დავით ბუხრიკიძე***

106 ბედისწერათა არქიპელაგი ***ლევან ბერძენიშვილი***

114 ბებიაჩემის პატივსაგებად ***ანა არგანაშვილი***

116 რაღაცეები ჰემინგუეის შესახებ ***აკა მორჩილაძე***

SINCE 1884

SARAJISHVILI

ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი

დიზაინი:
თორნიკე ლორთქიფანიძე
მენეჯერი:
რუსუდან ფურცელაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა:
ლელა შუბითიძე
კლიენტთა მომსახურების მენეჯერი:
ნათია რუსაძე
სარეკლამო გაყიდვები:
თინა ოსეფაშვილი
დისტრიბუცია:
ზვიად შენგელია
გამომცემელი:
შორენა შავერდაშვილი

გამომცემლობა:
შპს „ემ ფაბლიშინგი“
ჟღენტის ქ. 35
სხვა გამოცემები:
ლიბერალი, ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი.
სტამბა:
„ფავორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50, ტელ.: 951952

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ცხელი
შოკოლადი

„ცხელი შოკოლადის“ ზაფხულის ნომერი 2008-2011 წლებში დაბეჭდილი სტატიების ნაკრებია, თუმც, უცნაური ნაკრები. ამ 120 გვერდში ბევრიც ვერაფერი დავტიეთ – მათ შორის ბევრი საყვარელი ავტორი თუ სტატია. ამიტომ, ეს არ არის „შემაჯამებელი“ ნომერი, ან „საუკეთესო სტატიების კრებული“. მხოლოდ ფრაგმენტია „ცხელი შოკოლადის“ თითქმის 7 წლიანი ისტორიიდან, სუბიექტური ფრაგმენტი.

ჟურნალის არქივებში რამდენიმედღიანმა მოგზაურობამ გარდა იმისა, რომ გული ამიჩუყა, ერთ რამეში დამარწმუნა – „ცხელი შოკოლადი“ ყოველთვის ახლის ძიებაში იყო – ახალი ადამიანების, ავტორების, ახალი სამყაროების და ახალი, კარგად დავიწყებული ძველის. ანთროპოლოგიური ინტერესით მიყვებოდა მოვლენებს და ცდილობდა ეფიქრა, ეაზროვნა და ეთქვა რაღაც ახალი, ან ახლებურად. ეს ხან რიგიანად გამოსდიოდა, ხანაც – ურიგოდ, ხან ნიჭიერად, ხანაც – უნიჭოდ, მაგრამ ცდით კი სულ ცდილობდა. ხან ყვითელი იყო, ხანაც ხაზგასმით აკადემიური. აღიზიანებდა კარჩაკეტილობა, კონიუქტურა, ერთფეროვნება, სნობიზმი, ზედაპირულობა და აზრისაგან დაცლილი რეალობა. ბრაზობდა, აკრიტიკებდა, უჯანყდებოდა ათასგვარ ტაბუებს, პროვოკატორობდა და ხშირად, საკუთარ თავს ეწინააღმდეგებოდა. მოკლედ, ცოცხალი იყო!

სწორედ ეს სიცოცხლისუნარიანობა და ცნობისმოყვარეობა გვინდა რომ „შოკოლადმა“ შეინარჩუნოს და კვლავაც მოახერხოს, იყოს უნიკალური იმ სივრცეში, სადაც უკვე ბევრი გამოცემაა და ბევრი რამ ითქმის სოციალურ ქსელებსა თუ საავტორო ბლოგებზე.

გარდა იმისა, რომ ჟურნალს მოსაგვარებელი აქვს სრულიად პროზაული პრობლემები და დრო სჭირდება ამისათვის, ვიღებთ საზაფხულო პაუზას და ვემზადებით „ცხელი შოკოლადის“ ახალი სეზონისათვის! ახალი რეცეპტი უკვე არსებობს, ოღონდ მას ჩვენი მკითხველები უკვე ოქტომბრის „შოკოლადის“ ფურცლებზე თუ ამოიკითხავთ.

აბა, დროებით და დიდი მადლობა ყველას, ვინც გველის.

შორენა შავერდაშვილი

საგანძური

TREASURY

ქართული სახვითი ხელოვნების შედევრები
XX საუკუნის I ნახევარი

MASTERPIECES OF GEORGIAN FINE ART
FIRST HALF OF 20TH CENTURY

ეწვიეთ განახლებულ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს
NOW OPEN - RENOVATED GEORGIAN NATIONAL MUSEUM

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM

რუსთაველის გამზირი 3
თბილისი 0105
3, Rustaveli Avenue
0105 Tbilisi, Georgia

ეროვნული გალერეა
NATIONAL GALLERY

რუსთაველის გამზირი 11
თბილისი 0105
11, Rustaveli Avenue
0105 Tbilisi, Georgia

Tel.: + /995 32/ 299 71 76
+ /995 32/ 299 80 22
Fax: + /995 32/ 298 21 33

info@museum.ge
www.museum.ge

Facebook / Georgian National Museum

სამშაბათიდან
კვირის ჩათვლით
10:00 - 17:30

Tuesday to Sunday
10:00 a.m. - 05:30 p.m.

N67, იანვარი 2011

კონფორმიზმი

(შესავალი პროექტისა „წლის ადამიანები“)

ბოლო წლებმა და არა მარტო ბოლო წლებმა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ბოლო ორმა საუკუნემ საქართველოში გვაჩვენა, რომ „აქ და ამჟამად“ ყველაზე ფუნქციური და ქმედითი ადამიანური უნარი, რომელიც პოლიტიკურად, სოციალურად და, სხვათა შორის, ეკონომიკურადაც ფასდება, კონფორმიზმია. კონფორმიზმი ყველგან და ყველაფერში.

ავტორი: რატი ამაღლობელი

კონფორმიზმის საყოველთაოობისა და პანდემიურობის ფონზე, გასაკვირი სწორედ ისაა, რომ მიუხედავად საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი პასიურობისა, არიან ადამიანები, რომელთა ნაკრებიც არ არის ლეგიონი, მაგრამ ისინი ყოველგვარი კონიუნქტურისა და ინდოქტრინაციის **გარეშე ახერხებენ, სოციალურ სივრცეში შინაგანი თავისუფლების, ინდივიდუალობისა და პროფესიული განვითარების ჰარმონიზაციას.**

საქართველოში მემარჯვენეობა და მემარცხენეობა, უბრალოდ, არ ფუნქციონირებს, თუმცა ამ თემებზე დისკუსიები და პოლემიკა უწყვეტია და აქტუალური. საინტერესოა, სინამდვილეში რა ფუნქციონირებს? ბოლო წლებმა და არა მარტო ბოლო წლებმა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ბოლო ორმა საუკუნემ საქართველოში გვაჩვენა, რომ „აქ და ამჟამად“ ყველაზე ფუნქციური და ქმედითი ადამიანური უნარი, რომელიც პოლიტიკურად, სოციალურად და, სხვათა შორის, ეკონომიკურადაც ფასდება, კონფორმიზმია. კონფორმიზმი ყველგან და ყველაფერში. ტოტალური კონფორმიზმი. საქართველოში მისი ფეხის ხმა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმის, ამ ხმას მრავალმა აუწყო ნაბიჯი უნისონში. ერთი შეხედვით, თითქოს გასაგებიცაა, რომ ადამიანებს ჩვენს ეპოქაში უკიდურესად უჭირთ მარტო დარჩენა. ჩვენთვის ბევრად იოლია, კორპორატიული, რელიგიური, სახელისუფლებო და პარტიული კონიუნქტურის დათბილულ ფრთებქვეშ ყოფნა. როდესაც რომელიმე სოციალური ჯგუფი გიცავს, როცა რომელიმე გაერთიანებას ანდობ საკუთარ თავს, ჩნდება ილუზია, რომ უფრო დაცული ხარ. 1989 წლის მონაცემებით, საქართველოში 400 000 ათასზე მეტი წევრი ჰყავდა კომუნისტურ პარტიას, ეს კი იმ პირობებში, როდესაც პარტიაში გაწევრიანება ყველა მსურველს როდი შეეძლო, კომუნისტური პარტია აქტივისტობასა და მნიშვნელოვან ძალისხმევას ითხოვდა კანდიდატებისგან. ზემოთ ხსენებულსაც თუ გავითვალისწინებთ, მაშინდელი მონაცემებით, 5 000 000-იან ქვეყანაში 400 000 პარტიული, დამეთანხმებით, შთამბეჭდავი ციფრია. ხსენებული რეალობა სულ რაღაც 20 წლის წინანდელია და როდესაც ჩვენი საზოგადოების სამოქალაქო პასუხისმგებლობების სიმწირეზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, თუ როგორი იყო ჩვენი უახლესი წარსული. მართლაც ბევრი რამ შეიცვალა ამ 20 წლის განმავლობაში, თავბრუდამხვევად ბევრი, მაგრამ ის, რაც მარადიულია, ის, რაც უნუგეშოდ გამძლე და წარუვალი აღმოჩნდა ხსენებული ისტორიის სახეცვლილებებში, ეს ისევ და ისევ უკვდავი კონფორმიზმია, იგი ყველაფერს მოერგო, ყოველგვარ პოლიტიკურ კლიმატს, საბჭოთა გარდაქმნისა და «გლასნოსტის» დისკურსიდან მოყოლებული, თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიული ლექსიკოგრაფიით აღჭურვილი და მოჭიკჭიკე ინტელექტუალების ჩათვლით. მან უამრავჯერ იცვალა სახე, გამოიარა „მხედრიონი“, მოქალაქეთა კავშირი, ნაციონალური მოძრაობა, და რაც მთავარია – მას წინ კიდევ ბევრი აქვს. კონფორმიზმი, როგორც უკვე ჩამოყალიბებული ნაციონალური უნარი და ხასიათი, ნაკლებად გვაკვირვებს. მისი საყოველთაოობისა და პანდემიურობის ფონზე, გასაკვირი სწორედ ისაა, რომ მიუხედავად საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი პასიურობისა, არიან ადამიანები, რომელთა ნაკრებიც არ არის ლეგიონი, მაგრამ ისინი ყოველგვარი კონიუნქტურისა და ინდოქტრინაციის გარეშე ახერხებენ, სოციალურ სივრცეში შინაგანი თავისუფლების, ინდივიდუალობისა და პროფესიული განვითარების ჰარმონიზაციას. ადამიანები, რომელნიც თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ სამყაროს, ყოველგვარი ფობიებისა და შიშების გარეშე, მიუხედავად იმისა, თუ რა სტიგმის ქვეშ მოაქცევს მათ თანამედროვე კონიუნქტურა. აი, ეს ხედვა და სულისკვეთება ედო საფუძვლად ჩვენს სურვილს, გაგვეხსენებინა გასული წელი და წარმოგვედგინა ჩვენი მკითხველისთვის წლის ადამიანები.

დაეზღვიეთ ალფაში და იყავით მშვიდად

ალფა

სადაზღვევო კომპანია ალფა ქართულ სადაზღვევო სივრცეში 2009 წლიდან გამოჩნდა, გასული ორი წლის მანძილზე ალფაში დაზღვეულთა რაოდენობამ უკვე 300 ათასს გადააჭარბა. ალფას ასეთი პოპულარობა და მაღალი რეიტინგი კომპანიის მიერ შემოთავაზებული საუკეთესო სადაზღვევო პირობების დამსახურებაა:

დაბალი ტარიფები, გადასახადების მოქნილი სქემა, ოპერატიული და მაღალი ხარისხის მომსახურება, შეუფერხებელი და უმაღლესი დონის სამედიცინო სერვისი - ეს ყოველივე ალფას პრივილეგიებზე მიუთითებს.

ალფას უპირატესობა გახლავთ ისიც, რომ თბილისში მას პროვაიდერი კლინიკების საკმაოდ დიდი ქსელი აქვს. შესაბამისად, დაზღვეულებს არჩევანის თავისუფლება ეძლევათ, თუმცა ყველაზე მეტად მოთხოვნადი და რეიტინგული სამედიცინო დაწესებულება კვლავ ავერსის კლინიკა გახლავთ. ალფაში დაზღვეულებს შეუძლიათ ისარგებლონ კლინიკის უმაღლესი დონის სამედიცინო მომსახურებით. ავერსის კლინიკა მაღალკვალიფიციური კადრებით, საუკეთესო სადიაგნოსტიკო და ლაბორატორიული მომსახურებით არის ცნობილი. კლინიკაში კომფორტული გარემო, ულტრათანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობა და კეთილგანწყობილი, კვალიფიციური პერსონალი დაგხვდებათ.

ალფას ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ დაზღვეულებს საქართველოში კარგად განვითარებული სააფთიაქო ქსელი ემსახურება. ავერსის აფთიაქები ხელმისაწვდომია ყველა რაიონისა და თბილისის მოსახლეობისთვის. ავერსის სააფთიაქო ქსელი მაღალი ხარისხის მომსახურებითა და მედიკამენტების დაბალი ფასით გამოირჩევა.

ყველა ამ პრივილეგიის გათვალისწინებით, ვფიქრობთ არ არის გასაკვირი, რომ საქართველოს მოსახლეობის 10%-ზე მეტი სწორედ ალფაშია დაზღვეული.

მომხმარებლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი ჯანმრთელობის დაზღვევაა. დღესდღეობით ყველას არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ დაზღვევის გარეშე ჯანმრთელობას სათანადოდ მოუფრთხილდეს. შესაბამისად, კომპანია ალფას ძირითადი სეგმენტი ჯანმრთელობის დაზღვევაა. თუმცა, ალფა მომხმარებელს კიდევ რამდენიმე სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობს. ესენია: სამოგზაურო დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა, ავტოდაზღვევა...

ალფა სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულთა ოფიციალური მზღვეველია. უნიკალური დამატებითი შეღავათებით სარგებლობენ ალფას სადაზღვევო პაკეტის მფლობელი უმწეოები და პედაგოგებიც. ალფა აქტიურად არის ჩართული 2010 წლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, იძულებით გადაადგილებული პირების, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრების, რუსთაველის პრემიის ლაურეატების სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში.

ალფა მომხმარებელს სთავაზობს კორპორატიულ დაზღვევასაც. კომპანიის სადაზღვევო პაკეტის უპირატესობებმა უკვე მრავალი კერძო და სახელმწიფო ორგანიზაცია დააინტერესა. ალფა კომპანიებს და მსხვილ ორგანიზაციებს 6 განსხვავებულ, მიმზიდველ კორპორატიულ სადაზღვევო პაკეტს სთავაზობს. მათი ღირებულება 10 ლარიდან 75 ლარამდეა. საოჯახო პაკეტით შეგიძლიათ მეორე რიგის ოჯახის წევრების - დედის, მამისა და და-ძმის დაზღვევაც.

ალფა ჩართულია საქართველოს მთავრობის ჰოსპიტალური განვითარების გენერალურ გეგმაშიც. ამჟამად სადაზღვევო კომპანია ორ საავადმყოფოს აშენებს კასპის რაიონში (25-საწოლიანი) და ოზურგეთში (50-საწოლიანი).

კომპანია ალფა აქტიურად არის ჩართული საქველმოქმედო აქციებშიც. უმწეო მოსახლეობას სადაზღვევო კომპანია მუდმივად სთავაზობს სიურპრიზებს და ხშირად ატარებს უფასო გასინჯვებს ბავშვთა სახლებსა თუ მოხუცებულთა პანსიონატებში, რაც სადაზღვევო პაკეტით არ არის გათვალისწინებული.

თანამედროვე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ არასასიამოვნო მოულოდნელობებს მომზადებული შეხვდეს, ხოლო ამის მიღწევა შეუძლებელია დაზღვევის გარეშე. ასე რომ დაეზღვიეთ ალფაში - ეს თქვენი სიმშვიდის გარანტი იქნება.

WWW.ALPHA.GE

მისამართი: ჯანო ბაგრატიონის ქ. 6ა

საინფორმაციო 24/24: ☎ 640 640

N53, ოქტომბერი 2009

პროფილი ანფასში

„ბიძია, დამეხმარეთ!!!“ – ერთ-ერთი „პროფილი“ მაია ასათიანმა სწორედ ასე, უსახლკარო ბავშვების სიტყვების ციტირებით დაიწყო. და მერე: „ამ სიტყვების შემდეგ ჩვენი მოქმედება მექანიკურია – ვყოფთ ჩანთაში ხელს, ვიღებთ ხურდას, ვაგდებთ გამოწვდილ ხელში, ვაგრძელებთ გ ზას და გვგონია, რომ ვალი მოხდილია“... ასე დაიწყო უსახლკარო ბავშვებისთვის მიძღვნილი „პროფილი“.

ავტორი: სანდრო ნავერიანი

სრულდება ამბავი, გადაცემა და სრულდება განცდაც და ინტერესიც, მერე მაყურებელი თავის ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდება, **ცხოვრებას, რომელშიც არ არის კიდევ ერთი გაჭირვებულის ადგილი.**

თავისთავად, როდესაც ეს პრობლემა – უსახლკარო ადამიანები – გაწუხებს და გაწუხებს არა როგორც გარეშეს, არამედ შინაგანად არ გაძლევს მოსვენებას, ძალიან კარგია. ეს ნიშნავს, რომ შენ ცხოველი არ ხარ. და თუ ამ პრობლემის გადასაჭრელად რაიმე ზომებს მიიღებ, ხომ საერთოდ, შენ ადამიანი ყოფილხარ. მაგრამ როდესაც ამ ადამიანების უბედურ არსებობაზე შოუს გააკეთებ, ანუ მათი უბედურებით მანიპულირებ, მაშინ უკვე ღმერთმაც არ იცის, რა ხარ.

ჩვენს რეალობაში სამივე ტიპს ნახავ. ადამიანს, რომელიც ცხოველი არ არის; ადამიანს, რომელიც ადამიანია, და ადამიანი, რომელსაც სახელს თვით მაღალი ღმერთიც ვერ არქმევს. ამ რეალობის ზედაპირზე კი ყოველდღიურად მხოლოდ ამ უკანასკნელი ტიპის ადამიანები ტი-

ვტივებენ. მათ საკუთარი გადაცემები აქვთ და მათ ამ გადაცემებში პატიჟებენ. რაც ყველაზე უკეთ გამოსდით, საკუთარი გულმოწყალების გასაპიარებლად საჭირო მანიპულაციაა.

ტელეგადაცემაში მანიპულირება ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს, ამ შემთხვევაში ისევ და ისევ სოციალურად დაუცველ ადამიანებს, შოუს სპეცეფექტებად იყენებენ. ეს ადამიანები (რომლებიც ადამიანები არიან) გადაცემის პროდიუსერების თვალში კარგავენ სულიერებას და იძენენ ეფექტური დეკორაციისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. ამ ადამიანების პირადი განცდები, გარეგნობა, უბადრუკი გამომეტყველება თუ სასოწარკვეთის მომგვრელი ისტორიები გადაცემის წამყვანისთვის მნიშვნელოვანია, როგორც სეირი, რომელიც საზოგადოებას შოკში ჩააგდებს, დაზაფრავს, გულს აუჩუყებს. ასეთი გადაცემის წამყვანები და ავტორები ისეთი უნივერსალური პოზიტივებით სპეკულირებენ, როგორიც არის „სიკეთე“, „კეთილშობილება“, „მოწყალება“, „დიდსულოვნება“... სოციალურად დაუცველი ადამიანების გადაცემაში მიწვევაც მათი მხრიდან სწორედ ამ თვისებების ხმაურიანი დემონსტრაციაა: აი, როგორი კეთილი ვარ მე! მე თქვენ მოგეცით ასპარეზი, ტრიბუნა, ხედავთ, როგორ ვზრუნავ თქვენზე, როგორ განვიცდი თქვენს გაჭირვებას?! გააგონეთ თქვენი ხმა ხალხს... ჩვენ ხომ ყოველდღე ვხედავთ და გვესმის მსგავსი ისტორიები,

ziaja
ევროპული კოსმეტიკა
მზისგან დამცავი საშუალებები
დაიცავი შენი ჯანი
ziaja
Sun
PSP №1
ჩემი ოჯახის აფთიაქი

უკვე რამდენი წელია. ეს არ არის ქართველებისთვის ახალი ამბავი და მათ უკვე, დიდი ხანია, აღარ აქვთ არც ნერვები და არც ინტერესი სერიოზულად აღიქვან მსგავსი ისტორიების დრამატულობა.

ავტორებს რომ ვკითხოთ, რას ემსახურება „პროფილი“, ალბათ გვიპასუხებენ, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანების შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდას და მათი პრობლემებით იმ პირების დაინტერესებას, რომელთაც სოციალურად დაუცველების დახმარება პირდაპირ ევალებათ, ანდა ამის საშუალებას ფული და გავლენა იქცევა, შოუს ჰეფი-ენდად, იმ ერთი გადაცემის კვანძის გახსნად. ეგაა, მეტი არაფერი. გავიხსენოთ შოკოლადივით ოპრა უინფრი და მისი შოუ შვეიცარიული საათივით მომართულ ამერიკაში.

„პროფილის“ მაყურებელი თავს იქცევს საზარელი ისტორიებით, იმიტომ, რომ ნებისმიერი საზარელი ისტორია ადამიანებში ცხოველურ ინტერესს იწვევს, მაგრამ ის არ სცდება ინტერესს. სრულდება ამბავი, გადაცემა და სრულდება განცდაც და ინტერესიც, მერე მაყურებელი თავის ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდება, ცხოვრებას, რომელშიც არ არის ყველაფერი „პროფილის“ სიუჟეტში იყო ასახული. ამის შემდეგ იყო ქალბატონის ემოციური ისტორია რის მერეც წამყვანმა სტუდიაში ვახტანგ ბუცხრიკიძე მიიწვია. ამ უკანასკნელმა ყოფილ პატიმარ ქალბატონს ბინა აჩუქა. ქალს ცრემლები წასკდა (თუმცა იმ წუთას არავის ადარდებდა, ეს სიხარულის ცრემლები იყო, მადლიერების, თუ სიმწრის). ბუცხრიკიძემ დამსახურებული აპლოდისმენტები მიიღო, მაია ასათიანმა კი კარგად გაზეპირებული საეკრანო ღიმილით ქალბატონი დაამშვიდა, რომ ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნება.

ისინი იმდენად უნივერსალურნი არიან, რომ თვალთახედვის მიღმა არც ერთ პრობლემას არ ტოვებენ. სუპერმენის მანტიამოსხმულები ყველაფერზე რეაგირებენ, მსხვილ საზოგადოებრივ პრობლემებზეც **და ერთი კონკრეტული ადამიანის პირად ტრაგედიაზეც.**

აძლევთ. თუმცა, ეს პასუხი ცალსახად არასწორია, რადგან მედიის ისტორიას არ ახსოვს, მსგავსი ერთჯერადი დადგმებითა და შოუებით რომელიმე პრობლემა ძირფესვიანად აღმოფხვრილიყოს. მიუხედავად იმისა, რომ „პროფილის“ ვალდებულება არ არის ანალიზების კეთება, ის, უბრალოდ, ზედაპირულადაც კი არ ინტერესდება არსებული პრობლემის გამომწვევი მიზეზებით. ერთადერთი, რასაც ქალბატონი მაია ასათიანი აკეთებს, არის ფამილარული ტონით დასმული კითხვა: „როგორ დაიწყო შენი/თქვენი ამბავი?“ ესეც მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ გადაცემას ერთგვარი სიმძაფრე შეემატოს. ეჭვი მეპარება, ქალბატონმა მაიამ იცოდეს (და არც არავინ ეუბნება), რომ ერთჯერად გადაცემას ერთადერთი, რაც შეიძლება მოჰყვეს, ამ ადამიანების ერთჯერადი დახმარებაა, რომელიც ისევ და ისევ სანახაობად კიდევ ერთი გაჭირვებულის ადგილი. „პროფილის“ ამბები მძიმე რომანივით არის – კითხულობ და გითრევს, სენსორებს გიძაბავს, გაინტერესებს ფინალი და აი, დაამთავრე, შემოდე თაროზე და თუ არ დაგჭირდა, არასდროს გაიხსენებ.

ერთ-ერთ გადაცემაში მაია ასათიანს სტუმრად ჰყავდა ქალბატონი, რომელიც ახალი გათავისუფლებული იყო ქალთა კოლონიიდან. ამ ქალბატონის კოლონიიდან გათავისუფლება მაშინდელი იუსტიციის მინისტრის ნიკა გვარამიას ინიციატივით მოხდა. ეს ქალბატონი სამაჩაბლოდან ყოფილა. კოლონიიდან გათავისუფლების შემდეგ ბატონმა ნიკამ თავად, თავისივე მანქანით ჩაიყვანა ქალბატონი აგვისტოს ომის შემდეგ შვილების სანახავად. ქალბატონმა, თუ არ ვცდები, იქ გაიგო, რომ რუსების მიერ გორის ერთ-ერთი დაბომბვისას ერთი შვილი დაეღუპა. ეს

არადა, ამ დამატებითმა „აქსესუარებმა“ – ტაშმა, მაია ასათიანის ბედნიერებამ, ჰეფი-ენდის ილუზიამ და საერთოდ იმ სტუდიაში შექმნილმა ზოგადმა პათოსმა ყველაფერს დაუკარგა ფასი. იმ ყალბი ზეიმისა და ერთჯერადი სიხარულის ფონზე ამ ქალის ტრაგედიაც გაუფასურდა, და ბუცხრიკიძის, ვინ იცის, მართლა კეთილშობილური გადაწყვეტილებაც. ამ სპეცეფექტებმა მაყურებელი დააეჭვა და გააღიზიანა – ეს ყველაფერი რეკლამისთვის ხომ არ გაკეთდა? რეკლამისთვის, რომლის პათოსიც იყო – აი, შემოგვხედეთ, ჩვენ თანავუგრძნობთ, განვიცდით და შესაბამისად ვმოქმედებთ.

როგორც წესი, რეკლამის ასეთ ფორმას მაყურებელი მარტივად შიფრავს ხოლმე და ვინც ვერ შიფრავს და იჯერებს ამ ფარისევლობას, ღიზიანდება. ღიზიანდება იმიტომ, რომ ფიქრობს, რატომ ის და მე –

არა? არც მე მაქვს სახლი და შვილი მეც დაკარგული მყავს. ეს აჩენს ტენდენციას – თუ სახლი არ გაქვს, პავლე გიყიდის, ციხიდან გამოგიშვებს – სავლე, ტრიბუნას დაგითმობს – მაია ასათიანი, თავის ერთ-ერთ დიდ ხუთშაბათს. ეს საშიში ტენდენციაა, განსაკუთრებით კი გაზარმაცებული, უპასუხისმგებლო და გაზულუქებული „ქართველი ხალხისთვის“.

ასეა, მთავარი აქ ის კი არ არის რამდენი ადამიანი შეიწყალა იუსტიციის მინისტრმა და რამდენს გადასცა ბინა ამა თუ იმ „ქველმოქმედმა“, აქ მნიშვნელოვანია „ელიტა“, ადამიანები, რომლებიც „ენერგიულად არიან ჩართულნი“ საგარეო პოლიტიკის სწორად მართვაშიც და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებშიც. ისინი იმდენად უნივერსალურნი არიან, რომ თვალთახედვის მიღმა არც ერთ პრობლემას არ ტოვებენ. სუპერმენის მანტიამოსხმულები ყველაფერზე რეაგირებენ, მსხვილ საზოგადოებრივ პრობლემებზეც და ერთი კონკრეტული ადამიანის პირად ტრაგედიაზეც. აქ მნიშვნელოვანია „ახალი ქართული ელიტა“ (!), სახეები, რომლებიც ყოველდღე ჩანან ეკრანებზე და მათი პიარი, პიარი, რომელიც საწყალი ადამიანების ხარჯზე კეთდება.

უამრავი ადამიანი ვიცი პირადად მე, რომლებიც ყოველდღე იმაზე მეტს აკეთებენ სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის, ვიდრე ამ ორმა ერთად გააკეთა და კიდევ მესამემ – მაია ასათიანმა. როდემდე შეიძლება „ქართული ელიტა“ მანიპულირებდეს ამ ადამიანებით, მათი ისტორიებით და გაჭირვებით. როდემდე უნდა გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენს მოქალაქეებზე მხოლოდ „ელიტა“ „ზრუნავს“!

სხვათა შორის, ზემოთ აღნიშნული გადაცემა, პატიმარი ქალის ისტორია, და ის, თუ როგორ გააშუქა ყველაფერი მაია ასათიანმა, ამ მანიპულირების ერთ-ერთი ყველაზე მახინჯი მაგალითია. მაგრამ მერე რა, არც არაფერი მომხდარა, მაია ასათიანმა რეკლამაზე ღიმილით და ჩვეული გულწრფელობით გაგვიშვა – ყველაფერი ხომ კარგად დამთავრდა და ჭირსაც წაუღია ადამიანები, მათი ბედიც, მათი ღირსებაც და მათი უფლებებიც.

აი, ასეა, კეთილშობილი მედიატორის როლს თამაშობენ.

როგორი საამურია ცხოვრება მაია ასათიანთან ერთად.

რაც უნდა დაგვემართოს, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენთან არის „პროფილი“ და არაფერი გაგვიჭირდება, ის გვიხსნის ყოველთვის. ყოველ შემთხვევაში, მომავალ ხუთშაბათამდე მაინც.

P.S. ახლა კი მაია ასათიანს ნამდვილად ჰგონია, რომ ვალი მოხდილია.



N52, აგვისტო-სექტემბერი 2009

შეცვლილი ისტორიული რეალობა

გვახსოვს, რუსეთ-ჩეჩნების ომის დროს ბევრი ქართველი და, ვფიქრობ, უმეტესობა ჩვენს საზოგადოებაში შურით უყურებდა ჩეჩნების შეუპოვარ წინააღმდეგობას, რომელსაც მათთვის არავითარი წარმატება არ მოუტანია.



ავტორი: ზურაბ კიკნაძე

შეიძლება პარადოქსი იყოს, მაგრამ ეს ორივე ტერიტორია იმ ხალხთან ერთად, რომელიც ამ მხარეებში ცხოვრობს, უფრო ადრე დავკარგეთ, ვიდრე ომი დაიწყებოდა. ტრაგიკული იმდენად არა ტერიტორიის დაკარგვაა, არამედ ხალხის გაუცხოება და, საბოლოოდ, ყველაზე მძიმე პერსპექტივაში მტრად ქცევა.

იყო თავგანწირვანი, ეს უდავოა, შეგვეძლო აღფრთოვანება ამ აქტებით, და შურიც იმის გამო, რომ ჩვენ ჩვენს ომში ამგვარად მოქცევა ვერ შევძელით, მაგრამ იყო ისეთი სისასტიკეები, არ ვგულისხმობ მხოლოდ ტერორისტულ აქტებს, გარდაუვალ თანამდევთ მცირე ერების განმათავისუფლებელ ბრძოლებში, რისი მოქმედნიც ნამდვილად არ ვისურვებდით, რომ ვყოფილიყავით. მაშინაც ვგრძნობდით ერთგვარ უნდობლობას ამ ბრძოლებისადმი. ვის სჭირდებოდა ეს ბრძოლები? რის დასაბრუნებლად იბრძოდა ეს ხალხი? იქმნებოდა ილუზია, თითქოს ამარცხებდნენ რუსეთს და ახლოს იყვნენ დამოუკიდებლობასთან, რომლის გამოცდილება მათ არ ჰქონიათ ისტორიულად და, საეჭვოა, გამოეყენებინათ. ამ კუთხის დამოუკიდებლობის შემთხვევაში რუსეთს შეეძლო ისე წარემართა საქმე, რომ ამ მცირე ხალხს ბედი ეწყევლა და კვლავ მის წიაღს დაბრუნებოდა. მაგრამ რუსეთმა გადაწყვიტა, ისე მოქცეოდა, რომ მათ საბოლოოდ დაჰკარგოდათ დამოუკიდებლობის ხალისი. იქნებ ამას მიაღწია კიდეც თავისი ხალხის გადამეტებული სისხლის და ქვეყნის გაპარტახების ფასად. კიდევ ერთი ომი და, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი ამ ტომისთვის კატასტროფით დამთავრდება.

რატომ დავიწყე ჩვენი მეზობლების მწარე და, შესაძლოა, უნაყოფო გამოცდილებაზე ლაპარაკი? არა ტრივიალური მოტივით, რომ გავფრთხილდეთ, რომ რუსეთთან ომი შეუძლებელია, რომ მასთან ბრძოლაში დამარცხება გარდაუვალია. ეს ისედაც ცხადია, ხოლო მარცხი არ არის არც სირცხვილი და არც საბოლოო კატასტროფა. ამ ლაპარაკით მსურდა მიმენიშნებინა, რომ არის არსებითი განსხვავება ხალხებს შორის. არის

ხალხი, რომელსაც, ან უფრო სწორად, მათ, ვინც მათი სახელით იბრძვიან, დასაკარგავი არაფერი აქვთ. და არის ხალხი, რომელსაც იმ ლანდშაფტში და ოიკუმენაში, სადაც სახლობს იგი უკვე რამდენი ათასწლეულია, და ინახავს ამის ხსოვნას, ისტორიული პასუხისმგებლობა აკისრია. რა ხანია, ერთი და იგივე რიტორიკა გაისმის: დავიბრუნოთ ტერიტორია, აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა! მაგრამ პოლიტიკურად სრულიად კანონზომიერი ეს ლოზუნგი ცალმხრივია და, ამდენად, მანკიერი. აქა-იქ იყო შეძახილი: რატომ ვლაპარაკობთ ტერიტორიის დაბრუნებაზე და არა ადამიანების დაბრუნებაზე? მაგრამ სუსტი იყო ეს ძახილი და იგი მოწოდებად არ ქცეულა. შეიძლება პარადოქსი იყოს, მაგრამ ეს ორივე ტერიტორია იმ ხალხთან ერთად, რომელიც ამ მხარეებში ცხოვრობს, უფრო ადრე დავკარგეთ, ვიდრე ომი დაიწყებოდა. ტრაგიკული იმდენად არა ტერიტორიის დაკარგვაა, არამედ ხალხის გაუცხოება და, საბოლოოდ, ყველაზე მძიმე პერსპექტივაში მტრად ქცევა. ეს ხალხი თანდათან იკარგებოდა. ეროვნულ მოძრაობას, რომელმაც დააჩქარა ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, ლომის წილი აქვს, ვერავინ შეეცილება – ვერც ოზგანი, ვერც არძინბა, ვერც ჩოჩიევი, ვერც ტორეზი და ვერც კოკოითი. ვერც რუსები. რას გახდებოდნენ ეს პერსონები და უფროსი ძმა, ჩვენ რომ რეალურად ისეთი ძმური ურთიერთობა გვქონოდა ამ ხალხებთან, როგორსაც წარმოვიდგენთ ხოლმე და რომლის პრეზენტაციასაც ვახდენთ ხშირად ტელეგადაცემებში. ერთი მწარე შეცდომაა დაშვებული: ერთმანეთში გვაქვს აღრეული პირადი ურთიერთობები ხალხების წარმომადგენლებთან და ურთიერთობები ხალხებთან, როგორც ხალხებთან. გვავიწყდება, შესაძლოა, არც ვიცით, რომ ინდივიდი სხვაა და ხალხი, რომელიც ამ ინდივიდებისგან შედგება, სხვა. სხვაა არა მხოლოდ ოდენობით, არამედ თვისობრიობით, რომ მას აქვს თავისი იდენტობა და მის უგულებელყოფას მტკივნეულად განიცდის. რა გვაქვს დასამალი: ჩვენ შეგვეძლო მათი მწყემსი ვყოფილიყავით. მე მიყვარს ჩემი „იტალიური ეზოს“ მეზობელი, უკანასკნელ ლუკმას ვუყოფ მას, თავს დავდებ მისთვის, რადგან მას ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, ეგზისტენციალური არსებობა აქვს, მისი ბედი ჩემს ბედთან არის გადაჭდობილი, მაგრამ თუ ვხედავ პიროვნებას იმ სიმრავლეში, რომელსაც ჩემი მეზობელი ეკუთვნის? სამწუხაროდ, ვერ ვხედავ. თუ მიფიქრია, განსაკუთრებით ჩვენი საამაყო ეროვნული მოძრაობის დროს, რომ მას, როგორც ხალხს და ჩემს მეზობელს მასთან ერთად, შეიძლება გასჩენოდა არსებობის შიში ჩემი ქცევების გამო? არ მიფიქრია. თუ მიგრძვნია პასუხისმგებლობა მისადმი და არ დამიტოვებია ადგილი სხვისთვის, რომელსაც მესამე ძალას ვუწოდებდით, რომ შემცილებოდა პასუხისმგებლობაში?

ნაცვლად იმისა, რომ „აიდგილარასა“ და „ადამონ ნიხასის“ ხალხთან ძმურად და მეზობლურად გვესაუბრა, მოგვეწვია ისინი ჩვენ თავყრილობებზე, გა-



გვეწევრიანებია ჩვენს პარტიებსა თუ მოძრაობებში, ცალკ-ცალკე დავუგზავნეთ მათ გულისწყრომისა და მუქარის წერილები და იქამდე მივიყვანეთ საქმე, რომ მათ ერთმანეთთან შეკრეს კავშირი ჩვენს წინააღმდეგ. მათი ალიანსი ჩვენი ეროვნული მოძრაობის პირმშოა. ჩვენ გვეგონა, რომ ავტობუსებით „გმირული“ იერიში ცხინვალისკენ და მერე „დიდსულოვნად“ უკან გამობრუნება უკვალოდ ჩაივლიდა. ასეთი ჩავარდნები ბევრი გვქონდა განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ათეულში. თუმცა ჩვენ ისტორიულად მოცემული გვქონდა უნიკალური შანსი და ალბათ ისტორიულად მოწოდებულიც ვიყავით საქართველოში ახალი წესრიგის და ახალი ერთობის დასამყარებლად. მაგრამ ვერ გამოვიყენეთ ეს შანსი და ისტორიული მოწოდება, რომ ჩვენს ეროვნულ ინტერესებში ამ ორი ხალხის ინტერესებიც გაგვეთვალისწინებინა, რომ ისინიც გამხდარიყვნენ ქვეყნის მომავლის შენების მონაწილეები. და დღემდე, როცა ჟამი გაშვებულია, ვლაპარაკობთ ისევ და ისევ ტერიტორიულ მთლიანობაზე, იქ მცხოვრები ხალხი კი მესამე ძალას ჩავაბარეთ, რათა გამოეყენებინა იგი როგორც ინსტრუმენტი იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ნაცვლად იმისა, რომ დემოკრატიის, ეკონომიკის, საყოფაცხოვრებო კულტურის შენებით მათთვის მიმზიდველი გაგვეხადა ეს გაუცხოებული ქვეყანა (დასავლეთ-აღმოსავლეთ გერმანიის მაგალითი რომ გავიხსენოთ), ლეგალური თუ ფარული ურთიერთობებით აღგვედგინა ურთიერთნდობა და ტრადიციული კავშირები, დავადექით ახალი კონფრონტაციის გზას საეჭვო ღირებულების ალტერნატიული ადმინისტრაციის შექმნით და, რაც მთავარია, ქვეყნის მილიტარიზაციით, რომლის მატერიალური რესურსი სამ დღეში გაცამტვერდა და მორალურიც გადაიყოლა. არავინ გაამართლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობას წამოწყებული ომის გზით, არც თუნდაც უნებლიე წამოგება ანკესზე – სიბეცისა თუ სულმოკლეობის ნიშანი – არის საპატიებელი იმ სახელმწიფოსთვის, სადაც უშიშროება „ქვეყნის ხერხემალია“. სხვაგან სად უნდა გამოჩენილიყო ხელისუფლების გონივრული პოლიტიკა, თუ არა იქ, სადაც პროვოცირების საფრთხეა ჩასაფრებული? ამ საფრთხეს ხორცი შეესხა, როცა შეიარაღება (მილიტარიზაციის ერთგვარი ევფემიზმი) ქვეყანაში პრიორიტეტული გახდა. ამბობენ და ასეც მოხდა: პირველ აქტში დატენილი თოფი ბოლო აქტში გავარდა. ამ იგავის ილუსტრაციას შევესწარით ჩვენს დღეებში.

არავინ გაამართლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობას წამოწყებული ომის გზით, არც თუნდაც უნებლიე წამოგება ანკესზე – სიბეცისა თუ სულმოკლეობის ნიშანი – არის საპატიებელი იმ სახელმწიფოსთვის, სადაც უშიშროება „ქვეყნის ხერხემალია“.

ქრესტომათიულია, რომ საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა და რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა ომების პროცესში ჩამოყალიბდა. მაგრამ რამდენად გამოსადეგია ეს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება დღევანდელ ისტორიულ პირობებში, დღევანდელ, როგორც იტყვიან, გამოწვევებში, რომელთა წინაშე დგას ეს ქვეყანა? ის ერთადერთი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით დაუბრუნებია დაკარგული ტერიტორიები, რჩება თუ არა დღესაც ერთადერთად და უალტერნატივოდ? ჩვენში მოარული იყო და, შესაძლოა, დღესაც არის, თქმა: ძალით წართმეულის დაბრუნება მხოლოდ ძალით შეიძლება. ეს დებულება ვიცით, მაგრამ არ ვიცით, ან არ ვცნობთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ისტორია იცვლება; რომ არსებობს ისეთი რამ, როგორიც არის შეცვლილი ისტორიული ვითარება; რომ ისტორიული რეალობა შეიძლება შეიცვალოს, ჩვენ კი ჩვენი მოლოდინებით და ოცნებებით წარსულში ჩავრჩეთ. ჩვენთვის დღემდე იდეალი დავით აღმაშენებლისა და თამარის ძლევამოსილი ერთიანი საქართველოა. იდეალს არსებობის უფლება აქვს და თითქოს სასარგებლოც არის: უკეთესისკენ სწორებას მოგვიწოდებს, მაგრამ საბედისწერო შეცდომაა, როცა ეს სწორება ისევ და ისევ წარსული ეპოქის შინაარსით არის ავსებული. რომელი ხელისუფლება გაბედავს დღეს თავისი მეტოქეების იმ მეთოდებით ჩამოშორებას, რომელთაც მეფე იყენებდა? დავფიქრდეთ, რის ფასად უნდა დაჯდომოდა (წყაროები დუმან) მოსახლეობას უცხო ტომის ჩამოსახლება, ან თუ შეძლებდა დღევანდელი ხელისუფალი, მიემართა ამ საშუალებისთვის ქვეყნის გასაერთიანებლად, ქვეყნის შიგნით სტაბილიზაციის დასამყარებლად ან თუნდაც, გარეშე მტრების მოსაგერიებლად? ან თუ შევძლებდით დღეს მოვქცეულიყავით ისე, როგორც თამარის მხედართმთავარი მოიქცა, რომელმაც დურძუკების ხელით დაარბია ტახტისგან განმდგარი დიდოელები და ფხოველები (არც ერთი, არც მეორე, როგორც დღევანდელ შემთხვევაში, ქართველთა ნათესავს არ ეკუთვნოდა)? ან თუ აღგვაფრთოვანებდა დღეს ის სიტყვები, რომლებითაც ივანე ათაბაგმა მიულოცა მეფეს გამარჯვება („იქმნა ბრძანება შენი! მოვაოხრენ ურჩნი შენნი დიდოეთი და ფხოეთი“) და ამის შემდეგ კვლავ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის იმედით ვიქნებოდით?

ისტორიული ვითარება კვლავ შეცვლილია. ის, რაც ჯერ კიდევ შესაძლებელ რეალობად გვეჩვენება, უკან მოუბრუნებლად ჩაიძირა წარსულში. ჩვენ იქ აღარ ვდგავართ, სადაც გუშინ და გუშინწინ ვიდექით.

სახისა და სხეულის მზისგან დამცავი საშუალებები - მთელი ოჯახისათვის

გაირუჯეთ და შეინარჩუნეთ ნარუჯი აჰავასა და დოლიგასთან ერთად ზიანის მიყენების გარეშე

ავერსი
AVERSI

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

საინფორმაციო სამსახური: 2-967-227

www.aversi.ge

N43, ნოემბერი 2008

მეომარი ანა პოლიტკოვსკაია

როდესაც პოლიტკოვსკაიას ფოტოებით აქციაზე გამოსულ ქართველ ჟურნალისტებს ვუყურებდი, რატომღაც პირველად დავფიქრდი იმაზე, რომ, სამწუხაროდ, არც ქართველებსა და არც აფხაზებსა და ოსებს შორის არ აღმოჩნდნენ ისეთი ჟურნალისტები, როგორიც იყო ანა პოლიტკოვსკაია, ვინც თავის მოვალეობად ჩათვლიდა, როგორც ქართველებისთვის, ისე მოწინააღმდეგე მხარისთვის ყური დაეგდო, საერთო გასაჭირზე დაეწერა, ან ის მიზეზები ეკვლია, რამაც ასე დაგვაშორა ერთმანეთს.

ავტორი: ნინო ბექიშვილი

მხოლოდ ნამდვილ, „სანიტარულ“ ჟურნალისტიკას აღიარებდა. საქმეს აკეთებდა და ამ საქმით კონკრეტულ ადამიანებს ეხმარებოდა. ეს კი ჟურნალისტიკაში, ალბათ, ყველაზე მძიმე რამაა.

ახლა, როცა ომმა ჩაირა, უამრავი რუსი მიდგას თვალწინ, მათ შორის, უპირველესად – ანა პოლიტკოვსკაია. ანა პოლიტკოვსკაიამ, რუსმა ჟურნალისტმა, შეძლო და მთელი რუსეთის წინააღმდეგ წავიდა. მარტო ხელისუფლების კი არა, – მოსახლეობის უმრავლესობის წინააღმდეგაც. მასზე ამბობენ, მებრძოლივით იომა, რამდენიმე წელი გაძლო და მოკვდა, როგორც ნამდვილი ჯარისკაცი ბრძოლის ველზეო.

კავკასია ჟურნალისტებისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ადგილად ითვლება – ყველაზე მეტი ჟურნალისტი იღუპება. ანა პოლიტკოვსკაია წლების განმავლობაში ყოველ თვე ჩეჩნეთში დადიოდა. ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა ბრმა ტყვიის მსხვერპლი გამხდარიყო; არა ერთხელ მოიტაცეს, მოწამლეს, ემუქრებოდნენ. პოლიტკოვსკაია მაინც არ ჩერდებოდა. შემორჩენილია 2005 წელს გადაღებული კადრები, სადაც ანა შვეიცარიელ ჟურნალისტს ეუბნება: – „ვფიქრობ, რა უცნაურია, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. არა, ეს ნამდვილი სასწაულია!“. ერთ წელიწადში – 2006 წლის 7 ოქტომბერს, დღის 4 საათზე, რუსეთის დედაქალაქის ცენტრში, საკუთარ სადარბაზოში მოკლეს. მალევე, მისი სიკვდილის შემდეგ, მთელმა მსოფლიომ მოისმინა რუსეთის პრეზიდენტის ცინიკური სიტყვები – „ჟურნალისტმა თავისი სიკვდილით გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის ხელისუფლებას, ვიდრე მისმა პუბლიკაციებმაო“. თუკი ვინმეს ეჭვი ეპარებოდა, რომ ჟურნალისტი პუტინის პოლიტიკას შეეწირა, რუსეთის პრეზიდენტის ცინიკურმა განცხადებამ ეს ეჭვები გაფანტა. მიუხედავად მთელი ცივილიზებული მსოფლიოს აღშფოთებისა, პოლიტკოვსკაიას სიკვდილის შემდეგ რუსულ პრესაში გაჩნდა სტატიები, სადაც ავტორები ამტკიცებდნენ, რომ, მართალია, ქალი არ უნდა მოკლა, მაგრამ მტერს სქესი არა აქვს; შესაბამისად, პოლიტკოვსკაიამაც „დაიმსახურა“ სიკვდილი, ის ხომ მტერი იყო – ტერორისტებს თანაუგრძნობდა.

პოლიტკოვსკაია „ნოვაია გაზეტას“ მესამე ჟურნალისტი იყო, რომელიც მოკლეს. ანას სიკვდილით შოკირებულმა და სასონარკვეთილმა „ნოვაია გაზეტას“ რედაქტორმა დიმიტრი მურატოვმა გაზეთის დახურვა გადაწყვიტა – ადამიანების სიცოცხლე არ მიღირს არანაირ გაზეთადო. მაშინ ის ანას კოლეგებმა შეაჩერეს. დღეს, როცა ანას მკვლელები ისევ დაუსჯელები არიან, „ნოვაია გაზეტას“ საიტზე ვკითხულობთ – „სანამ „ნოვაია გაზეტა“ არსებობს, ანას

მკვლელები მშვიდად ვერ დაიძინებენ!“ რედაქცია განაგრძობს დამოუკიდებელ გამოძიებას.

7 ოქტომბერს ქართველი ჟურნალისტები რუსეთის უკვე გაუქმებული საელჩოს წინ ამ წარწერით გამოვიდნენ – „Putin, stop killing journalists!“ აქციას, რომელიც პოლიტკოვსკაიას მკვლელობის დღეს მსოფლიოს ბევრ ქალაქში გაიმართა, ქართველი ჟურნალისტებიც შეუერთდნენ. თუმცა, საელჩოს წინ მხოლოდ ათიოდე მდუმარე ადამიანი იდგა და პოლიტკოვსკაიას ფოტოებთან ერთად, ომის დროს დაღუპული ქართველი ჟურნალისტების სურათებიც ეჭირათ.

საგულისხმოა, რომ პუტინის რეჟიმი, არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ყველგან, დღესაც სდევნის და კლავს მისთვის არასასურველ ადამიანებს; მუშაობს პროპაგანდაც – ეს ადამიანები მტრები არიან, რუსეთის სახელმწიფოს აღორძინებას უშლიან ხელს. გავიხსენოთ ფსბ-ს ყოფილი აგენტის, ლიტვინენკოს, გახმაურებული საქმე – ლიტვინენკო პირდაპირ აცხადებდა, რომ პოლიტკოვსკაია პირადად პუტინმა მოაკვლევინა – რუსეთში იმდენად ცენტრალიზებული მმართველობაა, პრეზიდენტის თანხმობის გარეშე ვერავინ გაბედავდა მსოფლიოში ცნობილ ჟურნალისტზე ხელის აღმართვასო; ან მოსკოველი ჟურნალისტის, ელენა ტრეგუბოვას ისტორია გავიხსენოთ – ტრეგუბოვამ 2004 წელს გამოსცა წიგნი „კრემლის მუტანტები“, რომელიც მალევე ითარგმნა ევროპულ ენებზე და ბესტსელერად იქცა. ჟურნალისტი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს – სარკესთან შეჩერდა და მის სადარბაზოში დამონტაჟებული ბომბი რამდენიმე წამით ადრე აფეთქდა, სანამ ის შინიდან გამოვიდოდა. ანა პოლიტკოვსკაიას სიკვდილის შემდეგ ტრეგუბოვა მიხვდა, რომ რუსეთში ველარ იცხოვრებდა და ლონდონში გაიქცა. თუმცა არც

იქაა დაცული. სულ ახლახან, 15 ოქტომბერს კი სტრასბურგში, სადაც ადამიანის უფლებათა სასამართლოში ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის გამოძიება უნდა დაწყებულიყო, პოლიტკოვსკაიას ოჯახის ადვოკატი კარინა მასკარენკო სასამართლო პროცესზე ვერ გამოცხადდა – მოწამლეს. მასკარენკოს მანქანაში ვერცხლისწყლის დიდი რაოდენობა აღმოჩნდა. მოიწამლა ადვოკატის სამი შვილიც. მასკარენკო სტრასბურგში არა მარტო პოლიტკოვსკაიას, არამედ ხოდორკოვსკის, „ნორდ-ოსტის“ მსხვერპლთა და ჩეჩნეთის ომის მონაწილეთა საქმეებსაც იკვლევდა. ვერცხლისწყლის დოზა მომაკვდინებელი არ ყოფილა, როგორც ჩანს, ადვოკატის დაშინება უნდოდათ, დაშინებას კი რაც მოსდევს ხოლმე, პოლიტკოვსკაიას მაგალითზე – ყველამ ვიცით.

ანა იმით იყო უნიკალური, რომ ის უმცირესობის სიმართლის დამტკიცებას ცდილობდა. დადიოდა ჩეჩნეთში, „ტერორისტებს“ უსმენდა და ელაპარაკებოდა. და ეს მაშინ, როცა მთელი რუსეთი ლამის თითოეულ ჩეჩენში ტერორისტს ხედავდა. ანა კი ამ ტერორიზმის მიზეზებს იკვლევდა – ჩეჩნების პრობლემებზე ღიად საუბრობდა, იმ მიზეზებს აღწერდა, რამაც მშვიდობიანი მოსახლეობის ნაწილი შაჰიდებად აქცია. წლების განმავლობაში დადიოდა ჩეჩნეთში, შედიოდა რუსულ საკონცენტრაციო ბანაკებში, ესაუბრებოდა უბრალო ადამიანებს, მარტო ჩეჩნებს კი არა, რუს სამხედროებსაც და მათ უფლებებსაც იცავდა. არ გაჩუმებულა მას შემდეგაც კი, რაც მოწამლეს, ემუქრებოდნენ. ანა ხედავდა, რომ ის არაადამიანური ქმედებები, რასაც რუსული არმია ჩეჩნეთში ატარებდა, ის სიძულვილი, რასაც რუსული პოლიტიკა თესავდა, მხეცებად აქცევს ადამიანებს – რუსებს, ჩეჩნებს, სხვებსაც და გაჩერება აღარ შეეძლო... იცოდა, რომ ტერორისტებად არ იბადებიან. ანა რომ არა, მსოფლიო ბევრს ვერაფერს გაიგებდა ამ ომზე – დაღუპულ ბავშვებზე, ნაწამებ ადამიანებზე, საკონცენტრაციო ბანაკებზე, გადამწვარ სოფლებზე. ანა თავის წიგნში „პუტინის რუსეთი“, წერდა, რომ ყველაზე მეტად რუსული საზოგადოების გულგრილობა აკვირვებდა, სადაც ხმას არავინ იღებდა ნაწამები და დაღუპული ჩეჩენი ბავშვების გამო. დღეს რა ხდება ჩეჩნეთში, ცოტა ვინმემ თუ იცის; აღარავინაა ისეთი, ვინც გაბედავს და დაწერს. ჩეჩნებიც არ ენდობიან სხვას, ანას კი ენდობოდნენ. ნორდ-ოსტში გამაგრებულ ჩეჩენ ტერორისტებთანაც სწორედ ანამ შეძლო შესვლა და დალაპარაკება, პატარა ბავშვების გამოყვანა და ტყვეებისთვის წყლის შეტანა. შემდეგ კი – ამ ტრაგედიაზე სიმართლის თქმა.

ანა პოლიტკოვსკაია იშვიათად წერდა სენტიმენტალურ სტატიებს, ის მხოლოდ ნამდვილ, „სანიტარულ“ ჟურნალისტიკას აღიარებდა. საქმეს აკეთებდა და ამ

დღეს რა ხდება ჩეჩნეთში, ცოტა ვინმემ თუ იცის; აღარავინაა ისეთი, ვინც გაბედავს და დაწერს. ჩეჩნებიც არ ენდობიან სხვას, ანას კი ენდობოდნენ.

საქმით კონკრეტულ ადამიანებს ეხმარებოდა. ეს კი ჟურნალისტიკაში, ალბათ, ყველაზე მძიმე რამაა. ასე იქცა ანა ადამიანის უფლებების დამცველად – გულგრილი და სასტიკი სახელმწიფოს პირისპირ მარტოდ დარჩენილი ადამიანების ხშირად ერთადერთ იმედად, შემწედ და მფარველად – დადიოდა სასამართლოებში, ჩინოვნიკების კაბინეტებში და ცდილობდა სამართლის პოვნას.

აგვისტოში, როცა ყველანი შევყურებდით ტელევიზორს და დავძვრებოდით ინტერნეტში, როცა ორივე მხარე, ქართულიცა და რუსულიც, ლამის ერთნაირი მეთოდებით აწარმოებდა პროპაგანდისტულ ომს, ინფორმაცია კი ძალიან მწირი იყო, კიდევ ერთხელ გამახსენდა ანა პოლიტკოვსკაია. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო და ამ ომზე დაეწერა, მის სიტყვას ნამდვილად დავიჯერებდი – დავიჯერებდი ყველაფერს, რასაც დაწერდა.

N47, მარტი 2009

საკანი ნომერი ხუთი

დასაწყისშივე მინდა განვმარტო:

გია გაჩეჩილაძე, იგივე უცნობი (როგორც „მაესტროზე“ ამბობენ ხოლმე ტიტრებში), ჩემი ბავშვობის მეგობარია და უცნობი ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარს. შეიძლება სწორედ იმის გამო მიყვარს გამორჩეულად, რომ ძალიან ბევრი ადამიანისაგან განსხვავებით, გიამ დღემდე შეინარჩუნა სამყაროს აღქმის ბავშვური ნიჭი და უამრავი რამ ახლაც ისევე უკვირს, როგორც პატარაობისას უკვირდა.

ავტორი: დათო ტურაშვილი

ჩვენგან, ოდესღაც ძალიან შემოქმედი ერისაგან, მხოლოდ მომხმარებელი ხალხი დავრჩით და ამიტომაც ვეძებთ ახლა სხვა მფარველს და ბატონს **როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, თუ ოკეანის გადაღმა.**

ბავშვობაში ალბათ ჩვენც ასეთი გულწრფელები ვიყავით, მერე კი ნელ-ნელა დავკარგეთ ჩვენში ბევრი თვისება და მათ შორის ისეთებიც, რაც უცნობმა დღემდე შეინარჩუნა. იმ საკანშიც სტუმრებთან საუბრისას თუ კამათისას უცნობის ეს შესაშური თვისება აშკარად ჩანს ხოლმე, მაგრამ სანამ საკნის ამბავს მოვყვები, ახალგაზრდობაც უნდა გავიხსენო.

ახალგაზრდობაშიც ბევრი იდეები ჰქონდა (ახლანდელივით) და როცა მეუბნებოდა, თუ რის გაკეთებას აპირებდა, ძალიან ხშირად მეღიმებოდა ხოლმე და ძალიან ხშირად ვცდებოდი, რადგან მას ყოველთვის ჰქონდა ნიჭთან ერთად ისეთი ალღოც, რომლის წყალობითაც ჰიტების ავტორი ხდებოდა. ჰიტის ოფიციალურ განმარტებას რომ არ დავყაბულდეთ, ჰიტი სწორედ იმას ნიშნავს, რასაც უცნობი აკეთებდა თავისი პირველი სიმღერის ჩაწერიდან დღემდე და სანამ მეხუთე საკანში აღმოჩნდებოდა, მხოლოდ მან იცოდა, როგორი პოპულარული გახდებოდა ეს უცნაური ახირებაც. აქვე შემიძლია გამოვტყდე და ისიც ვაღიარო, რომ რამდენიმე ხნით ადრე (სანამ „მაესტროში“ ჩაჯდებოდა), როცა გიამ თვითონვე ამიხსნა რის გაკეთებასაც აპირებდა, ისევ ცოტა გოიმურად მომეჩვენა მისი ახალი იდეა, თუმცა ისევ შევცდი.

მესმის, რომ პირდაპირ, რეალურ და ცოცხალ შოუს შეიძლება მართლა არ ჰქონდეს ალტერნატივა ტელესივრცის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია ის, რასაც უკვე მერამდენე ადამიანისაგან ვისმენ – ადამიანები არა მხოლოდ მაშინ უყურებენ ამ გადაცემას, როცა საკანში საინტერესო სტუმრები არიან და კამათობენ, არამედ მაშინაც კი, როცა გია საკანში მარტოა და მშვიდად ძინავს.

თუმცა სინამდვილეში მშვიდად ძილი იმ საკანში შეუძლებელია, თუნდაც მუდმივად ჩართული კამერების გამო, და პირადად ჩემთვის კი, არათუ მშვიდად ძილი, მშვიდად საუბარიც კი შეუძლებელი აღმოჩნდა მასთან სტუმრობის დროს და ახლაც ამიტომ ვწერ.

ყველაფერზე, რის შესახებაც ვიკამათეთ,

ბუნებრივია, ვერ დავწერ, მაგრამ საკითხს, რომელმაც ამდენი აღელვებული საუბარი გამოიწვია, აუცილებლად შევეხები, რადგან მანამდე მართლა გულწრფელად მეგონა, რომ საქართველოში ალექსანდრე გრიბოედოვის შესახებ, ისედაც ყველაფერი იცოდნენ.

თუმცა მანამდე იმასაც ვიტყვი, რაც ძალიან არ მომწონს მეხუთე საკანში და ეს უპირველესად იგივე შეცდომის საშიშროებაა, რომელიც ერთხელ უკვე დავუშვი. ვარდების რევოლუციამდე გულუბრყვილოდ მეგონა, რომ მთავარი შევარდნაძის გადადგომა იყო და მერე ყველაფერი ისედაც კარგად იქნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თავისით არაფერი იცვლება უკეთესობისკენ და ისიც აღმოჩნდა, რომ მთავარი პრობლემა თურმე ისევ ჩვენშია და არა რომელიმე შევარდნაძეში. რასაკვირველია, შევარდნაძე უნდა წასულიყო და წავიდა კიდეც, მაგრამ სააკაშვილის შეცდომებისთვის ჩვენ სრულიად მოუმზადებლები აღმოვჩნდით, რადგან გვეგონა, რომ დემოკრატია თავისთავად შეუქცევადი პროცესია და ძალიან მწარედაც მოვტყუვდით. ამიტომაც მთავარი პრობლემა (ჩემი სუბიექტური აზრით) სწორედ ისაა, რომ ხელისუფლებასთან ერთად ჩვენც შევიცვალოთ, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობაა იმისა, რომ მომავალმა ხელისუფლებამაც იგივე გვაკადროს, რაც ახლანდელმა უკვე გვაკადრა.

ყველაზე სამწუხარო კი ახალი ბელადის ძველებური მოთხოვნილებაა, რომელიც საქართველოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა და ასეთ დროს ყოველთვის ალექსანდრე ყიფშიძის ცნობილი ფრაზა მახსენდება ხოლმე, – ქართველები მონობას ისე შეეჩვიენ, ერთ ბატონს მეორეთი რომ უცვლიან, უკვე თავისუფლება ჰგონიათო...

თავისუფლება კი უპირველესად პასუხისმგებლობაა და ამიტომაც გასაგებია, რომ პოსტსაბჭოური ქართული საზოგადოება პასუხისმგებლობას გაურბის და ხალხიც კვლავ ცდილობს, რომ ძალაუფლება რომელიმე ახალ ბელადს შეტენოს და მერე ის ახალი რომ ძველივით მოიქცევა ხოლმე, ძალიან უკვირს. მგონი, ამ გადაცემის მთავარი უპირატესობაც სწორედ ის არის, რომ ამ საკანში გაცილებით ადვილია ადამიანების ამოცნობა და იმ პოლიტიკოსებს, რომლებსაც მთელი ღამის მანძილზე ერთი რომელიმე წაკითხული წიგნის გახსენებაც კი არ შეუძლიათ, არასოდეს მივცემ ხმას. თვითონ უცნობის უპირატესობა კი ის არის, რომ გია გაჩეჩილაძეს გულწრფელად სურს, რომ ეს ქვეყანა უკეთესობისკენ შეიცვალოს და ამას ზუსტად ისე ცდილობს, როგორც მას სჯერა. მას შეიძლება არაფერში დაეთანხმო, მაგრამ ყველაფერი შეგიძლია უთხრა; მას მოსმენა მაინც შეუძლია, სხვებისაგან განსხვავებით. უპირველესად ზემოთქმული ხელისუფლებას ეხება და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს თვისება რომ არ დაეკარგათ ადამიანებს, არც ამ გადაცემის აუცილებლობა იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე არ დაეწაფებოდა მეხუთე საკანს სიმართლესმოწყურებული ქართველი მაყურებელი და ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი შეცდომაც სწორედ ის იყო, რომ მათ აღარ დაიჯერეს, რომ სიმართლე ყოველთვის ჯობია ტყუილს და კეთილი ტყუილი კი, სინამდვილეში, არ არსებობს. სააკაშვილს იმხელა მხარდაჭერა ჰქონდა საქართველოში (შესაბამისად, საქართველოს კი – დასავლეთში), რომ ხელისუფლებამ ვეღარ იგრძნო საზოგადოებასთან დიალოგის აუცილებლობა და იმ რეფორმების განმარტების აუცილებლობაც, რომლის გარეშეც, თანამედროვე სახელმწიფო უბრალოდ ვერც შეიქმნება. ხელისუფლებას გაუჩნდა საკუთარი ხალხისაგან მარადიული მხარდაჭერის ილუზია და ამ შეცდომამ სხვა შეცდომებიც გამოიწვია და განაპირობა. ქვეყანაში, სადაც რომელიმე ქართველის გარეშე სიმღერასაც კი არავინ გაპატიებს, ხელისუფლება ისე დაშორდა საზოგადოებას, რომ ვერც კი იგრძნო შუაში გაჩენილი უფსკრული, რომელსაც მხოლოდ გამარჯვება თუ ამოავსებდა. რუსეთის წინააღმდეგ ომში გამარჯვება კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ხალხი და ხელისუფლება გაერთიანდებოდა, მაგრამ თუ არ იცი, რომ კრემლის აგენტები კრემლის წინააღმდეგ არასოდეს იბრძოლებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენს ხალხს ძალიან ცუდად იცნობ. ხოლო თუ კარგად იცნობ და ქუჩაში გამოსული, ღირსებაშელახული ადამიანები მაინც კრემლის აგენტები გგონია, რუსეთს ვერასოდეს დაამარცხებ. თუმცა მანამდე ჩვენ ყველას უფრო ძნელი ომი გველის და ეს ჩვენი, საკუთარი თავის დამარცხებაა და მგონი, ეს უფრო რთულია, რადგან რუსებმა ჩვენს აქილევსის ქუსლს, კარგა ხანია, მიაგნეს და ორასი წლის მანძილზე სწორედ ის თვისებები დავკარგეთ, რაც ჩვენს გამარჯვებას განაპირობებდა ხოლმე. ჩვენგან, ოდესღაც ძალიან შემოქმედი ერისაგან, მხოლოდ მომხმარებელი ხალხი დავრჩით და ამიტომაც ვეძებთ ახლა სხვა მფარველს და ბატონს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, თუ ოკეანის გადაღმა. მთელი ჩვენი ენერგიაც ახალი მფარველის ძებნას ხმარდება და არა საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, რომელსაც თავისუფალი ადამიანები სჭირდება და როცა ჩვენ ვიქნებით თავისუფლები, ხელისუფლებაშიც თავისუფალი ადამიანები მოხვდებიან. ამიტომაც, ჩემი ღრმა რწმენით, გამოსავალი ისევ ჩვენშია, რადგან სააკაშვილთან ერთად ეს შეცდომები ჩვენც დავუშვით და სააკაშვილი კი ყველაზე მეტად სწორედ ჩვენ გვგავს. ღმერთმაც ქნას, რომ აგვისტოს ომიდან (და არა მარტო) ისეთი დასკვნები გამოვიტანოთ, რომლებიც საკუთარი თავის აღმოჩენაში ისე დაგვეხმარება, რომ შეცდომებს აღარ დავუშვებთ და აღარ გავიმეორებთ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ თუ საკუთარი თავის შეცნობა და საკუთარი შეცდომების აღიარება შევძელით, იმასაც დავიჯერებთ, რომ თავისუფლებას ალტერნატივა არ გააჩნია...

. . .

რაც შეეხება გრიბოედოვს: სანამ ქართველებზე ვიტყვი, ჯერ იმას გავიხსენებ, თუ რატომ არ უყვარდათ გრიბოედოვი თვითონ რუსებს და განსაკუთრებით კი რუსული საზოგადოების ეგრეთ წოდებულ პროგრესულ ნაწილს. ალექსანდრე გრიბოედოვი, როგორც სხვა დეკაბრისტები, დააპატიმრეს პეტერბურგის ცნობილი მოვლენების შემდეგ, მაგრამ იმ სხვებისაგან განსხვავებით, ვინც ჩამოახრჩეს ან ციმბირის კატორღებზე გაუშვეს, გრიბოედოვი ძალიან მალე გაათავისუფლეს და სამაგალითოდ დაავჯილდოვეს. გარდა სოლიდური ფულადი ჯილდოსი, მან მიიღო წმინდა ანას ჯვარი და სახელმწიფო მრჩევლის ტიტული. იმპერატორისაგან ასეთი ლმობიერება მხოლოდ გრიბოედოვის მიმართ მხოლოდ ერთაზროვანი დასკვნის საფუძველი იყო. მოწინავე რუსულმა საზოგადოებამაც სწორედ ის იფიქრა გრიბოედოვის შესახებ, რასაც თვითონ გია გაჩეჩილაძე იფიქრებდა ასეთ შემთხვევაში, თუმცა რუსული საზოგადოების დეკაბრისტულ ნაწილს მხო-

ლოდ პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს პროგრესული, გასაგები მიზეზების გამო. დეკაბრისტებსაც კი სხვა, ჩვენსავით პატარა ქვეყნებისა და ჩვენსავით დაპყრობილი ერების ბედი სულ ცალ კიდურზე ეკიდათ ნებისმიერ მანიფესტში და საქართველოც მათთვის მხოლოდ პოლიგონური ტერიტორია იყო ქართველების გარეშე. გრიბოედოვიც თავის პროექტში, საქართველოს მოწყობის შესახებ, საერთოდ არაფერს ამბობდა ხალხის შესახებ და ჩვენს ქვეყანას განიხილავდა როგორც კომერციულ კომპანიას, რომლის მმართველიც თვითონ უნდა ყოფილიყო და მთელი ქართული ქონებაც მას უნდა დარჩენოდა განუსაზღვრელი ვადითა და უფლებებით სარგებლობაში. აქვე იმასაც გავიხსენებ, რომ ალექსანდრე გრიბოედოვი (მიუხედავად იმისა, რომ ოკუპანტი იყო), საკმაოდ ნიჭიერი ადამიანი გახლდათ, რომელმაც საკმაოდ ბევრი ენა

ვარდების რევოლუციამდე გულუბრყვილოდ მეგონა, რომ მთავარი შევარდნაძის გადადგომა იყო და მერე ყველაფერი ისედაც კარგად იქნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთავარი პრობლემა **თურმე ისევ ჩვენშია და არა რომელიმე შევარდნაძეში.**

იცოდა, მაგრამ ერთადერთი ენა, რომლის შესწავლაც მას არ განუზრახავს, სწორედ ქართული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ გრიბოედოვს ცოლი ჰყავდა ქართველი და უცხო ენების შესწავლაც აშკარად ეხერხებოდა, ქართული ენის შესწავლა არც უცდია, რადგან როცა იგი საქართველოში ჩამოვიდა, ჩვენს უმთავრეს სიმდიდრეს რუსები უკვე ძაღლების ენას უწოდებდნენ. სხვათა შორის (რადგან სიტყვამ მოიტანა), აქვე იმასაც ვიტყვი, რომ გრიბოედოვის მერე კიდევ ორასმა წელიწადმა განვლო, მაგრამ ორასმილიონიან რუსს შორის ქართული ენა მაინც არავინ შეისწავლა. სხვა, ნებისმიერი უცხოელი კი საქართველოში მოღვაწეობას სწორედ იმით იწყებს, რომ ქართული ენის მასწავლებელს მოძებნის ხოლმე და (მაგალითად) დიდი ბრიტანეთის ელჩი რამდენ შეცდომასაც უნდა უშვებდეს ქართულად საუბრისას, ნებისმიერი ქართველისთვის ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მისი დამოკიდებულებაა საქართველოს მიმართ. თუნდაც ასეთი პატივისცემა და სიყვარულიც არ გვიგრძვნია რუსების მხრიდან (არასოდეს) და რა გასაკვირია,

რომ ალექსანდრე გრიბოედოვიც არ ყოფილიყო ამ მხრივ გამონაკლისი, მიუხედავად ქართველების არცთუ იშვიათი გულუბრყვილობისა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიც ქართველებს მაინც სჯეროდათ, რომ თუ რუსებს კარგად მოექცეოდნენ, ისინიც სიყვარულით უპასუხებდნენ ჩვენს ერთგულებას და რა გასაკვირია, რომ თექვსმეტი წლის კეთილშობილ ქართველ ქალს რუსი მწერალი შეყვარებოდა.

ულამაზეს ნინო ჭავჭავაძესაც თავდავიწყებით შეუყვარდა ალექსანდრე გრიბოედოვი, რომელიც წარმოსადეგი დიპლომატი იყო, უკრავდა როიალზე და წერდა მუსიკასაც ლექსებისა და პიესების გარდა.

თუმცა თვითონ გრიბოედოვის დამოკიდებულება ნინოსადმი არ იყო ზუსტად ისეთი, როგორიც სკოლის სახელმძღვანელოებიდან გვახსოვს, რადგან რუსი მწერალი (სინამდვილეში) სხვა მანდილოსნების

ბის პრაგმატულ მოტივაციებზე აქ აღარ ვისაუბრებთ. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ (სხვათა შორის) ეკატერინე ჭავჭავაძე კარგა ხანს დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ გრიბოედოვს სინამდვილეში ეკატერინე მოსწონდა (თანაც დაუფარავად) და არა მისი და ნინო. შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ქალს ზოგჯერ ეჩვენება ხოლმე, რომ ნებისმიერი მამაკაცი მას ეტრფის, მაგრამ ეკატერინე ჭავჭავაძის შემთხვევაში, ეს ყველაზე ნაკლებად სარწმუნოა და ასეც რომ არ იყოს, ნიკოლოზ გრეჩის ჟურნალში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალაც საბედნიეროდ არსებობს. საბედნიეროდ მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ სიმართლის ცოდნა ყველა შემთხვევაში უკეთესია, როგორი მწარეც უნდა იყოს წარსულის გახსენება, რადგან იმ წარსულიდან სინამდვილეში მაინც ვერაფერს ამოშლი.

როგორც არ უნდა გაქრეს ალექსანდრე

გრიბოედოვის შემოქმედებიდან „ქართული ღამე“ (ზუსტად ასეთი ღია სახელწოდების ნაწარმოები), იმ ერთ სიტყვას ხომ მაინც ვერავინ ამოშლის ტექსტიდან, სადაც გრიბოედოვმა ნინო ჭავჭავაძესთან ურთიერთობას, უბრალოდ, „ზაბავა“ უწოდა. შეიძლება რუსული მართლა ცუდად ვიცი და ეს სიტყვა სულაც არ ნიშნავს რაიმე განსაკუთრებულად ტრაგიკულს, მაგრამ როცა გამახსენდება, თუ როგორი ტრაგიკული აღმოჩნდა ნინო ჭავჭავაძისთვის გრიბოედოვის გაცნობა, ახლაც ისევე ვბრაზდები, როგორც მაშინ, როცა პირველად წავიკითხე მურავიოვ-კარსკის დღიურები.

რაც შეეხება გრიბოედოვის სიკვდილს, ამ ტრაგიკულ გარდაცვალებას რუსულ საზოგადოებაში ერთი უცნაური ფრაზაც მოყვა, რომელიც მისი ახლობლების წერილებშიც კი აისახა, რადგან ყველას ახალგაზრდა შერემეტიევი გაახსენდა.

ეს ამბავი ალექსანდრე გრიბოედოვის საქართველოში ჩამოსვლამდე მოხდა, მაგრამ რუსულმა საზოგადოებამ ახალგაზრდა, ლამაზი და ნიჭიერი შერემეტიევის სიკვდილი, მაინც ვერ დაივიწყა. იმ დუელში კი,

სადაც იგი მოკლეს, გრიბოედოვი შერემეტიევის მოწინააღმდეგის სეკუნდანტი იყო და დუელიანტებმა ერთმანეთს თითო-თითო სროლა ააცდინეს. წესებისა და შეთანხმების თანახმად, დუელი დამთავრებულად შეიძლებოდა ჩათვლილიყო რომ არა გრიბოედოვის დაჟინებული მოთხოვნა სროლის გაგრძელების შესახებ. თავიდან გასროლის პირველი უფლება ჰქონდა შერემეტიევის მოწინააღმდეგეს, რომელმაც უარი თქვა ამ უფლების გამოყენებაზე, მაგრამ გრიბოედოვი იყო ძალიან კატეგორიული და თავის დუელიანტს მშიშარაც კი უწოდა. მისი მეორე გასროლა უკვე ზუსტი აღმოჩნდა (გრიბოედოვის დაჟინებული მოთხოვნით), ახალგაზრდა შერემეტიევისთვის კი ძალიან ტრაგიკული – იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

ალექსანდრე გრიბოედოვის მიმართ ამიტომაც მაშინვე გაჩნდა არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებები რუსულ საზოგადოებაში და მერე კი, როცა რუსი დიპლომატი მუხანათურად მოკლეს სპარსეთში, შერემეტიევი კიდევ ერთხელ გაახსენდათ. თვითონ გრიბოედოვის ვერაგულ მკვლელობას (დანარჩენ რუსებთან ერთად) ვერაფრით ამართლებენ ისტორიკოსების ვერსიები, რომლებიც თვითმხილველებზე დაყრდნობით რუსებს ადანაშაულებენ სპარსელების მხრიდან აგრესიის გაჩენაში. როგორც კი სპარსელებმა რუსების მიმართ გაჩენილი აგრესიის დაუფარავად გამომჟღავნება დაიწყეს, გრიბოედოვს მაშინვე აცნობეს მოსახლეობის რადიკალურად უარყოფითი განწყობილებების შესახებ და ზომების მიღებაც ურჩიეს. გრიბოედოვს თავშესაფარიც შესთავაზეს (სპარსეთის შაჰის კარზე), მაგრამ რუსი დიპლომატის ამპარტავნობას სასაცილოდაც არ ეყო ზედმეტი სიფრთხილე, რადგან მისი ღრმა რწმენით შეურაცხყოფილი სპარსელებიც კი ვერაფერს გაუბედავდნენ რუსეთის იმპერიის მაღალჩინოსან ალექსანდრე გრიბოედოვს. არადა, მან მშვენივრად იცოდა სპარსული ენაც და სპარსული სამყაროს თავისებურებაც, სადაც ქალებისადმი სულ სხვა დამოკიდებულება არსებობდა, თუნდაც რუსეთისაგან განსხვავებით და ამ განსხვავებას შეეწირა კიდეც რუსი მწერალი.

როგორც უნდა ყოფილიყო, გრიბოედოვის წინააღმდეგ ჩადენილ იმ სისასტიკეს არანაირი ახსნა და გამართლება არა აქვს და მისი სიკვდილი კი სხვისი სიკვდილის მიზეზიც გახდა – ფეხმძიმე მეუღლემ ჯერ არდაბადებული შვილი დაკარგა, მერე კი გრიბოედოვის სიკვდილს თვითონ ახალგაზრდა ნინა ჭავჭავაძის სიცოცხლეც შეეწირა.

ახლა კი იმ მიზეზების ჩამოთვლას (უტყუარი წყაროების მიხედვით), რის გამოც, მშვენიერ ნინოს ალექსანდრე გრიბოედოვი არ უნდა შეყვარებოდა, აზრი არა აქვს, რადგან ნინო ჭავჭავაძეს გრიბოედოვი მაინც გაგიჟებით, თავდავიწყებით უყვარდა.

ამიტომაც თუ ჩვენთვის მთავარი სიყვარულია და არა სიძულვილი, იმასაც ადვილად დავიჯერებთ, რომ მთაწმინდაზე ნამდვილი სიყვარულის საფლავია და თუ ჩვენი ნამდვილი სიყვარული მათ ვერ დაინახეს, ეს ხომ ნამდვილად მათი ბრალია და არა ჩვენი.

სადარდებლად ჩვენ ჩვენი სიბრმავეც გვეყოფა...

დაიკელი ORLIPთან ერთად 2-ჯერ უფრო მეტი

როდის ვსუქდებით?

როცა მოვიხმართ იმაზე მეტ კალორიას, ვიდრე ჩვენს ორგანიზმს ესაჭიროება.

როგორ მოქმედებს ORLIPი ნიმბ?

ORLIPი აფერხებს ორგანიზმში ცხიმების შეწოვას და უზრუნველყოფს წონაში კლებას;

ORLIPი აორმაგებს დიეტის და ვარჯიშის ეფექტს;

ORLIPი უსაფრთხოა. მოქმედებს მხოლოდ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, არ ახდენს გავლენას თავის ტვინის და სხვა ორგანოების მუშაობაზე.

როგორ მივიღოთ ORLIPი ნიმბ?

- ერთი კაფსულა 3-ჯერ დღეში ჭამის დროს;
- **ORLIPთან** ერთად მიზანშეწონილია დაბალკალორიული დიეტის დაცვა;
- თუ საკვები არ შეიცავს ცხიმს, შეიძლება **ORLIPის** დოზის გამოტოვება;
- მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მისაღწევ შედეგზე.

ერთი კოლოფი ORLIPის შეძენისას აპა-ს აფთიაქებში, მეორე კოლოფს მიიღებთ ნახევარ ფასად!

N49, მაისი 2009

ულრიკე!

„პროტესტი – მე ვაცხადებ, რომ ესა და ეს ხელს არ მაძლევს.
წინააღმდეგობა – მე ვიქცევი ისე, რომ ის, რაც ხელს არ მაძლევს, არსებობას შეწყვეტს.
პროტესტი – მე ვაცხადებ, რომ მორჩა, მე ამაში მონაწილეობას აღარ მივიღებ.
წინააღმდეგობა – მე ვიქცევი ისე, რომ დანარჩენებიც აღარ მიიღებენ ამაში მონაწილეობას.“

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი

მავანთ ჰგონიათ, რომ კაცობრიობა მხოლოდ ორ ნაწილად იყოფა: ისინი, ვისაც მართვა უნდათ (როგორც წესი, გარეწრები) და ისინი, ვისაც უნდათ, **რომ მართონ (ტოტალურად იდიოტები). მავანთ არ ახსოვთ, რომ ჩვენც ვარსებობთ: ისინი, ვისაც არც ერთი უნდა და არც მეორე.**

სამწუხაროდ, ეს სიტყვები ჩემი ნათქვამი არაა. ულრიკე მაინჰოფს დავესესხე, ის კი, თავის მხრივ, Black Power-ის რომელიღაც დელეგატს დასესხებია.

დიდი ხანია, სულ არ გამხსენებია არც ულრიკე მაინჰოფი და არც მისი „პროტესტი და წინააღმდეგობა“. საერთოდ, ის ჩემთვის მუდამ მხოლოდ ბრწყინვალე პუბლიცისტი იყო, პიროვნულად კი – სრულიად გაუგებარი, თუმცა არაჩვეულებრივი ქალი. უბრალოდ, ტერორისტები არ მიყვარს.

მე იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, ვინც ორი რამ იცის მტკიცედ:

პირველი: ომი დაუშვებელია. ომს და კაცისკვლას არაფერი ამართლებს. პასუხად კითხვაზე: „აბა, როგორ?..“, მოგახსენებთ, რომ არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლე წმინდა და ხელშეუხებელია, არავისა აქვს უფლება, ცალკეული ადამიანის თუ მთელი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი გადაწყვიტოს, და ის, ვინც თავს ამის უფლებას აძლევს, უბრალოდ, ღორია.

მეორე: ვიცი, რომ დემოკრატია სახელმწიფო მოწყობის ერთადერთი ფორმაა, რომელიც ადამიანური ღირსების შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

ესაა და ეს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. ჩვენ ასე გვგონია.

ჩვენ ვართ ისინი, ვინც თავის საქმეს აკეთებენ. ავად თუ კარგად, მაგრამ თავისას. ჩვენ გვეგონა, რომ თუ ამ ქვეყანაში ყველა თავის საქმეს გააკეთებს, ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ გვეგონა, რომ თუ არ აურევ, არაფერი იქნება დასალაგებელი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ყველაზე კარგი მმართველი ისაა, ვისი არსებობაც საერთოდ არ გახსენდება. ჩვენ ვთვლიდით, რომ ჩვენი სამშობლო საქართველოა, და ყველაზე მეტად ის გვიყვარდა, განურჩევლად იმისა, ნახევრად ბერძნები ვართ, მეოთხედად ბელორუსები თუ მთლიანად ქართველები. ჩვენ გვეგონა, რომ ყველაფერი იცვლება და ესეც გაივლის – არეულობის ოცი წელიწადი, რომ ჩვენ ჩვენს საქმეს კარგად გავაკეთებთ და ყველაფერი ისე შესანიშნავად წარიმართება, რომ არასოდეს არავის მოუნდება ჩვენგან წასვლა. და იმასაც ვფიქრობდით, რომ თუ დიდხანს ვისხდებოდით მდინარის პირას, ადრე თუ გვიან ტალღებს მტრების გვამები ჩამოჰყვებოდა.

ასე ვფიქრობდით – და ძალიან ვცდებოდით.

როცა ვიღაცა ცრუობდა, ღრიალებდა, იპარავდა, კლავდა, მიწასთან ასწორებდა, ჩვენ მხოლოდ პროტესტს გამოვთქვამდით. ჩვენ წინააღმდეგობა არასოდეს გაგვიწევია – და ძალიან შევცდით.

მავანთ ჰგონიათ, რომ კაცობრიობა მხოლოდ ორ ნაწილად იყოფა: ისინი, ვისაც მართვა უნდათ (როგორც წესი, გარეწრები) და ისინი, ვისაც უნდათ, რომ მართონ (ტოტალურად იდიოტები). მავანთ არ ახსოვთ, რომ ჩვენც ვარსებობთ: ისინი, ვისაც არც ერთი უნდა და არც მეორე.

ჩვენ ვარსებობთ.

ჩვენ ეს ყველაფერი ხელს არ გვაძლევს.

ჩვენ ამაში მონაწილეობას აღარ მივიღებთ.

არ დავემორჩილებით კანონს, რომლის მიღებაშიც არ ვმონაწილეობთ, და არც იმ ხელისუფლებას, რომელიც ჩვენს ინტერესებს არ წარმოადგენს - ვაგლახ, არც ესაა ჩემი სიტყვები. მაგრამ თუ მაინც ასე გაგრძელდა, პროტესტიდან წინააღმდეგობამდე მივალთ და სავალდებულო საკითხავად ვაქცევთ ულრიკე მაინჰოფს.

Diefenbach

ფირნიანი ფუძეზე დამზადებული

facebook.com/Diefenbach.sakonditro

ხოლაშვილის ქ.4 tel: 247 62 97

N44, დეკემბერი 2008

ბეჟანი და ნოე

ადამიანს ალბათ ბევრი რამ აქვს ცხოვრებაში სანანებელი, თუკი საერთოდ ფიქრობს ასეთ რამეზე, მეც ძალიან ვნანობ უყურადღებობას ან უსამართლობას, რაც თავის დროზე გამომიჩენია ან ჩამიდენია, ვნანობ რამდენიმე ნაბიჯს, რომელიც ცხოვრებაში გადავდგი და კიდევ უფრო მეტს, რომელიც არ გადავდგი.

ავტორი: არჩილ ქიქოძე

ბეჟანი ყვიროდა, ხაოდა, აგზავნიდა მესიჯებს და რეკავდა ტელეფონით. გარეთ წვიმაში იდგა (სახლში ტელეფონი არ იჭერდა), მე კი ჩუმად ვიჯექი და მშურდა. მეორე დღეს ერთად ვიცინოდით ერთ-ერთ მესიჯზე. დედამისისთვის მიუწერია: „ლეოპარდი ვნახე“, და პასუხი მოვიდა: „ახლოს არ მიხვიდე“.

და ამ ყველაფრის მერე, იმ საქციელების ან უსაქციელობების მერე, რამაც ვინმეს ზიანი ან ტკივილი მიაყენა, ვნანობ იმას, რომ წელს სექტემბრის ბოლოს ვაშლოვანის ნაკრძალში ყოფნისას ჩვეულებრივზე ადრე ჩამეძინა. აკა მორჩილაძის წიგნმა დამაძინა, თუმცა დაღლილიც ვიყავი, თორემ წიგნი სულაც რომ არ იყო დასაძინებელი.

მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ბოლომდე არც მეძინა. იქაური რეინჯერის ხმამ გამაღვიძა, – პატარა შირაქისკენ რაღაც მანქანა დადის და პროჟექტორს ანათებსო, უეჭველად ბრაკონიერები იქნებიანო და ბეჟან ლორთქიფანიძეს სთხოვა: შენი მანქანით წავიდეთო. წავიდნენ სამნი – ორი რეინჯერი და ბეჟანი. უფრო სწორად ბეჟანმა წაიყვანა რეინჯერები და მეც ზრდილობის გულისთვის გავძახე: გჭირდებით? წამოვიდე-მეთქი. არაო, – და შევიბრუნე ძილი.

თითქოს ერთი წამი გავიდა და ისევ გამაღვიძა ამჯერად სახლში შემოვარდნილი ბეჟანის ღრიალმა: – ლეოპარდი, ლეოპარდიო, – გაჰყვიროდა. მაშინვე მივხვდი რაც მოხდა და მართლა მომინდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო. რეინჯერთა თავშესაფრიდან სულ რაღაც ნახევარ კილომეტრში ზედ მანქანით მიადგნენ აი იმ ცნობილ ვაშლოვანის ლეოპარდს, ჯერაც რომ თვალით არავის ნანახი არ ჰყავდა და მხოლოდ ფოტოხაფანგები რომ აფიქსირებდა აქამდე. მე კიდევ მეძინა...

ბეჟანი ყვიროდა, ხაოდა, აგზავნიდა მესიჯებს და რეკავდა ტელეფონით. გარეთ წვიმაში იდგა (სახლში ტელეფონი არ იჭერდა), მე კი ჩუმად ვიჯექი და მშურდა. მეორე დღეს ერთად ვიცინოდით ერთ-ერთ მესიჯზე. დედამისისთვის მიუწერია: „ლეოპარდი ვნახე“, და პასუხი მოვიდა: „ახლოს არ მიხვიდე“.

მეორე დღეს ის ადგილიც დავათვალიერეთ, სადაც ლეოპარდს გადაეყარნენ და ფარები მიანათეს, ის კი აუჩქარებლად წავიდა, გრაციოზულად გასცილდა იქაურობას, გამორბენის გარეშე გადაახტა ძეძვის

www.radiokalaki.ge
FM 101.9
ქალაქი
იაქტიურეთ, მიიღეთ მონაწილეობა
RADIOKALAKI.GE-ს გამოკითხვებში
მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები და რჩევები
მისამართზე
INFO@RADIOKALAKI.GE

ბუჩქს და სიბნელეში ჩაინთქა. ისე ვყვები, არა, თითქოს მენახოს! მე ვიცი, რომ ამ სტატიის გარდა კიდევ არაერთხელ დავუბრუნდები ვაშლოვნელ ლეოპარდს, ალბათ რომელიმე მოთხრობაშიც ჩავსვამ და, შეიძლება, რაიონის მაჟორიტარი დეპუტატიც შევაჭმევინო, ან უფრო მსხვილი ვინმე, თუკი მოვიფიქრე, კლანჭებში როგორ ჩავუგდო; კიდევ ბევრჯერ ვინანებ მომხდარს თუ არმომხდარს, მაგრამ თვითონ ლეოპარდს ვეღარასოდეს ვნახავ. ის ერთ-ერთი ყველაზე ფრთხილი ცხოველია დედამიწაზე, საქართველოში ის ერთადერთია და ჯერჯერობით მხოლოდ ბეჟანის ნივაში მსხდომმა სამმა ადამიანმა ნახა 2008 წლის 30 სექტემბრის წვიმიან

დიდ ნაკვალევს, ნადირის ბილიკებზე მათ დააყენეს ის ფოტოხაფანგები, რომელმაც უკვე 2004 წელს პირველი სენსაციური ფოტოები გადაიღო, ნადირისა, რომელსაც წილად ხვდა პატივი ადამიანის მსგავსად საკუთარი სახელი რქმეოდა (ბოლო ფრაზა ფოლკნერს მოვპარე, მაგრამ გამიგებდა). არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაკრესის“ (ბეჟანი დღემდე ამ გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრია) თანამშრომლებმა მაშინ მას „ნოე“ დაარქვეს. ასე ჰქვია ვაშლოვნელ ლეოპარდს. ორმოცდაათი წლის მერე საქართველოში ამ ნადირის გამოჩენა (უკანასკნელი ნახევარი საუკუნის წინ საგურამოსთან მოკლეს) სენსაციად მოინათლა,

მელიებსა და კურდღლებს, ქვეწარმავლებს, კაკბებს და ნაირ-ნაირ მტაცებელ ფრინველებს, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე აღარ იყო საკმარისი. მერე ჩამოვედით. მანამდე ბეჟომ ისევ დაიარა რამდენიმე თვის წინ დაყენებული ფოტოხაფანგები, ფირები ამოიღო და ახლები ჩადო. უკვე თბილისში ელექტრონული ფოსტით გადმომიგზავნა ფოტოები და ყველანი იქ იყვნენ – ვაშლოვანის დღისით უხილავი მკვიდრები: გარეული ღორიც და ტურაც, დათვიც იჭყიტებოდა ობიექტივში, ფოცხვერი ხომ სულ ახლოს მოსულიყო და აპარატს ათვალიერებდა და... ერთი სურათი ნოესიც იყო. ცოტა კონტრაჟურში იყო მოხვედრილი, მაგრამ მაინც მა-

მერე იყო ჩვეულებრივი დღეები, თუმცა ჩვეულებრივი არ ეთქმის ვაშლოვანში ყოფნას. მე წიგნის კითხვა დავამთავრე, ბეჟო თავის ანტენიანი ჯადო-მანქანით დასდევდა დათვს, რომელიც ზაფხულში დაიჭირა და რადიოგადამცემიანი საყელური დაუმაგრა. სწავლობდა დათვის მარშრუტებს და ყველაფერი რუკაზე დაჰქონდა.

ღამეს დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე. მე შემეძლო მეოთხე ვყოფილიყავი, მაგრამ არ მეკუთვნოდა, ეტყობა.

დილით გავზომეთ მანძილი იმ ადგილიდან, სადაც მანქანა იდგა ძეძვის ბუჩქამდე, რომელსაც ჯიქი გადაევლო (ხომ არ მინახავს და ახლაც თვალწინ მიდგას), 8 ნაბიჯი გამოვიდა. რვა ნაბიჯი და რამდენიმე წამი, რომლის მანძილზე ბუნების ერთ-ერთ ყველაზე გრაციოზულ ქმნილებას უცქერ და უკვე იცი, რომ შენც გინახავს რაღაც ისეთი, შვილიშვილებისთვის მოსაყოლად რომ გამოდგება ოდესმე, როცა ამის დრო მოვა.

ვის ეკუთვნოდა ნამდვილად ლეოპარდის ნახვა და – ბეჟანს. 2003 წელს მეორე ახალგაზრდა ზოოლოგთან, გიორგი დარჩიაშვილთან ერთად სწორედ მან მიაქცია ყურადღება ფოცხვერისთვის უჩვეულოდ

ხოლო იმ ხალხისთვის, ვისაც ბუნება უყვარს, დიდ სიხარულად იქცა. მახსოვს ჩემებთან, მთაწმინდაზე, მამაჩემი, ბიძაჩემი და მე ლეოპარდის სადღეგრძელოს ვსვამდით, მამაჩემს კაბინეტის კედელზე უკვე ჩარჩოში ჩასმული ვაშლოვნელი ჯიქის სურათი ეკიდა და მის ნახვაზე არც კი ვოცნებობდით, მე კიდევ... თუმცა ჩავლილი ამბავია ეგ უკვე.

მერე იყო ჩვეულებრივი დღეები, თუმცა ჩვეულებრივი არ ეთქმის ვაშლოვანში ყოფნას. მე წიგნის კითხვა დავამთავრე, ბეჟო თავის ანტენიანი ჯადო-მანქანით დასდევდა დათვს, რომელიც ზაფხულში დაიჭირა და რადიოგადამცემიანი საყელური დაუმაგრა. სწავლობდა დათვის მარშრუტებს და ყველაფერი რუკაზე დაჰქონდა. ვაშლოვანიც იყო ლამაზი, თრიმლის ფოთლებს უკვე შეპარული ჰქონდა სიწითლე, ვხედავდით

გარი სურათია. ძალიან ლამაზი ვინმეა. ბეჟან ლორთქიფანიძემ იცის, სად დააგოს მახე.

ბეჟომ დაიმსახურა-მეთქი და ბეჟომ ნახა, მაგრამ იმ ორმაც ხომ ნახეს, რეინჯერებმა, მაგათზე უფრო ვარ დაბოღმილი, ერთ-ერთს, რომელსაც სახლში უჩუმრად სიარულის და მუდამ დაძაბული სახის გამომეტყველების გამო „ბერიმორი“ შევარქვით (გახსოვთ ბასკერვილ ჰოლის კუშტი და უთქმელი სახლთუხუცესი, ჭაობში დამალულ კატორღელს ღამღამობით სანთლით რომ აძლევდა ნიშნებს?), არც სიხარული ეტყობოდა და არც გაოცება, მაგრამ ეგეც არაფერი. უარესებიც ხდება, თავიდანაც ხომ ვთქვი, ადამიანურ ამბებს უფრო ვნანობ – უნებურსა და უგუნურს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ იმ ღამის სინანულიც, აი, ბოლომდე, სულ ბოლომდე გამყვება.

ჯი.მარტი
G.mart

www.gmart.ge

როცა ყიდვა გსიამოვნებს

სუპერმარტეტი ჯი.მარტი ქარვასლა
ცოტნე დადიანის ქ.7 ტელ. 242 314

სუპერმარტეტი ჯი.მარტი ცენტრალი
ვაგზლის მოედანი 2 ტელ. 200 314

კანის კინოფესტივალი 2011

ეზოთერული კიტჩის რეაბილიტაცია

ავტორი: გიორგი გვახარია

* * *

ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო და ძალიან ცუდად დამთავრდა. ვიცოდით, რომ ტერენს მალიკის ფილმი „სიცოცხლის ხე“ კანის 64-ე კინოფესტივალის „ოქროს პალმის“ ლაურეატი გახდებოდა, მაგრამ მაინც გვქონდა იმედი, რომ ეს არ მოხდებოდა; რომ ჟიური, რომელსაც წელს რობერტ დე ნირო ხელმძღვანელობდა, შეისმენდა ჟურნალისტების სტვენას და ფეხების ბაკუნს „სიცოცხლის ხის“ დასრულების შემდეგ და არ გაწირავდა კინოს, არ წაუხდენდა სახელს კანის 64-ე კინოფესტივალს – ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფორუმს მსოფლიო კინოს ისტორიაში.

ამაო აღმოჩნდა ჩვენი იმედი. ტერენს მალიკი „ოქროს პალმის რტოს“ ლაურეატი გახდა. კანში დაასკვნეს, რომ ეს პრიზი დიდი ამერიკელი რეჟისორის აღიარებას, დაფასებას, მსოფლიო კინოს ისტორიაში მისი როლის შეხსენებას გამოხატავდა. თუმცა ასეთი სკანდალის შემდეგ, წესით და რიგით, კანის ფესტივალის დირექტორს თანამდებობა უნდა დაეტოვებინა. უნდა მომხდარიყო იგივე, რაც თუნდაც 1960 წლის ვენეციის კინოფესტივალზე, სადაც ჟიურიმ „ოქროს ლომი“ მიანიჭა არა ფესტივალის ფავორიტს, ლუკინო ვისკონტის „როკო და მის ძმებს“, არამედ ცუდი ფრანგი რეჟისორის, ანდრე კაიატის სრულიად მეორეხარისხოვან სურათს „გადასვლა რეინზე“, რომელიც ისტორიამ მალე დაივიწყა. ამის შემდეგ პრესაში ისეთი სკანდალი ატყდა, რომ ფესტივალის დირექცია იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

2011 წელი – აღმავლობის წელი

1960 წელი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თარიღად ითვლება მსოფლიო კინოს ისტორიაში. ამერიკულ, იაპონურ, ინგლისურ, ფრანგულ, საბჭოთა ფილმებს არ ჩამოვთვლი. მხოლოდ იტალიურს გავიხსენებ: 1960 წელს თითქმის ერთდროულად გამოვიდა ეკრანებზე ფედერიკო ფელინის „ტკბილი ცხოვრება“, პიერ-პაოლო პაზოლინის „აკატონე“, მიქელანჯელო ანტონიონის „თავგადასავალი“ და ლუკინო ვისკონტის „როკო და მისი ძმები“. სერიოზულად დაიწყო ლაპარაკი აღმავლობაზე, იმ კრიზისიდან გამოსვლაზე, რომელიც თვალსაჩინო იყო 50-იან წლებში, ტელევიზიასთან კონკურენციის ეპოქაში.

2011 წელი ასევე შეიძლება მივიჩნიოთ აღმავლობის დაწყებად კინოში. ამის დადასტურებაა კანის წლევანდელი კინოფესტივალი, რომლის პროგრამა არასდროს ყოფილა ასეთი საინტერესო, ასეთი მრავალფეროვანი, დაცლილი პოლიტიკური კონიუნქტურისგან (განსხვავებით წლევანდელი „ბერლინალესგან“)... საკონკურსო პროგრამაში წარმოდგენილი 20 ფილმიდან თითქმის 15 შეიძლებოდა გამხდარიყო „პალმის“ ლაურეატი. ცნობილ სახელებს, პედრო ალმოდოვარს, ლარს ფონ ტრიერს, ძმებ დარდენებს, აკი კაურისმიაკის, ნანი მორეტის, აქ დაემატნენ ახალგაზრდები, რომელთა ახალ ნამუშევრებს ჟურნალისტები ტაშით და ოვაციებით შეხვდნენ; ძალიან მოეწონათ ინგლისელი რეჟოსორი ქალის, ლინი რამეის ფილმი „უნდა ვილაპარაკოთ კევინზე“, მარკუს შლეინცერის „მიხაელი“, რადუ მიჰაელანუს „ქალების წყარო“, მაივენის „პოლიცია“... ერთი მხრივ, გასაგებიცაა, რეჟისორები ცდილობენ თავიანთი ახალი ფილმების პრემიერები სწორედ კანში მოაწყონ, ამიტომ ზოგჯერ გადაღებების გრაფიკსაც კი ისე ადგენენ, რომ ფილმი კანის კინოფორუმის დაწყების

კადრი ფილმიდან „მელანპოლია“

წინ დაასრულონ. მაგრამ შარშანდელ, შარშანწინდელ ფესტივალებს თუ გავიხსენებთ, ასეთი კონკურენცია სხვა დროს არ ყოფილა. შესაბამისად, კანის ფესტივალის მიმართ ყურადღება წელს უზომოდ დიდი აღმოჩნდა.

პოლიტიკური ფონი

ფესტივალი გაიხსნა ვუდი ალენის ახალი ფილმით „შუაღამე პარიზში“, რომელშიც ეპიზოდურ როლს კარლა ბრუნი თამაშობს. მოლოდინის მიუხედავად, კარლა არ ჩამოვიდა კანში. როგორც ამბობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ფესტივალის დირექციამ კონკურსგარეშე პროგრამაში ჩართო სურათი „დაპყრობა“, ქსავიე დურინგერის სატირული კომედია ნიკოლა სარკოზიზე, უფრო სწორად იმაზე, თუ როგორ მოიგო საფრანგეთის დღევანდელმა პრეზიდენტმა არჩევნები. სარკოზის წერილობით გამოუხატავს საყვედური ფესტივალის დირექციის მიმართ, პოლიტიკური სპეკულაცია უწოდებია ფილმისთვის (რომელიც არც კი ენახა). ასეთ ინტრიგას, წესით, უნდა გაეზარდა მაყურებლის ინტერესი (ცოცხალ და მოქმედ პრეზიდენტებზე კინოს არც თუ ისე ხშირად იღებენ), მაგრამ რეკლამის მიუხედავად, საშუალოზე საშუალო ფილმის პრემიერა ცარიელ დარბაზში მოეწყო.

ძლიერ პროგრამას პოლიტიკურმა ინტრიგამ კონკურენცია ვერ გაუწია. არადა, კანის ფესტივალზე ის, რაც ქუჩაში ხდებოდა, ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო თავად კინოზე, ფილმებზე, იმაზე, რასაც დარბაზში უჩვენებდნენ. ისევე, როგორც ყველა ფესტივალზე, აქ ხალხი უფრო საქმიანი შეხვედრებისთვის, ახალი პროექტების წარდგენისთვის, ადამიანების გაცნობისთვის მიდის. ახალი ფილმი დესერტია, რომელიც თავისუფალი დროის შესავსებად უფრო ახსენდებათ ხოლმე. ამიტომ ხშირია, როცა თბილისში მეუბნებიან, კანში მივდივარო, მაგრამ კინოდარბაზში მხოლოდ ჩემს რამდენიმე კოლეგას ვხედავ. ჩვენი თანამემამულეები აქ, როგორც წესი, ქართული პავიოლიონის პიარით არიან დაკავებული. ასევე მონაწილეობენ მიღებებზე, რომლებიც მრავლად ეწყობა კანში – თითქმის ყოველ საღამოს; ხან იახტებზე, ხანაც მთაში, ხან პლაჟებზე, ხანაც ძვირფასი სასტუმროების ჰოლებში. კანში, ქუჩაში როცა მხვდებიან, მეუბნებიან, „აქ ჩემს პროექტზე ვარ“... ხუთი წელია, ასე გრძელდება და ჯერჯერობით კანში დაწყებული და განხორციელებული ქართული პროექტი მე არ მინახავს. ახალი ფილმი „აგვისტოს 5 დღე“, მოგეხსენებათ, კინობაზრობაზე, რომელიღაც სასტუმროს პატარა დარბაზში უჩვენეს. ხალხი ბევრი იყო. შეიძლება ვიღაცამ იტირა კიდეც, არ ვიცი. ფინალური ტიტრები მიმდინარეობდა, როცა სასწრაფოდ დავტოვე დარბაზი. აბა კანში საგანგებოდ ამ ფილმის სანახავად ჩასული კაცი რომ გკითხავდა „მოგეწონა ფილმი?“, თანაც თვალცრემლიანი, რა უნდა გეპასუხა? ხომ არ ეტყოდი, რომ ეს პროპაგანდა უკვე „ანტიპროპაგანდა“ ხდება და ფილმმა შეიძლება უკურეაქცია დაბადოს მაყურებელში? რომ ეს ფილმი არავის სჭირდება საქართველოს ხელისუფლების გარდა?

> ტრიერი, ფაქტობრივად, გააგდეს კანიდან. ადგილობრივი გაზეთი იმ დღეს ასეთი სათაურით გამოვიდა „ლარს ფონ ტრიერი: „მაცალეთ, ჩემოდანი მაინც ჩავალაგო!“...

მერე სასტუმრო „მაჟესტიკთან“ „აგვისტოს 5 დღის“ უზარმაზარი აფიშაც გამოაკრეს. ეგ იყო და ეგ. ხალხი წლევანდელ ფესტივალზე სულ სხვა ფილმებით ცხოვრობდა.

საერთოდ, წელს კანში სტუმრის სტატუსით ჩამოსულებიც კი ფესტივალის დარბაზებში შეღწევას ცდილობდნენ. ყველას უნდოდა ენახა კინოს ცოცხალი კლასიკოსების ფილმები. მაყურებლით სავსე დარბაზები და სიცარიელე ქუჩაში, სადაც სპონსორები თავიანთ

კადრი ფილმიდან „RESTLESS"

სარეკლამო აქციებს აწყობენ ხოლმე, მაინც და მაინც არ უნდა მოსწონებოდათ ფესტივალის ორგანიზატორებს. „დარბაზის გარეთ" სკანდალი მხოლოდ ფესტივალის ბოლოს მოხდა, როცა ლარს ფონ ტრიერმა, „მელანქოლიის" პრემიერის შემდეგ გამოაცხადა, რომ ჰიტლერი „არც თუ ისე ცუდი ტიპი" იყო და თავადაც ოცნებობდა ყოფილიყო ნაცისტი. მეორე დღეს ტრიერმა მეილით გაავრცელა წერილი, რომელშიც ბოდიშს იხდიდა. მაგრამ სკანდალისთვის ეს ბოდიში საკმარისი არ აღმოჩნდა. ფესტივალის დირექციამ პერსონა ნონგრატად გამოაცხადა კანის კინოფესტივალის „ოქროს პალმის" ლაურეატი, რომელსაც დიდი შანსი ჰქონდა მეორედ გამხდარიყო ფესტივალის გამარჯვებული („მელანქოლია" მართლაც ბევრად უფრო საინტერესო, უფრო ღრმა და მხატვრული თვალსაზრისით, ბევრად უფრო გამართული ფილმია, ვიდრე ტრიერის წინა სურათი „ანტიქრისტე"). ტრიერი, ფაქტობრივად, გააგდეს კანიდან. ადგილობრივი გაზეთი იმ დღეს ასეთი სათაურით გამოვიდა „ლარს ფონ ტრიერი: „მაცალეთ, ჩემოდანი მაინც ჩავალაგო!"... ამ სკანდალმა დააზარალა პედრო ალმოდოვარის „კანი, რომელშიც ცხოვრობ", რომელიც მეორე დღეს უჩვენეს. მოწმე ვარ – ფილმის პირველი სეანსის დაწყებამდე, ხალხი აღელვებული მსჯელობდა ლარს ფონ ტრიერზე და ასე, ძალიან ძნელი იქნებოდა ალმოდოვარის სურათის ატმოსფეროს შეგრძნება.

არ ვიცი, შეიძლება მეჩვენება. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ტრიერის სკანდალმა კანის 64-ე ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებაზე იმოქმედა. „მელანქოლიაში" მთავარი როლის შემსრულებელი კირსტენ დენსტი, საეჭვო ნიჭის ვარსკვლავი, რომელსაც ემოციების გამოხატვის „ტექნიკა" აქვს, ინტელექტი კი, მე მგონი, მაინც და მაინც არ ჰყოფნის ამ ემოციების გასააზრებლად, კანის კინოფესტივალის საუკეთესო მსახიობქალად აღიარეს... ამით ცოტა შეარბილეს გადამლაშებული რეაქცია ტრიერის ოხუნჯობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანიელი რეჟისორის გამონათქვამის გამო ატეხილი ისტერიკა უკვე აბსურდულ ხასიათს შეიძენდა.. ფესტივალის შედეგების გამოცხადებამდე ხუთმა ქვეყანამ მოასწრო და უარი თქვა ფილმის გაქირავებაზე... არადა, ამ ქვეყნების გამქირავებლებს „მელანქოლია" უკვე ნაყიდი ჰქონდათ. ფულის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას კანის ფესტივალს სპონსორები არ აპატიებდნენ. ლარს ფონ ტრიერის ფანებზე აღარაფერს ვამბობ – კანის ფესტივალმა ხომ მოუწოდა სხვა კინოფორუმებს, ამიერიდან არ დაეშვათ ტრიერის ფილმები ფესტივალებზე. ეს დიდი რეჟისორის, დიდი პროვოკატორის კარიერის დასასრული იქნებოდა. რამდენიმე დღეში გონებამ ემოციებზე მაინც გაიმარჯვა. „მელანქოლია" კანის 64-ე ფესტივალის გამარჯვებულებს შორის მოხვდა.

მაგრამ „მელანქოლიის" აღიარებას სხვა მიზეზიც აქვს – ლარს ფონ ტრიერი კინოს სამყაროში დამკვიდრებულ მოდას აჰყვა. შესაძლებელია კი არ აჰყვა, წლების წინ თავად დაამკვიდრა. არ ვიცი, ამას არა აქვს ახლა მნიშვნელობა. ფაქტია – კანის 64-ე კინოფესტივალზე გაიმარჯვა იმან, ვინც „ღმერთზე იღადავა"

ხალხი ექსტაზშია. თქვენ კი გეცინებათ

კანის კინოფესტივალზე კიჩის ჩვენება სამყაროს შექმნაზე (როგორც ტერენს მალიკთან), ანდა მის დაღუპვაზე (როგორც ლარს ფონ ტრიერთან), გარკვეული თვალსაზრისით, გმირობაა ფესტივალის დირექციის მხრიდან. ესთეტურ-დეკადენტურ კანში პოლიტიკურ კონიუნქტურას იშვიათად უწევენ ანგარიშს. შესაბამისად, ლარს ფონ ტრიერის რეპლიკა ნაცისტებზე, ამ ფესტივალზე შექმნილი ატმოსფეროსთვის გაცილებით უფრო ბუნებრივია, ვიდრე, მაგალითად, „ბერლინალესთვის", სადაც ტრიერს, ასე რომ მოქცეულიყო,

ბოლო დროს კანის ფესტივალმა მაინც განსაკუთრებით აიწყვიტა. შარშან „ოქროს პალმით“ აღინიშნა ფილმი, რომელსაც პრემიერიდან ერთი თვის განმავლობაში მსოფლიოში (!) 342 მაყურებელი ჰყავდა. ტაილანდური „ძია ბუნმი“, ფაქტობრივად, კინოს დასასრულს ნიშნავს. აქ უარია ნათქვამი ყველა წესზე! სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი დიდი გამოწვევაა – პუბლიკის, კრიტიკოსების, მთელი კინემატოგრაფიული სამყაროსი.

კადრი ფილმიდან „შუალამე პარიზში“

კადრი ფილმიდან „ერთხელ ანატოლიაში“

არა თუ პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადებდნენ, არამედ იქვე დააპატიმრებდნენ, პრესკონფერენციაზე. ბოლო წლების ფესტივალებს თუ გავიხსენებთ, პოლიტიკურმა ტალღამ კანის ფესტივალს მხოლოდ ერთხელ გადაუარა, როცა „ოქროს პალმა“ ამერიკელ სოცრეალისტს, მაიკლ მურს გადასცეს. თანაც, მურის ფილმი – მხატვრულად, დრამატურგიულად, მასალის არჩევის და მიწოდების თვალსაზრისით, მე თუ მკითხავ, სწორედაც „კიჩად“ შეიძლება მივიჩნიოთ. მხატვრულ ნაწარმოებთან მის სურათებს იმდენი აქვს საერთო, როგორც „სიონელ ბრძენთა ოქმებს“ – მეცნიერებასთან.

მაგრამ, ბოლო დროს კანის ფესტივალმა მაინც განსაკუთრებით აიწყვიტა. შარშან „ოქროს პალმით“ აღინიშნა ფილმი, რომელსაც პრემიერიდან ერთი თვის განმავლობაში მსოფლიოში (!) 342 მაყურებელი ჰყავდა. სამას ორმოცდაორი! ტაილანდური „ძია ბუნმი“, ფაქტობრივად, კინოს დასასრულს ნიშნავს. აქ უარია ნათქვამი იმაზე, რაც კინოხელოვნებამ თავისი არსებობის მანძილზე დააგროვა – ყველა წესზე! სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი დიდი გამოწვევაა – პუბლიკის, კრიტიკოსების, მთელი კინემატოგრაფიული სამყაროსი.

წელს რაღაც მსგავსი ოდესღაც კორეული კინოს ლიდერმა, კიმ კი დუკმაც შემოგვთავაზა. პროგრამაში „განსაკუთრებული მზერა“ ნაჩვენები მისი ახალი ფილმი „არირანგი“ წარმოუდგენელი ხულიგნობაა; ავტორი ერთდროულად რამდენიმე როლს თამაშობს – ერთი, ეს არის ჟურნალისტი (თუ თავად ავტორის „მეორე მე“), რომელიც კიმ კი დუკის „წარსულ სახეს“ ესაუბრება, მეორე კიმ კი დუკი დღეს – განდეგილი, რომელიც სადღაც ქალაქგარეთ, ჭუჭყიან ქოხში ცხოვრობს, არ ბანაობს, დღე და ღამე სვამს... ანუ „შამი კიმ კი დუკი“ ერთმანეთს ელაპარაკება კინოხელოვნებაზე, ფილმის დაფინანსების სისტემაზე, კაპიტალიზმზე, უსამართლობაზე და რაც მთავარია, კორეელი რეჟისორის შემოქმედებით კრიზისზე – კიმ კი დუკი ცდილობს ახსნას, რატომ ვეღარ იღებს კინოს 2008 წლიდან და რატომ ცხოვრობს „ბომჟივით“.

საოცარია, მაგრამ ეს დაუბანელი, გალოთებული კაცი ჩამოვიდა კანში. ორი კვირა იცხოვრა სუპერთანამედროვე სასტუმრო „მაჟესტიკში“. კაი ჭამა, კაი სვა და ამ პროგრამის, „განსაკუთრებული მზერის“ გამარჯვებულიც გახდა. კორეელი ხულიგნის პერფორმანსმა გაჭრა – ემირ კუსტურიცაც კი, რომელიც „განსაკუთრებული მზერის“ ჟიურის ხელმძღვანელობდა, „ავარდა“ კიმ კი დუკის პროვოკაციაზე.

პერფორმანსი! ჰო... როცა დარბაზის გარეთ ვეღარ ეწყობა, კინოდარბაზში მაინც უნდა გაიმართოს! რაღაც ძალიან სანახაობრივი, პათეტიკური, მუსიკით და პლასტიკურად გამომხატველი კადრებით დატვირთული. პერფორმანსიკიჩი! აი, დაახლოებით ისეთი, როგორიცაა თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხე“! ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ კანის ფესტივალზე სწორედ ასეთი სახის კინო გახდებოდა პოპულარული; და თუ ლარს ფონ ტრიერი ცოტათი მაინც ავლენს ირონიას „პლანეტების აღლუმის“ მიმართ თავის ფილმში „მელანქოლია“, ტერენს მალიკი უფრო „რა დროს იუმორია“-ს ანიჭებს უპირატესობას! „სიცოცხლის ხეში“ დედა ცისკენ გაიშვერს ხელს და ბავშვს, თუ არ ვცდები ბერლიოზის მუსიკის ფონზე, ეტყვის: „შეხედე, იქ ღმერთია!“

ამაზე, ცხადია, კანში ვიღაცებს ეცინებოდათ. მაგრამ დარბაზში აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც გაეცინათ და ცრემლი მოერიათ ერთდროულად. ცრემლი მოერიათ მალიკის ამ მიგნებაზე და გაეცინათ იმაზე, თუ როგორ გააბრაზა ტერენს მალიკმა კანის დარბაზებში შეკრებილი კინოკრიტიკოსები. მაგალითად, მე!

ტერენს მალიკი კანში არ ჩამოვიდა. არც თავისი ფილმის პრემიერაზე და არც დაჯილდოებაზე. პრემიერაზე ჩამოსვლა გაუჭირდებოდა – ჟურნა-

კადრი ფილმიდან „პაპი გვყავს"

ლისტები კითხვებს დაუსვამდნენ, მათ შორის უხერხულ კითხვებს. დაჯილდოებაზე ჩამოსვლა კი სარისკო იყო – შეიძლებოდა, სტვენა აეტეხათ.

მაგრამ კანში მსგავსი არაფერი მომხდარა. ისტორიას ჩაბარდა დრო, როცა აქ ხმამაღლა გამოხატავდნენ პროტესტს ჟიურის გადაწყვეტილების მიმართ. წლევანდელ ფესტივალზე ორიგინალურობის ვნებისა და და სნობიზმის ამ საოცარმა ნაჯვარმა, რომელიც უწინაც გამოვლენილა კანის ფესტივალზე, გაიმარჯვა ყველაფერზე – საღ აზრზე, რეიტინგებზე, რომელსაც ყოველდღიურად ადგენდნენ კრიტიკოსები, აქტუალურ იდეებზე... კარგ კინოზე გაიმარჯვა!

მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ფილმის ავტორმა წლების განმავლობაში „შეიქმნა პიარი" თავისი განდეგილობით, სიტყვაძუნწობით. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ტერენს მალიკის ფილმში „გვიჩვენებენ", სადაა ღმერთი. სხვაგან კი ღმერთს ან ეძებენ, ანდა დასცინიან.

დამარცხებული შედევრები

კრიტიკოსთა გამოკითხვები რობერტ დე ნიროს ჟიურის გადაწყვეტილებისგან რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა. ასე იყოს შარშან, როცა ჟიურიმ დიპლომიც კი არ აღირსა მაიკ ლის ყველაზე რეიტინგულ ფილმს და ასე მოხდა წელს – ფინელი რეჟისორის, აკი კაურისმიაკის ფილმი „ჰავრი" – სოციალური ზღაპარი ფრანგ პენსიონერზე, რომელიც ცდილობს, დაეხმაროს აფრიკიდან დევნილ ბიჭუნას, არალეგალურად გადაკვეთოს საზღვარი, გაიქცეს ინგლისში, სადაც დედა ელოდება, ჟიურიმ საერთოდ არ შეიმჩნია. როცა კინოში ეზოთერული კიჩი მკვიდრდება, სოციალური ზღაპარი დემოდედ იქცევა. როცა კინო ლამის პრინციპულად იცლება იუმორისგან, ყოველგვარი ირონია და თვითირონია, ცუდ ტონად ცხადდება.

არადა, თანამედროვე კინოში ცოტაა რეჟისორი, რომელსაც ერთი კადრით იცნობ, რომელიც მართლაც არავის ჰგავს. ასეთია სწორედ აკი კაურისმიაკი. ასეთები არიან ბელგიელი ძმები დარდენები – მათი ახალი სურათიც, ასევე სოციალური დრამა „ბავშვი ველოსიპედზე" წლევანდელი „ოქროს პალმის" მთავარი ფავორიტი იყო. მაგრამ ჟიურიმ მხოლოდ გრან-პრი უწყალობა დარდენებს. ისიც მხოლოდ „ნახევარი". კანის კინოფორუმის, მნიშვნელობით მეორე პრიზი ასევე გადასცეს თურქ რეჟისორს, ნური ბილგე ჯეილანის სამსაათიან ფილმს „ერთხელ ანატოლიაში". ორივე ეს სურათი დიდი კინოხელოვნების გადარჩენის სასოწარკვეთილი ცდაა – მხატვრული სახეებით დატვირთული, ქვეტექსტებით მდიდარი და რაც მთავარია, პოეტურზე პოეტური კინოფრესკები, ასევე პრინციპულად დაცლილი კიჩისგან. არ არის გამორიცხული, კანის ფესტივალის ჟიურიში ერთი კრიტიკოსი მაინც რომ ყოფილიყო, ჟიურის წევრი სამი ამერიკელი კინოვარსკვლავისთვის კინოს ისტორიის თუნდაც მოკლე კურსი რომ წაეკითხა ვინმეს, ანდა, საერთოდ, სულ სხვა ჟიური ყოფილიყო, ეს სურათები ახალი „პალმის" ლაურეატებად გამოეცხადებინათ.

კეთილი! დე ნირო და მისი გუნდი იქით იყოს. დავუბრუნდეთ კანის კინოფესტივალის დირექციას, რომელმაც ჯერ პედრო ალმოდოვარი გაწირა, ფესტივალის გახსნამდე გამოაცხადა, რომ „კანი, რომელშიც ვცხოვრობ" მხოლოდ კონკურსგარეშე პროგრამით იქნებოდა ნაჩვენები (რაც იმას ნიშნავდა, რომ ალმოდოვარს სურათი არ გამოუვიდა... სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანის ფესტივალის დირექციამ პუბლიკა წინასწარ განაწყო მარცხისთვის), მერე კი მაინც ჩართო პროგრამაში ფილმი... მერე ნანი მორეტის ახალ სურათს, „პაპი გვყავს" შეუქმნა პრობლემები (ფილმის ნაციონალური პრემიერა კანის ფესტივალის გახსნამდე გაიმართა, რაც არ იყო ფესტივალის რეგლამენტის დარღვევა, თუმცა მორეტის ეს გადაწყვეტილება არ მოუწონეს). პედრო ალმოდოვარს სარეკლამო ბუკლეტიც კი არ ჰქონდა

თანამედროვე კინოში ცოტაა რეჟისორი, რომელსაც ერთი კადრით იცნობ, რომელიც მართლაც არავის ჰგავს. ასეთია სწორედ აკი კაურისმიაკი. ასეთები არიან ძმები დარდენები, მათი ახალი სურათიც „ბავშვი ველოსიპედზე“ წლევანდელი „ოქროს პალმის“ მთავარი ფავორიტი იყო. მაგრამ ჟიურიმ მხოლოდ გრან-პრი უწყალობა დარდენებს. ისიც მხოლოდ „ნახევარი“.

კადრი ფილმიდან „არირანგ“

კადრი ფილმიდან „ბავშვი ველოსიპედზე“

ფესტივალზე! კანის კინოფორუმის დირექციამ ირიბად მიანიშნა ჟიურის, რომ ევროპელი კინოკლასიკოსების დრო გავიდა, რომ „ტრადიციულ ღირებულებებზე“ ირონია და ქილიკი წარსულს ჩაბარდა და რომ დღეს ახალი მოდა უნდა დავამკვიდროთ – მოდა ღმერთზე!

იქნებ ეს ნორმალური რეაქციაა იმაზე, რაც ხდება მთელ მსოფლიოში? იქნებ სამყარო მართლაც დაშინებულია მომავალი კატასტროფით და ცაში იწყებს ყურებას, სადაც „ღმერთი“ ელოდება?

მიწაზე მაინც არაფერი გამოვიდა!

და ის, ვინც იხვეწება, ცაში ნუ იყურებით, აქაა ყველაფერი, ჩვენს გვერდით. უბრალოდ, გაიხედ–გამოიხედეთო, არათუ კანის 64-ე კინოფესტივალის პრიზის გარეშე დარჩა.. ის საერთოდ ვერ მოხვდა კანის კინოფორუმის კონკურსში.

მხედველობაში მაქვს პროგრამა „განსხვავებულ მზერაში“ ნაჩვენები ამერიკელი რეჟისორის, გას ვან სენტის ახალი სურათი „Restless“ (ფილმის სათაურს განსხვავებულად თარგმნიან, ამიტომ დავტოვოთ როგორც არის), ფილმი თინეიჯერ გოგო-ბიჭზე – კიბოთი დაავადებულ გოგოზე, რომელსაც გარდაცვალებამდე 3 თვე დარჩენია და ნეკროფილ ყმაწვილზე, რომელსაც რამდენიმე წლის წინ მშობლები დაეღუპნენ ავარიაში, რის შემდეგაც უცნაური ვნება გაეღვიძა – დაკრძალვებსა და სასაფლაოებზე დაიწყო სიარული. ერთმანეთს სწორედ დაკრძალვაზე გაიცნობენ. შეუყვარდებათ. სასიყვარულო ფიცსაც დადებენ რომეო და ჯულიეტასავით. მერე გაითამაშებენ შექსპირის შეყვარებულებს. და მაყურებელს იმედი მიეცემა – იქნებ ეს ყველაფერი თამაშია და გოგონა გადარჩეს? მით უმეტეს, რომ კანის წლევანდელ ფილმში რამდენიმე სურათი ვნახეთ ასეთი, მოულოდნელი ჰეპი-ენდებით.. „ბედნიერად“ დასრულდა 10 წლის სირილის სასოწარკვეთილი გზა მამის საძებნელად დარდენების ფილმში „ბავშვი ველოსიპედზე“. სირილმა ვერ დაიბრუნა მამა, რომელმაც იგი უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში ჩააბარა, მაგრამ მიაგნო ახალ დედას... ორმაგი ჰეპი ენდით დასრულდა აკი კაურისმიაკის ფილმი – ბავშვი გაამგზავრეს დედასთან ლონდონში და მთავარ გმირს მოულოდნელად გამოუჯანმრთელდა კიბოთი დაავადებული ცოლი.

გას ვან სენთან ასეთი სასწაული არ გათამაშდება. იმედის მიუხედავად, გოგონა კვდება და ფილმიც მოულოდნელად სრულდება. არა „მაღალ ნოტზე“, როგორც, მაგალითად, მალიკთან. მოულოდნელად სრულდება. აი, ისე – ძალიან რომ გინდა ფილმი გაგრძელდეს, მაგრამ რომ არ გრძელდება... მერე გამოდიხარ სეანსიდან და ვერ ივიწყებ იმ წარმოუდგენელ უბრალოებას. უბრალოების სილამაზეს. ძალიან ცოტაა კინორეჟისორი, მით უმეტეს ამერიკულ კინოში, რომელსაც უბრალოების სილამაზის შექმნის უნარი ჰქონდეს, ერთგვარი პირველყოფილი სამყაროს სილამაზის, თუ გნებავთ „სიყმაწვილის სილამაზის“. გას ვან სენტი ამას ახერხებს. შეიძლება იმიტომაც, რომ უზომოდ მგრძნობიარეა რეალობის მიმართ და არ იგონებს რეალობას. უბრალოდ, ხედავს იმას, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ.

ვერ ამჩნევენ და ცაში იხედებიან.

კანის 64-ე კინოფესტივალმა რეალობა დაჩაგრა. ეზოთერული კიჩი „მაღალ მოდად“ გამოცხადდა. აიტაცებენ თუ არა ამ მოდას სხვა რეჟისორები და მერე, შეინახავენ თუ არა თავიანთ ფილმებს მომავალი კანის ფესტივალისთვის, ამას სულ მალე დავინახავთ... თუკი კანის წლევანდელ კინოფორუმზე გამარჯვებულებით 342 თუ არა, თუნდაც ასჯერ 342 მაყურებელი დაინტერესდა, საეჭვოა, მომავალ წელსაც ვიხილოთ მისტიკურ-რელიგიური პათეტიკა. მაგრამ შეიძლება მაინც ვიხილოთ – თუკი სამყარო მართლა შეიშალა და „ღმერთის ძებნა ღრუბლებში“ მართლაც გადაიქცა ტენდენციად – რეალობად! არა მგონია, რომ ასე მოხდეს, მაგრამ ამ სამყაროსგან ყველაფერია შესაძლებელი.



N44, დეკემბერი 2008

კონტაქტი

ავტორი: კახა თოლორდავა
ფოტო: ლევან ხერხეულიძე, იასონ ბადრიძის პირადი არქივი

ჩემთვის რომ ამ ადამიანზე კინოსცენარის დაწერა შეეკვეთათ, აი, ასე დავიწყებდი... ყველაფერი ეს სინამდვილეში მოხდა. მხოლოდ დეტალები დავამატე ვიზუალური ხარისხის გასაძლიერებლად. მაშ, ასე...

ექსტერიერი. საქართველო. გარეჯი. დილა.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარი. საქართველოში დისლოცირებული საბჭოთა არმიის სასაზღვრო ძალების ექვსი თუ შვიდი ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცი თავქუდმოგლეჯილი მირბის ხრიოკზე. მათ შემდეგ კადრში მხოლოდ ჰაერში ავარდნილი ბუღი რჩება. ცხელა.

ინტერიერი. შტაბი. გარეჯი. დილა.

შტაბის უფროსი და რამდენიმე მაღალჩინოსანი ოფიცერი სამხედრო აპარატურით გადაჭედილ პატარა ოთახში შექუჩულან. ისინი ყურადღებით აკვირდებიან ერთ-ერთი მონიტორის მრგვალ ეკრანს. მონიტორებთან მჯდომი რიგითი ოპერატორი ფანქრით მიუთითებს ეკრანზე მოძრავ მკაფიო წერტილზე. შტაბის უფროსი ოფიცრებს გადაულაპარაკებს. ისინი ოთახიდან გადიან.

ექსტერიერი. გარეჯი. დილა.

წელში მოხრილი ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცები ამჯერად უფრო ფრთხილად მოძრაობენ. აშკარად ჩანს, რომ ისინი რაღაცას, თუ ვიღაცას ეპარებიან. მათი მეთაური ხელით ანიშნებს დანარჩენებს. ჯარისკაცები წელში იმართებიან და უზარმაზარი ლოდის მიმართულებით გარბიან. ისინი ორივე მხრიდან არტყამენ ალყას ლოდს და ავტომატმოღერებულები მთელი ხმით ღრიალს იწყებენ. რამდენიმე წამში ლოდის უკნიდან ხელებაწეული მამაკაცი გამოდის. კაცი ოცდაათიოდე წლის იქნება – საშუალო სიმაღლის, ხმელი, წვერმოშვებული. მტვრიანი ტანსაცმელი აცვია. აშკარად შეშინებულია. ისიც ყვირილით ცდილობს, რაღაც აუხსნას ჯარისკაცებს. მაღლა აწეულ მარჯვენა ხელში მომცრო ზომის ანტენიანი გადამცემი უჭირავს. ჯარისკაცები ყვირილს აგრძელებენ და ავტომატის ლულებით მიუთითებენ, რომ გადამცემი მიწაზე დადოს და რამდენიმე ნაბიჯით მოსცილდეს. კაცი ემორჩილება.

ინტერიერი. შტაბი. დღე.

დაკითხვის სცენები არცთუ ისე ბრუტალურია, თუმცა შემაშინებელი. ოთახის შუაგულში ერთადერთი მაგიდა და ორი სკამია. ერთ-ერთზე წვერმოშვებული კაცი ზის. შტაბის უფროსი მის გარშემო მოძრაობს და რაღაცას ეკითხება. დროდადრო, როგორც ჩანს, მდგომარეობიდან გამოსული, პატიმარს უახლოვდება, შუბლს ლამის შუბლზე ადებს და ყვირილზე გადადის. კარი იღება, ოთახში ლეიტენანტი შემოდის, შტაბის უფროსს უახლოვდება და რამდენიმე სიტყვას ჩასჩურჩულებს ყურში. უფროსი ჯერ ტუსაღს უყურებს, შემდეგ კი ერთ-ერთ ოფიცერს შეხედავს და თითქოს თანხმობის ნიშნად თავს უქნევს.

ექსტერიერი. გარეჯი. საღამო.

ხუთი ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცი და მათი ტუსაღი ისევ ხრიოკზე მიაბიჯებს. სახეებზე ყველას წურწურით ჩამოდის ოფლი. ისინი ისევ იმ ლოდს უახლოვდებიან, სადაც დილით უცნობი დააკავეს. ყველა ჩერდება. ჯარისკაცები კაცს უყურებენ. მათ გამომეტყველებაზე ჩანს, რომ ისინი რაღაცას ელიან მისგან. კაცი მიიხედ-მოიხედავს და ნელი ნაბიჯებით გადის ალყიდან, რამდენიმე მეტრის მოშორებით ჩერდება და მოულოდნელად ყმუილს იწყებს ჯერ გაბმულად, შემდეგ რამდენჯერმე წყვეტილად. ჯარისკაცები დაბნეულად გადახედავენ ერთმანეთს. კაცს ელიმება და ისევ ყმუის. ამის შემდეგ გარშემო კვლავ სიჩუმეა. მხოლოდ ქარის ხმა ისმის. მიწიდან ავარდნილი ოხშივარის გამო, გამოსახულება ოდნავ ბუნდოვანია. ცხელი ჰაერის წებოვან მასაში ძუნძულით მომავალი ოთხი ცხოველი იკვეთება. ოდნავ ახლოს რომ მოდიან, ჩანს, რომ მგლები არიან. რამდენიმე წამის განმავლობაში ჯარისკაცები გაშეშებულები მისჩერებიან მათი მიმართულებით მომავალ მგლებს. შემდეგ ერთ-ერთი თითქოს აზრზე მოდის და ფაციფუცით იმარჯვებს ავტომატს. დანარჩენებიც იგივეს აკეთებენ. უცნობი სასწრაფოდ დგება მათსა და მოახლოებულ მგლებს შორის და ხელით ანიშნებს, – ავტომატები დაუშვითო. მგლები უკვე სულ რაღაც ოციოდე მეტრში იქნებიან მათგან. კაცი კიდევ ერთ გაურკვეველ ბგერას ამოუშვებს პირიდან და ჩაიმუხლებს. მგლები კიდევ უფრო ახლოს მოდიან და მისგან ხუთიოდე მეტრის მოშორებით ჩერდებიან. რამდენიმე წამის განმავლობაში ისინი ერთმანეთს უყურებენ, შემდეგ კი ოთხივე მგელი თითქმის ერთდროულად იწყებს მისი დანახვის სიხარულით გამოწვეულ მგლურ ცეკვას. ეკრანზე ჩნდება ფილმის სათაური: კ ო ნ ტ ა ქ ტ ი

„ის თვითნაკეთი პელენგატორი, რა

თქმა უნდა, ჩამომართვეს, – იასონ ბადრიძე ღიმილით მიყურებს და მის მუხლებზე ზარმაცად მოკალათებულ პატარა ძაღლს ეფერება, – უკან რომ ვბრუნდებოდით, უკვე ცოტა რიდით მიყურებდნენ. გამომიშვეს, თუმცა თავიდან ჯაშუში ვეგონე, არადა, მე იმ ხელსაწყოთი ჩემი მგლების გადაადგილებას ვაკვირდებოდი.“ ძაღლი ნელა დგება მისი მუხლებიდან, იასონს ახედავს, თითქოს უფლებას იღებსო, მერე ჩემს მუხლებში იკალათებს და ხვნეშით გვატყობინებს, – კარგად მოვეწყვეო. კედელთან მიმდგარ ტახტზე ვსხედვართ. ჩვენს უკან, კედელზე, ფოტოებთან ერთად ჯერალდ დარელის წერილია გაკრული, რომელშიც ის მადლობას უხდის ბატონ ბადრიძეს მისი ნაშრომისათვის მგლების რეინტროდუქციაზე ველურ ბუნებაში. რამდენიმე საათის წინ ერთ-ერთი ინტერნეტ პროვაიდერის ახალგაზრდა წარმომადგენელმა მის ბინაში ინტერნეტის ქსელი გაიყვანა. „პაროლი რა გნებავთ, რომ იყოს,“ – შეეკითხა ის ბატონ იასონს. „უჰ, რა ვიცი, აბა...“ – უპასუხა იასონმა. „მე ვიცი, – უეცრად მიიღო გადაწყვეტილება ახალგაზრდამ, – მოდი, მ გ ე ლ ი იყოს.“ ოთახში ცხელა. გარედან მანქანების ხმაური შემოდის. თბილისში 2008 წლის ზაფხულია. ომი თვენახევარში დაიწყება.

იასონ ბადრიძე ისევ ისეთი ხმელი და წვერმოშვებულია, როგორც ალბათ იმ შორეულ წარსულში, გარეჯში რომ დააკავეს. მხოლოდ თმები თუ შეუთხელდა. საოცრად ცოცხალი და განსაკუთრებული, ძნელად ასახსნელი გამოხედვა აქვს. გარემოსდაცვით ორგანიზაციაში მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება მეუბნება, რომ ასეთი გამოხედვა მხოლოდ იმ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ, ვინც სიცოცხლის დიდი ნაწილი ცხოველებთან ურთიერთობაში გაატარა. ვხვდები, რომ საჭიროების შემთხვევაში მკაცრიც შეუძლია იყოს და უკმეხიც. ბოლოს და ბოლოს, ეს ადამიანი მთელი ცხოვრება მგლის ქცევას სწავლობს. ძალიან ბევრს ეწევა. თავიდან პირქუში კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა მერე აღმოაჩენ, რომ ხშირად ბიჭური ღიმილით იღიმის და ლაპარაკიც უყვარს, მეცნიერია და აზრების არტიკულირების დიდებული უნარი აქვს. ურთიერთობის ხუთი დღის განმავლობაში არც ერთხელ არ უცდია ჩემთვის უცნობი მეცნიერული ტერმინებით ჩემი დაჩაგვრა. საკუთარ ცხოვრებაზე ასე ალბათ ინდიელი ბელადები საუბრობდნენ ხოლმე. და კიდევ ერთი რამ, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია – მას ჯაზი უყვარს.

„ოთხი წლის ვიყავი, პირველად მგლის ყმუილი რომ მოვისმინე, – იასონი სიგარეტს უკიდებს, – ქვიშხეთში ვისვენებდით და მამაჩემმა წმინდა გიორგის ეკლესიასთან ამიყვანა ტყეში ღამის გასათევად. იმავე წამს ვიცანი მგლის ხმა, რადგანაც მამაჩემი ხშირად მიყვებოდა ცხოველებზე და ყოველთვის ცდილობდა მათი ხმის მიბაძვას.“ კონსტანტინე გიორგის ძე ბადრიძეს, იასონის მამას, ეს არ უნდა გაჭირვებოდა. ის თეატრალური სტუდიის ერთ-ერთი დამაარსებელი, სასცენო მოძრაობის მასწავლებელი და პირველი ქართველი კასკადიორი იყო. სწორედ მამისგან გაიგო იასონმა ის, რაც მომავალში, როგორც თვითონ მითხრა, ყველაზე მეტად გამოადგა: „რაღაცამ შეიძლება გაიძულოს, შენთვის უცნობ სისტემაში შეხვიდე, – უთხრა ერთხელ მამამ, – მაგრამ თუ შენ შინაგანად არ ხარ ამ სისტემის კაცი, ეს სისტემა ადრე თუ გვიან გამოგრიყავს, ხოლო თუ გამოასწარი, თვითონვე წამოხვალ.“ მამამ კიდევ ბევრი რამ ასწავლა. „რომ არა მისი სკოლა სხეულის ფლობაში, ჩემი დაზიანებული ხერხემლით ბევრს ვერ მივაღწევდი.“ მის სხეულს კი მართლაც რომ უამრავი რთული გამოცდის „ჩაბარება“ მოუხდა. ალპინიზმით გატაცებული, სკოლის ბოლო კლასში რამდენიმეჯერ გაიპარა მყინვარწვერზე, იყო სიმძიმეების აწევაში საქართველოს იუნიორთა ჩემპიონი, ჰქონდა პირველი თანრიგი ტანვარჯიშსა და სროლაში, მოგვიანებით კი, როდესაც მგლებს „გადაეყარა“, კილომეტრებს დარბოდა მათთან ერთად მგლის ბილიკებზე, ათეულობით კილომეტრს... გაუვალ ტყეებში... ნებისმიერ ამინდში...

„ბავშვობიდანვე მაინტერესებდა, როგორ არის მოწყობილი სიცოცხლე, – ამბობს იასონი და კიდევ ერთ სიგარეტს უკიდებს, – მაგრამ დღემდე მიკვირს, ეს თეატრში გაზრდილი კაცი ბიოლოგი როგორ გამოვედი.“ ოთხი თუ ხუთი წლის იყო, როდესაც „მოკვეთილის“ მსვლელობის დროს დედის, მსახიობ ნათელა აფაქიძის „გადასარჩენად“ სცენაზე ავარდა და კინაღამ სპექტაკლი ჩაშალა. მაინც ისე მოხდა, რომ თეატრს „გადაურჩა“, ძირითადად, როგორც თვითონ ვარაუდობს, მშობლების წყალობით („ყველაფერი გააკეთეს, რომ მსახიობი არ გამოვსულიყავი.“) და, რაც მთავარია, ბავშვობიდან გამოყოლილი ინტერესების გამო. როგორც ჩანს, ალპინიადებს და ველურ ბუნებაში ხეტიალს ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, სადაც ქცევის ფიზიოლოგიურ მექანიზმებს სწავლობდა. ბუნებრივია, მოვიდა დრო, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიეღო, თუ რა უნდა ყოფილიყო მისი შესწავლის ობიექტი. როგორც თვითონ ამბობს, არჩევანის წინ რომ დადგა, სწორედ მაშინ ამოუტივტივდა მეხსიერებაში ბავშვობაში მამასთან ერთად ტყეში გატარებული ღამე და იმავე წამს ყველაფერი თავ-თავის ადგილებზე დადგა. მ გ ე ლ ი! ყველაზე ნაცნობი უცნობი მტაცებელი. არ ვიცი, გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა იასონ ბადრიძეს ის, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ მისი ცხოვრება ისეთი ვეღარ დარჩებოდა, როგორც მანამდე. ალბათ უფრო – არა.

„რატომ მგელი?“ – უკვირდათ მის კოლეგებს ზოოლოგიის ინსტიტუტში, სადაც ის 1976 წელს გადავიდა სამუშაოდ. „რატომ მგელი? – ეკითხებოდნენ ნაცნობები, – ირემი შეისწავლე, უფრო გ ე მ რ ი ე ლ ი ა. მგელს კი ერთადერთი, რაც უნდა, ტყვიაა შუბლში...“ არ იცოდნენ, რომ მისთვის ამ შეკითხვის დასმას უკვე აზრი აღარ ჰქონდა, რადგანაც ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, 1972-ში მან უკვე თავისი პირველი მგლის ლეკვები აიყვანა და, მისივე თქმით, ამის შემდეგ „შეუძლებელი იყო სხვა რამეზე ფიქრი.“ ხოლო თეთრი ყვავის რეპუტაცია რომ ჰქონდა, ეს ყველაზე ნაკლებად ანაღვლებდა.

სამაგიეროდ, ოჯახში გაჩენილი პრობლემების უგულებელყოფა იყო შეუძლებელი, რადგანაც ამ დროისათვის მას უკვე ცოლ-შვილი ჰყავდა (დღეს იასონ ბადრიძეს უკვე ხუთი შვილიშვილი ჰყავს. ყველაზე უმცროსს, რომელიც ამერიკაში გაჩნდა, ის ჯერ არ იცნობს). წარმოიდგინეთ: მეუღლე, ორი პატარა შვილი და ოთხი მგლის ლეკვი კვლევითი ინსტიტუტის ახალგაზრდა უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის პატარა ბინაში. ბავშვები და მგლები მთელ სახლში დარბიან. ზედახორა. წივილ-კივილი და წკავწკავი... მოკლედ, ბავშვები, ალბათ, ნამდვილად ერთობოდნენ, რასაც ოჯახის დანარჩენ წევრებზე ვერ ვიტყოდით. „ერთი მანქანა გვყავდა, ისიც ნორმალურად ვერ მოხმარდა ოჯახს, ჩემს გამო, – ამბობს ის, – მგლები აქეთ-იქით რომ გადამყავდა, მანქანის სალონი ნაფლეთებად აქციეს. ამ ყველაფერს ისიც ემატებოდა, რომ მგელს ძაღლივით სისუფთავეს ვერ ასწავლი. როდესაც ერთხელ ბიძაჩემი მოსკოვიდან ჩამოვიდა და ჩვენთან მოვიდა, კინაღამ ჭკუიდან გადადგა კაცი, – იცინის იასონი და აგრძელებს, – არც ლაბორატორია მქონდა, არც საკმარისი ტერიტორია და არც ფული. მგლის ლეკვი 50 მანეთი ღირდა, ჩემი ხელფასი კი 140 მანეთი იყო. პრინციპული მოსაზრების გამო, მე არასდროს ვიყვანდი მგლის ლეკვებს ბუნებიდან; ვყიდულობდი. იმ დროს ჯერ კიდევ ბევრი არაფერი ვიცოდი მგლების ქცევაზე, არც რაიმე მეთოდოლოგია მქონდა. პირველი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ლიტერატურას მივადექი, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ყველაფერი, რაც მგლებზე არსებობდა, მათ მოსპობაზე იყო. ერთადერთი, რაც გამომადგა, კვალზე მოძიების მეთოდები იყო, თუმცა ესეც მათ მოსპობას ემსახურებოდა. მე კი მაინტერესებდა, თუ როგორ ფორმირდება მგლის ქცევა დაბადებიდან სიკვდილამდე, გონივრული მოქმედების ჩათვლით. იმ დროს კი ეთოლოგია სერიოზულ მეცნიერებად არ ითვლებოდა. ცხოველის ქცევა რომ შეგესწავლა, ან გიჟი უნდა ყოფილიყავი ან ძალიან ბევრი ფული გქონოდა.“ იასონ ბადრიძეს ფული არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ის, ყველაზე კარგი გაგებით, „გიჟი“ აღმოჩნდა, ისეთი, დიდ მეცნიერებზე რომ ამბობენ ხოლმე. სწორედ ამიტომაცაა, ამ ტახტზე მის გვერდით რომ ვზივარ და პირდაღებული ვუსმენ მის ყველა სიტყვას. მხ-

„მხარის მიცემაც იციან, აი, ქუჩურ ენაზე „ატმასკას“ რომ ეძახიან. ერთხელ ჩემს გამო დათვს დაესხნენ თავს. ნებისმიერ სიტუაციაში მგელი დათვს გაურბის, ეს თანდაყოლილი შიშია. ერთადერთი, რამაც ისინი აიძულა, თავს დასხმოდნენ დათვს, ის ხ ი ფ ა თ ი იყო, რაც მე მემუქრებოდა. დათვი გაიქცა. ამის მერე რა გრძნობა შეიძლება მქონდეს მგლების მიმართ?“

ოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ყველაფერი განზე გაწიონ და იმ გზას გაჰყვნენ, რომელიც მათ მოსვენებას უკარგავთ. ველურ ბუნებაში სწორედ ამ ძალამ გაიყვანა, ვინაიდან იცოდა, რომ მგლის ქცევას სხვაგან ვერსად შეისწავლიდა.

ტყეში 1974 წელს „გავარდა“ პირველად, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში. ოთხი თუ ხუთი თვის განმავლობაში თითქმის მუდმივად ცხოვრობდა იქ. მთელი ამ ხნის განმავლობაში მგლების ერთ ოჯახს იჩვევდა. როგორც უკვე ვთქვი, არავითარი მეთოდოლოგია არ ჰქონია, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ შეიძლება ცხოველთან კონტაქტში შესვლა. აი, როგორ აკეთებდა ამას: სახლიდან ბავშვების გასახვევი ტილოები მიჰქონდა, ტანზე იხვევდა და რამდენიმე დღე ასე დადიოდა, მისი ოფლი კარგად რომ გამჯდარიყო ტილოებში. მერე ამ ტილოებს ნაკუწ-ნაკუწ ხევდა და მგლის ბილიკებზე ყრიდა, ცხოველები მის სუნს რომ შეჩვეოდნენ. თავიდან მგლები შორიდან უვლიდნენ ტილოეკონტაქტში. „მე არასდროს ვცდილობდი მათ სოციალურ სისტემაში მოხვედრას; არც ადრე და არც მოგვიანებით. იქ შესვლა ნიშნავს იმას, რომ რაღაც რანგი მაინც უნდა დაიკავო, ამ შემთხვევაში კი ადრე თუ გვიან აუცილებელი ხდება ამ რანგის გადასინჯვა. ეს მგლებთან ფიზიკურ კონფლიქტში შესვლის ტოლფასია, არადა, სად მგლის ტყავი და სად ადამიანის კანი. ამიტომაც ჯობდა, დამკვირვებლად დავრჩენილიყავი.“

მგლებთან ერთად ტყეში სირბილი მაინც ყველაზე უფრო ძნელი იყო. როგორც წესი, დღეში ოციოდე კილომეტრი ძუნძულით სირბილი უწევდა მათთან ერთად მათსავე ბილიკებზე. მგლებმა თავისი ტერიტორია კარგად იციან, მაგრამ ეს ტერიტორია მასაც ხუთი თითივით უნდა სცოდნოდა. სხვანაირად არ გამოვიდოდა; უფრო მეტიც, მას აგრეთვე კარგად უნდა სცოდნოდა მათი მსხვერპლის მიგრაციული ბილიკები, სად სვამდნენ ისინი წყალს, სად ათენებდნენ ღამეს და ასე შემდეგ.

იასონ ბადრიძე ტყიდან ისეთი ცოდ-

ნით გამოვიდა, როგორიც არც მას და არც არავის აქამდე არ ჰქონია. თან უამრავი კითხვაც გამოიტანა. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ მან უკვე იცოდა, თუ რა გზით შეიძლებოდა ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ნიადაგის მომზადება. მას ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო. „ცოდვა დავიდე. ჩემივე შეცდომების გამო, რამდენიმე ლეკვი დამეხოცა პირველი პარტიიდან. ძირითადად – ფილტვების ანთებით; არ ვიცოდი, სწორად როგორ უნდა მეკვება. მერე კი, ისევ და ისევ ჩემივე უვიცობის გამო, რამდენიმე ზრდასრული მგელი შემომაკვდა. მათი აგრესია ჩემივე უვიცობით იყო გამოწვეული. ერთი წლის შემდეგ მათი სახლში ყოლა უკვე სახიფათო ხდება. ამ დროს ზრდასრული მგლები უკვე სოციალურ სისტემაში უნდა შევიდნენ“. აქედან მოყოლებული, 1979 წლის ჩათვლით, მან ოცდაორი ისეთი მგლის ლეკვი გაზარდა, რომლებიც „ქალაქელი“ მგლები კი არ იყვნენ, არამედ ველური ბუნების სრულფასოვანი წარმომადგენლების თვისებებს ფლობდნენ.

ექსტერიერი. ტყე. საღამო.

ნელ-ნელა ბინდდება, თუმცა მზის სუსტი სხივები ჯერ კიდევ აღწევს დაბურულ ტყეში. კაცი კოცონთან ზის და ჩანთაში იქექება. სასწრაფოდ იღებს იქ ჩარჩენილ სახვევებს და ჩანთას გვერდზე მიაგდებს. მარჯვენა ფეხი ოდნავ არაბუნებრივად უდევს, ნაღრძობი ან დაზიანებული აქვს. შარვლის ტოტს მაღლა იწევს და ისევ იმანჭება ტკივილისგან. ფეხს მოხერხებულად დებს და სახვევების დახევას იწყებს. უეცრად ჩერდება და მიაყურადებს. მხოლოდ ცეცხლის ტკაცუნი ისმის. ისევ სახვევებს მიუბრუნდება, მაგრამ რამდენიმე წამში ისევ ჩერდება და ამჯერად უკან იყურება. გამომეტყველებაზე ეტყობა, რომ რაღაც დაინახა. სწრაფად, თუმცა მაინც გაჭირვებით მთელი სხეულით ბრუნდება და მოულოდნელად შეშდება. მის წინ, ათიოდე მეტრში მგელი დგას, პირდაპირ მას უყურებს და კუდს აქიცინებს. კაცს ეღიმება და რაღაც უცნაურ, წკმუტუნის მსგავს ხმას გამოსცემს. ცოტა ხანი მგელი ისევ გაუნძრევლად შესცქერის მას, მერე კი ნელა იწყებს მისი მიმართულებით მოძრაობას. მისგან სამიოდე მეტრის მოშორებით ჩერდება, თავს დაბლა ხრის და პირიდან რაღაც უცნაურ მასას ამოანთხევს. შემდეგ ბრუნდება და ძუნძულით ეცლება იქაურობას. კაცი ერთხანს თვალისმოუცილებლად უყურებს მგელს, მერე კი ხელებს მიწაზე აბჯენს და გაჭირვებით გახოხდება წინ. ყოველგვარი ზიზღის გარეშე, დაწვდება მასის ნაწილს და ყურადღებით აკვირდება. ღიმილს ვერ იკავებს. მას ხელში ლორწოში გახვეული მოუნელებელი ხორცის ნაჭრები უკავია. ის ისევ ტკივილნარევი ღიმილით იყურება იქითკენ, საითაც მგელი გაუჩინარდა.

„და თქვენ ეს ყველაფერი შეჭამეთ?“ – პირველი, რაც შევეკეთხე, ეს იყო. „ჰო, კონსერვები მქონდა, მაგრამ რაღაც ნაწილი გავრეცხე და შევჭამე, – მიპასუხა იასონმა, – თუ მათ საზოგადოებაში ცხოვრობ, ისე უნდა იცხოვრო, როგორც ისინი ცხოვრობენ. ჩემი დაზიანებული ფეხის გამო, თითქმის ერთი კვირა ვერ დავყვებოდი მათ ბილიკებზე და მათაც იფიქრეს, რომ საჭმელი დამჭირდებოდა. ასეთ საჩუქარზე უარი არასდროს არ უნდა თქვა.“ „ის თქვენი წკმუტუნი რაღას ნიშნავდა?“ – შევეკითხე მე. „ეს აბსოლუტურად დაუფიქრებლად წამომცდა და ნიშნავდა შემდეგს: „გამარჯობა. მიხარია, რომ მოხვედი.“ ხვდება, რომ თავს იდიოტივით ვგრძნობ და ამიტომ სწრაფადვე აგრძელებს. „ქშენანარევი ყეფა ხიფათს ნიშნავს. ასეთი ბგერით ისინი თავიანთ ლეკვებს აფრთხილებენ. საერთოდ მათი „ენა“ რამდენიმე სახის ყმუილს და წკმუტუნს გულისხმობს. ნაღვლიანად მაშინ ყმუიან, როდესაც ოჯახი ერთად არაა და ერთმანეთს რაღაც უნდათ, რომ შეატყობინონ. ყმუიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ან დიდი მანძილით არიან ერთმანეთისგან დაცილებულნი ან როდესაც ზედმეტი ემოციები აწვებათ ხოლმე. უშუალო კონტაქტისას ყმუილს აზრი არა აქვს. ამ დროს ისინი ყეფენ. სხვადასხვა რეგიონში მგლები სხვადასხვანაირად ყმუიან.“ მე ცოტა ხანი კიდევ მჭირდება ბოლომდე აზრზე მოსასვლელად. ის განაგრძობს: „მათ ყმუილის ორი ტიპის რეპერტუარი აქვთ – თანდაყოლილი და შეძენილი. ხიფათის აღმნიშვნელი ყეფა თანდაყოლილია და ასეთ ყეფაზე რეაქციაც თანდაყოლილია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამის დამტკიცება ჯერ არ შემიძლია, იმისდა მიხედვით, თუ როგორ გარემოში ცხოვრობენ ისინი, როგორია ექო, ტყეში არიან თუ ღია ადგილზე და ასე შემდეგ, მათი ყმუილის ტონალობა და ვარიაცია, წესით, უნდა იცვლებოდეს. კახელ მგლებს თუ გურულ მგლებთან კავშირი არ ჰქონიათ, ისინი შეძენილ რეპერტუარში ერთმანეთს ვერ გაუგებენ.“ ახლა მე გავაგრძელებ... რაღაც მომენტში იასონი დაინტერესდა, შეიძლებოდა თუ არა სემანტიკური მნიშვნელობის ფორმირება ხელოვნურად და ამის გასარკვევად მან ყმუილის ისეთი ვარიაცია მოიგონა, რომელიც მგლებს რეპერტუარში არ აქვთ. ამ ყმუილს თავისი დატვირთვა ჰქონდა და ნიშნავდა – „აქ საჭმელია.“ მგლები ცხრანაირ დაყმუვლებას ეპასუხებოდნენ, მაგრამ მოდიოდნენ მხოლოდ იმ ხელოვნურ ყმუილზე, რადგანაც მას საჭმელს უკავშირებდნენ. ერთხელაც გაირკვა, რომ მის მიერ ტყეში გაშვებული მგლები, შიმშილის შემთხვევაში, სწორედ ყმუილის ამ ვარიაციას მიმართავდნენ. ფირები, რომელზეც მას მგლების ყმუილის ვარიაციები ჰქონდა ჩაწერილი, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ომის დროს დაიკარგა.

„რა შეგძინათ მგლებთან ურთიერთობამ?“ – ვეკითხები იასონს, სანამ ის თავის მესამე სიგარეტს უკიდებს მეორე კოლოფიდან. ამ შეკითხვაზე სწრაფად არ მპასუხობს. ჯერ ფიქრობს. ზაფხულის სიცხეში სიგარეტის ბოლს სასიამოვნო სუნი აქვს. „მათი მეშვეობით ადამიანური ურთიერთობების ფასი გავიგე, – ამბობს ის რამდენიმე ხნის შემდეგ, – უფრო დინჯი გავხდი. ადრე ადვილად ფეთქებადი ვიყავი. ეს ცხოვრების იმ წესმა მასწავლა, რაც მგლებთან ურთიერთობისას მქონდა. ეს და კიდევ იმის შეგრძნება, თუ რა ხდება შენს უკან. თითქმის დეტალურად შემეძლო სიტუაციის აღწერა. მგელი მაინც ველური ცხოველია და, როგორც ჩანს, ეს უნარი ჩემი მუდმივი დაძაბულობის წყალობით შევიძინე.

ამან ძალიან შემაწუხა ქალაქში ყოფნისას.“

პაუზა. „ისინი საოცრად მზრუნველები არიან თავისიანების მიმართ. ძუ მგელი რომ მშობიარობს, ამ დროს მას ნადირობა არ შეუძლია და საკვების მომარაგებაში დანარჩენები ეხმარებიან. ლეკვებს საჭმელი არ უნდა შემოაკლდეთ.“ ისევ პაუზა. „მათ ბოდიშის მოხდა და სიყვარული შეუძლიათ. ნადავლის გაყოფაც იციან. ერთხელ ირემი მოინადირეს და თვითონ რომ გაძღნენ, 15-20 მეტრში დაწვნენ. ერთი ხვადი მე მიყურებდა, კუდს აქიცინებდა და მიღიმოდა. წარმოუდგენელი ღიმილი აქვთ (არა, ნამდვილად არ მეშაყირება!). ისინი საჭმლის გამო კი არ იღიმებიან ხოლმე, არამედ ი ფ ა თ ი იყო, რაც მე მემუქრებოდა. დათვი გაიქცა. ამის მერე რა გრძნობა შეიძლება მქონდეს მგლების მიმართ?“ – მეკითხება ის.

„იასონზე წერ? – უხაროდათ ხოლმე ჩემს ნაცნობ-მეგობრებს როდესაც მეკითხებოდნენ, თუ ამჯერად რაზე ვმუშაობდი. მერე კი იწყებოდა, – დიდი მოკითხვა გადაეცი ჩემგან. მე მასთან მიმუშავია სტუდენტობის პერიოდში. ხო მაგარი კაცია?!“ არც კი ვიცოდი, ამდენი საერთო ნაცნობი თუ გვყავდა! თითოეულ მათგანს თავისი ისტორია ჰქონდა იასონზე, მის მგლებზე და მათი თანდასწრებით ჩატარებულ ექსპერიმენტებზე. ყველა მზადყოფნით იხსენებს საკუთარ შემთხვევებს, გაწყვეტდნენ, ცხოველების რაოდენობაც იმატებდა ტყეებში. სოციალისტურ მეცხოველეობაში გაჩენილი ეს კონცეფცია აბსოლუტურად მცდარი გამოდგა, რადგანაც ის იმას აღარ ითვალისწინებდა, თუ რა შეიძლება მოყოლოდა ტყეებში მგლის პოპულაციის შემცირებას. იმ დროს მთავარი გ ე გ მ ა იყო. მგლის მოკვლაზე ფულადი პრემია იყო დაწესებული. ასე დაიწყო უკონტროლო ნადირობების ეპოქა არა მარტო მგელზე, არამედ მის მსხვერპლზეც. მერე კი, როდესაც მგელს ტყეში მოსანადირებელი ნადირი შემოაკლდა და სოფლებში გამოვიდა, აღმოჩნდა, რომ ის ქურდობის შესანიშნავი საშუალებაც იყო. თუ ის ორ ცხვარს ჭამდა, ადამიანი ოცდაორს იპარავდა

ველურ ბუნებაში გაშვებულ მგელს ქეჩაგადაკრულ საყელოს უკეთებდა წარწერით: „ამ მგლის მომკვლელი მიიღებს ორჯერ მეტ ფულს, ვიდრე მას სახელმწიფო პრემია ჰპირდება.“ რატომ? „თუ ჩემი მეთოდიკა მუშაობდა, მონადირეებს ვერც ერთი ჩემი მგელი ვერ უნდა მოეკლათ.“ არც ერთი მგელი არ მოუკლავთ.

სოციალურ პარტნიორს უღიმიან. გავბედე და ირემს მივუახლოვდი. არც განძრეულან. პატარა დანით ცოტა ხორცი ამოვჭერი ჩემთვის. მგლები იწვნენ და იცინოდნენ. ამის მერე სისტემატურად მაძლევდნენ ნადავლთან მისვლის უფლებას.“

სიგარეტის კვამლი ჭერისკენ მიიზლაზნება. ჩემს შემდგომ შეკითხვას აზრი ნამდვილად არ აქვს, ამიტომაც თვითონვე აგრძელებს: „მხარის მიცემაც იციან, აი, ქუჩურ ენაზე „ატმასკას“ რომ ეძახიან. ერთხელ ჩემს გამო დათვს დაესხნენ თავს.“ არ უთქვამს, თუ როგორ მოხდა ისე, რომ ის და დათვი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ტყეში. ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როდესაც დათვი უკანა თათებზე შედგა და იასონიც და დათვიც შიშის ბღავილზე გადავიდნენ, ორი მგელი, ძუ და ხვადი, დათვს მივარდნენ. „ნებისმიერ სიტუაციაში მგელი დათვს გაურბის, – ამბობს ის, – ეს თანდაყოლილი შიშია. ერთადერთი, რამაც ისინი აიძულა, თავს დასხმოდნენ დათვს, ის ხ თუმცა ამ ტექსტში ყველაფერს მაინც ვერ მოვყვები. ჩემი და ბატონი იასონის საუბრის ჩანაწერებს ვერ ავუდივარ, არათუ სხვების მონათხრობს... მე თუ როდესმე ფილმისთვის სცენარის დაწერა მომიწია, უკვე ვიცი, რომ ეს იმ ადამიანის ისტორია იქნება, რომელიც ექსპერიმენტებს, მარტო მგლებზე კი არა, არამედ, როგორც ყველა დიდი მეცნიერი, საკუთარ თავზეც ატარებს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორივე მხარე მდიდრდება და ეს ალბათ ყველაზე საინტერესო უნდა იყოს. ადამიანი, რომელიც ცხოველის ქცევას სწავლობს, აუცილებლად თვითონვე იცვლება. „როდესაც მგელს გაზრდი და ველურ ბუნებაში მისი გაშვების დრო მოდის, მთავარი ისაა, რომ იქ მან ნორმალურად იმოქმედოს, თავს არ ესხმოდეს შინაურ ცხოველს და გაურბოდეს ადამიანს.“ იასონი უმატებს, რომ მგელი ყოველთვის იყო ადამიანის კონკურენტი. ჩვენში პრობლემა იმის შემდეგ გაჩნდა, როდესაც ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ თუ მგელს და ყველაფერს მგელს აბრალებდა. მგლის გაუმაძღრობის მითი აქტუალური უნდა დარჩენილიყო.

„რა არის ის, რაც მგელში არ გიყვართ?“ – ვეკითხები იასონს. „ალბათ უფრო უნდა შემეკითხოთ, თუ რა არ მესმის მასში, – მპასუხობს ის, – ინტელექტით ის აშკარად ახლოს დგას პრიმატებთან, მას ადაპტაციის საოცარი უნარი აქვს, ვინაიდან საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა გადარჩენისთვის ბრძოლა. შეუძლიათ შედეგების პროგნოზირება და აქვთ ტაქტიკური გათვლების უნარი, გააჩნიათ სოციალური ურთიერთობების საოცრად დიდი უნარი, რაც განაპირობებს ინტელექტის მაღალ დონეს, შეუძლიათ ფერების გარჩევა (არჩევენ ყვითელ და ცისფერ ფერებს), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ძალიან ხისტები არიან და ძნელად ეჩვევიან ახალს. დღემდე ვერ გამიგია, თუ რატომ მშობიარობს იმ ბუნაგში, სადაც ერთხელ უკვე წაართვეს ლეკვები, ან რატომაა მიბმული ერთ ბილიკს, როდესაც ამ

ბილიკზე ხაფანგებია? ისინი ტერიტორიული ცხოველები არიან და საოცარი მეხსიერება აქვთ; მათ ბილიკზე რამდენიმე სანტიმეტრითაც რომ გადააადგილო ქვა, იმასაც ხვდებიან, მაგრამ სამაგიეროდ მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში ახსოვთ საკუთარი საკუჭნაოების ადგილმდებარეობა. რატომაა ასე? ვერსიაც კი არ გამაჩნია."

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, თავიდან არ იცოდა. მთავარი, რაც ტყეში პირველი შესვლიდან გამოიტანა, იყო არა მეთოდიკა, არამედ ძირითადი პრინციპები, თუ როგორ ემუშავა. ძალიან ეხმარებოდა ის, რომ ფიზიოლოგიური განათლება ჰქონდა, რადგანაც მგლებთან მუშაობისას, უნდოდა თუ არა, ქცევის ფიზიოლოგიურ მექანიზმებზე ფიქრობდა, იმაზე, თუ ტვინის რა სტრუქტურებს შეეძლოთ ამა თუ იმ ოპერაციაში მონაწილეობის მიღება. მან ისიც იცოდა, რომ ცხოველს ამოცანას რომ აძლევდა, ის მისთვის ეკოლოგიურად ადეკვატური უნდა ყოფილიყო. ის იგონებდა ლეკვებისათვის ბუნებრივ მაწოვარებს, როდესაც ხელით კვების დროს ლეკვებს შეეძლებოდათ რძის თანაბარი მოწოდების რეგულირება, საკუთარი ხელით აწყობდა ველურ პირობებთან მიახლოებულ ვოლიერებს, რადგანაც ხვდებოდა, რომ ცხოველის ქცევის სირთულე ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გარემოში უხდება მას არსებობა, მეგობრების დახმარებით აწყობდა ალბათ მხოლოდ მისთვის გასაგებ და გამოსადეგ ელექტრონულ ხელსაწყოებს, და კიდევ რას არ აკეთებდა... მგლების პირველ ოჯახზე დაკვირვების სუფთა დრო 1500 საათს შეადგენდა. „მაგრამ, აი, დამთავრდა ექსპერიმენტი და მერე რა? – კითხულობს იასონი, – ან უნდა გააჩუქო, ან კიდევ..." ეს, რა თქმა უნდა, გამორიცხული იყო, შესაბამისად, მას მუშაობა უნდა გაეგრძელებინა ველურ ბუნებაში გასაშვებად მეთოდის შესამუშავებლად და მათთვის ისეთი ქცევითი ტრადიციები ჩამოეყალიბებინა, რაც თაობიდან თაობაში შეიძლება გადასულიყო. მაგალითად, და ეს ძალიან საინტერესოა, ერთ დღესაც დადგა მომენტი, როდესაც მას ადამიანზე და შინაურ ცხოველზე მგლის გ ა ნ რ ი დ ე ბ ა ზ ე უნდა დაეწყო მუშაობა. თუ მგელი შინაურ ცხოველს ესხმის თავს, ამის მიზეზი, როგორც წესი, ადამიანია. მშობელი არასდროს არ უშვებს წინ თავის ლეკვს, ამიტომაც დაგებულ ხაფანგებშიც პირველად ისინი ხვდებიან. უდედმამოდ დარჩენილმა ლეკვებმა კარგად ნადირობა ჯერ არ იციან. მათ მტაცებლური ქცევები უკვე ჩამოყალიბებული აქვთ, მაგრამ ველურ ნადირზე სანადიროდ საკმარისი არც ფიზიკური ძალა აქვთ და არც ილეთების არსენალი. ამ დროს მას ირმის წაქცევა ჯერ არ შეუძლია, ამიტომაც გადის შინაურ ცხოველთან. ამის შემდეგ თუ გადარჩა, ის თავის ლეკვებსაც შინაურ ცხოველებზე გაზრდის (იასონს მიაჩნია, რომ თუ საერთოდ მგელზე ნადირობაზეა საუბარი, სწორედ ასეთი მგლები უნდა შემცირდეს ველურ ბუნებაში). სრულფასოვანი განრიდების ჩამოსაყალიბებლად, საშუალოდ, ორმოცი დღეა საჭირო და ამ დროს სულ მგელთან უნდა იყო. ადამიანის შემთხვევაში, განრიდების სწავლა მრავალფეროვანი უნდა იყოს, რადგანაც ადამიანი სხვადასხვა სახით შეიძლება მოევლინოს ცხოველს. ამიტომაც ამ დროს მის ასისტენტებს ხან ჩანთა ეჭირათ ხელში, ხან ჯოხი, ხანაც თოფი... (ის მხოლოდ უცხო ადამიანებზე უმუშავებდა ცხოველებს განრიდებას, რადგანაც თავის თავზე რომ გაეკეთებინა ეს, სრულფასოვან დამკვირვებლად ვერ დარჩებოდა). მგლებს კისერზე დისტანციურად სამართავი ელექტროსტიმულატორი ეკეთათ. როდესაც ისინი რამდენიმე მეტრში უახლოვდებოდნენ ადამიანს ან შინაურ ცხოველს, იასონი ელექტროსტიმულატორის მეშვეობით აჩერებდა მათ. ასე გრძელდებოდა თვეების განმავლობაში. პარალელურად, იმაზეც უნდა ეზრუნა, რომ მგლების ოჯახი ველურ ბუნებასაც მიჩვეოდა, ამიტომაც, პერიოდულად გაყავდა ისინი ვოლიერებიდან და მერე ისევ უკან აბრუნებდა. ერთხელაც, როდესაც ისინი ველურ ბუნებაში იყვნენ, მისმა მგლებმა შველი მოინადირეს. ეს უკვე იმის მანიშნებელი იყო, რომ მათ დამოუკიდებლად არსებობა შეეძლოთ. „ძალიან უჭირდათ თქვენთან განშორება?"– ვეკითხები. „საბოლოოდ რომ ვუშვებდი, ერთი დღე მათთან ვრჩებოდი, მეორე დღე კი არა და ასე ერთი კვირის განმავლობაში, – მიხსნის ის, – მერე რამდენიმე დღე არ გავყევი. ისინი ტყეში მარტო დარჩნენ. მეც ტყეში ვრჩებოდი, ოღონდ კარავში ვცხოვრობდი. ჯერ ორი დღის შემდეგ მოვიდნენ, მერე სამი დღის შემდეგ. შემდეგ რამდენიმე დღე არ გამოჩენილან. დავიყმუვლებდი, მოვიდოდნენ, მომეფერებოდნენ და ისევ მიდიოდნენ. ამ დროს რაღაც დონეზე იზრდება სოციალური დისტანცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე მათთან კონტაქტი დავკარგე." ველურ ბუნებაში გაშვებულ მგელს ქეჩაგადაკრულ საყელოს უკეთებდა წარწერით: „ამ მგლის მომკვლელი მიიღებს ორჯერ მეტ ფულს, ვიდრე მას სახელმწიფო პრემია ჰპირდება." რატომ? „თუ ჩემი მეთოდიკა მუშაობდა, მონადირეებს ვერც ერთი ჩემი მგელი ვერ უნდა მოეკლათ." არც ერთი მგელი არ მოუკლავთ.

როდესაც თავის მგლებს ველურ ბუნებაში უშვებდა, იცოდა, რომ მარტო ყმუილი არ უშველიდა საქმეს, ამიტომაც ლეკვებს სხვადასხვა კომბინაციით აჭრიდა ფრჩხილის ფალანგებს, ხან ერთ თათზე ხან მეორეზე, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ნაკვალევით მოეძებნა. ერთხელ, მეორე ოჯახის ტყეში გაშვებიდან ცხრა წლის შემდეგ სწორედ ასეთ ნაცნობ კვალს გადააწყდა. ორი კვირა დადიოდა და ყმუოდა. მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გამოვიდა წყვილი. არ მიეკარნენ. უკვე ბებრები იყვნენ, გამხდრები, გაცვეთილი კბილებით. ალბათ მოზრდილ ცხოველებზე ნადირობა აღარ შეეძლოთ და მინდვრის თაგვებით იკვებებოდნენ. არ მიეკარნენ, მაგრამ მის დანახვაზე მგლური კუნტრუში დაიწყეს. თხუთმეტიოდე მეტრის დაშორებით ჩაურბენდნენ და ჩამოურბენდნენ. ახსოვდათ და ასე გამოხატეს მასთან შეხვედრის სიხარული.

მწყემსების კარავი. დღე.

გაშლილი არემარე. კარავთან კოცონის გარშემო კაცები სხედან და საუბრობენ. მწყემსები არიან. ფილმის მთავარი გმირიც მათთანაა. რაღაცაზე კამათობენ.

პირველი მწყემსი: რას ამბობ, კაცო, შენ აქ მგელს მაიყვან და ი მგელი ჩემ ცხვარს არაფერს დაუშავებს?

კაცი: არაფერს. ხომ გითხარი, ათ ცხვარზე დავნიძლავდეთ მეთქი...

მეორე მწყემსი: მააყვანინე თომა, გამოვყრუვდით კაცო, გავერთობით მაინც...

პირველი მწყემსი: გაერთობი რა, ცირკია... შენი ცხვარი იყოს. ჩემები ყოველი ძილის წინ მეუბნებიან, – ოღონდ მგელი არ დამანახო და სამჯერ უფრო მეტს მატყლს და ხორცს ჩაგაბარებთო.

კაცები იცინიან.

მეორე მწყემსი: ჯანი გავარდეს, ჩემი ცხვარი იყოს. იცოდე, რაიმე რომ დაუშავოს... მაიყვა, სადაა ი შენი მგელი?

მიგდებულ ცხვარს დახედავს და ისიც მწყემსებს უერთდება. სხედან ჩუმად, მოლოდინით სავსენი, დაძაბულები...

მგელი მალე გამოჩნდება. ჩამავალი მზის შუქზე ალბათ იმაზე დიდი მოჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. ძუნძულით უახლოვდება ტრიალში უპატრონოდ დარჩენილ ცხვარს, მაგრამ ახლოს რომ მიდის, ნაბიჯს ანელებს. ცხვარი მგელს თვალს არ აცილებს. შემდეგ კი თამამად წაბაკუნდება მისკენ.

მეორე მწყემსი: სად მიდიხარ, მაგენატრა არა, შე შობელძაღლო!

დისტანცია ცხვარსა და მგელს შორის მცირდება. მგელი უკვე აღარ მოძრაობს. ის დგას და ელოდება, მაგრამ მის უძრაობაში რაღაც უცნაური შიში შეიმჩნევა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გაქცევა უნდა, მაგრამ ყველაფერს. უბრალოდ, ვერ მოასწრებს. არა მარტო თავის მგლებზე მოყოლას, არამედ ვერ მოასწრებს მომიყვეს ველურ მგლებთან და სხვა ცხოველებთან მუშაობაზეც. ბოლოს და ბოლოს ის თავის ახალ წიგნს ასრულებს, სადაც ალბათ თვითონ მოყვება ყველაფერს. მე უკან ვიხედები და ჯერალდ დარელის წერილს ვუყურებ. „ეს წერილი ყველა ჯილდოს მირჩევნია," – მეუბნება ის და ეშმაკურად ეღიმება, ალბათ ისე, ერთხელ სკოლაში ხმელ წიწაკებს ცეცხლი რომ წაუკიდა და კინაღამ მთელი კლასი გაგუდა მწარე ბოლით. მითხრა, ერთ წიგნში წავიკითხე, ასე ინდიელები აკეთებდნენ ხოლმეო... მე უკვე სერიოზულად ვნანობ იმაზე, რომ ქართული კინოინდუსტრია აღარ არსებობს,

დისტანცია ცხვარსა და მგელს შორის მცირდება. მგელი უკვე აღარ მოძრაობს. ის დგას და ელოდება, მაგრამ მის უძრაობაში რაღაც უცნაური შიში შეიმჩნევა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გაქცევა უნდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა აჩერებს ადგილზე. ცხვარი კი სულ უფრო და უფრო ახლოს მიდის მასთან.

კაცი: შენი ცხვარი სადღაა?

მეორე მწყემსი: მიდი, მაიყვა... ცოტა მჭლე შეარჩიე, კაცო!

მესამე მწყემსი: მჭლე რა, თუ ეგრეა შენ დაუწექი იმ მგელსა...

მეორე მწყემსი: ხმა, თორემ მე ვიცი ვისაც დავუწვენ...

მწყემსები ისევ იცინიან. ახალგაზრდა ზლაზვნით წამოიმართება და კარვის უკან გადის. კაცი დგება, ტანსაცმელს ჩამოიფერთხავს და კოცონს სცილდება. ოციოდე მეტრში ჩერდება და ელოდება. მალე ახალგაზრდა მწყემსს მხრებზე შემოგდებული ცხვარი მოჰყავს, კაცისკენ მიდის და მის ფეხებთან მიაგდებს ცხოველს.

კაცი: წადი, იმათთან დაჯექი...

ახალგაზრდა სწრაფი ნაბიჯებით სცილდება.

კაცი ჯერ მწყემსებს გადახედავს, შემდეგ კი მოულოდნელად რაღაც უცნაურ კილოზე წამოიყმუვლებს. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მერე ფეხებთან

ცნობისმოყვარეობა აჩერებს ადგილზე. ცხვარი კი სულ უფრო და უფრო ახლოს მიდის მასთან. ხუთი მეტრი, ოთხი, სამი, ორი... უეცრად მგელს მუხლები ეკვეთება და ცხვრის წინ იშოტება. ეს სცენა სულ რამდენიმე წამის განმავლობაში გრძელდება, მერე კი მგელი ფეხზე წამოხტება და სირბილით ეფარება თვალს, თან წამდაუწუმ იყურება უკან...

კარავთან ყველანი დუმან. ბოლოს ცხვრის პატრონიღა ახერხებს რამდენიმე სიტყვას: ცხვარი კი არა, მუჰამედ ალი მყოლია, კაცო... დაინახეთ, რა გაშოტა?

...მე ვიცინი. „რა მექნა, – მეუბნება ის, – საკმარისი ფული არ მქონდა და ასე ვმამაძაღლობდი. ბევრი ნაძლევი მომიგია." ეს ისე, გასართობად.

ოთახში ცხელა... მე უკვე ვიცი, რომ ამ ადამიანის შესახებ ყველაფერს ვერ მოვყვები. ეს უბრალოდ წარმოუდგენელია. ვერც იასონი მომიყვება თორემ სწორედ კინოშია შესაძლებელი ამ ადამიანის ცხოვრების მოყოლა. მერე კი მახსენდება, რომ არის ერთი რამ მის მონათხრობში, რასაც კინო ვ ე რ დააფიქსირებს. ეს მისი და მგლების პირველ კონტაქტს ეხება ბორჯომის ნაკრძალში. თუ გახსოვთ, ვთქვი, პირველი შეხვედრისას ძუ მგელს დიდი ინტერესი არ გამოუჩენია მის მიმართ, მხოლოდ ხვადი გამოემართა მისკენ-მეთქი... შემეძლო ბოლომდე მომეყოლა, მაგრამ გადავწყვიტე, ეს სცენა ბოლოსთვის შემომენახა. მაშ ასე, ხვადი მისკენ გამოემართა, თითქმის ხუთი მეტრით მიუახლოვდა და შეჩერდა. მანამდე იასონი ასე ახლოს არ მდგარა მგელთან. რამდენიმე წამის განმავლობაში ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და თვალმოუშორებლად უყურებდნენ ერთმანეთს. „ენა დამიბუჟდა, – მეუბნება იასონი, თვალებს ხუჭავს და იმეორებს, – შიშისგან ენა დამიბუჟდა."

N50, ივნისი 2009

მაია

ავტორი: სალომე კიკალეიშვილი
ფოტო: დავით მესხი

ეზოს თაღიანი გამოსასვლელიდან ბავშვებთან ერთად სწრაფად გამოვიდა და 6 წლის ანასტასიას და 4 წლის დიტოს მაგრად ჩასჭიდა ხელი. ხატია და ნატა, როგორც უკვე უფროსები, უკან მოყვებიან, ანასტასია და დიტო კი ცდილობენ, ფეხი ააყოლონ დედის დიდ ნაბიჯებს და მაკარონებივით ჩხირ ფეხებს ორჯერ სწრაფად, ლამის ჰაერში ასავსავებენ. არა, მაღვიძარამ კი დარეკა, მაგრამ ახალ ჩაძინებულმა როდის მიაჩუმა აწკრიალებული ტელეფონი, აღარ ახსოვს. გზის მეორე მხარეს თავისი პატარა დაჯგუფებით გადმოვიდა და გაჩერებული ავტობუსის ნომერს დააკვირდა. უფროსმა გოგოებმა სწრაფად იპოვეს ცარიელი სკამები და ნამძინარევი თვალებით ფანჯარას მიაშტერდნენ, მაიამ კი ოთხეულის ყველაზე პატარა წევრები ერთ სკამზე მოაკალათა და თვითონაც იქვე, კუთხეში დადგა. გადაამოწმა, – ხომ ყველანი ამოვედითო, – და დიტოს აჩაჩული ცისფერი ბრიჯის ტოტი ჩამოუწია. სამივე გოგო ბაკურ სულაკაურის სკოლაში სწავლობს: ანასტასია პირველ, ნატა მესამე და ხატია მეხუთე კლასებში არიან. დიტო სკოლის შენობის მეორე მხარეს – ბაღში დადის და ილიასთან მეგობრობს, მაია იმავე სკოლაში დაწყებითების პედაგოგია. ასე რომ, მარტივი არითმეტიკაა – თუ აგვიანდება ერთს, აგვიანდება ყველას. ბაზართან ავტობუსი კიდევ უფრო ანელებს სვლას, ერთ სკამზე შემოსკუპებული დიტო და ანასტასია თვალებს აძრობენ პლასტმასის „სპაიდერმენს“, მაია ფანჯრიდან აკვირდება ჯმუხ მამაკაცს, რომელიც ტყავგაუცლელი ხორცის ნაჭრებით სავსე პატარა, ჩაშავებულ ურიკას მოაგორებს. სავალ გზაზე გამოსული მემწვანილეები, ქალები, ზურგზე წამოკიდებული დაზოლილი ჩანთებით, ძირს დაყრილი საჭმლის ნარჩენები, გაუთავებელი სიგნალი... – უკვე მერამდენედ იწყება დღე ამ სურათით. და ეს სუნი... ავტობუსის ოდნავ შეღებული ფანჯრებიდან თითქოს ჯიბრზე, ხარბად რომ შემოდის... შხხ, შხხ – საიდანღაც ნიჩბების ხმა ისმის. რატომ ეცნობა? რა ახსენდება?... თოჯინა.

საათობით შეეძლო ფანჯარასთან მდგარიყო და თვალდაუხამხამებლად ეყურებინა ნაგვის მანქანისთვის, იმ ნიჩბებმომარჯვებული კაცებისთვის, რომლებიც ხმაურით ყრიდნენ ბუნკერიდან ნიაღვარივით წამოსულ ნაგავს დიდ საბარგულში. უსასრულოდ შეეძლო ესმინა ასფალტზე გახოხიალებული ნიჩბისთვის... შხხ, შხხ... ტანსაცმლის ნაკუწები, რძის ქილები, საჭმლის ნარჩენები – ის, რაც ადამიანებმა მოიშორეს და სხვაგან უნდა წავიდეს, სადღაც, სხვა მიმართულებით... სულ უნდოდა იმ გროვაში თავისი სახლის ნაგვისთვის მიეგნო, რაღაც საკუთარი ეპოვა. იმ დღესაც ჩვეულებრივად მივარდა ფანჯარას, რომ... ჩემი თოჯინა? რა უნდა აქ? მის დაუკითხავად გადააგდეს? ამაზე ფიქრობდა, რომ ნიჩბის ოსტატურად მოქნევა და თოჯინა ჭრელა-ჭრულა გროვაში გაუჩინარდა. ხმა ვერ ამოიღო. დამუნჯდა. არც დედას უსაყვედურა. გაბრაზდა, ეწყინა – ყველაფერი ერთად დაიძრა. ფურცელი აიღო და ზედ რაღაც დაწერა. რაღაც სტროფები, როგორც ლექსში.

ეგონა, რომ ყველა ასეა, გარედან ხარ მოწესრიგებული, დამჯერი, ლამის საუკეთესო, შინაგანად კი – ვულკანი იფრქვევა, ათასი ფოიერვერკი ერთდროულად ფეთქდება; ანუ, გარედან ნორმალური, შიგნიდან – სრულიად შეშლილი. ამ ორ პოლუსს მისი მშობლების სრულიად განსხვავებულ ხასიათს აბრალებდა; დედა – კეთილი, წყნარი, თბილი, მამა – ნიჭიერი, ურთულესი, ცოტათი მძიმეც...

ყოველთვის ცდილობდა, ყველასნაირი ყოფილიყო, არასდროს და არავის გამოერჩია. როგორც კი ერთხელ, ვიღაცის ნათქვამს მოჰკრა ყური, – ეს გოგო მგონი უცნაურიაო, – მაშინვე ჩაიკეტა, თითქოს დაპატარავდა კიდეც, როგორც ლოკოკინა, შევიდა, სიღრმეში შევიდა და გაუჩინარდა, გაფერმკრთალდა. დაძაბული იყო, არ უნდოდა, რომ ის, რაც მის შიგნით ხდებოდა, ვინმესთვის ხილული ყოფილიყო. სულ მონდომებით და წარმატებით თამაშობდა. ყოველი დღე სცენაზე ახალი სპექტაკლის სათამაშოდ გასვლას ჰგავდა; თამაშობდა იმას, რომ აინტერესებდა კლასელი

გოგოების ამბები, მათი ხუმრობები; თამაშობდა, რომ აინტერესებდა მათთან მეგობრობა... სინამდვილეში კი ერთი სული ჰქონდა, როდის გამოიპარებოდა სკოლის ჯმუხი შენობიდან, აირბენდა პატარა, უკაცრიელ მთაზე და იმ ჟანგიან, ზამბარებიან საწოლზე, რომელიც ოდესღაც ვიღაცას გადმოუგდია, ენერგიულად და ძალიან ძლიერად დაიწყებდა ხტუნვას. რა მაგარი იყო ფრენის განცდა... მაშინ გრძნობდა, ის არ არის ჩაკეტილი, ის არ არის უცნაური... ყველაზე ღია და გახსნილია, ისეთი, რომ საკუთარი სხეულიდან გამოსულ მზის სხივებსაც კი ხედავდა. მიხვდა, მაია არის ორი: ერთი ყველასთვის და მეორე – თავისთვის.

„– დღემდე ასე ვარ, – გაიფიქრა თავისთვის და ბავშვებს დახედა, – ესენი თითქოს სხვანაირები არიან. აი, უფროსი, ხატია უფრო მეტად მგავს, თითქოს ყველაფერი სწორედ მას, როგორც პირველს, გარეთ გამოვატანე. არც მახსოვს, როდის ვიყავი ბავშვი, იმის შეგრძნება, რომ პატარა ვარ, არასდროს მქონია. მხოლოდ დიდების სამყაროთი ვცხოვრობდი, მთელი ბავშვობა მათ ვაკვირდებოდი, როგორ ცხოვრობენ, რას აკეთებენ. ახლა კი, როცა გავიზარდე, ყველაფერი უკუღმა მოტრიალდა...“ არავის ეუბნებოდა, მაგრამ სულ იცოდა, რომ პოეტი გახდებოდა. წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, რა უნდა ეთქვა პირველი მსმენლისთვის. ის ხომ საკუთარ ბავშვობას ჰპირდებოდა, – ჩემს პირველ გამოსვლაზე შენ ძალიან დიდ მადლობას გადაგიხდიო. ბაღის დროინდელი დაპირება რამდენიმე წლის წინ შეასრულა, როდესაც მისი ლექსების პირველი კრებული „ცხადის გადაფარვა“ გამოვიდა.

– აბა, დროზე, ჩავედით, – უცბად წამოყარა ბავშვები სკამიდან და ავტობუსის ბოლოში უფროს გოგონებს ანიშნა, – ჩავედითო.

ქუჩა სწრაფად გადაირბინეს და სახლებს შორის ატალახებულ გზას სირბილით ჩაუყვნენ. სკოლის შენობასთან არც ერთი მანქანა აღარ დგას – ესე იგი მართლა დაგვაგვიანდა. ჩქარა, ნატა, მოკიდე დიტოს ხელი და შეიყვანე ბაღში, თან ისე, რომ მასწავლებელმა დაინახოს; შენ – ანასტასიას გახედა, – შევარდი კლასში; ნატა... ნატა, დროზე ამოდი, დღეს ტესტებს გაწერინებთ, ხომ იცი?; ხატია, აირბინე რა...“. სულ რაღაც 2 წამი და, ბავშვებით აჩონჩხლილი მაია სკოლის დერეფანში შევარდა.

– ვაა, მაია, მოხვედი? ერთ-ერთი ოთახიდან მესამე კლასელი ნიკოლოზი გამოვიდა. იცი, მაია, მე უკვე დავწერე ბუნებაში ტესტი!; – აღფრთოვანებული ვარ, ნიკოლოზ, შენით, მართლა, დღეს ხომ შენი დაბადების დღეა, – ეუბნება და თან ჯინსის ქურთუკს იხდის, – 9 წლის გახდი და იცი, როგორ გეტყობა? სულ სხვა ხარ, მართლა; ნიკოლოზი ქვემოდან უყურებს – აუ, მაია, ანას ეტყვი, რომ მე დღეს შევიცვალე? კარგად ვიქცევი და რომ შენ ჩემით აღბრთხოვანებული ხარ, ეტყვი ხომ?; ჰო, ეტყვის, აბა, რას იზამს, ნიკოლოზი ხომ მთელი დასვენებები ანას კლასის კართანაა ატუზული. აი ახლაც, ოდნავ შეღებულ კართან დგას და მოცუცქნულ ანას ცალი თვალით აკვირდება. მაიამ ქართულის ტესტები დაარიგა და დერეფანში გამოვიდა. პირველად მასწავლებლობა 51-ე სკოლაში დაიწყო. ერთი წელი იყო იქ, მაგრამ რომ ჰკითხო, – როგორი იყოო, – ჩემი შავი ლაქაოო, – გიპასუხებს. არ ახსოვს, რას აწერინებდა, რას ასწავლიდა. მთავარი მხოლოდ და მხოლოდ ემოცია იყო. ძალიან არ უნდოდა თავის მასწავლებლებს დამსგავსებოდა, რომლებიც საშიშ არსებებს ჰგავდნენ – არ გიცნობდნენ, არ იცოდნენ, რა ხდებოდა შენს თავში და გამუდმებით რაღაც კითხვებზე ითხოვდნენ პასუხებს. რა საშინელება იყო... მხოლოდ თავისუფალი თემების წერა უყვარდა, აი, მაშინ ხდებოდა თავისუფალი, დაუმორჩილებელი, უკონტროლო. ამიტომ პედაგოგობა თავისუფალი თემებით დაიწყო. მართალია, მაია დაწყებითებს ასწავლიდა, მაგრამ მაინც. ამის გამო იყო, რომ ჯერ დროზე ადრე, სულ ფართხაფურთხით მივიდა ასო ჰ-მდე და მეორე დღესვე თემების წერა დაავალა ბავშვებს. ერთი სული ჰქონდა, სწრაფად აეხსნა პროგრამის მასალა, რომ მერე მათთან ესაუბრა, დასაწერად თემები მიეცა... ზოგჯერ ვერის პარკშიც გადაჰყავდა, სასუსნავსაც ყიდულობდა რამეს. თუ ვინმეს მშობელი დააგვიანებდა, თავად მიჰყავდა სახლში. არასდროს ჰქონია გეგმა-კონსპექტი, არ იცოდა, რანაირად და როგორ უნდა ელაპარაკა მშობელთა კრებაზე; არც სამასწავლებლოში შედიოდა და ვერც სხვა მასწავლებლებთან ლაქლაქით ირთობდა თავს. მარტო იყო ხოლმე, თავისთვის. ახლაც ასეა. ზოგჯერ ჰგონია, რომ ხალხთან მხოლოდ იმიტომ ურთიერთობს, რომ ასეა საჭირო. ეს ისევ სპექტაკლის თამაშს ჰგავს. მობილიზებულია და ლაპარაკისას სულ აკონტროლებს, რა დოზით შეიძლება იყოს თავისუფალი, რომ სწორად გაიგონ, რომ არ დაამძიმოს მოსაუბრე. „თითქოს დღეს ითვლება, რომ კომუნიკაბელური ვარ, მაგრამ ამ დროს საშინელი დისტანცია და აუწერელი მარტოობის განცდა მაქვს. ვკონტაქტობ გულით და ტვინით სულ მარტო ვარ“.

ბავშვების თავისუფალი თემები დღემდე თავის ოთახში, ლექსებთან ერთად უყრია დიდ პარკებში. როგორც ნატამ თქვა, – 7 ან 25 ასეთი პარკი მაინც აქვსო. აი, ახლაც დერეფანში ზის და კალთაზე დაყრილ ძველ ფურცლებში იქექება – „ძალიან მიყვარს ყავისფერი, იმიტომ რომ ის, ბოლოს წინა ფერია და, საერთოდ, მე ყველაფერი ბოლოს წინა მიყვარს“. მეორეს კი თემა „რას არ ვიზამ არასდროს“ ასე დაუწყია, – „არასდროს მოვკლავ კაცს. არასდროს დავგლეჯ ფოთლებს“. – მაია, ქართულიც მოვრჩი – იუბილარი ნიკოლოზი ისევ ყველაზე ადრე გამოვიდა კლასიდან. მაია... მაია?

რა ახირება იყო, მამამისი მთელი ბავშვობა ნაჩუქარ წიგნებს „ჩემს სალომესო“ აწერდა, დედა კი ამბობდა, – ელისაბედი მინდოდა გრქმეოდაო. კი მაგრამ, მაშინ ვინ მოიტანა ეს მაია? არა, არც მაიას მოსწონდა – მ ა ი ა. ზედმეტი სიმრგვალის გამო არ მომწონს, მინდა, მეტი კუთხოვანება იყოს ამ სახელშიო, – უთქვამს ერთხელ ვიღაცისთვის. მამა რთული

იყო, ახლაც ასეთია. დედა? დედა 9 წლის წინ გარდაიცვალა. მერე რა, რომ ახლა 40 წლის არის, მაიას ხომ მთელი ბავშვობა ეშინოდა უდედო ბავშვების... ერთხელ თქვა – წარსულიდან, განვლილი ცხოვრებიდან ვერაფერს ვირჩევ, ვერაფერზე ვახდენ ფოკუსირებას, იმდენად ირევა დროები ერთმანეთშიო, მაგრამ მისი ნაცნობი ყველა უდედო ბავშვი ისე კარგად ახსოვს, ისე ნათლად... ზუსტად იცის იმ ბავშვებიდან ვის, სად ედო დედის ფოტო, როგორ ჩარჩოში.

დედასთან არასდროს გახსნილა. ის არც იცნობდა მაიას. რა უცნაურია... ისეთი გასაოგნებელი სიმშვიდე მოვიდა მისი გარდაცვალების შემდეგ... ტელეფონით ელაპარაკა, – დღეს ვერ გამოვალო. მაშინ ნატა დღეების იყო, და, არ ეჩვენებინა მისთვის თავისი მე, თავისი შინაგანი სამყარო. გრძნობდა, რომ როგორც კი რაიმე არაორდინალურს იტყოდა ან გააკეთებდა, დედა ფრთხებოდა, ნერვიულობდა, აი მაშინაც... როგორ ურტყა დედამ კედელს თავი, – რა გემართებაო!... ეს კი იდგა გვერდზე და ვერაფრით ამშვიდებდა. ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. მაშინ მაია პედაგოგიურზე სწავლობდა, 18-19 წლის იქნებოდა. პირველი კლასიდან, აი იმ თოჯინიდან მოყოლებული, წერდა ლექსებს, მაგრამ არავის უჩვენებდა. მთელი თავისი სათქმელი, სიხარული თუ მწუხარება ცალხაზიანი რვეულის ფურცლებზე გადაჰქონდა და სადღაც ჩურთავდა. მწერლების ოჯახში მოხვდა, უფრო სწორად თვითონ დაუმეგობრდა და მთელი

იქ, იმ ტანსაცმლის კარადაში მისთვის ნამდვილი სიმშვიდეა. მას შემდეგ, რაც გათხოვდა, ეს კარადა აღმოაჩინა და... **ეს უფრო მეგობართან ყოფნას ჰგავს, მეგობართან, რომელიც არ გყავს.**

დამტოვებელიც არავინ ჰყავდა. თან რა უნდა მოსვლოდა დედას, ჩვეულებრივი ფილტვების ანთება ჰქონდა. ბავშვს ძუძუს აწოვებდა და რატომღაც დედაზე ლექსის დაწერა მოუნდა.

არა, ასეთ ექსტრემალურ პირობებში მაიასთვის ლექსის დაწერა არც ახლაა უცხო, ხან აბაზანაში წერს და ხან თავის კარადაში შემძვრალი. დაწერა დედაზე, ფანჯარაზე, რომელსაც ის აღებს, რადგან ჰაერი არ ჰყოფნის... დედას სუნთქვა უჭირსო. ცოტა ხანში დაურეკეს, მაიასთან ტელეფონზე ლაპარაკის შემდეგ სულ რამდენიმე წუთში გარდაცვლილა, თან ფანჯარა გაუღია, ჰაერი არ ჰყოფნიდა. ის ლექსი ვეღარ დაამთავრა, იმ დღეს კი მაინც მივიდა დედასთან თოთო ნატათი ხელში. ცოტა ხნის წინ ვიღაც ქალს მიამსგავსა, თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა და სასწრაფოდ ჩამოვიდა ავტობუსიდან.

უფრთხილდებოდა, სულ ცდილობ-

ერთი წელი ლამის მათთან იცხოვრა, არადა, სახლში იტყუებოდა, – ინსტიტუტში მივდივარო. არა, არ ლაპარაკობდა, წერილებს უწერდა. ახლაც ახსოვს ის განცდა, მათ სახლთან მიახლოებისას თითქოს ვმუნჯდებოდიო და... წერილებს უტოვებდა კარებში, მაგიდაზე, თაროებზე... მიჰქონდა და უტოვებდა ლექსებს, თავის გასაიდუმლოებულ პოეზიას, ვინ მოთვლის ლურჯი მელნით აჭრელებული რამდენი ფურცელი დაუტოვებია. მაგრამ ეს ყველაფერი ერთ დღეს შეწყდა, როდესაც იქ, სრულ გაურკვევლობაში მყოფი დედა დახვდა. წარმოიდგინა, როგორ დაიბნა ალბათ დედა, როდესაც ვიღაცამ დაურეკა, – „მობრძანდით ჩვენთან, თქვენ შვილთან დაკავშირებით საქმე გვაქვს“-ო. არადა, მთელი ეს წერილები და ლექსები, რომლებსაც იმ ოჯახში მოუყარა თავი, მისი პირველი და უკანასკნელი ამოლაგება იყო. ყველაფერი იქ იდო, იმ ფურცლებში. რა გულწრფელი იყო

გავხდე ძლიერიო. არადა, სწორედ მაშინ არ იყო, გაკვირვებულ დედას რომ უთხრეს, – ქალბატონო, თქვენი შვილი პოეტია, ნამდვილი პოეტი! ახლა ამაზე ეღიმება კიდეც.

ინსტიტუტის დროს სკოლის ჩაკეტილობა სადღაც გაქრა, თითქოს თავისი გასაღები იპოვა და საკეტი ბოლომდე გადაატრიალა. აუდიტორიიდან იპარებოდა და 301-ე კაბინეტში შედიოდა, სადაც ბიბლიოთეკიდან გამოტანილი ნოტებით უჯდა პიანინოს და უკრავდა, ბევრს უკრავდა. ძალიან უნდოდა პიანისტობა, უბრალოდ იცოდა, მისი ქაოტური ბუნებით, სადაც სიტყვა რეჟიმი და განრიგი არ არსებობდა, შედეგს ვერ მიაღწევდა, ვერ იმეცადინებდა. კიდევ კარგი, ლექსს რეჟიმი არა აქვს, – გაეღიმა უცებ თავის აღმოჩენაზე. მგონი, ახლა ყველაზე საინტერესო თავი მაქვს, – გააგრძელა თავისთვის, – განცდა მაქვს, რომ ყველაზე დიდი გულწრფელობის ხანა დამიდგა.

უფრო სწორად იმის, რომ არ მეშინია ვიყო გულწრფელი. არ მიყვარდა, როცა შიგნით ვიღაცები რაღაცებს ეხებოდნენ, ახლა ამაზე მშვიდად შემიძლია საუბარი. თუმცა, არეულობა უფრო მატულობს. შეიძლება ეს დალაგების წინა არეულობაა – იწყნარებს თავს, – როდესაც გენერალური დალაგების წინ ყველაფერს გარეთ გამოყრი, რომ მერე თითოეულ ნივთს თავისი თარო და კუთხე მიუჩინო. ყველაფერი უნდა დასუფთავდეს, მტვერი გაიწმინდოს და დალაგდეს. ალბათ მაგიტომაც მაქვს ქაოსი და სიმშვიდე ერთად. სიმშვიდე იმიტომ, რომ ვიცი, ის ამ არეულობას აუცილებლად მოჰყვება და არეულობა იმიტომ, რომ ყველა ემოცია, დედის მუცლად ყოფნის დროიდან მოყოლებული და მომავალში რაც უნდა გადამხდეს იმით დამთავრებული, ყველაფერი ერთად მაქვს გამოლაგებული. ძნელი სატარებელია ეს ყველაფერი. ძნელია ტვინზე ამით დაშენებული დადიოდე და თან, პარალელურად, გარეთ სულ სხვა რაღაცები ხდებოდეს. უნდა იყო კარგი ცოლი, კარგი დედა, კარგი რძალი, კარგი მასწავლებელი...

– აუუ, მაია, მაიაა... ნატა კისერზე ჩამოეკიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ისე შეეჩვია მაიას სკოლაში ყურებას, რომ როდესაც სახლში რაღაცის თქმა უნდა, ნატა ხელსაც კი სწევს ზემოთ და, – მაიაააა... დარწმუნებული იყო, რომ ბავშვები არასდროს ეყოლებოდა. მთელი გეგმა ჰქონდა შემუშავებული – როგორ იშვილებდა, მერე როგორ აუხსნიდა ყველაფერს. დედობა იმდენად დაუჯერებელი იყო მისთვის, რომ ქუჩაში ფეხებს უკოცნიდა პატარა ბავშვებს. მერე კი... სულ უკვირდა, როცა ეუბნებოდნენ, – ყოჩაღ, როგორ გააჩინე 4 ბავშვიო. საიდან გააჩინა? ვინ მოიტანა? რა შუაშია? ერთი დილა ახსოვს, გამოვიდა და ოთახში 4 ბავშვი დაინახა, თამაშობდნენ. მაშინ მიხვდა, – ოთხივე ჩემი გაჩენილია! გაუკვირდა. მერე ლექსი დაწერა:

„თურმე ბავშვები მცვიოდა სხეულიდან
და ახლაღა დავინახე,
სასწრაფოდ ავიყვანე ოთხივე ხელში,
როგორც წესია, სახლში შევიყვანე“...

ორი დაკარგული ადამიანი ვიყავით და ერთ დღეს ერთმანეთს შევხვდით. ერთმანეთს გზის გაკვლევაში ვეხმარებით, ხან ხელსაც კი ვუშლით, – გაახსენდა როგორ უთხრა ქმარზე რომელიღაც ჟურნალისტს, – გულწრფელად ვართ ერთად და ყოველდღიურობის სიმძიმეს სწორედ ეს მატანინებს. ერთხელ შოთასთან სტუმრად მივედი და დავრჩი. ასე აეწყო, წინ მივდივართ თუ უკან, არ ვიცი, მაგრამ სადღაც ხომ მივდივართ. მერე ამ ბავშვების ვარსკვლავთცვენაც დაიწყო და...

სიზმრებს, დიდი ხანია, აღარ ხედავს. თითქმის არ სძინავს. ერთადერთი თავისუფალი დრო ბავშვების დაძინების მერე რჩება და მაშინაც წერს, წერს ლექსებს, სიტყვებს, ფრაზებს... არადა, ადრე, ხშირად ესიზმრებოდა მაღალი, ღრუბლებამდე ასული მთა, პატარა მონასტრით კენწეროში. მისი იყო, მხოლოდ მისი. ბოსტნით და ცხვრებით ეზოში. სულ ჰქონდა სწრაფვა განმარტოებისკენ, სადღაც გაქცევისკენ... უნდოდა ეგრძნო, რას ნიშნავს იყო თავისუფალი, თავისუფალი ყველასა და ყველაფრისგან. ეს არც ბავშვობაში ჰქონია, არც ახლა... ნეტა რა ხდება მაშინ, როცა არავინ არაფერს არ გთხოვს? თუმცა, რაც ბავშვები გაჩნდნენ, ამ სწრაფვამ სიმძაფრე დაკარგა. ახლა, სადაც კი მიდის, ბავშვებიც იქ არიან, თითქოს თან დაჰყვებიან. იმ მონასტერშიც ოთხივეს ხედავს, საცოდავად კედელთან ატუზულებს.

წუხელ დიტოს და ანასტასიას რომ აძინებდა, ბავშვებს პატარა დისკუსია გაუმართავთ ჩაბნელებულ ოთახში – „რა არის სევდა“. – „დე, როცა არ ვლაპარაკობ, მაშინ რას ვამბობ ხოლმე? – უკითხავს დიტოს; – როცა არ ლაპარაკობ, არაფერსაც არ ამბობ, სულელო! – კი! ვამბობ! ახლაც რომ ჩუმად ვიყავი, რაღაცას ვამბობდი სევდაზე. მე ვიცი, რა არის სევდა. სევდა ბრტყელი და ნაცრისფერი თევზია; – არა, არა, – წამომხტარა ანასტასია, – სევდა თევზი კი არ არის, ფერადი ფანქრების ყუთში რომ ყველაზე მოკლე შავი ფანქარია, ეს არის სევდა! ესე იგი, ყველაზე ხშირად შავი ფერით ხატავ...“. ჰოდა, დღეს მესამე კლასელებს მაიამ თემა დააწერინა სევდაზე. „სევდის გარეშე სიყვარულიც არ იარსებებდა, – დაუწერია ერთ-ერთს, – დედასაც და მამასაც კი იმიტომ უყვართ თავისი შვილი, რომ სევდა აქვთ. ის ძალიან საჭიროა, მაგრამ არ განერვიულებს! აი, გაურჟოლებაც კი უფრო ძნელია და კარებში ხელის მოყოლა, ვიდრე სევდა“... მაიამ ყველა ბავშვის თემა სათითაოდ, ხმამაღლა წაიკითხა. უხმოდ ისხდნენ. მოეწონათ, რომ დიდებივით მსჯელობდნენ. მერე ჰკითხეს, – მაია, რაზე ხართ ხოლმე სევდიანიო?... ბევრი არც უფიქრია, უცებ, მისდაუნებურად ინგრიდი გაახსენდა, – „ერთი ბელგიელი მეგობარი მყავს, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, მაგრამ ახლა ცოტათი ავადაა და ისევ თავის სამშობლოში მკურნალობს“-ო. გაისუსნენ. მიხვდა, რომ ბავშვები ზედმეტად დაიძაბნენ და... ბედად, ეზოში ძალიან საყვარელი ლეკვები დაინახა. დედას ადევნებულები სასაცილოდ მიხტუნავდნენ და კუდებს სულ აქეთ-იქით აქიცინებდნენ – „ნახეთ! ნახეთ! რა გაჩვენოთ“, – წამოიძახა მაიამ და ფრაზის დასრულება ვერ მოასწრო, რომ ზუსტად 1 წუთში ისეთი ხმაური ატყდა... ყველანი ფანჯარას მისცვივდნენ, მინაზე აკაკუნებდნენ და გამალებით ყეფდნენ. მაია კი იმაზე დაფიქრდა, თუ რა დიდი სიამოვნებით იქნებოდა სევდის მასწავლებელი. სევდის, რომელიც „გაურჟოლებაზე და კარებში ხელის მოყოლაზე უფრო უმტკივნეულოა“, მაგრამ ასე მნიშვნელოვანი... ან იქნებ არც კი!..

ყვითელი ავტობუსის კარი გაიღო და ხუთივე მორიგეობით, კიბეებზე ავიდა. 4 საათია, მზე ისევ აჭერს. რა ძნელია ამ ჩახუთულ ტრანსპორტში უსასრულოდ ჯანჯღარი. მერე სახლი, საჭმლის მომზადება, ბავშვების მეცადინეობა... დრო თითქოს ჯიბრზე იწელება. ყოველთვის უკვირდა, როდესაც ესმოდა, – რა მალე გადის დრო, თითქოს გუშინ მოხდაო. მისთვის კი ყველაფერი ნელა ხდება,

აუჩქარებლად. ბავშვებიც ნელა იბადებოდნენ, ნელა იზრდებოდნენ... თითქოს დრო არის რაღაც უსასრულო სხეული, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო. სადაც წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთში ირევა და ისიც ამ მორევში ტრიალებს შეუჩერებლად.

ნუგეში... სულ მის ძებნაში იყო. შეიძლება ეს ყოფილიყო ბავშვი, რომელიც საწოლში შეუძვრებოდა, ან – ქუჩაში დანახული გვირილები, ყაყაჩო... ჰო, ის წითელი ყაყაჩო, რომელიც დედამისის საფლავზე ამოვიდა. რა უცნაურია – კიდევ ერთხელ გაახსენდა ეს პატარა სასწაული – არადა, სულ არ თბილოდა, ბალახის ნასახიც კი არ იყო არსად და იქ ეს პატარა ყაყაჩო დახვდა. ისიც კი იფიქრა, ვინმემ ხომ არ ჩაყარა ყვავილის თესლიო, – და თითით, გარშემო ამოუჩიჩქნა მიწა. არა, თავისით ამოსულა. იმდენი რამე უთხრა იმ ყაყაჩოთი დედამ... მან ხომ ყველაფერი იცის მაიაზე, როგორ ცხოვრობს დღეს, რა უხარია, რა ამძიმებს. ის ხომ მაინც ჩემთან არის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სულ რამდენიმე მეტრი გვაშორებსო.

სიკვდილზე ხშირად უფიქრია. უფიქრია მაშინ, როდესაც სახლში ყველას ეძინა და თვითონ ლექსს წერდა. ზოგჯერ მარტო იმიტომ გადაუთეთრე-

დარწმუნებული იყო, რომ ბავშვები არასდროს ეყოლებოდა. მთელი გეგმა ჰქონდა შემუშავებული – როგორ იშვილებდა, მერე როგორ აუხსნიდა ყველაფერს. დედობა იმდენად დაუჯერებელი იყო მისთვის, რომ ქუჩაში ფეხებს უკოცნიდა პატარა ბავშვებს. მერე კი...

ბია, რომ უფიქრია, – რამე რომ მომივიდეს, მერე? მერე ვინ გააკეთებს ამას? რამდენი საიდუმლოა, რომელსაც გულში, ღრმად ინახავს, იმას, რასაც არასდროს და არავის ეტყვის, თუმცა სათუთად შენახული ეს ამბები მისდა დაუკითხავად მაინც გაპარულან ლექსებში, სადღაც-სადღაც მიმოფანტულან. ზოგჯერ თითებზე გადაითვლის ხოლმე წლებს. ამდენი ხნის მერე რამდენის იქნება ნატა? ხატია? დიტო ან ანასტასია? თითქოს ცდილობს, გაიგოს, როდის შეიძლება სადღაც წასვლა, ისე წასვლა, რომ მათ დიდი ტკივილი არ დაუტოვოს, დიდებად დატოვოს.

სახლში ხმაურით შევარდნენ. ნივთები აქეთ-იქით მოფანტეს და მაშინვე ტელევიზორი ჩართეს. გოგოებმა სკამები რაც შეიძლება ახლოს მიადგეს ეკრანს და დიდი ძებნის შემდეგ რომელიღაც სერიალის რომელიღაც სერიას ჩაუსხდნენ. – კიდევ მაგას უყურებთ ხომ?! – გასძახა მაიამ სამზარეულოდან, – გამორთეთ რა! – დეე, დე, ნახე, სად ავძვერი, – გამოსძახა დიტომ და თან ორივე ფეხი მაგრად დადგა მიჯრით დაწყობილ წიგნის თაროებზე. ანასტასია მაგიდაზე აძვრა და ერთი ციცქნა წიგნის აღებას ლამის მთელი თარო გადმოაყოლა. – „ეს ვისია? ანასტასია შენია?“ გვირილის ფორმაზე გამოჭრილი ჩვეულებრივი, მწვანე რვეულია. მაია ყველა შვილს დაბადების დღეებზე თავის გაკეთებულ ბლოკნოტებს ჩუქნიდა. უჩუქებია მაშინაც, როცა ბავშვები 1-2 წლის იყვნენ, – გაიზრდებით და წაიკითხავთო. ყველა გვერდზე ლამაზი ნახატებია, თავისი მინაწერებით. ზოგან კოცნის, ზოგან – ეფერება, ზოგან – ამბებს უყვება. „დედიკო, ჩემო საყვარელო, ზოგიერთ ასოს უკუღმა რომ წერ. ისეთი სიცოცხლე ხარ, მინდა შეგისრუტო. ლ-ს შენ იცი როგორ წერ? აი, ასე – Ꙗ. ეს ჩემი საყვარელი „ლ“-ა მთელს დედამიწაზე“.

მაგიდის ქვემოდან პატარა ხელი მოჩანს, დიტოს ფაფუკი თითები ნელნელა მოიწევენ შუაგულში დადებული ფინჯნისაკენ, რომელზეც დარჩენილი შოკოლადის ფილა დევს. სანამ მაია გოგოებს ელაპარაკება და სამზარეულოში ფუსფუსებს, თითები დანიშნულების ადგილს აღწევენ, წამში ესხმიან თავს საცოდავად დარჩენილ ფილას და ჰოპ... დიტო პირის ცმაცუნით წითელ საბარგულიანი მანქანის მოსაძებნად გარბის. არა, ამაში ძალიან ჰგავს დედას. იმ დღეს არ იყო, სტუმარმა შოკოლადი რომ მოიტანა და ბავშვები დედას ეხვეწებოდნენ, – სულ არ შეჭამო, ცოტა დაგვიტოვეო. ამასობაში სერიალიც მორჩა და ნატაც „უჟასების“ მოყოლაზე გადავიდა: აი, მაია, გახსოვს, ერთხელ ბეტონს თავი რომ ავარტყი და მერე ჯაჭვები რომ არის ქუჩაში გაკეთებული, იმასაც? ხატიამ ფეხი რომ მოიტეხა თხილამურზე და მერე მე ისევ საქანელაზე რომ ვქანაობდი და თავი რომ ავარტყი ბეტონს?! ანასტასია სარაიადან რომ გადმოვარდა და მუცლით დავარდა, მერე 3 წლის რომ იყო და ჩემს დაბადების დღეზე წითელი ბუშტი რომ გვინდოდა ორივეს, ჰოდა, მე რაღაცნაირად გავარტყი და სუნთქვა რომ შეეკრა. დიტომ კიდევ იმ დღეს ბებიას წნევის წამალი რომ დალია და მერე საავადმყოფოში კუჭი რომ გამოურეცხეს... ერთხელ კიდევ დიტომ შენ რომ გითხრა, – ცხვირში რაღაც შევიტენეო, ქინდერი რომ უნდოდა და მოგატყუა. დიტო გვერდზე უდგას, ხმას არ იღებს და როგორც ყოველთვის, იღიმება. დიტო რომ გაიზრდება, ჯერ მამა გამოვა და მერე ბაბუა, მანამდე კი მულტფილმებს უყურებს და ზოგჯერ დების თოჯინებითაც თამაშობს. – დეე, გახსოვს, ანასტასია რას გავდა, რომ დაიბადა?! და მე რომ გეკითხებოდი, ეს ზანგი ბავშვი რატომ გააჩინეო?... ანასტასია ყურებამდე იღიმება და გოგოებს უყურებს. – ჰოო, დაამატა მაიამ, – წვრილი და ვერტიკალური თვალები ჰქონდა, ნამდვილი უცხოპლანეტელივით იყო. ისე, თქვენხელა რომ ვიყავი, მეც ღია ფერის თმა მქონდა, ღია, ღია, სულმთლად ოქროსფერი. მერე, რომ გავთხოვდი, გამიმუქდა და...; – კი აბა, მაშინ ქორწილის სურათზე რატომ ხარ ყავისფერი?; – მაშინ ფეხმძიმედ ვიყავი, – უპასუხა ნატას; პაუზა და ოდნავ მოჭუტული თვალებით, – ვისგან?; – აჰა, ესეც სერიალი... გაიმეორა თავისთვის მაიამ.

სანამ ბავშვები ჯერ კიდევ არ დგანან ყირაზე და ტელევიზორს უტრიალებენ, მაია თავის ოთახში გადის. იქ, იმ ტანსაცმლის კარადაში მისთვის ნამდვილი სიმშვიდეა. მას შემდეგ, რაც გათხოვდა, ეს კარადა აღმოაჩინა და... ეს უფრო მეგობართან ყოფნას ჰგავს, მეგობართან, რომელიც არ გყავს. სიჩუმეა, სიბნელე. შეძვრები შიგნით, მიიხურავ კარს და... შიგნით გამოკეტილმა ჰაერმა ყველაფერი იცის შენზე, ორმხრივი უსიტყვო აღსარებაა, უსიტყვო ნუგეში. არაფერი არ უნდა მოუყვე, ისედაც ყველაფერი იცის. ყველაფერი ნათქვამია და ამავე დროს იმდენი რამეა სათქმელი... როცა სიტყვები ფუნქციას კარგავენ, მაშინ შეძვრება ხოლმე კარადაში და ზის, ჩუმად, უსიტყვოდ. მერე? მერე ბავშვების ძილის დრო მოვა, მაია დიტოს მიუწვება და ტელევიზორს ჩასაფრებული გოგონები რომელიღაც სერიალის რომელიღაც სერიას უყურებენ. მერე სხვებიც დაწვებიან, სახლში დაბნელდება და სიჩუმე ჩამოწვება. მაიას კი არ ეძინება, ჯდება და წერას იწყებს.

ამ ბოლო დროს ძალიან აირია, ქაოტური გახდა. ალბათ ის ზამბარებიანი საწოლი აკლია, სკოლიდან გამოპარული ზედ რომ დახტოდა, – მივფრინავო. ან ის საქანელა, ძალიან მაღლა დაკიდული საქანელა, რომელზეც ძლიერად და სწრაფად ქანაობს. ხედავს, როგორ ქანაობს... მისთვის კარგად ყოფნა ტრიალს და ჰაერის შეგრძნებას ნიშნავს. ჰო, აი ის ზამბარებიანი საწოლი, ის განცდა აკლია.

„მახსოვს, როგორ დავიბადე. იმდენად ცხადად ვხედავ ამ სურათს, რომ მიჭირს, ყველაფერი ჩემს ფანტაზიას დავაბრალო. დიდი, თეთრი შუქი, ნათება... მაღალი ფანჯრები და თოვა... სიჩუმე. ეს კადრი ყველაზე მღელვარე მომენტებში ხატივით ჩნდება და პირველყოფილი სიმშვიდე მოაქვს.

არსად არ დავბრუნდებოდი; მხოლოდ იქ, იმ განცდაში, როცა დავიბადე“.

მაია სარიშვილი

რას ნიშნავს სიტყვა „ჩვეულებრივი“, გიფიქრიათ? ჩვეულებრივი არის ყველაფერი, რაც ჩვევად , ჩვეულებად გექცათ და შედეგად, არასაინტერესო, ზოგჯერ მოსაბეზრებელიც კი გახდა თქვენთვის. ჩვეულებრივი ნივთებია – თქვენი სამზარეულოს სკამი, ტელევიზორის პულტი, მოძველებული ჩაიდანი – ერთი შეხედვით ასეა, მაგრამ აბა, ეს ნივთები მოგონებათა ფერად პრიზმაში დაინახეთ? ყველაფერი იცვლება – სკამზე მამა იჯდა ხოლმე და ხმამაღლა კითხულობდა ამბებს ახალი გაზეთიდან, პულტი – იმ ტელევიზორისაა, რომელიც თქვენს მეუღლესთან ერთადშეძენილ პირველ ნივთს წარმოადგენს, ჩაიდანი – დედათქვენის მზითვიდანაა, ახლაც ასდის პიტნისა და თავშავას მოტკბო სურნელი.

ჩვეულებრივი კერძებია – ლოქო ქინძმარში, საცივი, ჩიხირთმა, ნებისმიერი, თქვენთვის ტრადიციული, სალათა თუ მწნილეული. მაგრამ აბა, სცადეთ და ჩვეულებრივი ძმრის ნაცვლად არაჩვეულებრივი გამოიყენეთ – მაგალითად, ბალზამირებული ძმარი, რომელიც თქვენი კერძების გასაკეთილშობილებლად სპეციალურ კასრებში ვარგდება წლების განმავლობაში. – ამ შემთხვევაში , თქვენთვის ნაცნობი და რიგ შემთხვევებში ბანალური კერძებიდან – განსაკუთრებულს და ეგზოტიკურს მიიღებთ.

ეს ძმარი, რომელიც მარადიულ ქალაქ რომთან, მიქელანჯელოს ფრესკებსა და შესანიშნავ იტალიურ სამზარეულოსთან ერთად იტალიის ნაციონალურ განძად შეიძლება მივიჩნიოთ, ქალაქ მოდენას მიმდებარე ვენახებში მონეული მოსავლიდან კეთდება, მხოლოდ აქაური კლიმატის შედეგად მიღებულ პროდუქტს შეიძლება ვუწოდოთ Aceto Balsamico დი Modena – ბალზამირებული ძმარი მოდენადან.

ბალზამირებული ძმრისაგან საოცრად არომატული გლაზური ჩლასსა მზადდება, ეს ტკბილ- მჟავე გემოსა და განსაკუთრებული არომატის საწებელი ერთნაირად უხდება შემწვარ კურდღელსა თუ თევზს, ნაყინსა თუ ხილის სალათს.

ამ ორივე და კიდევ უფრო მეტ საინტერესო პროდუქტს თითქმის საუკუნენახევრის ისტორიის მქონე იტალიური კომპანია „ჯონტი” აწარმოებს. ამიერიდან, ამ შესანიშნავი კულინარიული საგანძურიდან ორის – ბალზამირებული ძმრისა და მის საფუძველზე მომზადებული გლაზურის, ჩლასსა – ს დაგემოვნებას ქართველი გურმანებიც შეძლებენ.

თუ თქვენ რაიმე განსაკუთრებულის და განსხვავებულის გასინჯვა გინდათ, აუცილებელი სულაც არაა, თქვენი ქოთნის კაქტუსი, რომელსაც დიდი ხანია ელოლიავებით, აირღუმელში შეწვათ მისსავე ყვავილებთან ერთად, ამას სჯობს თქვენი საყვარელი კერძები ამ განსაკუთრებული ძმრითა და ძმრის გლაზურით შეანელოთ. შეაზავეთ ბოსტნეულისა და ხილის სალათა, მოამზადეთ მარინადი შესაწვავი ხორცისთვის, მიირთვით ნაყინი ძმრის გლაზურით, ბოლოს და ბოლოს ჩაიშიც შეგიძლიათ რამდენიმე წვეთის დამატება.

აი, რამდენიმე არაჩვეულებრივი რეცეპტი:

შემწვარი ანანასი კონცენტრირებული ძმრის გლაზურით:

მასალად საჭიროა:

ანანასი – ერთი ცალი
ბალზამირებული ძმარი- – 2 ჩაის კოვზი
ძმრის გლაზური – ერთი ჩაის კოვზი
ყავისფერი შაქარი – 2 ჩაის კოვზი
არაჟანი – 4 სუფრის კოვზი
რომი – ერთი ჩაის კოვზი

დაჭრილი და გასუფთავებული ანანასები ცოტა ხნით ჩააწყვეთ ძმრისა და რომის ნარევში, წაუსვით არაჟანი და შეწვით აირღუმელში, უკვე მზა ანანასებს მოაყარეთ შაქარი და მოასხით ძმრის გლაზური.

კურდღელი ბალზამირებული ძმრით

მასალად საჭიროა:

კურდღლის ხორცი – 400 გრამი
ბალზამირებული ძმარი – 3 სუფრის კოვზი
ყაბაყი – 2 ცალი
ქინძი, ოხრახუში, კამა
ნიორი , მარილი, წიწაკა – გემოვნებით

დაჭრილი კურდღლი ჩავხრაკოთ ქვაბში,დავამატოთ ძმარი, მოვშუშოთ, დავამატოთ წვრილად დაჭრილი შემწვარი ყაბაყი, წვრილად დაჭრილი ნიორი,მწვანილი, ავურიოთ და შევაზავო მარილითა და წიწაკით.



N57, თებერვალი 2010

რაზე ფიქრობს ურბან რეაქტორი

რუსუდან მირზიკაშვილი და ლევან ასაბაშვილი

ავტორი: ნინო ლომაძე
ფოტო: დავით მესხი

„არავინ იცის, როგორ გახდება უკეთესი ჩვენი ქალაქი, ამას მხოლოდ ლამაზი პროვინციული დასახლებების თვალიერებით, მასშტაბების ცვლით, ან ოცნების ქალაქების აგებით ვერ მოახერხებ. ამისთვის უბრალოდ, გარეთ უნდა გახვიდე და გაიარო“.

ჯეინ ჯეიკობსი

„ქალაქი ხალხისთვისაა“

ერთი ოთახი

ამაღლების ქუჩაზე, „აი, იქ, სოლოლაკს ივანიშვილის ბიზნეს ცენტრი რომ ადგას თავზე, იმის ქვემოთ“, რუსოს და ლევანის სახლში მივდივარ. ორიენტირად ჰაიტექ სტილის შენობას ვიღებ და მისამართს მაშინვე ვპოულობ. რკინის ჭიშკრით მოცუცქნულ ეზოში შევდივარ. პირდაპირ ნახევრად დანგრეულ ორსართულიან სახლს ვხედავ. მეორე სართულზე წინა კედელი მთლიანად ჩამორღვეულია და ძველისძველი შპალერი, ჭაღი და პატარა შუშაბანდი მოჩანს, სადაც რაღაც ავეჯიც კი დგას. ცხადია, იქ არავინ ცხოვრობს.

ამ ეზოში ადრე რვა ოჯახი ცხოვრობდა. სახლის ქვეშ, პატარა სარდაფშიც თურმე ქურთების მრავალშვილიან ოჯახს ჰქონდა ბინა. ძველი მოსახლეებიდან იქ მხოლოდ ლევანის ოჯახიღა დარჩა. უბრალოდ ცოტა გაფართოვდნენ და ბავშვობისდროინდელ სახლში, მეორე სართულზე, მიშენებული აბაზანით და სარეცხის გასაფენი ძველებური, გორგოლაჭიანი თოკით, მშობლები დარჩნენ. მათ ქვემოთ ლევანის ძმის ოჯახი დასახლდა. ლევანი და რუსო კი ერთი კეთილი მეზობლის სახლში ცხოვრობენ, რომლებიც კარგა ხნის წინ ისრაელში წავიდნენ საცხოვრებლად და ის ერთი ოთახი მათ დაუტოვეს. „იშვიათად ჩამოდიან, დახედავენ აქაურობას, მადლობას გვეტყვიან, ყველაფერი უცვლელი რომ ხვდებათ ხოლმე და მერე ისევ მიდიან“, – მიყვება ლევანი და ეზოს სრული აღწერის მერე სახლში მიძღვება. პატარა შუშაბანდი, ზამთრის სიცივის დროს მცენარეების დროებითი თავშესაფარია. ოთახში შესასვლელში თორას დროშა ჰკიდია. „განსაკუთრებით ეს ახარებს, რომ დროშა ისევ ადგილზე ხვდება. მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც დატოვეს, არაფერი შეგვიცვლია“.

ლევანი მშობლებთან და ძმასთან ერთად იმ ერთ ოთახში გაიზარდა, სადაც დედა და მამა დღესაც არიან. იქ ყველაფერი ძველებურადაა, ავეჯიც იგივე დგას, შპალერიც ისეთივეა, მოხატული ზემოდან. „რაღაცნაირად მიყვარს იქაურობა. მომწონს კიდეც ასეთ პატარა სივრცეში რომ გავიზარდეთ. დიდ სახლში ყველას თავისი ოთახი, მეტი პირადი სივრცე აქვს. ურთიერთობებიც სხვანაირი ყალიბდება. მე და ჩემი ძმა ხშირად ვკინკლაობდით ხოლმე, და უფრო მეტჯერ ვიდრე ეს დიდ სახლში შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ეს პატარა კონფლიქტები, ვფიქრობ, კიდევ უფრო არკვევს ურთიერთობებს, აახლოვებს ადამიანებს ერთმანეთთან“.

* * *

რამდენჯერაც წერეთელზე სტადიონის მონაკვეთს გაივლის, რუსოს თავისი „ერთი ოთახი“ ახსენდება. პატარა, ერთსართულიანი მოგრძო სახლი და ის ერთი ოთახი, სადაც დედა, მამა, ბებია, თვითონ და პატარა ძმა ცხოვრობდნენ. რაღაცნაირი ფრაგმენტული და რომანტიკულია ეს მოგონება – საწოლი, სადაც დედასთან ერთად ეძინა, მოცუცქნული სამზარეულო, სადაც ბებია ფუსფუსებდა, საერთო ეზო, სადაც მეზობელ ბავშვებთან ერთად თითქმის მთელ დღეს ატარებდა. მერე მშობლებმა დოლიძის ქუჩაზე დიდი ბინა მიიღეს და იქ გადასახლდნენ, მაგრამ ის პატარა ოთახი, ერთმანეთზე რომ ბრაზობდნენ და ერთი ომახიანი კარის გაჯახუნების, ან „სამუდამო“ გაბუტვის საშუალება არ ჰქონდათ, მაინც სხვანაირად ახსენდება. ამბობს, რომ ახალი ბინა და საკუთარი პირადი სივრცე მაშინვე რატომღაც ვერ მოირგეს. „ხშირად მაინც ერთ ოთახში ვისხედით ხოლმე“.

ეს „ერთი ოთახი“ უცნაურად ამეკვიატა. უფრო სწორად, ეს მათი ცხოვრების აკვიატება მგონია, რადგან ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, რაზეც ფიქრობენ, მუშაობენ, განიცდიან და უხარიათ, კონკრეტული თუ ზოგადად სივრცის გარშემო ტრიალებს და ყოველთვის აკვიატებული ერთი პატარა ოთახიდან იწყება.

ოთახი აკადემიაში

რუსოს რომ ვკითხე, ასე მიპასუხა, – აკადემიაში ერთი გავრცელებული მითის და ამბიციის გამო ჩავაბარეო. მითის – აკადემიაში ბოჰემური ატმოსფეროს შესახებ და ამბიციის, რომელსაც იმ მიზანს არქმევს, რაც მაშინ ჰქონდა – უნდოდა რამე მასშტაბურში, გლობალურში მიეღო მონაწილეობა. და ჩააბარა კიდეც. ლევანიც იქ გაიცნო, კურსელები იყვნენ. ისე, ზუსტად არც ერთმა არ იცოდა, რა უნდოდათ. უფრო ზუსტად, რაც იცოდნენ, დღეს ის ზედაპირული და არასერიოზული ეჩვენებათ. „სინდისი მქენჯნის ხოლმე, როცა მახსენდება, როგორი მიამიტურები ვიყავით. არადა, რამდენი რამის სწავლა და გაკეთება, შეიძლება შეცვლაც კი შეგვეძლო“. გვიან მიხვდნენ, რომ მთავარი არქიტექტურაში მისი სოციალური ფუნქცია და შინაარსი იყო და არა დიზაინი და ვიზუალური ფორმები; რომ კარგ არქიტექტურას მაინცდამაინც ბევრი ფული არ სჭირდება; რომ კონსტრუქციის ტექნიკურ დეტალებზე ყურადღების გამახვილება ძალიან მნიშვნელოვანია, მათ კი ეს დროის ფუჭ ფლანგვად მიაჩნდათ. ჰო, და გემოვნება. იმასაც გვიან მიხვდნენ, რომ ქალაქში, არქიტექტურაში და ზოგადად, ურბანულ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ადამიანები და მათი უფლებებია. მოკლედ, ეს ძიების, ცდის, წინასწარი განწყობების ნგრევის და იმედგაცრუებების პერიოდის დასაწყისი იყო. მხოლოდ ინტუიციით გრძნობდნენ, რომ რაღაც მნიშვნელოვან ხაზს აცდენილები, მეორეხარისხოვან დეტალებზე ამახვილებდნენ ყურადღე-

ბას. ფურცლავდნენ მაშინ ჯერ კიდევ იშვიათი „თაშენის“ გამოცემის პრიალა ფურცლებს და იმახსოვრებდნენ არქიტექტურულ დეტალებს. „ვერასდროს ვიმახსოვრებდი ამ მშრალ ინფორმაციას. მავიწყდებოდა არქიტექტორების სახელები, ნაგებობების აშენების თარიღები“. ალბათ სწორედ იმიტომ, რომ აქცენტს არასწორად სვამდნენ. არ იცოდნენ, რა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები უსწრებდა წინ ამ ახალი სტილის და მიმართულებების ფორმირებას. უბრალოდ იყო – მოგწონს? არ მომწონს. მე ის უფრო მომწონს. და რაც უფრო მოსწონდათ, იმის მიბაძვას ცდილობდნენ. ერთი სიტყვით, მათ ვარსკვლავობა, „მაგარი არქიტექტორობა“, ორიგინალური დიზაინების კეთება უნდოდათ. დღეს უკვირთ, რომ გვერდზე რჩებოდათ ყველაზე მთავარი – როდესაც პროექტზე მუშაობდნენ, სივრცეს ადამიანებისგან დაცლილ, ცარიელ ობიექტებად აღიქვამდნენ.

აკადემიაშიც იყო ერთი პატარა ოთახი, სადაც ბოლო კურსებზე, ლექციების გარდა, მთელ დროს ატარებდნენ. ალბათ მხოლოდ ეს ოთახი ამართლებდა რუსოს მოლოდინებს, აკადემიის სტუდენტების „მითიური ბოჰემური ცხოვრების“ შესახებ. შეიძლება ამ ოთახისთვის ღირდა კიდეც იქ სწავლა. რადგან ყველაზე მთავარი რაც ინსტიტუტიდან გამოყვათ, ის ადამიანები არიან, ვისთან ერთადაც იქ ტრიალებდნენ და კითხვები, რომლებზე პასუხის ძიებაც დღემდე არ დაუსრულებიათ. „ოთახში“ ღამე ხშირად რჩებოდნენ და ხაზავდნენ პლანშეტებზე, ფერავდნენ და მერე ერთმანეთის ნამუშევრებს არჩევდნენ. ისევ – მოგწონს? არ მომწონს. მე ის უფრო მომწონს-დისკურსში.

ლევანის და რუსოს საერთო ისტორიაც იმ ოთახიდან იწყება. თავიდან უბრალოდ მეგობრობდნენ, მერე მეგობრობას სხვა რამეებიც დაემატა და იმად იქცა, რაც დღეს ერთმანეთისთვის არიან – „მეგობრები და პარტნიორები“. „ყველას უკვირდა, ასე რომ ვაცნობდით ერთმანეთს. არადა, ზუსტად გამოხატავს იმას, რაც ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ. საშინლად არ უხდება ამ ყველაფერს შეყვარებული, ძალიან ბავშვური მგონია ეს ეპითეტი. მაშინაც ასე ვფიქრობდი და ახლაც ასე ვფიქრობ“.

ასე რომ არ ეფიქრათ, იმ არცთუ ისე რომანტიკული გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდებოდათ, რაც ინსტიტუტის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე მიიღეს. მათ მიზნების მისაღწევად პირველ რიგში ხარისხიანი განათლების მიღება სჭირდებოდათ. ამას სავარაუდოდ ერთად ვერ მოახერხებდნენ, ამიტომ ასე იფიქრეს – ორივეს დამოუკიდებლად ეცადა ბედი და, რაც მთავარია, განსხვავებული მიმართულებები აერჩიათ, რომ მერე საერთო საქმეში ფუნქციები მხოლოდ კომპეტენციის მიხედვით გაენაწილებინათ და მოქმედების არეალი გაეფართოვებინათ.

ლუვენი

რუსომ ბელგიაში, ისტორიული ქალაქების კონსერვაციის განხრით სასწავლო სტიპენდია მოიპოვა. ამ სპეციალობაზე, მართალია, არასდროს უოცნებია, მაგრამ იფიქრა, რომ ამ შანსის ხელიდან გაშვება არ ღირდა, ამიტომ ფაკულტეტი აღარ გაუპროტესტებია და წავიდა. ლევანი გერმანიაში გაემგზავრა და გადაწყვიტა ბედი იქვე ეცადა. თუმცა მალევე დაბრუნდა და არქიტექტურულ კომპანიაში დაიწყო მუშაობა.

რუსო ლუვენში ისტორიული ქალაქების კონსერვაციის საერთაშორისო კანონმდებლობას, რეგულირებას და მეთოდოლოგიას სწავლობდა და პარალელურად, პრაქტიკულადაც მუშაობდა ჯგუფთან ერთად, ერთ-ერთ ძველ უბანზე. პირველი, რამაც ბელგიის იმ ცივი ქალაქის ინსტიტუტში ბრინჯივით დააბნია, ავტომატიზირებული ბიბლიოთეკა იყო. ვერაფრით მიხვდა, როგორ შეეძლო კომპიუტერით წიგნები აერჩია. ამიტომ კარგა ხანს ბიბლიოთეკას სულ შორიდან უვლიდა, სანამ გამბედაობა არ მოიკრიბა, თვითდაჯერებული გამომეტყველებით ავტომატიზირებულ კარში არ შევიდა და ბიბლიოთეკარს დახმარება არ სთხოვა. მეორე განსაცდელი ესეების წერის დროს დაატყდა თავს. აკადემიაში მხოლოდ პროექტების ხაზვის გამოცდილების მერე, საკუთარი აზრების მკაფიოდ ჩამოყალიბება და ფურცელზე გადატანა ძალიან გაუჭირდა.

ლუვენის, სტუდენტის რევოლუციური განწყობებისა და ცვლილებების შემდეგ თბილისში დაბრუნდა და კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, საჯარო სამსახურში დაიწყო მუშაობა. მალე სამინისტროს დახმარებით სტაჟირებაზე იუნესკოს ოფისში გაემგზავრა, მსოფლიო მემკვიდრეობის მართვის შესასწავლად. და თავი ამოყო დასავლური ბიუროკრატიის ნამდვილ, ისტერიულ და სუპერტექნოკრატიულ სამსახურში – ბევრი ქაღალდით, დოკუმენტომანიით შეპყრობილი თანამშრომლებით და თავისუფლებისა და შემოქმედებისთვის სრული ვაკუუმით. იქ დღეები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს – ორკესტრის დასის მოწესრიგებული სვლით და საქმიანი გამომეტყველებით №123445 კონვენციის, №2345 სამუშაო ჯგუფის №1456 ოთახისკენ, და მერე ისევ უკან – რაც მთავარია, ბევრი ქაღალდით ხელში. თავიდან აღტაცებული იყო ამ წესრიგით. მოსწონდა და დღესაც მოსწონს მათი მუშაობის კულტურა და პასუხისმგებლობა. მაგრამ თან გააცნობიერა, რომ: ბიუროკრატიის ამ ლაბირინთებში ადამიანებს ხშირად არ ახსოვთ, რისთვის მუშაობენ; რომ ამ კეთილშობილურ სამსახურში მთავარი მაინც კომერციაა; რომ ქვეყნებს შორის ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა იმართება ახალი ძეგლისთვის მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის მოსაპოვებლად; და რომ ეს ყველაფერი კულისებს მიღმა, პოლიტიკური გარიგებების ხარჯზე ხდება, და არა უბრალოდ სამართლიანობის დაცვისათვის.

იუნესკოდან ახალი აღმოჩენებით და მსოფლიო მასშტაბის აპარატზე ცოტა შეცვლილი წარმოდგენით ისევ კულტურის სამინისტროში დაბრუნდა. ახალ სამმართველოში, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიების დაცვაზე მუშაობდა. „ლევანს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ჩემი საჯარო მოხელის სტატუსი და ეს მოხსენებითი ბარათები, ყოველდღიური ანგარიშები“. მაგრამ რუსო მაშინ ფიქრობდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანს აკეთებდა, როდესაც ამ ტერიტორიების ფიზიკურ

დაცვაზე, რეგულირებასა და საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობდა. სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზებს იკვლევდა და მათ ანალიზს სამუშაო ჯგუფს აწვდიდა. მუშაობდა დაფინანსების მოპოვებაზეც. „ვთარგმნიდი წიგნებს მეთოდოლოგიის, საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ. მაგრამ მალე მივხვდი, რომ ჩემ მთავარ მიზანს იქ ვერ მივაღწევდი. ვფიქრობდი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სფეროში დეცენტრალიზაცია, პასუხისმგებლობის გადანაწილება და ახალი მართვის მექანიზმის შექმნა იყო. მაშინ ეს არ იყო პრიორიტეტი. ვიფიქრე, ალბათ ყველაფერს დრო სჭირდება-მეთქი და წამოვედი“.

ასეთი ეგზისტენციალური კრიზისების დროს საკუთარ თავს ფილოსოფიურ გამოცდებს უწყობს ხოლმე. იღებს პაუზას და იმის გაანალიზებას ცდილობს, სად ასცდა მთავარ გზას; რა იყო მიზანი, რისკენაც მიდიოდა და რამდენად იყო ეს ის, რაც მას მართლა სჭირდებოდა. მაშინაც ასე მოიქცა, დაჯდა და გაიხსენა – ჯერ მეგობრების და ოჯახის წევრების რჩევა-დარიგებები, მოტივით – რისთვის იკლავ თავს, რას ათენებ ღამეებს სამინისტროში; ერთი კომფორტული სამსახური იშოვე და მოიწყვე ცხოვრება და ა.შ. მერე მუშაობის დროს ყველაზე დიდი იმედგაცრუებებიც გაახსენდა და მიიღო გადაწყვეტილება – ივიწყებს იდეალიზმს და ხდება აბსოლუტურად პრაგმატული, კარიერაზე ორიენტირებული, ცოტა კონფორმისტი გოგო. მიდის სასწავლებლად ირლანდიაში, ხარისხის, და შეიძლება მომავალი სტატუსის მოსაპოვებლადაც. მერე ბრუნდება უკან, თბილ და კომფორტულ სამსახურში, არანაირი „ღამის თენება“ და „სამყაროს შეცვლისთვის ბრძოლა“. და წავიდა.

დელფტი და „დიალექტიკური ექსპერიმენტი“

ამასობაში ლევანი პრეზიდენტის სტიპენდიანტი ხდება და ჰოლანდიაში, დელფტის უნივერსიტეტში არქიტექტურის ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად მიდის. პირველ რიგში იმის ანაზღაურება უნდა, რაც აკადემიაში გამოტოვა. არქიტექტურის, ურბანიზმის თეორია უნდა ისწავლოს და მის მთავარ კითხვებზე პასუხები იპოვოს; სწორია თუ არა არქიტექტურის ავტონომიური აღქმა და რა კავშირი აქვს ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებს ერთმანეთთან. „ვხვდებოდი, რომ არქიტექტურა ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებას და ბევრ ტექნიკურ სპეციალობას აერთიანებს. მინდოდა, გამეგო, რა წერტილში გადაკვეთდნენ ეს აბსოლუტურად განსხვავებული დარგები ერთმანეთს, თუნდაც პროექტზე მუშაობის დროს“. აკადემიაში კი ასეთი დავალებები ჰქონდათ ხოლმე. მოცემულობა: სკოლის პროექტი. რაღაც N ფართობზე, N რაოდენობის საკლასო ოთახით და ა.შ. მაგრამ არასდროს იცოდნენ, სად იგებოდა სკოლის შენობა, როგორი დასახლებული იყო ტერიტორია, როგორი ხალხი ცხოვრობდა, რა პრობლემები ჰქონდათ. „ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალებია. გამოდის არ ვფიქრობდით, რომ ამ პროექტებს ჩვენ რეალურად ადამიანებისთვის ვაკეთებდით“.

ამიტომ დელფტში, როდესაც მონიტორის ეკრანზე პირველი დავალება წაიკითხა, თვალებს არ დაუჯერა. ამოცანა ისეთი ნაცნობი იყო: დააპროექტეთ სკოლის შენობა N ფართობზე, N რაოდენობის საკლასო ოთახით, კიდევ რამდენიმე ასეთი ტექნიკური დეტალი და მორჩა – არც გარემო და არც ხალხი. მაშინ მიხვდა, რომ ასეთი ფორმალისტური განათლების სისტემა არა მარტო საქართველოში, არამედ ბევრ დასავლურ უნივერსიტეტში დღემდე არსებობს. ნელ-ნელა შეეგუა, რომ მოხვდა სუპერსტარების კონვეიერში, სადაც „ბუნებრივი გადარჩევის“ მეთოდით საბაზრო არქიტექტორებს ზრდიდნენ, რომლებიც განათლების შემდეგ უბრალოდ ბიზნესმენებად

ჩვენთან, სივრცე სოციალური კუთვნილებაა. მაგიტომ მიყვარს ეს თვითშექმნილი ნახალოვკა. იქ ჩვენ უახლეს ისტორიას წაიკითხავ – როგორ აგებდნენ ადამიანები სახლებს, რა მასალებს იყენებდნენ და როგორ დიზაინს ირჩევდნენ. **ეს არის სწორედ ის კულტურული მუხტი, რომელიც კარგად იქ ჩანს, სადაც კონტროლი ნაკლებია და მეტია თავისუფლება.**

იქცევიან. მათ, ვინც კომერციულ გარიგებებში ყველაზე სარფიანი ხელშეკრულებების მოპოვებას შეძლებენ, „სუპერსტარებად“ აღიარებენ. ეს იყო და ეს. ამიტომ ბევრი აღარ უფიქრია და პირველი სემესტრის ბოლოს საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა.

დელფტის უნივერსიტეტი ევროპელ სტუდენტებში ყოველთვის პოპულარული იყო. დღესაც ასეა. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ (განსაკუთრებით ბოლონიის პროცესთან მიერთების შემდეგ) სხვა უმაღლესი სასწავლებლების მსგავსად, მათი პოლიტიკაც შეიცვალა, ნეოლიბერალური კურსი აიღო და მთავარი აქცენტი იქაც კომერციაზე გაკეთდა. ამიტომ, სოციალური ფაქტორი ძალიან არაპოპულარული თემა გახდა.

ამ ახალი პოლიტიკის ვიზუალურ გამოხატულებად ლევანი თვითონ შენობის იერსახის ტრანსფორმაციას თვლის. ეს მის იქ ყოფნის დროს მოხდა. დელფტი ადრე მეოცე საუკუნის ჩვეულებრივი მოდერნისტული 13-სართულიან შენობაში იყო. სადა და უპრეტენზიო დიზაინით, ძალიან კომფორტული სასწავლო და სამუშაო გარემოთი. მაგრამ ერთ დღესაც შენობაში ხანძარი გაჩნდა და მთლიანად დაიწვა. ახლა არქიტექტურის ფაკულტეტი სხვა „საექსპოზიციო დარბაზის“ (show room) ტიპის შენობაშია, ისეთ ბურჟუაზიულში და პრეტენზიულში, პირველად ლევანმა ფეხი რომ შედგა, თავი წითელ ხალიჩაზე ეგონა. დიზაინერების ექსკლუზიური ავეჯით და აქსესუარებით გაწყობილი დერეფნები და აუდიტორიები, ძვირფასი ხალიჩებით, ყველა კუთხეში კამერით აღჭურვილი. „ისეთი გარემო შექმნეს, სადაც კრიტიკული აზროვნების ჭაჭანებაც კი გამორიცხულია, – ამბობს ლევანი, – წარმოუდგენელია, სტუდენტმა მოირგოს სივრცე. პირიქით ხდება, ეს პრეტენზიული სივრცე თვითონ ირგებს ადამიანებს. შენობამ ძალიან კარგად აჩვენა ახალი ადმინისტრაციის დამოკიდებულება განათლების მიმართ და ზოგადად მათი მსოფლმხედველობა – აბსოლუტური კომერცია“.

დელფტის უნივერსიტეტში, მეორე სემესტრიდან სწავლა დამოუკიდებელ სტუდიებში გრძელდებოდა. მანამდე კი იმისთვის, რომ სტუდენტებს სპეციალობები საკუთარი ინტერესის მიხედვით აერჩიათ, ამ სტუდიების ხელმძღვანელები პრეზენტაციებს მართავდნენ. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე ლევანმა უნივერსიტეტის ერთი ექსპერიმენტული კურსის შესახებ შეიტყო: იქმნებოდა ორი რადიკალურად განსხვავებული მიმართულების კურსი – ერთი სუპერკომერციული და ტექნოუტოპიური, რომელსაც ჰოლანდიელი ძალიან ცნობილი არქიტექტორი ვინი მაასი ხელმძღვანელობდა (ვისაც ლევანი არქიტექტურის ბრედ პიტს ეძახის) და მეორე კურსი – ურბანისტ მიგელ რობლესდურანის. ის ერთადერთი ლექტორი იყო, რომლის ლექციებსაც ლევანი ელოდებოდა, რადგან სხვა საგნების ლექტორებისგან მას აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა ჰქონდა. ამიტომ, როდესაც მისი ექსპერიმენტული, უფრო კი რადიკალურ-ალტერნატიული კურსის პრეზენტაციიდან გამოვიდა, თბილისში გამგზავრება უკვე გადაფიქრებული ჰქონდა.

დღესაც ახსოვს პირველი ლექცია, როდესაც მიგელმა სტუდენტებთან ერთად მოსკოვში, ნარკომფინის ცნობილი სახლის კონცეფცია განიხილა.

ნარკომფინი

ნარკომფინის სახლის შესახებ ლევანმა და რუსომ პირველად აკადემიაში გაიგეს. მათ იცოდნენ, რომ ეს იყო რუსული ავანგარდის სტილი, იცოდნენ, რა ფორმალური ელემენტები იყო გამოყენებული, რა პროპორციების შენობა იყო. რომ ნარკომფინის (ნაროდნი კომიტეტ ფინანსოვ) სახლი ფინანსთა კომიტეტის დაკვეთით გინზბურგმა დააპროექტა და 1932 წელს აშენდა. მაგრამ არ იცოდნენ მთავარი – პროექტის შექმნის სოციალური მიზანი და კონცეფცია.

ეს კომუნისტების ერთ-ერთი სოციალური ექსპერიმენტი იყო. მათ ბურჟუაზიული საზოგადოების კომუნისტურ საზოგადოებად გარდაქმნა უნდოდათ. ამისთვის კი პირველ რიგში (მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით) კაპიტალიზმის ბირთვის, ოჯახის სტრუქტურის რღვევა იყო საჭირო. კომუნისტები იდეის განსახორციელებლად სპეციალური სივრცის შექმნას ცდილობდნენ, სადაც ეს პროცესი ბუნებრივად უნდა დაწყებულიყო. კომპლექსში შედიოდა – საძილე ზონა, სადაც წყვილისთვის მხოლოდ საწოლი და საწერი მაგიდა იდგა, საერთო სასადილო, სამრეცხაო და ცალკე შენობა, სა-

დაც ბავშვებისთვის 24-საათიანი ბაღი უნდა ყოფილიყო, რომ მშობლებს საკუთარი დროის თავისუფლად გამოყენება შეძლებოდათ. სოციალური საცხოვრებელი ძველ უბანში, პარკთან ახლოს აშენდა. როდესაც გინზბურგი პროექტს ლე კორბუზიესთან განიხილავდა, მის ფრანგ კოლეგას პარკის მახლობლად საცხოვრებლის აშენება სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. „რა გგონიათ, მუშათა კლასს პარკში ბულბულის სტვენის მოსმენა სჭირდებაო?“ ამიტომ მშვიდად მიუგო, რომ კომუნისტებისთვის სოციალური კონდენსერი უტოპიური საზოგადოების შექმნის ექსპერიმენტი იყო – საზოგადოების, რომელსაც პროდუქტიულობის მაქსიმალური ხარისხი უნდა ეჩვენებინა – დილით მუშა უნდა ყოფილიყო, შუა დღეს სათევზაოდ წასვლა უნდა შეძლებოდა, საღამოს კი, პრივატულ სივრცეში, სადაც ბავშვების ხმაური არ შეაწუხებდა, ინტელექტუალურ სამუშაოს მისცემოდა, და მაგალითად, კრიტიკა ეწერა.

მაგრამ ექსპერიმენტი ჩავარდა. კრახის მიზეზი იდეის აბსურდულობა იყო, რაც თვითონ პროექტის შემქმნელებმა დაადასტურეს, როდესაც – მთავარმა არქიტექტორმა კომპლექსში ის ფართი აირჩია თავისთვის, რომელიც ისევ ბურჟუაზიული ოჯახისთვის იყო განკუთვნილი. ფინანსთა კომიტეტის თავმჯდომარემ კი სახურავზე საზოგადოებრივ სივრცედ ჩაფიქრებულ ფართზე პენტჰაუზი დადგა. და ნარკომფინის სახლი ერთ, ჩვეულებრივ „კომუნალკად“ გადაიქცა.

„აი, ასეთ თემებზე ვსაუბრობდით და ამიტომ მომწონდა მისი ლექციები. თან ჩვენ ჯგუფურად ვმუშაობდით. და ესეც ძალიან მომწონდა. უნივერსიტეტში ეს გამორიცხული იყო, რადგან ჯგუფში შეჯიბრი და კონკურენცია არ არსებობს, შესაბამისად სუპერსტარების გადარჩევა და შეფასება რთულია. ჯგუფში მუშაობა ძალიან პროდუქტიული და ეფექტიანი იყო, რადგან პასუხისმგებლობა კომპეტენციის მიხედვით ნაწილდებოდა და ყველა აკეთებდა იმას, რაც სხვებზე უკეთ იცოდა. შეიძლება მეტი დრო მიდიოდა კომუნიკაციაზე, მაგრამ ესეც მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რადგან ძალიან ბევრი სწორედ ამ განხილვების დროს ვისწავლეთ.“

ლევანი ამ ჯგუფთან ერთად თავის პირველ ურბანულ პროექტზე სამი სემესტრი მუშაობდა. მათ მეხიკოს ერთ-ერთი გარეუბანი ეკატეპეკი აირჩიეს (4-მილიონიანი მოსახლეობით), სადაც რამდენიმე წლის წინ დეველოპერების მიერ გაშენებული იზოლირებული საცხოვრებელი უბნის (14 ათასი სახლით) ქალაქის ბუნებრივ ქსოვილში ინტეგრაციისთვის უნდა შეეწყოთ ხელი. იზოლირებულ საცხოვრებელ უბანს ქალაქის დანარჩენი ნაწილისგან ორმეტრიანი კედელი ჰყოფდა. ამ კედლის მიღმა არსებობდა ორი რადიკალურად განსხვავებული სამყარო – ერთ მხარეს ქალაქი, თვითგანვითარებული სივრცე, საოცრად დინამიური, ცოცხალი და ხალხმრავალი, მეორე მხარეს კი სტერილური, ერთსახოვანი გარემო, აბსოლუტურად ერთნაირი სახლებით. „დაკარგული იყო ქალაქის მთავარი ხიბლი – მისი მრავალფეროვნება. და კომუნიკაცია, როდესაც მეზობლად ცხოვრობენ ყველა სოციალური ფენის ადამიანები და ურთიერთობა მათ შორის ჩვეულებრივი ამბავია, – ამბობს ლევანი, – იზოლირებული საცხოვრებელი უბნები კი, ხშირ შემთხვევაში, უმნიშვნელო ქონებრივი სეგრეგაციის გამო, ამ სოციალურ ფენებს შორის ხელოვნურ საზღვარს ქმნის და მათ შორის კომუნიკაცია ქრება“. მათ იმ კონკრეტული არეალის პრობლემების გადასაჭრელად ჯერ ზოგადად მექსიკის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური ისტორია იკვლიეს, მერე ფოკუსი დაავიწროვეს და ორ-ორ კაციანმა ჯგუფებმა ამ კონკრეტული არეალის დასახლების სოციალური პრობლემები შეისწავლეს. „ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ქალაქმშენებლობის მთელი პოლიტიკა დეველოპერების ხელში მოხვდა და ყველაფერი მტაცებლური მოგების რეჟიმში გადავიდა. ეს იზოლირებული საცხოვრებელი უბნებიც ამ პრობლემის სივრცითი გამოსახულება იყო“.

ლევანი ფიქრობს, რომ გაუმართლა, რადგან დელფტში ისტორიულ მომენტში მოხვდა. დღეს უკვე უნივერსიტეტში ბევრი რამეა შეცვლილი – „დიალექტიკური ექსპერიმენტიდანაც“ მხოლოდ მაარის კურსი დარჩა, მიგელის ურბანული ასიმეტრიის კურსს კი გამოემშვიდობნენ. ერთი სიტყვით, დარჩა მთელი კონტექსტით და შინაარსით შეცვლილი „შოუ რუმ“ შენობა, სადაც აწი მხოლოდ „ვარსკვლავები გაიზრდებიან“.

„რაც იქიდან წამომყვა, არის მართლა ძალიან მაგარი გამოცდილება და მეგობრები, რომლებთანაც კონტაქტი დღემდე არ გამიწყვეტია“. მეტიც, მათთან ურთიერთობა ალბათ კიდევ უფრო ინტენსიური გახდება მას შემდეგ, რაც ლევანი და რუსო საქართველოში „ურბან რეაქტორის“ ფარგლებში ურბან აქტივობას დაიწყებენ.

რაზე ფიქრობს ურბან რეაქტორი

რუსოს „პრაგმატული ექსპერიმენტიც“ კრახით დასრულდა. ამბობს, რომ ძალიან ეცადა, მაგრამ მისგან კონფორმისტი გოგო მაინც ვერ დადგა. „დღესაც ისევ ვენთები იმ პრობლემებზე, როგორც ადრე. შევეგუე იმას, რომ ეს ცხოვრების წესია და არა უბრალოდ კარიერა“. თუმცა, დღესაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში იუნესკოსთან ურთიერთობის საკითხებზე მუშაობს. არ იცის, რამდენ ხანს დარჩება იქ. რაც ნამდვილად იცის, ის არის, რომ ლევანთან ერთად ურბან რეაქტორს მიხედავს და იმის რეალიზებას ეცდება, რაც ვერც ერთმა ვერც საჯარო სამსახურში, ვერც კერძო კომპანიაში ვერ მოახერხა.

ურბან რეაქტორი ჯერ მხოლოდ ბლოგია. მას ჯერ მხოლოდ თვრამეტი მიმდევარი და ათამდე აქტიური წევრი ჰყავს. ისინი ალტერნატიული ცოდნის ბაზის შექმნას აპირებენ, ისეთის, როგორზეც სტუდენტობის დროს თვითონ ოცნებობდნენ. გააკეთებენ მობილურ ბიბლიოთეკას, სადაც შეხვედრებს და სემინარებს მოაწყობენ. მერე უკვე თანამოაზრეებთან ერთად საზოგადოებაში ურბანიზმის მიმართ ინტერესის გაღვივებას და ზოგადად აქტივიზმის შესახებ მათი წარმოდგენების შეცვლას შეეცდებიან. „როდესაც ერთ-ერთ ორგანიზაციაში ჩვენი შეთავაზებით მივედით, ასე გვითხრეს, – ძალიან ამბიციურები ხართო, – და თავაზიანად დაგვემშვიდობნენ, – ამბობს რუსო. მაგრამ ჩვენ იმედგაცრუებებისთვი-

საც მზად ვართ. როდესაც სისტემური ცვლილებისთვის იბრძვი, მარცხი თითქმის გარანტირებული გაქვს. მაგრამ ყველას ასე რომ ეფიქრა, კაცობრიობის ისტორიაში არც არაფერი შეიცვლებოდა, ხომ? ამიტომ ჩვენც პატარ-პატარა წინააღმდეგობების გადალახვით ვიწყებთ, რამაც გვინდა, საბოლოო მიზნამდე მიგვიყვანოს“.

ურბან რეაქტორი ფიქრობს, რომ, პირველ რიგში, შესაცვლელია მთლიანი ურბანული პოლიტიკა, რომელიც, მათი აზრით, ძალიან ზედაპირული და მყიფეა, და კიდევ შერჩევითი, რადგან რეალურად მხოლოდ მათი უფლებებია დაცული, ვისაც ფული აქვს.

რუსო ამბობს, რომ ასევე შესაცვლელია მიდგომა ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ. ადრე ძალიან ხისტად და სწორხაზოვნად უდგებოდა ძეგლების კონსერვაციას, როდესაც ძეგლების აბსოლუტურ აუთენტურობის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. დღეს ფიქრობს, რომ ესეც ფეტიშია. „ქალაქი ისტორიის განმავლობაში იცვლის სახეს. ეს პროცესია და ბევრი ცვლილება ძალიან კანონზომიერია. ისტორიული უბნების შენარჩუნების პოლიტიკა ცოტა მოქნილი უნდა იყოს. მაგალითად, მათ, ვისაც ქალაქში ტუალეტი ეზოში აქვს, უნდა აძლევდნენ უფლებას, შენობის უკანა ფასადზე პატარა ფართი მიაშენონ და ტუალეტი სახლში შეიტანონ. უნდა იყოს თავისუფლება იმისთვის, რომ ქალაქმა სუნთქვა შეძლოს, მაგრამ ასევე უნდა არსებობდეს ძალიან მოქნილი რეგულაციები, „სუნთქვა“ ბარბაროსობაში რომ არ გადაიზარდოს“.

ამ პრობლემების გადაჭრის გზებიც ძალიან კომპლექსურია. რთულია, შექმნა პროექტი, რომელშიც ყველას სოციალურ მოთხოვნას გაითვალისწინებ, ისე, რომ არ დაარღვევ ქალაქის ბუნებრივ ქსოვილს. პროექტს, რომელსაც ეფექტური ეკონომიკური მოდელი აქვს და სწორ იურიდიულ ჩარჩოში ზის.

როდესაც ქალაქის ისტორიულ უბნებში ბიზნეს ინტერესი ჩნდება, საცხოვრებელი ტერიტორია მოსახლეობისგან იცლება და შენობები მშრალ ტურისტულ ობიექტებად გადაიქცევა. რუსო ამ პროცესს „გაშარდენებას“ ეძახის.

საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში, ისტორიულ პროვინცია ბრეტონში ყოველ წელს ფერმერების ფესტივალი იმართება. ეს მხარე ძალიან სახასიათო დიალექტით და კიდევ უფრო სახასიათო ტრადიციებითაა ცნობილი. უცხოელებსაც ეს ლამაზი მხარე სწორედ ამ უჩვეულო ნიშნებით იზიდავს და წელიწადის ამ დროს ბრეტონში ათი ათასობით ტურისტი ჩადის. ყველა თავმოყვარე ბრეტონელი ნაციონალურ კოსტუმშია გამოწყობილი და ადგილობრივ დიალექტზე საუბრობს. „მოკლედ ტურისტები სანახაობით ბედნიერები არიან, – ამბობს რუსო, – მაგრამ როგორც კი ფესტივალი მთავრდება, უეცრად ქრება ტანსაცმელიც და მომენტალურად ყველა ფრანგულად იწყებს საუბარს. ეს ყველაფერი სპექტაკლია“.

„ჩვენ ვერ ვამჩნევთ, რამდენად ცოცხალია ჩვენი ქალაქი, – ამბობს ლევანი, – სადმე რომ მიდიხარ და ამ გაპიწკინებულ ქუჩებს და შენობებს უყურებ, სინამდვილეში მხოლოდ ფასადს ხედავ, რა ხდება ფასადის უკან, იმას ვერ ამჩნევ. ეს ყველაფერი სამუზეუმო ექსპონატს ემსგავსება. თბილისის ისტორიულ უბანს ჯერ გამუზეუმების პროცესი არ შეხებია, ამიტომ ბევრად უფრო მეტი კულტურული მუხტი აქვს, ვიდრე იმ ქალაქებს, სადაც ცხოვრება მოწესრიგებულია. ყველა პროცესი, რაც აქ ხდება, ძალიან აშკარად ჩანს ქუჩებში. ნებისმიერი ევროპული ქალაქი დროშია გაყინული. ჩვენთან, სადაც პროცესი კონტროლს ჯერ არ ექვემდებარება, სივრცე სოციალური კუთვნილებაა. ჩვენთან სივრცე პროცესია, ბრეტონში კი – ფორმა. მაგიტომ მიყვარს ეს თვითშექმნილი ნახალოვკა. იქ ჩვენ უახლეს ისტორიას წაიკითხავ – როგორ აგებდნენ ადამიანები სახლებს, რა კომპონენტებს უმატებდნენ, რა მასალებს იყენებდნენ და როგორ დიზაინს ირჩევდნენ. იქ, კომუნიკაციაც მოგვარებულია და ჰიგიენაც. იგრძნობა თვითმყოფადი და დინამიური პროცესები, რომელზეც კონტროლი ნაკლებად ვრცელდება. და, ჩემი აზრით, ეს არის სწორედ ის კულტურული მუხტი, რომელიც კარგად იქ ჩანს, სადაც კონტროლი ნაკლებია და მეტია თავისუფლება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის გზები ყველა დონეზე უნდა ვეძებოთ. მგონი, მხოლოდ ასე შეიძლება შუალედის მოძებნა“.

– გავდივართ? – კითხულობს რუსო, როდესაც დავით მესხი თავის ფოტომოწყობილობების ჩალაგებას იწყებს. ქალაქში გავდივართ. მე და მესხსაც გვინდა რუსოსთან და ლევანთან ერთად „უმისამართოდ გავისეირნოთ“, იქნებ ნახალოვკაშიც, რომ ჩვენც დავინახოთ ის, რასაც ისინი, უკვე დიდი ხანია, ხედავენ – ჩვენი ქალაქი. ამ სეირნობის ამბავს კი აქ არ მოგიყვებით. რადგან „საკუთარი ქალაქის“ აღმოსაჩენად რუკები და სხვების რჩევები არაფერში გამოგადგებათ. ამ დროს უბრალოდ გაიხურავთ კარს და გადიხართ უმისამართო და უმიზნო მოგზაურობაში, სადაც რას იპოვით და რას აღმოაჩენთ, წინასწარ არავინ იცის.

ურბან რეაქტორი ფიქრობს, რომ, პირველ რიგში, შესაცვლელია მთლიანი ურბანული პოლიტიკა, რომელიც, მათი აზრით, ძალიან ზედაპირული და მყიფეა, და კიდევ შერჩევითი, რადგან რეალურად მხოლოდ მათი უფლებებია დაცული, ვისაც ფული აქვს.

„შავი კვადრატი დაძრული მარცხნივ“, 1974

N56, იანვარი 2010

"BORN IN GEORGIA OR FROM SURFACE TO ABYSS"

მიშა ხუნდაძის და ნუგზარ მეტრეველის დოკუმენტური ფილმიდან "BORN IN GEORGIA OR FROM SURFACE TO ABYSS" გია ეძგვერაძესთან ჩაწერილი ინტერვიუს ბეჭდური ვერსია

გია ეძგვერაძე

ავტორი: მიხეილ ხუნდაძე

მეტაფიზიკა ანუ შავ-თეთრი ნამუშევარები

მიშა ხუნდაძე: რატომ დაუკავშირე შენი მომავალი მხატვრობას? რა გინდოდა გამოგეკვლია ამ გზაზე?

გია ეძგვერაძე: ბოლო წელს სკოლიდან გამომაგდეს ინტოქსიკაციებით ზედმეტი გატაცებისთვის. თანაც სასტიკად ამიკრძალეს კლასის გამოსაშვებ საღამოზე მივსულიყავი – ჩემი კლასელების მშობლები ბავშვებს „საშინელი გავლენისგან" იცავდნენ. ის ღამე სადღაც სარდაფ-რესტორანში გავატარეთ მე და ჩემმა ორმა მეგობარმა და მერე მაინც მოვახერხეთ ჩვენი კლასელი გოგოები სახლში გაგვეცილებინა. ასეთი მიზეზებით დავამთავრე რაღაც ღამის სკოლა, რომლის მისამართიც წესიერად ვერასდროს გავიგე. ამ უზნეობის პერიოდის გამო, ჩემმა რამდენიმე ახლო მეგობარმაც მიმატოვა. ასე რომ, ინტოქსიკაციას და უზნეობას საზოგადოებამ „დიდი წინააღმდეგობა" გაუწია. ამას ყველაფერს მოევლო, მაგრამ ორიენტაცია დიდხანს ვერ ვიპოვე და სკოლის შემდეგ ჩემი სახლი სამი წლის განმავლობაში ცნობილი იყო როგორც ЦДБ (центральный дом бездельников). კარი ყოველთვის ღია იყო და ვისაც უნდოდა, მიდიოდა და მოდიოდა, ეწეოდა და სვამდა, უკრავდა და ლაყბობდა, ჭორაობდა და ფილოსოფოსობდა – მოკლედ რომ ვთქვა, დედაჩემის, ქალბატონი დოდოს დიდი მადლობელი ვარ, ამ ყველაფერს რომ გაუძლო. ალბათ ინტუიციით მიხვდა, როგორი საჭირო იყო ეს უცნაური ქცევის წესი ადამიანის სულში კულტურასთან დაპირისპირების გაჩენისათვის – ანუ მხატვრის (შემოქმედის) გაფორმებისთვის.

ამ ყველაფრის მაყურებელმა, ჩემმა პირველმა და უკანასკნელმა „პლატონურმა" სიყვარულმა, ქეთი ოქროპირძემ (ჩვენ, როგორც მახსოვს, ფიზიკურად არც კი შევხებივართ ერთმანეთს ორი წლის სულიერი „ახლობლობის" განმავლობაში!!!) მომიტანა ფუნჯები, საღებავები და მითხრა, – „მიდი, მიდი, მაინც არაფერს აკეთებ და ხატვა დაიწყეო". დეიდაჩემის, ირინა უზნაძის წყალობით, ხელოვნებას კარგად ვიცნობდი და ეს ნაბიჯი სრულიად აბსურდულად არ მომჩვენებია. ასე დაიწყო ჩემი მხატვრობა, დავიწყე საგნების, პეიზაჟების, ნატურმორტების ხატვით. დიდი ნიჭით არ გამოვირჩეოდი, საშუალო ნიჭის ფერმწერი ვიყავი (ალბათ სწორედ ამან გადამარჩინა). მგონი, ჩემი პირველი მასწავლებელი ვალია შერპილოვიც ასე თვლიდა, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, ფანტასტიკური პიროვნება კი იყო, ძველი გვარდიის და მხატვრის კლასიკური იმიჯის წარმომადგენელი. შემდეგ აკადემიაში გამოცდებზე გავედი, სადაც ძაან ცუდად წამივიდა საქმე – სასწრაფოდ გამომაგდეს. მეორე წელს მოვხვდი. რაღაც დონეზე კი ვასრულებდი, რაც ევალებოდა მაშინდელ აკადემიის სტუდენტს, მაგრამ შინაგანად სულ სხვა მოძრაობას ვგრძნობდი, რაღაც მოუსვენრობას, თავისუფლების შეგრძნებას, რომლის რეალიზაციაც მინდოდა. ოღონდ არ ვიცოდი, საიდან და როგორ უნდა დამეწყო. თავისუფლების ამ შეგრძნებას და მისკენ ლტოლვას თავისი ისტორია აქვს. დაახლოებით 17 წლის ვიყავი, როდესაც გამოვიდა წიგნი – ასკეტურ/პურიტანული შავი ყდით და ზედ თეთრი წარწერით „მოდერნიზმი". არაჩვეულებრივი წიგნი იყო მაშინ ჩვენთვის. რასაკვირველია, გადავსებული იყო კრიტიკით, მაგრამ ამავე დროს ინფორმაციაც საკმაო იყო; დადაიზმზე, სიურრეალიზმზე, ფლუქსუსზე და ასე შემდეგ – რასაც ჩვენთან „გიჟობებს" ეძახდნენ. ამ ინფორმაციის გაცნობისგან ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს უცბად საკუთარ სახლში აღმოვჩნდი ახლობლებთან და მეგობრებთან. ასეთივე გრძნობა ერთხელ კიდევ მქონდა, ბევრად ადრე, ბავშვობაში. რუსთაველზე, აჭარული ხაჭაპურები რომ იყო სარდაფში, იქ ჩავედი და ვიღაცის ხელში ჟურნალი შევამჩნიე, რომელზეც ადამიანების ნახევრად შიშველი ფიგურების ფოტოები იყო დაბეჭდილი, უცნაურად დაგრეხილ პოზებში. აქაც ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაც ვიცანი, რაღაც გამახსენდა. აღმოჩნდა, რომ იოგების ფოტოები იყო. იმ დროს ალბათ თორმეტი-ცამეტი წლის ვიყავი. აი, ასეთი განცდა მქონდა ამ წიგნზეც. მახსოვს დადაიზმზე ვკითხულობდი სტატიას და კითხვის დროს უცნაურად ექსტაზური გავხდი. სადღაც ვიყავი წასასვლელი და შხაპი უნდა მიმეღო; ვიდექი გასაპნული შხაპის ქვეშ და ცრემლები მომდიოდა – სასწაული ბედნიერების განცდა მქონდა – გამოთავისუფლების, გაქცევის – მოსაზღვრულობისგან, შეზღუდულობისგან, დეტერმინულურობისგან, სულ ერთია, რა სტრუქტურით. აქ ამ წიგნში უსასრულო გაბრძოლების მაგალითი დავინახე ვიღაცების მიერ ჩადენილი, ვიღაცების მიერ განხორციელებული. ეს ჩემი პირველი ზიარება იყო როგორც საკუთარ, ასევე სხვის ნამდვილ შემოქმედებით იმპულსთან. ბევრს ვკითხულობდი კონცეპტუალიზმზე.

მახსოვს ჟინა პაჟის ნამუშევარზე წავიკითხე. აღწერილი იყო პატარა ტყვიის ფირფიტა, რომელზეც ეწერა: წყალი, H2O, მერე წყლის სამეცნიერო დახასიათება. მხატვარი იდგა ხიდზე და ამ ფირფიტას წყალში აგდებდა. ამ ნამუშევარზე შეყვარებული ვიყავი. ის ჩემთვის სახელის მოშლას უკავშირდებოდა და, როგორც დღეს ლაკანის სიტყვებით ვიტყოდი, „Real"-თან შეხებაზე მიანიშნებდა – ცნების გარღვევაზე, მის დეკონსტრუქციაზე. მე თვითონ იმ დროს, პრინციპში, არც ვხატავდი, არც ვმუშაობდი, არაფერს არ ვაკეთებდი, ვუსაქმურობდი, მაგრამ შინაგნად ასეთ მოძრაობას, ამ ლტოლვას ვატარებდი და ვუკეთებდი ორგანიზაციას. ეს ტრანსგრესიის შინაგანი მოთხოვნაა ადამიანში. მერე ეს ყველაფერი ნელ-ნელა გადაიფარა, გაქრა, აკადემიაში მოვხვდი და დაიწყო მოგზაურობა კულტურაში. ტრანსგრესიის უშუალო იმპულსი – რაც მხატვრობას პრინციპულად ქმნის, როგორც ვთქვი, გადაიფარა. ასე ვთქვათ, საშიშ ზონაში შევიჭერი – დღესაც არ ვიცი, აუცილებელია თუ არა მხატვრისთვის ამ ზონაში შეჭრა. მერე შევხვდი შურა ბანძელაძეს და აბსტრაქციონიზმმა გამიტაცა, რაც, რასაკვირველია, იმასთან შედარებით, რაც აქამდე აღვწერე, დროში ორი ნაბიჯით უკან სვლას ნიშნავდა. ამ ეტაპიდან მოყოლებული თითქოს რეტროსპექტულად გავიარე მთელი კულტურა. შურა ნამდვილი მასწავლებელი იყო ყველაფერში – ცხოვრების წესის, სამყაროსადმი დამოკიდებულების, განყენებულობის – ის ხომ ვერასდროს ეწერებოდა საზოგადოებაში და ამას ჩემთვის განუზომელი შარმი ჰქონდა. მხატვარმა საზოგადოებისკენ კი არ უნდა იმოძრაოს, არამედ მის საპირისპიროდ, ან სულაც წინ უნდა გადაუხტეს და სარკასტულ, ირონიულ ან ცინიკურ თამაშად აქციოს ეს ურთიერთობა. დღეს ალბათ ასე ვიტყოდი – ამ პერიოდში შურასთან და ჩემ მეგობრებთან ერთად ფუნდამენტური ვიზუალური ტექსტების დიალექტიკას ვსწავლობდით და მათზე სერიოზულად ვმუშაობდით. კონსპექტურად გავიარეთ მთელი თანამედროვე კულტურა. ეს იყო ჩვენი სკოლა. მაგრამ იყო საშიშროება მას საერთოდაც გადავეყლაპეთ, რაც პრინციპში ბევრს დაემართა კიდეც. არ მახსოვს, თანამედროვე ხელოვნების ჟურნალები გვეთვალიერებინა და მერე რაიმე „თრენდის" სტილში გვეხატა – მისი „მსხვერპლი" გავმხდარიყავით. ასეთ მიდგომაზე ჩვენი თაობა აცრილი იყო. ფუნდამენტური ფასეულობებისაკენ სწრაფვა და ორიგინალურ ტექსტთა შექმნა ჩვენი თაობის ნიშანი იყო, მისი მოძრაობის გამსაზღვრელი ფაქტორი.

ამ გრძელვადიანმა ექსკურსიამ კულტურაში ჩემში მის მიმართ შინაგანი პროტესტი გააფორმა. ჩემი რეაქცია კულტურის მიერ ცნობიერების სრული დეტერმინირების საშიშროებაზე შავ-თეთრი ფერწერა იყო. ჩემი პირველი შავ-თეთრი სურათი „მარცხნივ დაძრული შავი კვადრატი – კონცეფციის კონცეფცია" იყო (60x50სმ. ტილო, ზეთი, 1974), რომელიც სულ ახლახან იყიდა ამერიკულმა „Zimmerly" მუზეუმმა და უკვე ორ ანალიტიკურ სტატიაში განიხილა. „Zimmerly" მუზეუმი რადგერსის უნივერსიტეტის ნაწილია, რომელიც ამერიკაში ფილოსოფიის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად ითვლება. ეს ნამუშევარი ზეთის თეთრი საღებავით დაფარული ტილოა, რომელსაც მარცხენა გვერდზე ვიწრო შავი ზოლი დაყვება. როცა ის დავხატე, 21 წლის ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ ასეთი განზოგადების სურათი აღარ შემიქმნია. ის სრულიად პარადიგმული ხასიათისაა – ზოგჯერ ასე უცნაურადაც ხდება. მთელი ჩემი შემდგომი შავ-თეთრი მხატვრობის სერია (ამ სერიის შექმნას ოცდახუთი წელი დასჭირდა) ამ სურათის დაშლის და ემანირების პროცესია.

ეს სურათი ძალიან ადრე შეიქმნა, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ საკმაოდ რადიკალური ნაბიჯი გადავდგი.... სხვათა შორის, ჩემმა მეგობრებმა ამ ნაბიჯში არ ამიბეს მაინცდამაინც მხარი. თვლიდნენ, რომ შავ-თეთრ მეთოდს გაძარცვულობა და ფორმის ნაკლებობა ახასიათებდა, ამიტომ თითქმის მარტო ვიკვლევდი ამ ახალ მხატვრულ შესაძლებლობას. ხალხი რომ მოდიოდა ჩემ სახელოსნოში, ცდილობდნენ, ჩემი შავ-თეთრი სურათებისთვის თვალი აერიდებინათ, რომ ეს სურათები მსჯელობის საგანი არ გამხდარიყო. კიდევ ასეთი სიტუაცია მახსოვს – ორი შავ-თეთრი სურათი გავიტანე საშემოდგომო გამოფენის კომისიაზე. კომისიამ ეს ნახატები გამოაგდო, მაგრამ ორი კვირის შემდეგ კომისიის წევრი შეხვდა დეიდაჩემს, ირა უზნაძეს (ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სწავლული მდივანი იყო) და უთხრა, – ეს რა სასწაული მოიტანა შენმა დისშვილმა, მთელი კომისია ვიდექით და ვიცინოდითო. შემდეგ აქ, დასავლეთში ეს ორი სურათი სამ წამყვან მუზეუმში გამოიფინა და ახლა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კერძო კოლექციაშია – იოჰან და სიუსი ჰოლის. ასეთი შეხედულებები იყო იმ დროს და ამ ყველაფერთან გიწევდა დაპირისპირება, და ეს წარმოუდგენელ თვითრწმენას მოითხოვდა. 1985 წელს ილიკო ზაუტაშვილმა შესთავაზა თემო გოცაძეს ჩემი პერსონალური გამოფენის გაკეთება. თემომ გარისკა (რისთვისაც მაგრად გაკიცხეს) და მხატვრის სახლში მოაწყო რადიკალური (კონცეპტუალური) მიმართულების პირველი, თავის ენობრივ ორიგინალურობაში გაფორმებული სოლო გამოფენა. ეს გამოფენა ვადამდე ადრე დახურეს და მისი გარჩევა რუსთაველის გამზირზე მოეწყო. ამ გამოფენის მსვლელობისას ერთხელ მხატვართა სახლის შეშინებულმა თანამშრომლებმა დამირეკეს სახლში, – სასწრაფოდ მოდი, ვიღაც ახალგაზრდა ქალი შენ შავ-თეთრ სურათს მუშტებს ურტყამსო. სამი წლის შემდეგ გერმანიიდან თბილისში რომ ჩამოვედი და ჩვენ აკადემიას ვესტუმრე, უცნობმა გოგონამ მომიბოდიშა, – ეს მე ვიყავი, თქვენი სურათი რომ ვცემე, ახლა მეც მხატვარი ვარო.

მიშა ხუნდაძე: შავ-თეთრი ნამუშევრების არსს საგამოფენო სივრცეში უხსნიდი ადამიანებს. შენი მხატვრული ენა თითქოს გასაგები ხდებოდა, მაგრამ შემდეგ მალე ავიწყდებოდათ. რა იყო მაინც შავ-თეთრი ფერწერა და რა სახეცვლილება განიცადა მან?

პირველი, ზემოთ ხსენებული მცირე ზომის შავ-თეთრი ნამუშევარი აკადემიაში ჩემ შესვლამდე დაიხატა.



მეტაფიზიკამ ისეთი უხეში და უზნეო შედეგები მოიტანა (კომუნიზმის, ფაშიზმის სახით), რომ საკუთარ თავს სრული დისკრედიტაცია გაუკეთა. ვერტიკალურად სტრუქტურირებულმა იდეალების სამყარომ ერთიანად გაუცრუა ადამიანს იმედი. ასე დამთავრდა ჩემთვისაც მეტაფიზიკის უშუალო კვლევა.

შემდეგი ორი ნამუშევარი აკადემიის დიპლომზე მუშაობის პარალელურად გავაკეთე. ხოლო ჩემი, კლასიკური, შავ-თეთრი მონუმენტური ტილოების ენობრივი სტრუქტურა, სადაც ზეთის თეთრი ფერის ფონზე შავი ხაზებით ნიშნებია გამოსახული, აკადემიის დამთავრების შემდეგ (1980 წელი) და 1985-ში ჩემ პირველ გამოფენამდე პერიოდში გაფორმდა. ამ ხუთი წლის განმავლობაში ამ სერიის პრობლემატიკას პრაქტიკულად იზოლაციაში მყოფი ვიკვლევდი (რომ არ ჩავთვალოთ შურა ბანძელაძე, რომელიც ჩემი შავ-თეთრი ფერწერის დიდი თანამდგომი იყო). ასე დაიწყო შავ-თეთრი ნამუშევრების დიდი სხეულის შექმნა, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვი, თითქმის ოცდახუთ წელიწადს გასტანა.*

სიგნიფიკაციის აქტის შემადგენლები შავ-თეთრ ფერწერაში მხოლოდ აღმნიშვნელების შრით არის წარმოდგენილი. ამ მხატვრულ მეთოდში რეფერენტი და აღნიშნული ინტერესის მიღმა რჩება. იმ დროს, როცა მე ამ მეთოდზე დავიწყე მუშაობა, წარმოდგენა არ მქონდა, რომ აღმნიშვნელები 80-იანების ევროპული ფილოსოფიის ინტერესის ცენტრშიც მოექცეოდნენ. ტრანსცენდენტურისკენ სწრაფვა ენის ძირების გაანალიზებას მოითხოვს, რომ მათი გამომჟღავნებით ენის გადალახვა მოხდეს. ენის, რომელმაც, როგორც ნიცშე ამბობდა, გადაფარა და გვიმალავს „რეალობას“ (ლაკანი აზუსტებს და მას „Real“-ს ეძახის).

სად და როდის იჩენს თავს ნიშანში ცნება, როდიდან ხდება ნიშანი მისი მატარებელი, რატომ ფორმდება და სად მთავრდება თავად ნიშანი, რა ურთიერთობაშია ცნება და ნიშანი ერთმანეთთან, როდის და როგორ უკავშირდება ეს ორი კოსმოსს და როდიდან ხდება ის აღმნიშვნელის ნაწილი. ამ ძირეულ პრობლემებს არკვევდა ჩემი შავ-თეთრი ფერწერა, მერე ის უფრო და უფრო განივრცო, სიმბოლურ დონეზე გაჩნდა ფიგურატიული ელემენტები, სიმბოლური სტრუქტურები ჩაანაცვლა ენობრივმა თამაშებმა, ირონიისა და სკეპტიციზმის დონეზე

*ამ სერიაში, ჩემი მთავარი მიზნის – ტრანსცენდენტური ცნობიერების სივრცის გადმოსაცემად – ვცდილობდი ისეთი ენა მომეძია, რომელიც სიგნიფიკაციის აბსოლუტურად ძირეულ საწყისებზე აიგებოდა – გამჟღავნების პირველად ეგზისტენციალურ აქტზე, რაც დაპირისპირებულთა ბინარულობას გულისხმობს (ჩვენს შემთხვევაში სიმბოლიზირებულია შავ-თეთრი პრინციპით). ვიზუალური კოდის ამ ბაზაზე გაფორმება მისი ემოციონალური და დრამატული მახასიათებლების ნულოვან დონეზე დაყვანას ნიშნავს, ეს კი თავისთავად ადამიანური მუხტის მქონე კონოტაციებისაგან ვიზუალური კოდის გამონთავისუფლების გარანტიაა და ტრანსცენდენტულთან დაახლოების პრაქტიკა (ამ გამონთავისუფლების შედეგია ასევე ნიშნის ვიტალურობის რესტავრაცია). შავ-თეთრ ნამუშევრებში დრამატული მხოლოდ პოტენციის სახით არსებობს – ალბათ ამდაგვარი მახასიათებლებით წარმოადგენდა „ეიდოსს“ პლატონი.

სოციალურ კრიტიკული ტექსტიც კი გაჩნდა. მოკლედ, ამ მეთოდმა სიღრმიდან ზედაპირზე გადმოინაცვლა, უფრო სწორად მეთოდში ზედაპირი შემოიზიდა და სამივე შრე (ნიშანი, ცნება, სოციალური კონტექსტი) ერთიანი გამჭვირვალობით წარმოჩინდა.

არსებობს მოსაზრება, რომ მხატვარი არ უნდა დაფიქსირდეს რაიმე ერთ სტილისტურ ფორმულაზე და არ უნდა აქციოს მეთოდი დროის მიღმა მდგომ კანონად. ამას მეც ვეთანხმები. ამიტომ, შავ-თეთრი ფერწერა გრძელვადიანი და სერიოზული კვლევის შემდეგ, როგორც მეთოდი, დასრულდა.

შავ-თეთრ ფერწერას კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი ჰქონდა. მე ბევრ ნაწარმოებში ვცდილობდი, უზოგადესი ყველაზე უფრო ტრივიალურთან დამეკავშირებინა. გაკეთებული მაქვს დიდი ზომის სურათი „მაკრატელი" (200x600 სმ.). მას მთელ სიგრძეზე ორი შავი ხაზი მიჰყვება.

ერთი მხრივ, ეს ხაზი მხოლოდ თავის თავს წარმოაჩენს და ამჟღავნებს, ანუ ხაზის რეალობას უკეთებს პრეზენტირებას. მაგრამ გარკვეულ მოდუსში – მზერის გადანაცვლებისას – ეს ხაზი აღმნიშვნელის მისიას იძენს და ჩვენ ცნობიერებაში ტრივიალური (ილუზორული) სფეროდან საყოფაცხოვრებო საგნის იმიჯი ტივტივდება; აქ იკვეთებიან, როგორც ჰაიდეგერი იტყოდა, „ონტიურად ყველაზე ახლობელი" და „ონტოლოგიურად ყველაზე შორეული".

ამ უკიდურესობების დაწყვილება მიგვანიშნებს იმაზე, რომ საგანი (რასაც ჩვენ რაღაც წარმოსახვით რეალობას ვეძახით) ყველგან და ყველაფერთან იკვეთება, რომ მისი ტოტალურობა საკუთარი სიცარიელის ხარჯზე ყოვლისმომცველია. აი, ასეთ საკითხებზე ლაპარაკობს ჩემი შავ-თეთრი ფერწერა, ასეთ საკითხებს განიხილავს ბორის გროისი თავის სტატიაში „მხატვარი ასკეტი", რომელიც მან ჩემ შავ-თეთრ ფერწერას მიუძღვნა.

პირველად თბილისში რომ გამოვფინე ჩემი მაკრატელი, მომიახლოვდა ჩვენი აკადემიის პროფესორი და ყურში ჩამჩურჩულა, – მე კი ვხვდები, ამით შენ რაც გინდოდა გეთქვა – ორი მრგვალი და ერთი გრძელი, განა ვერ ვხვდებიო.

მახსენდება მეორე სიტუაცია. 1988 წელს მოსკოვში მქონდა გამოფენა, სოტბის ისტორიული რუსული აუქციონის პარალელურად. აუქციონის შემდეგ გვიან ღამით მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი მუზეუმის დირექტორი ეწვია ამ ჩემ გამოფენას. მათ შორის ტომას კრენიციც იყო, გუგენჰაიმის მუზეუმის დირექტორი (მაშინ ახლად დანიშნული). გამოფენაზე ტომასი დიდხანს იჯდა „მაკრატელის" წინ, მერე კი, როცა უკვე სომხურ რესტორანში გადავინაცვლეთ, მომიახლოვდა და სურათის ფასი მკითხა. ფასი რომ გაიგო, ოფიციანტს ანგარიშის ქაღალდი გამოართვა და მასზე სურათის შეძენის კონტრაქტი დამიწერა. მეორე დილით ტომასი ნიუ-იორკში გაფრინდა, მე კი საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროში მიტანილი რესტორნის ანგარიშის ქაღალდზე დაწერილი კონტრაქტით უკან ცივი უარით გამომისტუმრეს. ასე არ მოხვდა ჩემი „მაკრატელი" გუგენჰაიმის მუზეუმში – ოთხ თვეში კი ბატონი ლუდვიგი ეწვია მოსკოვს და „მაკრატელი" ოფიციალური ხაზით იყიდა. დღეს ეს სურათი ბუდაპეშტის ლუდვიგის მუზეუმის პერმანენტულ ექსპოზიციაშია გამოფენილი.

შავ-თეთრი ფერწერა დიდი და გრძელი პროექტი იყო, რომელიც დასრულდა. ტექსტმა, რომელიც ცდილობდა, ჩვენი განზომილებისთვის ტრანსცენდენტური გაეცნო, საკუთარი თავი ამოწურა. ეს კვლევა პრაქტიკულად დასავლურ კულტურაშიც ჩამთავრდა. მეტაფიზიკამ დასავლურ ცნობიერებას გაუცრუა იმედები. მან ისეთი უხეში და უზნეო შედეგები მოიტანა (კომუნიზმის, ფაშიზმის სახით), რომ საკუთარ თავს სრული დისკრედიტაცია გაუკეთა. ვერტიკალურად სტრუქტურირებულმა იდეალების სამყარომ, რომელიც ასევე იერარქიული და პირამიდულია, ერთიანად გაუცრუა ადამიანს იმედი. ასე დამთავრდა ჩემთვისაც მეტაფიზიკის უშუალო კვლევა და ტრანსცენდენტურისკენ გარღვევის უშუალო მცდელობა.

180 გრადუსით შემობრუნება ანუ პოსტსტრუქტურალიზმი

მიშა ხუნდაძე: იქნებ ვისაუბროთ პოსტსტრუქტურალიზმზე, მის მნიშვნელობაზე მხატვრებისთვის და მხატვრობისთვის. და რა არის საერთოდ დღევანდელი თანამედროვე ხელოვნების პარადიგმა?

გია ეძგვერაძე: როგორც ისტორიამ გვანახა, 70-იანი წლების შემდეგ აზროვნება საკმაოდ სწრაფად და მობილურად შეიცვალა. რასაკვირველია, ამასთან ერთად სამყაროც შეიცვალა. პოსტსტრუქტურალიზმი (რომელმაც სტრუქტურალიზმი ჩაანაცვლა, ეს უკანასკნელი კი ეგზისტენციალიზმს მოჰყვა), ცნობიერების ეს აბსოლუტურად ფუნდამენტალური შემობრუნება იმდენად დიდი და გამრღვევი ძალა გამოდგა, რომ არაცნობიერად მასებიც კი აიყოლია, განსხვავებით თავის წინამორბედებისგან, რომლებმაც მხოლოდ არტისტულ და სამეცნიერო წრეებში ჰპოვეს გამოძახილი. მხატვრებისთვის, ამ ახალი აზროვნების გათვალისწინებისა და გააზრების გარეშე, აბსოლუტურად შეუძლებელია კვლევის პიკზე ადგილის შენარჩუნება. ასე რომ, მეც 90-იანების დასაწყისში ნელ-ნელა და უხალისოდ ჩავერთე ამ ახალი კვლევის პროცესში.

ძალიან მტკივნეული იყო ეს გარდატეხის მომენტი, რომელიც 180 გრადუსით ითხოვდა შემობრუნებას. კაცისთვის, რომელიც შეჩვეულია მეტაფიზიკას, სადაც ყველაფერი გასაგებია – თუ რა არის მაღლა და რა დაბლა, რა არის ცუდი და რა კარგი, რა არის წმინდა და რა ჭუჭყიანი, ძალიან რთულია ამ ფასეულობების აბსოლუტურობაზე უარის თქმა. ირღვევა სამყაროს სიმწყობრე, მის გამართულ ლოგიკაში ნაპრალები ჩნდება. თითქოს სამყარო თავზე გენგრევა – დალაი ლამა ჩიჩოლინას მეზობელია ჟურნალის ყდაზე, დოლი ბასტარდი სხაპასხუპით იძლევა ინტერვიუს პოლიტიკის ან ეკოლოგიის საკითხებზე, და ამას სერიოზულად გვთავაზობენ... კიჩი და უზნეობა გაკიცხვას არ იმსახურებს; მადონას ქცევის წესზე, მისი ცნობიერების მიმართებაზე ფილოსოფიური გამოკვლევები იწერება.

ყველაფერი წვრილმანი, ბანალური, ინტერესის ცენტრში ექცევა და კვლევის, სიყვარულის, ყურადღების ღირსი ხდება. ზუსტი ეგზისტენციური ორიენტაციები ქრება. როგორ? დაცემაა? დეკადანსი? დეგრადაცია? არა, ყველაფერი სასიცოცხლო ენერგიითაა სავსე. აბა, როგორ?

როგორც ვთქვით – მეტაფიზიკაში ყველაფერი გასაგებია, მხოლოდ უნდა შეუერთდე ამ სისტემას და უკვე აზრზე მოსული კაცის იმიჯი გაქვს, შეგიძლია სულ მალე მასწავლებელიც გახდე – ორიენტაცია ხომ გაიგე, მერე თუ ღმერთმა სპეკულაციის ნიჭითაც დაგაჯილდოვა, გურუდაც გამოდგები. აქ კი? ფასეულობები მოიშალა, ლოგიკა გაუფასურდა. ხომ თქვა ლიოტარმა, – „პოსმოდერნისტული აზროვნება გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ რეფერენციების გარეშე“. ისეთი პირი უჩანს, რომ ეს დრო, ეს ახალი პრინციპი მიმღებლობის რაღაც მისტიკურ დონეს ითხოვს, დათმობის და მინდობის აქამდე არნახულ ხარისხს, იესო ქრისტეს რომ არ დასიზმრებია, ისეთს. რა ვუყოთ ამ ყველაფერს? ამ ქუდმოგლეჯილ სამყაროს. როგორც ოთარ იოსელიანის ფილმშია – ვენდოთ, რომ თხას პატრონი იპოვის? აი, ეს კითხვები დამესხა თავს, როგორც კი აღვიქვი, რომ უცნაურად შეცვლილი სამყარო დამხვდა დასავლეთში. „სულიერი“ 60-იანებისგან მას თითქმის აღარაფერი შერჩენოდა (რაც ჩვენს თაობას ასე ამოძრავებდა).

ეს ყველაფერი ძალიან დამაბნეველი იყო. პრაქტიკულად, თითქმის ყველა რელიგია მეტაფიზიკაზეა აგებული, სადაც ცოდნა, როგორც ითქვა, პრინციპულად ერთმნიშვნელოვანია; და მხოლოდ სადღაც, უმაღლეს წერტილზე, ყველაზე მიუწვდომელ ტექსტებში ფრთხილად არის ჩაწვეთებული, რომ ერთმნიშვნელოვანების მიღმა სხვა რაღაც იმალება – ის, რაც სულის შემკვრელ თავისუფლებაზე მიგვანიშნებს. ვედებში, რომლებიც ადამიანის ცხოვრებასთან კავშირში უსასრულო ასკეზას ქადაგებენ, უეცრად ასეთ ფრაზას წააწყდები, – თუ ნათელი დაგადგა, შემდეგ გაერთე ქალებით, ცხენებით, ღვინით. როგორ? რისთვის დავიხარჯეთ? გავწირეთ თავი და ჩვენი სასიცოცხლო დრო. იმიტომ, რომ ამ აბსურდით სავსე გამონათქვამში ალქიმია უკვე მომხდარია – აქ ქალიც შენა ხარ, ცხენიც და ღვინოც. მაგრამ შეიძლება, გზის გარეშე, პირდაპირ შედეგი შევთავაზოთ სამყაროს? შედეგი, რომლის ნამდვილი სახე ასე დიდხანს დაინახოს ფენომენები – ჩვენ ხომ ღმერთი გაუთავებელი აწმყო გვეგონა, ის კი მომავლისკენ უშრეტი ლტოლვა აღმოჩნდა.

პოსტსტრუქტურალური ცნობიერება პოეტური ფორმაა. ის ლოგიკური კონსტრუქციებით არ აღიწერება. მისი, როგორც ერთიანი და მწყობრი მოძღვრების, არტიკულირება შეუძლებელია, რადგან მოძღვრება სტატიკური ფორმაა, სტატიკა და მოსაზღვრულობა კი სწორედ ისაა, რასაც ეს ახალი ცნობიერება ებრძვის. მას სახელად ყველაზე უფრო ნიცშეს ტერმინი უხდება – „Classical ecstatic nihilism“.

ეს მეტამორფოზა ჩემთვის ახლაც საწყის პროცესშია, სხვანაირად ამ აბსოლუტურ ექსტატურობას უკვე მეც

დაიწყო ცნობიერების ძიება, რომელსაც შესწევს უნარი, ჰორიზონტალურად და ნაკადობრივად დაინახოს ფენომენები – ჩვენ ხომ ღმერთი გაუთავებელი აწმყო გვეგონა, ის კი მომავლისკენ უშრეტი ლტოლვა აღმოჩნდა.

და საგულდაგულოდ ინახებოდა და იმალებოდა, რომ მდაბიონი არ შემცდარიყვნენ და მოხმარება რიტუალში არ არეოდათ. ალბათ შეიძლება – „უფლის გზა შეუცნობელია“, და ეს დროც დადგა.

ამ ყოველივეს გადახარშვა ძალიან მტკივნეულია – მეტაფიზიკიდან ამოგლეჯილი კაცი ბუდიდან გადმოგდებულ ჩიტს ჰგავს, რომელმაც არ იცის ფრენა. თანაც მე და თამუნა დასავლეთში წასულები ამ ფუნდამენტურ კრიზისს მარტო უნდა გავმკლავებოდით. ეს ყველაფერი 90-იანების დასაწყისში ხდებოდა და ჩვენ გარშემო არავინ იყო – თითქმის მარტო გადავხარშეთ ეს განახლება. მომიწია ახალ ლიტერატურასთან შეჯახება. ჩემი ავტორიტეტები – ნიცშე, ჰაიდეგერი, კირკეგორი, თავიდან იყო წასაკითხი და იმ ჭრილიდან დასანახი, საიდანაც მათ თანამედროვე ფრანგული ფილოსოფია აღიქვეს. დაიწყო ცნობიერების ძიება, რომელსაც შესწევს უნარი, ჰორიზონტალურად და ნაკადობრივად ვიქნებოდი ნაზიარები. ეს ცნობიერება გაუთავებელი გამოწვევაა, უსასრულო ძალისხმევაა – აქ ამ სივრცეში სიმშვიდე და შვება ყველაზე ნაკლებად სასურველი მდგომარეობაა.

ჩემთვის ყველაზე მთავარი ყოველთვის ის არის, რომ ახალი იდეები მხოლოდ იდეებად არ დარჩეს და ისინი მხოლოდ ინტელექტუალურად არ გაითავისო. ისე არ უნდა მოხდეს, რომ სინტაქსის ახალ წესს ჩაწვდე და ეს ცოდნა მხოლოდ საზოგადოებაში ადგილის მოსაპოვებლად გამოიყენო. ახალი იდეების ნაკადი შენი სასიცოცხლო შესაძლებლობები უნდა გახდეს, მათი ტარება შენ სუნთქვაში უნდა განხორციელდეს.

შემოქმედება არ არის დროისათვის შესატყვისი არტ პროდუქციის კეთება. მისი მისია არ არის ესთეტიკური ღირებულებების მოტანა და დამკვიდრებაა. ის ყოველთვის დროებითი ორიენტაცია უნდა იყოს, რომელიც თან სდევს სულის მოძრაობას და თანაც განწირულია. განწირულია, რომ

ერთ მშვენიერ დღეს სულთან მეგობრობა შეუწყდეს, მისია დაუსრულდეს, მაშინ როცა სულის ფორმა საკუთარ სილუეტს გაარღვევს.

თვითმგორავით გაუთავებელ მოძრაობაში

მიშა ხუნდაძე: სად მიგიყვანა მხატვრობამ? რა ეტაპზე ხარ ახლა? – პატარძლის კაბაში გამოწყობილი თვითმგორავით გაუთავებელ მოძრაობაში რომ იმყოფები, ფერადი ხაზებით დახაზულ, ერთმანეთში ქაოტურად არეულ გზებზე.

რა არის თანამედროვე ხელოვნება? როგორ გავერკვეთ, ვინ არის თანამედროვე მხატვარი და ვინ არა? საიდან იწყება თანამედროვე მხატვრობა? ამდენ სხვადასხვა კულტურულ ენათა ბაზისზე გაფორმებული მიმდინარეობებით გარშემორტყმულმა მხატვარმა, საიდან შეიძლება დაიწყოს, რა შეუძლია გამოიკვლიოს?

გია ეძგვერაძე: თანამედროვე ხელოვნება იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი დროის თანამედროვე მხატვრები აუცილებლად თანამედროვე ხელოვნებას ქმნიან. თანამედროვე ხელოვნება არის ტერმინი, რომელსაც კულტურულ სამყაროში გარკვეული კონოტაცია აქვს. ის კონკრეტულ პრობლემატიკაზე მიგვანიშნებს, რომლის ბუნების დადგენაც ძალიან რთულია, თუ არ გაქვს გარკვეული დისტანცია იმ ფორმათა და რეპრეზენტატიულ სისტემათა უსასრულო ცვალებადობასთან, რაც თანამედროვე ხელოვნების სცენაზე იჩენს თავს. თანამედროვე ხელოვნების ძირეულ იდეაზე დრო იმდენად ძლიერად ზემოქმედებს და მისი ფორმების ისეთ სახეცვლილებებს გვთავაზობს, რომ ძალიან რთულია მისი ფორმულის სახით გამოტანა ან მატრიცის სახით დანახვა. რაღაც მომენტში თანამედროვე ხელოვნების ბაზარზე გაბატონებული ფასეულობა ისე ერთმნიშვნელოვნად ღირებული და სენსაციური ხდება, რომ პრაქტიკულად მთლიანად გადაფარავს ხოლმე ამ პრინციპის სიღრმისეულ შინაარსს. მერე უცბად ეს ყველაფერი ჩაიშლება და სივრცეში თავისუფალი ადგილები გაჩნდება. ყოველ ათ წელიწადში სიტუაცია პრინციპულად იცვლება; მოდა და თრენდი, დილერების და გალერისტების (დღეს უკვე კოლექციონერებისა და კურატორების) მანიპულაციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხელოვნების ექსტერიერზე, მისი სახის მიმიკაზე. დღეს ხელოვნება კონცეპტუალურია, მინიმალურია. მერე კი, მინიმალიზმის ნაცვლად, საკმაოდ პრიმიტიული ნარატივი წამოიწევს წინ, ხვალ შეიძლება ვიდეო და ფოტო შემოიჭრას არტ სცენაზე, ძალიან სპეციფიკური სტილისტური ნიშნით, მერე კი ყველაფერი ისევ შეიცვალოს და აბსტრაქცია დაფუძნდეს როგორც წამყვანი თრენდი. მოკლედ ფორმალური ფენომენების დონეზე ისეთი ქაოსი დგას, რომ რაც უფრო დიდხანს აკვირდები და დიდხანს მედიტირებ ამ გაუთავებელად მოძრავ ნაკადზე, კიდევ უფრო იბნევა სურათი, მით უფრო ხვდები, რომ თანამედროვე ხელოვნების ერთმნიშვნელოვნად დახასიათება ალბათ პრაქტიკულად შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ ამ ყველაფერს ისტორიულ ჭრილში – იმპრესიონიზმიდან მოყოლებულს დავინახავთ.

80-იან წლებში იყო მცდელობა, რომ თბილისში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი შექმნილიყო – ამ მუზეუმის მაშინდელ კონცეფციას არაფერი ჰქონდა საერთო „თანამედროვე ხელოვნებასთან“, ამ მუზეუმის და ამ კონცეფციის შესატყვისი სახელწოდება იქნებოდა „თანამედროვე ქართული ვიზუალური კულტურის მუზეუმი“ – კულტურასა და თანამედროვე ხელოვნებას შორის ხომ პრინციპული და რადიკალური განსხვავება არსებობს.

ამ ქაოსს რომ გამოვეცალოთ ხელიდან, აქ ადორნოს ფრაზას მოვიტან, რომელიც პირადად ჩემთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენთვის საინტერესო მოვლენის დეფინიციაში. ადორნო მხატვრებს, რომლებიც თანამედროვე ხელოვნებას ქმნიან, პარტიზანებს ადარებს; პარტიზანებს, რომლებიც გადიან უცხო ტერიტორიაზე, ტერიტორიაზე, რომლის გზებიც უცნობია, ტერიტორიაზე, რომლის რუკებიც არ არსებობს. სწორედ აქ, თავისი გამჭრიახობის და ინტუიციის ხარჯზე, მათ უნდა მოიპოვონ ინფორმაცია, დაადგინონ გარემოს სპეციფიკა, დააფიქსირონ ამ უცნობი სივრცის გამსაზღვრელი ნიშნები და შემოზიდონ ეს ინფორმაციული ნადავლი უკან, თავიანთ ტერიტორიაზე – ჩვენი ტექსტის კონტექსტში რომ ვთქვათ, კულტურაში. თანაც შემოზიდვა უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, ისეთი ენით, რომ ეს ინფორმაცია კულტურისათვისაც გასაგები იყოს და ამავე დროს აბსოლუტურად ორიგინალურიც დარჩეს, ანუ უნიკალური მონაპოვრის შესატყვისი. ჩვენი კულტურის (ამ სიტყვის უზოგადესი გაგებით – რაც ადამიანური ცნობიერების საერთო ფორმას ნიშნავს) მიღმა სივრცე ორია – კულტურამდელი (ბარბარული – ინსტინქტის ენერგია) და პოსტკულტურული, რომლის ჯერ კიდევ სრულიად გაუფორმებელ სილუეტსაც დღეს ჩვენ აბსურდს ვეძახით.

როდესაც პიკასო „ავინიონის ქალებზე” მუშაობდა, ორი ჟურნალისტი ეწვია. სახელოსნოდან რომ წამოვიდნენ, ერთმა მეორეს უთხრა, – ამ კაცს ალბათ მალე თავჩამოხრჩობილს იპოვიანო. ასე აბსურდულად, ასეთ სიგიჟედ გამოიყურება მომავალი ცნობიერების სილუეტები. არადა, დღეს „ავინიონები“ ჩვენთვის კულტურაში შემოზიდული, კულტურულ ენად და კომუნიკაციის ფორმად ქცეული, მშვენიერების გარკვეულ კრიტერიუმს წარმოადგენს. ასე იყო იმპრესიონიზმზეც; ამ მიმდინარეობის პირველ გამოფენაზე ნიუ-იორკში, შესასვლელთან გაფრთხილება ეწერა ორსული ქალებისთვის, – ნანახმა სიმახინჯემ შესაძლოა, შოკი გამოიწვიოს და ნაყოფი დაზიანდესო.

თანამედროვე ხელოვნება როგორც რეალური, ქმედითი და მისიის მატარებელი ძალა, ალბათ მხოლოდ შექმნასა და მის აღიარებას შორის პერიოდში არსებობს, შემდეგ იგი უამრავ სხვა მისიას იძენს, მაგრამ მთავარს კი კარგავს – ხდება მატერიალური და კულტურული ფასეულობა, ესთეტიკური და ასევე ეთიკური კომუნიკაციის გამტარად და კატალიზატორად წარმოჩინდება, მაგრამ ამ როლების მატარებელს ტრანსგრესიის მუხტი უკვე გამოცლილი აქვს, აქ ის ენობრივ რეალობად იქცევა და დამიწდება.

აქ, დასავლეთში მხატვრებს „აღმნიშვნელების შემქმნელებს“ გვეძახიან (signifier makers). ჰაიდეგერმა ენას ეგზისტენციის სახლი უწოდა. დამიწების შემდეგ ენად ქცეული თანამედროვე მხატვრის შემოქმედება ამ სახლს ავრცობს, ადიდებს, ფლიგელებს მიაშენებს, ახალ სართულებს ადგამს. ეს არის თანამედროვე ხელოვნების სოციალური ფუნქცია, როცა მისი ტრანსგრესიული მუხტი ენის რეალობად იქცევა. თუ ეს გამრღვევი მოძრაობა შემოქმედის მიერ შემოტანილ აღმნიშვნელს (ვიზუალური კოდი) არ ახასიათებს, მაშინ კომპილაციასთან გვაქვს საქმე, რე-სტრუქტურირებასთან, რე-პროდუქციასთან, შედგენილ კოლაჟთან, ეს ყველაფერი კი ინტერესს მოკლებულია; ამას თავად კულტურაც კი „სალონს“ ეძახის.

არსებობს კიდევ უშუალო რეაგირების შემოქმედება. ადამიანის ემოციური სამყარო რეაგირებს უამრავ მოვლენაზე – სოციალურ, ფიზიოლოგიურ, კოსმიურ, მისტიურ მოვლენებზე, ხელოვნების და კულტურის ფაქტებზე, ნააზრევსა და უაზრობაზეც. როდესაც ეს უშუალო ემოციური რეაგირება შემოქმედებით იმპულსთან იკვეთება, მხატვარი ჩვენ გარშემო დღეს დაგროვილი უამრავი ენობრივი სტრატეგიიდან ირჩევს შესატყვისს და ამ ენით აფორმებს თავისი რეაგირების შემოქმედებით პროდუქტს.

ასეთი შემოქმედების მაგალითია, ვთქვათ, დასავლეთში კარგი სტუდენტი. მაგრამ აქედან თანამედროვე მხატვრის ცნობიერებამდე უზარმაზარი სივრცეა გადასალახი.

თანამედროვე მხატვრის ფენომენი რომ შედგეს, თანმიმდევრული დესტაბილიზაცია (უფრო მეტიც, დეკონსტრუქცია) უნდა გაუკეთდეს ადამიანის დეტერმინირებულ ცნობიერებას, ყველა შრეში და ყველა ეტაპზე. დადაისტებმა მისწერეს წერილი დალაი ლამას: ჩვენ ცნობიერება ნულოვან დონეზე დავიყვანეთ, ახლა გვასწავლე, სად არის გზაო. რასაკვირველია, დალაი ლამასგან წერილი არ მიუღიათ. ეს საკითხი ინსტრუქციების დონეზე არ დაიყვანება. როგორც ამბობენ, ცაში გზები არ არის, ბილიკებიც არ არსებობს. თანამედროვე მხატვრობა სწორედ ასეთ გადახსნილ სივრცეში ახორციელებს გასვლას, სწორედ ამ უსაზღვრობაში და იქ ადგენს თავის საკუთარ გზებს და საკუთარ ბილიკებს. მაგრამ ეს დეკონსტრუირების პროცესი საშინელ ტკივილთან არის დაკავშირებული. ამ პროცესს „ადამიანურის“ მიღმა გაჰყავხარ, იმის გარეთ, რასაც საჯარო, კომუნალური ცხოვრება ჰქვია. „თბილი ცხოვრება“ აქ მთავრდება.

ძნელია ოჯახიდან, შენი ქვეყნიდან გარეთ გახვიდე და გადაეყარო სხვა კულტურას. აი, ადამიანი წავიდა საქართველოდან, თავისი ოჯახიდან, მყუდრო, მოვლილი, თბილი სახლიდან, დაემშვიდობა ხაჭაპურებს და ლობიანებს. წავიდა, ვთქვათ, დასავლეთში, შეიჭრა უცხო კულტურაში, სადაც მთელი გარემო სხვა კულტურული ნიშნებითაა აგებული. ამ სიტუაციაში ადამიანი ვერსად პოულობს შესაბამისობას საკუთარ თავთან – აბსოლუტურ დისკომფორტშია, რომელიც ძიების უცილობელი პირობაა. ამ პრინციპულ ნაბიჯს ადამიანი დგამს, რომ „სხვა“ შეიცნოს, „ის, რაც მას არ ჰგავს“ (ფილოსოფიაში უფრო აზუსტებენ და ამას „ახლობელ სხვას“ უწოდებენ). ახლა წარმოიდგინე, რომ ტრანსგრესია მოახდინო და გადახვიდე ისეთ სამყაროში, სადაც საერთოდ კულტურული ნიშნებით არ ხდება არავითარი აპელირება, ანუ „აბსოლუტური სხვა-ში“ – „ის, რაც შენ არ ხარ“. რა ხდება იქ? რა არის იქ? არის საერთოდ იქ რაიმე ხელმოსაკიდი? კონკრეტულობა? არსებობს იქ რაიმე – რასაც შეიძლება დაერქვას სახელი, მიენიჭოს ნიშანი. ასეთ შემოქმედებას, რომელიც ასეთ სფეროში იჭრება, ასეთ სივრცეში ოპერირებს, არაფერი აქვს საერთო რეაგირების შემოქმედებასთან, რე-ორგანიზაციებთან, კომპილაციებთან. ასე ვეუბნები სტუდენტს, – იცოდე, პროფესორი იმიტომ კი არ მოდის აქ, რომ რაიმე გასწავლოს, ან კონცეფციებით გაგიმდიდროს შენი ცნობიერების კულტურული სივრცე. ნამდვილი პროფესორის მისიაა, თავის გამოცდილების ხარჯზე ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ მოგიქციოს. გლობალური კითხვის ნიშანი გააჩინოს შენში. „გააჩუქე შენი თავდაჯერებულობა და შეიძინე შეცბუნება“, – ამბობდა რუმი. ესეთ სიმაღლეებზეა ლაპარაკი რადიკალურად აუთენტურ თანამედროვე ხელოვნებაში. და ვინც ამ სიმაღლეს იღებს, სულის შემკვრელი გრძნობა უჩნდება (რა თქმა უნდა, თუ პროცესების სიმულაცია არ ხდება). ბუდა ამბობდა, – როცა მთელი ჩემი ბუნება ერთ და განუყოფელ კითხვის ნიშნად იქცა, ნათელი მხოლოდ მაშინ დამადგა.

ჩვენი ადამიანური ცნობიერება პრინციპულად ინცესტუალურია და არც ყოფილა არასოდეს სხვანაირი. თუ რაიმე დიდი სხეულის ან სისტემის ნაწილი არ ვართ, საშინელი ტკივილი და შიში გვიპყრობს – **არც კი დაგვსიზმრებია, რა არის ამ დაცულობის მიღმა.**

ასეთი მაგალითები კულტურაში ცოტაა. ასეთია დიუშამი, უორჰოლი, არტო.... აქედან ყველაზე თვალსაჩინო და ბოლომდე უკომპრომისო ცხოვრების მაგალითი ჩემთვის არტოა.

ეს ყველაფერი, რაც აღვწერე, ღრმა შრეებია, სადაც ბევრს არ შეესვლება – კომუნალური ცნობიერების დონეზე კი სულ სხვა სურათი გვაქვს.

ერთ-ერთ ჩემ სტატიაში ცნება „მხა-

ტვარი" გავაანალიზე მისი დასავლური კონოტაციების თვალსაზრისით. ეს ჩემთვის სრულიად მიუღებელი, და ნეგატიური ცნება ნორმალურ (საშუალო და დაბალი კლასის) დასავლურ სოციალურ ცნობიერებაში ასახავს შემოქმედს, როგორც მაღალი დონის პროფესიონალს, რომლის შემოქმედებასაც მყარი და იდენტიფიკაციისათვის ადვილი, ანუ კარგად არტიკულირებული სამეტყველო რესურსები აქვს. როგორც პიროვნებას აქვს საზოგადოებაში გამორჩეული იმიჯი, მის პროდუქციას თანამედროვე ხელოვნების ბაზარზე მყარი ფასი ადევს, ხოლო კულტურული ტექსტის სივრცეში – გავრცობილი და ლეგიტიმური დისკურსი. ამ ყველა ნიშნის მატარებელ „მხატვარს" კურატორული კორპუსი ადგილს უმკვიდრებს აკადემიურ დონეზე, მედია ინფორმაციულ „აურას" უქმნის. ასე ეტაპურად ფორმდება „მხატვარი სელებრითი" (ამ სიტყვამ დღეს „ძველმოდური" და „პროვინციული" სიტყვა „გენიოსი" ჩაანაცვლა, ზუსტად ასევე ჩაანაცვლა სიტყვა „ლეგიტიმაციამ" სიტყვა „აღიარება"). ეს სწორედ ის „სელებრითია", რომელსაც დასავლეთის საზოგადოება ეთაყვანება, უყვარს, აღმერთებს.

დასავლეთის რეალობაში სწორედ ამას სჭირდება პირველ რიგში დეკონსტრუქცია. „მხატვრის" ამ სოციალურ იდენტურობის გაფორმების მყარ რიგს თითქმის ყველა დიდი შემოქმედი ებრძვის, ყველა თავისებურად. აგნეს მარტინი, ბრუს ნაუმანი და კიდევ ბევრი სხვა საერთოდ გაეცალნენ ხელოვნების სცენას და განმარტოება ამჯობინეს.

საზოგადოება დეტერმინაციის მონსტრია, რომელსაც მე პირადად ჩემ ცხოვრების წესში და ასევე შემოქმედებაში ორი სტრატეგიით დავუპირისპირდი – ნაპრალურობით (gap) და ნახტომით (jump). ამ პრინციპის ნათელსაყოფად დიდი და კომპლექსური პროექტი გავაკეთე, რომელსაც „პატარძალი" (Bride) ჰქვია. თავად ეს პატარძლის ცნება ძალიან მრავალმნიშვნელოვანია. პატარძალი რომ ხდები, შენი ოჯახის სტრუქტურიდან გამოთავისუფლებული ხარ, მაგრამ ჯერ კიდევ ახალი სისტემის ნაწილიც არა ხარ, პატარძალი არც მოხმარების და არც მსახურების კონდიციაში არ იმყოფება, აწმყო არ გააჩნია, მისი არსებობა მხოლოდ მომავლის ნიშნით ხორციელდება, ანუ სულ „ნაპრალში" იმყოფება. ეს „ნაპრალურობა" (gaping) არის ჩემთვის თანამედროვე ხელოვნება, ნაპრალურობის ცნობიერება და მისი შესატყვისი ნახტომური დინამიკა არის ჩემი ცხოვრების წესის იდეალი. ამ ნაპრალურ ცნობიერებას ჰაიდეგერიც აღწერს და ამ კონტექსტში სიტყვა „გაძლება" აქვს ნახმარი. „ნაპრალში გაძლება" – კულტურის მიღმა ქაოსია. ჩემმა სტუდენტმა მითხრა: საშინელი ქაოსი შემოდის, როდესაც იწყებ გაბრძოლებას კულტურულ ცნობიერებასთან, რომლის პროდუქტიც შენ თვითონ ხარო. სწორედ ამ კონტექსტში ხმარობს სიტყვებს „ნაპრალში გაძლება" ჰაიდეგერი – იდგე ქაოსის ცენტრში, შეუქმნა მას ცენტრი, სადაც ის თავის სრულ და უშრეტ შესაძლებლობებს ავლენს და გიჩვენებს – ამ ყველაფერს ძალიან ახლოს მივყავართ სანუკვარ ცნებასთან – „ადამიანის პოსტკულტურულ იდენტურობასთან".

ჩვენი ადამიანური ცნობიერება პრინციპულად ინცესტუალურია და არც ყოფილა არასოდეს სხვანაირი. თუ რაიმე დიდი სხეულის ან სისტემის ნაწილი არ ვართ, საშინელი ტკივილი და შიში გვიპყრობს – არც კი დაგვსიზმრებია, რა არის ამ დაცულობის მიღმა. არა, დაგვსიზმრებია – ის ტიტანური ოკეანის ტალღა შორიდან რომ მოდის და გადაფარვას რომ გვიპირებს. ამ დროს გვიგრძვნია ის ძრწოლა და ზეიმი, რაც დაუცველობას მოაქვს, რაც „ნაპრალში გაძლებას" ნიშნავს – ადამიანური სტატუსის მიღმა სრულიად და ბოლომდე გადახსნილ სივრცეში.

მიშა ხუნდაძე: იოანე სინელს აქვს ნათქვამი, – „როცა შიში უშიშობას შობს, მაშინ გამობრწყინდება სიხარული. როდესაც უსასრულო სიხარული ზღვარს მიაღწევს, მაშინ წმინდა სიყვარულის ყვავილს გამოიღებს".

აკადემია

მიშა ხუნდაძე: შენ ხშირად იმეორებ ჰაიდეგერის სიტყვებს: არ ეძიოთ ფილოსოფია უნივერსიტეტებში. მართალაც, პატარა წვრილმან პოლიტიკანურ გადაწყვეტილებებში, თავიანთ თავზე მორგებულ სისტემებში, ინსტიტუციების წიაღში აღარ რჩება ადგილი „მოაზროვნე აზრისთვის". ეს არ იქნებოდა ყურადსაღები, რომ აქ არ გვქონდეს საქმე ახალგაზრდებთან, ისინი რჩებიან საბოლოოდ მოტყუებულნი.

მაინც რა უნდა იყოს აკადემია და როგორი ფორმით უნდა არსებობდეს იგი დღეს? შენი ნათქვამია: „ოდესღაც (იქ ძველ საბერძნეთში) აკადემია შემოქმედებითი აზრის ადგილს წარმოადგენდა. ეს აზრი, „მოაზროვნე აზრი", არ გამოაცალკევებდა საკუთარ აზრს სივრციდან, არ ცდილობდა, გაფორმებულიყო როგორც საგანი, როგორც ფასეულობა, როგორც გაცვლითი ერთეული". შესაძლებელია, რომ დაბრუნდეს ასეთი აკადემია?

გია ეძგვერაძე: გერმანიაში სამ აკადემიაში ვასწავლიდი – დიუსელდორფის, ბონის და ბერლინის. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც შენ წამოჭერი, ყველაზე პოზიტიური გამოცდილება დიუსელდორფში მქონდა. პრაქტიკულად, სწავლება როგორც ეგეთი (იმ გაგებით როგორც ეს საქართველოში ესმით დღეს) აკადემიაში არ ხდება. მარკუს ლუპერცი (წლევანდლამდე აკადემიის რექტორი) აკადემიის პროგრამების და განრიგების ბროშურის შესავალ სტატიაში ასე მიმართავს სტუდენტებს: „თანამედროვე ხელოვნების სწავლება შეუძლებელია – ამიტომ, აქ ჩვენთან აკადემიაში გარემოთი და ატმოსფეროთი ხდება სწავლება". ეს სწავლება არის რაღაც კოლაბორაციის ფორმა, ისეთი ატმოსფეროს შექმნა, სადაც იბადება თავისუფლება, იბადება რადიკალური აზროვნება, შეკითხვა, განყენება კულტურასთან, ირაციონალურობის, სუბიექტურობის შეგრძნება, შინაგანი მოლოდინი, შეცბუნება – ყველაფერი ის, რაც ცნობიერების ახალი ხარისხისკენ მიგვანიშნებს და რის გარეშეც შემოქმედება თავისი აუთენტური ფორმით არ შეიძლება დაიწყოს. ხომ

თქვა პიკასომ, – ჩვენ ყველანი თვითნასწავლი მხატვრები ვართ, რადგანაც ყოველი ჩვენგანი ვიზუალური გამომსახველობის საკუთარ სისტემას იმუშავებსო. დიუსელდორფის აკადემიაში პროფესორი არ ცდილობს, რაღაცით ამოავსოს სტუდენტი, გაავსოს დირექტივებით, პირიქით ძალიან ფრთხილად ეკიდება და პრაქტიკულად არასდროს არ აჩქარებს მას – რადგან თანამედროვე ხელოვნების სწავლება პრინციპულად ცნობიერების ახალი ხარისხის დაბადებაში დახმარებაა. ფორმის და საერთოდ მხატვრული ენის სინტაქსისის დონეზე, რასაკვირველია, პროფესორი გარკვეულ რჩევებს იძლევა, როცა ნამუშევრის განხილვა ხდება, მაგრამ მთავარი ფოკუსი აქ ყოველთვის სიფრთხილეზე და ყურადღებაზეა, რომ რაიმე სიახლე, სულის მოძრაობა არ გამოეპაროთ. არ ცდა, ეს შინაგანი მოლოდინის განცდა, ზოგჯერ ყოველგვარ ქმედებაზე ბევრად მეტს ნიშნავს, იმ შინაგანი ჩვენი მცდელობისათვის, რომ დავიბადოთ, გაგვიჩნდეს რეალური შეგრძნება და შევცბუნდეთ ფაქტით, რომ ვარსებობთ (ეს ხომ ბევრის ხვედრი არ არის) და არა მხოლოდ ვქმედებთ – ასეთი ძირეული „ინსაიტის“ გარეშე თანამედროვე ხელოვნების შესატყვისი შემოქმედება არ იბადება.

აი, ასეთი ფაქიზი და რთული ნიუანსებითაა სავსე თანამედროვე ხელოვნების სწავლება. დროში თავისუფალი არსებობა სტუდენტის ცხოვრების წესი უნდა იყოს; ეს ბადებს ალტერნატიული ცხოვრების წესს და ამ ცხოვრების წესის სუბიექტს.

როგორ დახატო კარგად ბოთლი, ან კარგად გადმოსცე დრაპირის ფაქტურა, ასეთი რამე დასავლეთში ნამდვილად არავის აღარ ახსოვს – ალბათ დამწყებ სკოლაშიც კი არავინ აღარ ასწავლის. ასწავლიან იმას და ისე, რაც სტუდენტს შემოქმედებით ცნობიერებას დაუძრავს. „poiesis-ის“ პროცესში ხომ, როგორც ცნობილია, ფორმა საკუთარ თავს თვითონ უკეთებს ორგანიზებას. ამის და ასევე პიკასოს ზემოთ მოტანილი გამონათქვამის საუკეთესო მაგალითია ფიროსმანი – მისმა ექსტატურობამ, მისმა „poiesis-მა“ მისი მხატვრული ენის სისტემა აბსოლუტური სრულყოფილებით გააფორმა. აქეთკენ ცდილობენ, უბიძგონ ახალგაზრდა შემოქმედს დასავლეთში და თუ ყველაფერი ის, რაზეც მე ახლა აქ ვისაუბრე, შიშს გვრის ვინმეს და აბსურდად ეჩვენება, ეს იმ რუტინის ბრალია, რომელიც ადამიანს ასე უყვარს და რომელშიც ასე კომფორტულად გრძნობს თავს, როცა რაიმეს მყარად ეყრდნობა – ყველაფერ იმას, რაც ერთხელ ფუნდამენტურად დამკვიდრდა და ისტორიულად დაფუძნდა.

რაც დღევანდელ დღეს არანაირად არ პასუხობს თანამედროვე ევროპული აკადემიის მრწამსს, ეს ჩვენი თბილისის სამხატვრო აკადემიაა. ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო, როცა ბოლოს თბილისში რომ ვიყავი ჩამოსული, ვიღაცამ მაჩვენა დოკუმენტი, სადაც აკადემიაში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტის მიერ შესრულებული ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმების გრძელი სია იყო ჩამოწერილი. კრიტერიუმები დაახლოებით ასეთი სახის იყო – შუშის ბოთლის გამჭვირვალების გადმოცემის ხარისხი, დრაპირის სიმძიმის და ფაქტურის იმიტაციის ხარისხი და ასე შემდეგ. დღეს ასეთი დოკუმენტის არსებობა მხოლოდ ჰაერში გამოკიდებული ნონ-

სინერგეტიკას უნდა გავეცნოთ, თუ როგორ აგვარებს ბუნება თავისით ფორმის და სტრუქტურის ორგანიზაციას. ამ აუთენტურობას, ამ ორგანულ პროცესს არ სჭირდება ძალდატანება, პირველ რიგში, **ეს ძალდატანება უნდა მოიხსნას აკადემიაში. მაშინ აკადემია გახდება ადგილი, სადაც იქნება ლტოლვა შეუცნობადისკენ.**

გამოეპაროთ „poiesis-ი“, რაც პრინციპულად, თანამედროვე ხელოვნების შემოქმედების შინაგანი არსია. ჰაიდეგერი „poiesis-ს“ ახასიათებს როგორც ექსტატურ მოძრაობას, როცა რაიმე იწყებს მცდელობას, საკუთარი არსი შეცვალოს და „სხვად“ იქცეს – იმად, რაც თვითონ არ არის. აი, ამ „სხვა“-სკენ მოძრაობის სიყვარული უნდა ვასწავლოთ, ამისკენ სწრაფვა და ძალისხმევა ამ მიმართულებით. მოლოდინი ვახსენე. ბევრ შემთხვევაში, სტუდენტის სრული პასიურობაც კი შეიძლება პოზიტიური იყოს მისთვის და მოლოდინის ფაქტი აღმოჩნდეს. კაფკას აქვს ასეთი გამოთქმა: არაფერი არ გჭირდება რომ გააკეთო, უბრალოდ დაჯექი მაგიდასთან და უცადე, უცადე გულისყურით, უცადე და ის მოვა. ასეთი ულამაზესი და უცნაური აზრი გამოთქვა მან, მაგრამ ეს ფრაზა არ არის მხოლოდ პოეზია. ეს სენსი რომ იყოს, გავხალისდებოდით და ამით გათავდებოდა, მაგრამ როცა ამ დოკუმენტს უკან სწავლების ინსტიტუცია უდგას, და ის ახალგაზრდა კაცის შემოქმედების მცდელობის „კრიტერიუმად“ გვევლინება, ეს ფაქტი ეთიკურად დრამატულ (რომ არ ვიხმაროთ მართლმსაჯულების ტერმინოლოგია) მოვლენად იქცევა და წარმოუდგენელ სიბეცედ გვევლინება. აი, ასეთი რამის ჩადენა აბსოლუტურად დაუშვებელია. ასე არ შეხვიდე კაცი არაფერთან რეფერენციაში, არაფერი არ გაიაზრო, რაც ხდება პროგრესულ კულტურულ გარემოში, იმ კულტურის პიკზე, რომელსაც ისტორიულად შენც ეკუთვნი – ამაზე კომენტარი ძნელი გასაკეთებელია.

როცა აკადემიაში ახალგაზრდა კაცი მოდის, მასში ყველაზე ღირებული პირველადი, ვიტალური ენერგიაა. ამ ენერგიას უნდა მიეცეს გეზი. ერთ მა-

გალითს გეტყვით – დიუსელდორფის აკადემიაში ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა, რომ მთხოვეს, ერთი აბიტურიენტის ნამუშევრები გადამერჩია. ძალიან ნიჭიერი ბიჭი აღმოჩნდა – ზოგიერთ ნამუშევარში პლასტიკის, მოცულობის, ფორმის კარგ შეგრძნებას ავლენდა; სხვა ნამუშევრებში, სადაც კიჩურ ურჩხულებს, სუპერმენებს და სექსუალურ სცენებს ხატავდა, პლასტიური თვალსაზრისით დიდი არაფერი ხდებოდა. მოკლედ, ასეთი იყო სურათი და მეც ჩემი შეფასების მიხედვით გადავურჩიე ნამუშევრები. ჩემ შემდეგ ამ აბიტურიენტის მშობლებს მიეცათ შესაძლებლობა, ეს ახალგაზრდა კონსულტაციისთვის იორგ იმენდორფთანაც წაეყვანათ. იორგი სულ სხვა ნახატებით დაინტერესდა – აი, იმ კიჩურით, სადაც გაუგებარი ფანტაზია და ენერგია ჩანდა, სამყაროზე და სოციალურ გარემოზე რეაქცია იჩენდა თავს, სადაც გარემოსთან დამოკიდებულება იკითხებოდა და მასთან შეხების ნიჭი და სურვილი. ეს ახალგაზრდა კაცი სწორედ ამ „კიჩური“ ნახატებით მიიღეს აკადემიაში და ჩემმა შემდგომმა თვალის დევნებამ მაჩვენა, რომ იორგის გადაწყვეტილება აბსოლუტურად სწორი იყო.

ასე მივიღე პირველი დაუსწრებელი გაკვეთილი თანამედროვე ხელოვნების სწავლებაში – მაშინვე მივხვდი, და, რაც მთავარია, ერთი წუთითაც არ გამჭირვებია მეღიარებინა, რომ სწორი არ ვიყავი, რომ მე ისევ ვიზუალური კულტურული კლიშეებიდან მინდოდა დამენახა ამ ყმაწვილის პოტენცია და სწორედ ამ კლიშეებში ჩავტოვებდი მას. რაც საჭიროა, ყველაფერი მოვა, მოვა პროცესში, როგორც კი ამის საჭიროება გაჩნდება; მოცულობა იქნება ეს თუ ფორმა, სინათლის თუ ზედაპირის შეგრძნება. მოვა და გაჩნდება კიდევ უფრო მიმზიდველად და უშუალოდ, კიდევ უფრო აქტიურად, „ევრიკალურად“ წარმოჩინდება. მექანიკურად შემოტანილზე და ნასწავლზე თანამედროვე შემოქმედებას ვერ მოარგებ, ვერ გადაჭიმავ, შეუძლებელია. ეს მის ბუნებას ეწინააღმდეგება.

მხატვრული ენის გაფორმების პროცესები დღეს უკუღმა ხორციელდება. რა თქმა უნდა, ასე რადიკალურად შეცვლილი პრინციპის გადახარშვა, აღიარება, მიღება ძნელია. ძნელია, უცბად ენდო შემოქმედებით ძალას, ძიების აბსტრაქტულ შინაგან შეგრძნებას და სილუეტებს, მიჰყვე ამ შეუცნობად ლტოლვას და აღიარო მისი საკუთარი თავის დასტრუქტურირების უნარი.

ყველა კულტურას, ყველა ეპისტემას, ყველა პარადიგმას საკუთარი გზა აქვს. უკვე ას წელზე მეტია, რაც კულტურულ სამყაროში არსებობს ხელოვნების ერთიანი კონცეფცია, რომელსაც „თანამედროვე ხელოვნება“ ჰქვია. ეს პრინციპი გამორიცხავს ერთიანი და უნივერსალური მხატვრული ენის არსებობას – პირიქით, მისი ძირეული პრინციპი ის არის, რომ ყოველი მხატვარი მის სუბიექტურ, ინდივიდუალურ და უნიკალურ ირაციონალურ კოსმოსს აფორმებს ამ კოსმოსისთვის ერთადერთ შესატყვის ენაში. ასეთი სუბიექტივიზაციის პროდუქტს სთავაზობს თანამედროვე ხელოვნება კულტურას. ფიროსმანი ამ პრინციპის დაუძლეველი ჩემპიონია.

არ არის საჭირო, კაცი ჯერ ციხეში ჩასვა, რომ მერე თავისუფლების გემო უფრო გაიგოს. ციხიდან გამოსულმა შეიძლება ძალიან გაიხაროს თავისუფლებით, მაგრამ მას თავისუფალი კაცის ცნობიერება არასოდეს აღარ ექნება – ყოველთვის ნაციხარის თვალით დაინახავს სამყაროს. ხომ ამბობდა მატისი, – ათი წელი ვსწავლობდი და მერე ათი წელი ვივიწყებდი ნასწავლსო. ადამიანი თავის-უფალ არსებად იბადება და მას ეს სიამაყე და გაბრწყინება არ უნდა წაართვან – მონობაში არ უნდა ჩააბარონ. მოვიდა ივ ტანგი, იყო გემის კაპიტანი და საერთოდ არ უხატია, ნახა საგამოფენო დარბაზში დე კირიკოს ნამუშევრები, იგრძნო, რომ ასეთ სამყაროს ეგეც ღრმად განიცდიდა და პირდაპირ დაიწყო ხატვა. ასე გახდა წამყვანი სიურრეალისტი. ნდობაა საჭირო, მიმართვა, გამხნევება, დიდი ყურადღება, სიფაქიზე, დანარჩენი თავისით გვარდება. სინერგეტიკას უნდა გავეცნოთ, თუ როგორ აგვარებს ბუნება თავისით ფორმის და სტრუქტურის ორგანიზაციას. ამ აუთენტურობას, ამ ორგანულ პროცესს არ სჭირდება ძალდატანება, პირველ რიგში, ეს ძალდატანება უნდა მოიხსნას აკადემიაში. მაშინ აკადემია გახდება ადგილი, სადაც იქნება ლტოლვა შეუცნობადისკენ და ადგილი, სადაც ჩნდება კითხვები, დაიბადება გამრღვევი შემოქმედებითი იმპულსები, თორემ სხვანაირად გვეყოლება გაუთავებლად კარგი ხელოსნები, კარგი „ოსტატები“, ილუსტრატორები, კომპილატორები – თანამედროვე ხელოვნებისათვის კი არც ერთი მათგანი არ გამოდგება.

თუ არ ვცდები, პავლე მოციქულის ნათქვამია: „როგორ მიყვარხარ ადამიანო და როგორ მძაგს შენი ქმედება“.

ფუკოს ფრაზაა: „არასოდეს არ მკითხო ვინ ვარ და არასოდეს არ მომთხოვო დავრჩე ის, ვინც ვარ“.

და ბოლოს, დელიოსის: „ცოდნა მხოლოდ იმიტომ გვჭირდება რომ ერთ დღეს მისი სრული უძლურების ფაქტი დავადგინოთ და სასოწარკვეთაში ჭეშმარიტი შანსი გაგვიჩნდეს“.

მიშა ხუნდაძე: ისევ იოანე სინელს აქვს ნათქვამი: „თვალის გუგასავით გაუფრთხილდი მწუხარებას, რომ თანდათანობით არ დაგტოვოს მან; რადგან ძლიერი ძალა აქვს და დიდად აღემატება იმ ძალას, რომელიც ჩვენი პირადი მცდელობისა და განსჯის შედეგად მოდის“.

გია ეძგვერაძე: ჰაიდეგერთან ეს მწუხარება ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა და „Worry“-ს ტერმინშია დაფიქსირებული. ჰაიდეგერი თვლის, რომ თუ ეს მწუხარება („Worry“) არსებას არ დასწყებია, ის ჯერ ადამიანად არ შეიძლება ჩაითვალოს – სწორედ ეს მწუხარება ბადებს „poiesis-ის“ წყურვილს, სურვილს, მისკენ სწრაფვას. „poiesis-ის“ პროცესი კი იმ სრულფასოვანი შემოქმედების ფორმაა, რომელსაც ცდილობს, მიუახლოვდეს და მიუერთდეს თანამედროვე ხელოვნება.

ჩვენი დღევანდელი საუბარი იმ კომუნიკაციის ფორმის მაგალითია, რომელსაც მე ჩემ სტუდენტებთან ვახორციელებ და რომელიც გზას უკვალავს ახალი ცნობიერებისკენ ლტოლვას. ეს ლტოლვა და ცნობიერება კი მხატვრულ შემოქმედებით ფორმას თავისით და ძალდაუტანებლად შობს, და მაშინ და ასე მრავლდებიან აუთენტური, ღირებული და უნიკალური მნიშვნელობები.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE 2011

14 სექტემბერი – 9 ოქტომბერი

THE
NEW YORKER
Festiva
October
5|6|7
THE NEW
EW YORKER THE NE

თავისუფლების ამარა

ავტორი: შორენა შავერდაშვილი

„ცხელი შოკოლადის“ წინა ნომერში ჟურნალ „ნიუ-იორკერის“ ფესტივალზე მოგიყევით და დაგპირდით, სალმან რაშდის და ორჰან ფამუქის საუბრის ჩანაწერს „თემაზე“ სამშობლო, შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ-მეთქი. ვასრულებ პირობას.

მიყვარს, როცა ადამიანი აზროვნების პროცესში გრთავს და მგლის თავზე სახარებას კი არ კითხულობს, შენც მოაზროვნე ადამიანად მიაჩნიხარ, თავის შეხედულებებსა და მოსაზრებებს ისე განვდის, როგორც თანასწორს და ფიქრის შანსს შენც გიტოვებს. სწორედ ასეთი მოსაუბრე აღმოჩდა ორჰან ფამუქი და სრულიად მოვიხიბლე. თუ მის წიგნებში ნელ-ნელა, აუჩქარებლად იქარგება სიტყვები და ყველაფერს ნოსტალგიური და სევდიანი ელფერი დაჰკრავს, საუბრის დროს ის ჩქარობს, ხმაურობს, ბრაზობს, აპროტესტებს, ქაოტურ აზრებს აყალიბებს და ასოციაციებისთვის თანმიმდევრობის მიცემას ცდილობს. ასეთი კონტრასტი წარმოსახვით ფამუქსა და „რეალურ დროში“ მოსმენილ ფამუქს შორის ნამდვილად მოულოდნელი იყო. თუმცა, ნობელის ლაურეატი მწერალი საუბარშიც უამრავჯერ უბრუნდება ერთსა და იმავე აზრს და სათქმელს რუდუნებით ქარგავს. რაშდი, მეორეს მხრივ, რაფინირებული მოსაუბრეა. მოზომილი შეფასებები, მოზომილი ტემპერამენტი და ბევრი ცინიზმი! რაშდი, ფამუქისგან განსხვავებით, საკუთარ აზრებში არასოდეს იხლართება. ის მკაფიოდ და ლაკონურად აყალიბებს სათქმელს. „ნიუ-იორკერის“ ფესტივალის ლიტერატურული საღამოების ფარგლებში შედგა ეს შეხვედრაც. მწერლები საუბრობენ „მშობლიურზე“, „შინ“ დარჩენისა და „გზაზე დადგომის“ ურთიერთსაწინააღმდეგო ვნებებზე, ანარქისტობასა და პასუხისმგებლობაზე, ლიტერატურასა და აზროვნების საწყისებზე.

საუბარი მწერლებს შორის: სალმან რაშდი და ორჰან ფამუქი თემაზე – სამშობლო.
საუბარს უძღვება „ნიუ-იორკერის“ ლიტერატურული რედაქტორი

ორჰან ფამუქი 2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატია ლიტერატურაში. ის უმეტესწილად სტამბულში ცხოვრობს და თურქეთის წამყვანი მწერალი და სპიკერია. მოქმედება მის ბესტსელერ რომანებში – მათ შორის, „ჩემი სახელია წითელი“, „შავი წიგნი“ და „თოვლი“ თითქმის ექსკლუზიურად თურქეთში ვითარდება და მათში ხშირად ისმის კითხვები კულტურულ და რელიგიურ იდენტობაზე, თურქეთის ისტორიასა და აწმყოზე. მემუარში – „სტამბული: ქალაქის მოგონებები“ და ესეების ბოლო კრებულში –“სხვა ფერები“ ფამუქი თავისი თანამემამულეების დაუვიწყარ სახეებს ქმნის. იმავდროულად, მას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს თავის სამშობლოსთან. მისი გულწრფელობისა და საჯარო გამოსვლების წყალობით, ხშირად თავდასხმის ობიექტი ხდება, როგორც პრესის, ისე ნაციონალისტური ჯგუფების მხრიდან. 2005 წელს, ფამუქის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მისი ერთ-ერთ საჯარო გამოსვლის გამო, სადაც მან ოტომანების იმპერიას სომხების გენოციდში დასდო ბრალი. საქმე მოგვიანებით დაიხურა, მაგრამ მის წინააღმდეგ მიმართულმა აგრესიამ და თავდასხმების შიშმა, ფამუქი აიძულა მშობლიურ ქალაქში პოლიციის დაცვის ქვეშ ყოფილიყო.

სალმან რაშდი დაიბადა ბომბეიში, განათლება ინგლისში მიიღო. პაკისტანში ცხოვრობდა იქამდე, ვიდრე საბოლოოდ ლონდონსა და ნიუ-იორკში არ დაიდო ბინა. მისი მეოთხე რომანი „სატანური სტროფები“, რომელიც 1998 წელს გამოქვეყნდა და ნაწილობრივ, მუჰამედის ცხოვრებით იყო შთაგონებული, ლონდონში მცხოვრებ 2 ინდოელ ემიგრანტზე გვიყვება. რაც ამ წიგნის გამოქვეყნებას მოჰყვა, ყველას კარგად მოგეხსენებათ – მუსლიმურმა სამყარომ ის ღვთის შეურაცხყოფად შერაცხა და აკრძალა. დაიწყო საპროტესტო დემონსტრაციები, ირანში აიათოლა ჰომეინმა გამოსცა ფატვა – ბრძანება რაშდის მოკვლის თაობაზე. რაშდი წლების განმავლობაში იმალებოდა, თუმცა, მას შემდეგ ისეთი საყოველთაოდ აღიარებული რომანები დაწერა, როგორებიცაა „მავრის უკანასკნელი ამოსუნთქვა“, „მიწა ფეხქვეშ“, „შუაღამის შვილები“, „მრისხანება“; ასევე, პუბლიცისტური წერილები და ესეები. მისი ჯილდოებიდან, რომელთა ჩამოთვლას აქ არ დავიწყებთ, აღსანიშნავია 2007 წლის დასაწყისში მიღებული „ბრიტანეთის იმპერიის რაინდის“ ტიტული.

რა ასოციაციები გიჩნდებათ სამშობლოსთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ არის თურქეთი და ინდოეთი თქვენი სამშობლო, თუ წლების მანძილზე შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება ამ ქვეყნების მიმართ?

რაშდი: ვფიქრობ, რომ სახლი ის ადგილია, სადაც იზრდები. შინ ყოფნის განცდა სხვაგან არსად გიჩნდება. ჩემთვის ბომბეია ჩემი სახლი, მაგრამ არა ბომბეი ზოგადად, არამედ ბომბეი – ერთ კონკრეტულ დროს. ვფიქრობ, დღევანდელი ქალაქი ძალიან განსხვავდება იმ ქალაქისაგან, სადაც მე გავიზარდე, თუმცა, ის მაინც ძალიან მიყვარს. მაგრამ სახლის განცდა დროსთან და სივრცესთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, როცა ინდოეთში ვბრუნდები, ყოველთვის მაქვს შეგრძნება, რომ სახლში ვბრუნდები.

მშობლიურის განცდის დიდი ნაწილი ლინგვისტურიცაა. ინდოეთში ჩასვლისას ვხვდები ხოლმე, რომ ენა, ჯერ კიდევ მახსოვს, მაგრამ დღეს, ამ წუთას, ის სადღაც მეხსიერების სხვენშია გამოკეტილი. ინდოეთში კი, ისევ მახსენებს ხოლმე თავს. სახლში ყოფნა გარკვეულწილად ამასაც ნიშნავს – იბრუნებ უნარს დაისადგურო შენს მშობლიურ ენაში.

ფამუქი: მეც მსგავსი პასუხი მაქვს. ცხადია, ჩემი სამშობლო თურქეთია, განსაკუთრებით, სტამბული. მე არც აქ ვგრძნობ უცხოდ თავს, მაგრამ... ასევე ძალიან არ მიყვარს, როცა მეუბნებიან, გადასახლებაში ხარო. ხაზი გაუსვით, ჰა! არ ვამბობ, რომ დევნილი ვარ. ყოველთვის შემიძლია თურქეთში დაბრუნება. კი, იქ გარკვეულწილად მინევს პირად უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ზედმეტად ბევრი მუქარა მესმის ჩემი მისამართით, მაგრამ... ისევ დავუბრუნდეთ იმას, თუ რატომ ვთვლი ჩემს სამშობლოს ჩემს სამშობლოდ. მგონია, რომ სამშობლო საწყისებია. ახალდაბადებული ცხოველივით ხარ, მგრძნობელობა გამძაფრებული გაქვს, ყველაფერს ისრუტავ და შთაბეჭდილებებს ჰარდ-დისკზე წერ. მოგვიანებით, ამას იხსენებ, აფასებ, აანალიზებ მთელი დარჩენილი ცხოვრება. შეიძლება, ფროიდისეულად ჟღერდეს ეს ყველაფერი, მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილებებია – ენა, კულტურა და ყველაფერი ის, რასაც კუთვნილების აურა აქვს, თანამედროვე დედის შეგრძნება. სახლი იქაა, სადაც დედაა. დედაჩემი ჯერ კიდევ იქ ცხოვრობს და მირეკავს ხოლმე, „დღეს ინტერვიუ გაქვს, ძვირფასო, არ დაგაგვიანდეს.“ სახლი იქაა, სადაც ეს დედობრივი ხმა გესმის, სადაც დაცული ხარ, სადაც კარტეზიანული ცნობიერება იწყება. სახლი სამყაროს დასაწყისია და ვეთანხმები სალმანს – ჩემთვის მშობლიური თურქეთის კონკრეტული პერიოდია. მაგალითად, როცა წიგნში „სტამბული“ ჩემი მოგონებები დავწერე, თურქი მწერლების ახალმა თაობამ და მეგობრებმა მითხრეს, რომ ახლანდელი სტამბული ასეთი შავთეთრი აღარ არის, ის უფრო მხიარული ადგილიაო. მაგრამ მე სწორედ სევდიანი სტამბული მიყვარს, მიყვარს ჩემი მოგონებები. ასე რომ, სახლი დედაა, საწყისებია, მოგონებებია, და რაღა თქმა უნდა, მშობლიური ენაა. ერთადერთი მშობლიური, რაც მობილურია – ენაა. ჩემი ენა ყოველთვის ჩემთანაა, შემიძლია მარსზე გავფრინდე, ან ციმბირში და სამხრეთ ამერიკაში წავიდე – იქ, სადაც ყველაზე შორია, მაგრამ თურქული ენა ყოველთვის ჩემთანაა, ყოველთვის ჯიბეში მიდევს და სულში მაქვს. მე ამ ენაზე ვწერ. ის ჩემი სახლია.

ამ ყველაფერთან სერიოზული მიჯაჭვულობა მაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახლში ყველაფერს მშობლიურად აღვიქვამ. ასევე არ ვამბობ, რომ ეს მშობლიურია, დანარჩენი ყველაფერი კი – უცხოა და მეორეხარისხოვანი. პირიქით, ჩემი სახლის მშობლიურობას მაშინ უფრო უკეთ აღვიქვამ, როცა არ ვარ თურქეთში. „შავი წიგნი“ ამერიკაში დავწერე და იქ ყველაზე რადიკალურად

გამძაფრებული მქონდა თურქად ყოფნის განცდა, ჩემი იდენტობის სიმძაფრე. ყოველთვის მქონდა ეს პრობლემები და მშობლიურზე ფიქრი პირველად მაშინ დავიწყე, როცა 1985 წელს ნიუ-იორკში, მეუღლესთან ერთად ჩამოვედი, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტში დისერტაციას იცავდა. პირველად სახლი ფუნდამენტურად მაშინ გავაცნობიერე, როცა სახლში არ ვიყავი.

თქვენს რომანებში ყველგან მოგზაურობთ, მაგრამ მაინც მუდამ ინდოეთსა და თურქეთში ბრუნდებით. რამდენად გარდაუვალია ეს მიზიდულობა?

რაშდი: ვფიქრობ, რომ სამშობლო ის არის, რაც მე მერგო, როგორც მწერალს. ხანდახან შემიქცევია მისთვის ზურგი, მაგრამ ყოველთვის მაბრუნებს

ინდოეთზე წერა მაშინ უფრო იოლია, როცა იქ არ ხართ?

რაშდი: არა, რთული იყო. „შუაღამის ბავშვებში“ უფრო იოლი იყო. ლონდონში რომ არ მეცხოვრა, ვერც კი მექნებოდა ეს აბსურდული მისია, ერთ წიგნში დამეწერა მთელ ქვეყანაზე. ამხელა ინდოეთში როცა ცხოვრობ, ერთ ქუჩას შეიძლება მიუძღვნა მთელი წიგნი. ნახევარი მილიარდი ადამიანის ერთ წიგნში ჩატევა სიგიჟეა და ვფიქრობ, ცოტა დისტანცირებული უნდა იყო, მასზე წერა რომ გაბედო.

ფამუქი: ვწერ სახლზე, იმიტომ, რომ მხოლოდ ეს ვიცი. სტამბულზე ვწერ იმიტომ, რომ იქ გავატარე ჩემი ცხოვრების 50 წელი. და როცა მთხოვთ, რომ ჰუმანიზმზე ვილაპარაკო, ვიწყებ ჰუმანიზმზე ლაპარაკს ისე, რომ არ მაშირებით მაწუხებს. ჩვენ ყველას გვაქვს სამშობლოს განცდა. ეს გარდაუვალია, თითქმის ცხოველური ინსტინქტია. მაგრამ ჩემი ცნობიერი, რომელიც უფრო აწონილ-დაწონილია, უფრო ჭკვიანია და მართავს ჩემს არსებას, მეუბნება, რომ, როცა საზღვარგარეთ ყოფნისას სახლზე მეკითხებიან, არ მინდა ხაზი გავუსვა განსხვავებას სახლსა და სხვა ადგილებს შორის. როგორც კი ამას აკეთებ, მაშინვე მის რეპრეზენტირებას იწყებ.

რაშდი: ერთხელ მორიგ შარში გავეხვიე... ჩემმა ერთ-ერთმა წიგნმა ძალიან კეთილგანწყობილი შეფასებები მიიღო „ნიუ-იორკ თაიმს ბუქ რევიუსგან“. კრიტიკოსმა გამოიყენა ფრაზა, რომელიც მერე ყველა გამომცემელმა აიტაცა – „რაშდის წიგნების კითხვისას ხვდები, რომ კონტინენტმა იპოვა ხმა“. დანარჩე-

„ძალიან ზედაპირულია ყოფა, როცა სამშობლოში ხარ და ყველაფერს ეთანხმები. სამყაროს განსხვავებული ხედვა იმ წიგნებიდან მომაქვს, რომლებსაც ჩემი მარტოდ ყოფნის დროს ვკითხულობ და ყველაფერს ამ იდეების კონტექსტში ვაანალიზებ. ამ სამუშაოს შესრულებით, მგონი, სამშობლოს უფრო უკეთ აღვიქვამ ვიდრე ისინი, ვისაც დისკომფორტი და პროტესტი არასოდეს გასჩენიათ“ – ორჰან ფამუქი.

უკან. ხანდახან ეს პროცესი ომს ემსგავსება, ხანდახან გინდა დაწერო სხვა რამეზე, მაგრამ ქრონიკულ გაწევ-გამოწევაში ხარ ჩართული. ეს გარდაუვალია. ორჰანის აზრი მინდა გავაგრძელო: არც მე მაქვს „გადასახლებულის“ განცდა, ერთადერთხელ იყო, თითქმის 10 წლიანი პერიოდი, როცა ვერ ვბრუნდებოდი ინდოეთში, ცნობილი მიზეზების გამო. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რატომაც ვამაყობ „მავრის უკანასკნელი ამოსუნთქვით“, არის ის, რომ ეს ერთადერთი რომანია, რომელიც ინდოეთზე, ინდოეთში ჩაუსვლელად დავწერე. და როცა ინდოელებმა წაიკითხეს ეს წიგნი, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპლიმენტი მითხრეს – ესე იგი, შემოპარვა მოახერხე, არა? სხვა შემთხვევაში, როგორ გეცოდინებოდა ეს ყველაფერი?

ვიწყდება – მხოლოდ სტამბულზე ვსაუბრობ. მაგრამ ეს განსჯის საგანია. თუ სამშობლოში არყოფნას ასე დრამატულად და გაზვიადებულად შევხედავთ და დავიჯერებთ, რომ არსებობს სამშობლო და დანარჩენი სამყარო, მაშინ რეპრეზენტაციის მახეში გავებმებით.

ვწერ სტამბულზე, იმიტომ, რომ ჰუმანიზმს სტამბულში ვეზიარე. ჩემი მიზანია არა თურქების დახასიათება, თუ როგორ გამოიყურებიან ან იქცევიან ისინი – ეს მაშინაც კი არ მიფიქრია, როცა სტამბულიდან ფეხს არ ვიცვლიდი. ყოველთვის მქონდა განცდა, რომ ვწერდი კაცობრიობაზე. როცა ჩემი წიგნების თარგმნა დაიწყეს, ყველამ აღნიშნა, რომ თურქებზე და სტამბულზე ვწერდი. მე კი მეგონა, რომ კაცობრიობაზე ვწერდი. ეს სწორედ ის პრობლემაა, რაც სამშობლოს თემასთან დაკავ-

ნი კონტინენტი ძალიან გაბრაზდა ამის გამო. „რა, ის ერთადერთია, ვინც ლაპარაკობს? რა ვუყოთ ამ კონტინენტზე 17 ენაზე დაწერალ 200 წლიან ლიტერატურას? და ამ ლიტერატურული მემკვიდრეობის ფონზე, შენ იპოვე მისი ხმა? ჩვენ რაღას ვაკეთებდით მთელი ამ ხნის მანძილზე?“ – ისმოდა ყოველი მხრიდან.

ფამუქი: აქ მხოლოდ რეპრეზენტირების პრობლემა არ არის... აქ სხვა წნეხიც არსებობს. სიყვარულზე წერ და გეუბნებიან, რომ „თურქულ სიყვარულზე წერ.“ იმხელა ზეწოლაა, რომ მას ან უგულებელყოფ, ან იმდენ ენერგიას და ნებას ხარჯავ მის იგნორირებაში, რომ ბოლოს, მაინც რაღაცნაირად დეფორმირებული ხდები. ასე რომ, ვფიქრობ, რომ სახლი სახლია და მასზე ბუნებრივად უნდა ვილაპარაკოთ. საბოლოო

ჯამში, შენი სახლი სამყაროა, სახლი იქ არის, სადაც კაცობრიობაა და საიდანაც ადამიანებს უყურებ. თუ კაცობრიობის ნაწილი არ ხარ, მაშინ არც სამშობლო გაქვს. ლიტერატურის გამოწვევაც ეს არის. ძალიან ცოტა რამ ვიცი ცხოვრებაში. ვიცი ჩემი სამეზობლო, ჩემი ოჯახი, ჩემი მეგობრები. ჩემი ყველა თურქი მეგობარი მეუბნება, ყველაფერი რაზეც წერ, ორჰან, ავტობიოგრაფიულიაო. ვპასუხობ: ეგრეა, მაგრამ არავის უთხრათ-მეთქი. ლიტერატურა ფანტასტიკური სწორედ ამითაა – ცვლი დეტალებს, ანზოგადებ შენს გამოცდილებას, კუთხეს უცვლი რეალურ ადამიანებს და, საბოლოო ჯამში, საკუთარი ავტობიოგრაფია კი არა, ზოგადსაკაცობრიო ამბავი გამოდის.

რაშდი: დედაჩემმა ყველას ბინძური ქორი იცოდა – ქორაობის გარსია მარკესია – მას ჰქონდა ფანტასტიკური, რამდენიმე თაობაზე ჩახლართულად აწყობილი სტრუქტურა იმისა, თუ ვინ ვის რა გაუკეთა. ის გენიალური წყარო იყო ჩემთვის. ერთხელ გამომიცხადა, აღარ მოგიყვები არაფერს, იმიტომ, რომ მერე შენ ამ ყველაფერს შენს წიგნებში წერ და ამის გამო მე მხვდებაო. აქ, ალბათ, იმ აზრს ვუბრუნდებით, რომ სახლი დედასთან ასოცირდება. მაგრამ ერთი კონტექსტი, რომელშიც ეს იდეა პრობლემატურია, მწერლების წარმომავლობას ეხება, განსაკუთრებით, მესამე მსოფლიოს მწერლებს. რატომღაც ამერიკელ ან ევროპელ მწერლებს შეეძლოთ წასულიყვნენ და ეცხოვრათ იქ, სადაც მოისურვებდნენ, მაგრამ მაინც ამერიკელ მწერლებად რჩებოდნენ. თუ სკოტ ფიტცჯერალდი ცხოვრობს რივიერაზე, ჯოისი ცხოვრობს ტრიესტში ან ჰემინგუეი – პარიზში, ეს ჩვეულებრივი ამბავია და ამით ისინი ამერიკელი მწერლის სტატუსს არ კარგავენ. მაგრამ თუ ინდოელი მწერალი ლონდონში ან ნიუ-იორკში ცხოვრობს, ეს პრობლემაა. და არა მხოლოდ ეს – არსებობს მოლოდინი, რომ მხოლოდ ინდური მასალის გამოყენებით უნდა წერო, მაშინ, როცა, დასავლელ მწერლებს ყოველთვის ჰქონდათ თავისუფლება, ეწერათ ყველაფერზე, რაზეც მოისურვებდნენ. ერთხელ მკითხეს, რა აზრის ვიყავი აფრიკულ ხელოვნებაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთ წიგნში აფრიკული ხელოვნება მომქონდა მაგალითად. შეკითხვაც კი საწყენია. თუ ამერიკელ მწერალს სურს აფრიკული ხელოვნების მოდელად გამოყენება, ეს არაფერი. და თუ ინდოელ მწერალს უნდა დასავლური წყაროს გამოყენება შთაგონებისათვის, მაშინ ის უკვე ეჭვმიტანილია არააუთენტურობაში. ასე რომ, არსებობს ეს ორმაგი სტანდარტი და ჩვენ მას უნდა გავუმკლავდეთ. ინდოეთის შემთხვევაში, არსებობს უზარმაზარი დიასპორა, რომელსაც თავის კულტურა ჩამოუყალიბდა. ინდოელები უკვე ყველგან არიან. ინდური გამოცდილებაა როგორც ნაციონალური, ისე ინდური დიასპორის გამოცდილებაც. ვერ წარმომიდგენია, რატომ არ შეიძლება სილიკონ ველზე მცხოვრებმა მწერალმა დაწეროს კარგი რომანი ინდურ სოფელზე? ეს ხომ ბუნებრივი რეფლექსიაა. ინდოეთი ხომ კომპლექსურია.

თქვენ ორივენი წერთ თქვენი სამშობლოების ისტორიულ პერიოდებზე. ანუ, წყაროდ იყენებთ როგორც ისტორიას, ისე ფოლკლორს.

რაშდი: ჰო, კარგია, როცა ძველი კულტურის წარმომადგენელი ხარ.

ფამუქი: აჰა! აბა, რას ფიქრობთ ამაზე?

რაშდი: ბოდიში, ამერიკა!

ყოველთვის ვხალისდები ხოლმე, როცა აქ ყოფნისას ჩემი თანამგზავრები თითს გაიშვერენ რაღაც მეცხრამეტე საუკუნის შენობისკენ და მეუბნებიან, როგორი ძველია ის.

ფამუქი: ჩემთვის სამშობლოსთან დაკავშირებული ყველაზე ძვირფასი, არაა მისი ისტორია. ისტორია მნიშვნელოვანია, მაგრამ ის ისეთი ხელოვნური რამეა... იცვლება პოლიტიკა, იცვლება ისტორიაც. ამიტომ, შენ ცდილობ შენი ისტორია იპოვნო. სამშობლოს თემა აუთენტურობის იდეასაც ეხება. პირველი ხმები, პირველი სუნები, პირველი სიმღერები, პირველი შეგრძნებები შენს სახლში გიჩნდება. ამიტომ, ყველაფერ დანარჩენს ცოტა ხელოვნურობის ელფერი დაკრავს. მაგრამ თქვენი გონება უნდა გაუძალიანდეს ამ ინსტინქტს. თუ ზედმეტად დიდ დატვირთვას მიანიჭებ შენი პირველი შეგრძნებების, დედობრივი განცდებისა და ადრეული შთაბეჭდილებების განუმეორებლობას, აუთენტურობას და მშობლიურობას, მაშინ მახეში ებმები. ამ ყველაფრის პატივისცემა ერთგვარი ტაბუა და შენც ამის გაკეთებისკენ მოგიწოდებენ. მაგრამ ამით შეურაცხყოფას აყენებ დანარჩენ კაცობრიობას. შენი სამშობლოს მშობლიურობის გაზვიადებით რისკავ უარყო დანარჩენი სამყაროს ადამიანური გამოცდილება.

რაშდი: მოდით, ასე შევხედოთ ამ ამბავს. ყველანი ვტოვებთ ჩვენს მშობლიურ სახლს. ყველანი ვიზრდებით ჩვენი მშობლების სახლში და მერე, რაღაც ეტაპზე, ვქმნით საკუთარ ოჯახს. ასე რომ, სახლის იდეა არ არის მხოლობითი. ის ნარატიულია. გვაქვს სახლი, რაც მოგვეცა და გვაქვს სახლი, რასაც თავად ვქმნით. და ისინი, ვინც არასოდეს ტოვებენ მშობლების სახლს, ცოტა საწყლები არიან.

ფამუქი: არ გეთანხმები! ვაპროტესტებ! არავითარ შემთხვევაში!

რაშდი: როგორც იქნა, რაღაცაზე არ ვეთანხმებით ერთმანეთს, ორჰან!

ფამუქი: ვეცდები ავხსნა ჩემი დამოკიდებულება. როცა 'სტამბული" დავწერე, ძირითადად, სტამბულში ვცხოვრობდი. მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ფიზიკურად სად ცხოვრობ. მთავარია, რომ შენი სამშობლოს გააზრებისას გამოიყენო ის კრიტერიუმები, რომლებიც შეიძლება არ იყოს შენი კულტურის ნაწილი. შეიძლება სამშობლოში, შენს სახლში ცხოვრობდე, მაგრამ გულწრფელად გრძნობდე დისკომფორტს შენ გარემოსთან. იყო მორალური, ნიშნავს – არ გრძნობდე თავს ისე, როგორც საკუთარ სახლში, სადაც არ უნდა იყოს ეს შენი სახლი. იმისათვის, რომ თავი საკუთარ სახლში არ იგრძნო, უნდა გქონდეს განსხვავებული კრიტერიუმები, განსხვავებული იდეები, რომლებიც არ არის „მშობლიური" და „ჩვეული". ამ შემთხვევაში, სადაც გინდა იქ იცხოვრე. შეიძლება, შენი მისამართი არ შეიცვალოს – ნეტავ, ჩემი მისამართი არასოდეს იცვლებოდეს, ამას არაფერი აჯობებდა – მაგრამ მთავარია, არ გქონდეს კონფორმისტული გონება და გქონდეს განსხვავებული შეხედულებები, კითხულობდე განსხვავებულ წიგნებს, გქონდეს განსხვავებული

კრიტერიუმები – ეს არის გადამწყვეტი. ძალიან ზედაპირულია ყოფა, როცა სამშობლოში ხარ და ყველაფერს ეთანხმები. სამყაროს განსხვავებული ხედვა იმ წიგნებიდან მომაქვს, რომელსაც მარტოდ ყოფნის დროს ვკითხულობ. ამ უტოპიური იდეებით ვართობ ჩემს გონებას და ყველაფერს ამ იდეების კონტექსტში ვაანალიზებ. ამ სამუშაოს შესრულებით, მგონი, სამშობლოს უფრო უკეთ აღვიქვამ, ვიდრე ისინი, ვისაც დისკომფორტი და პროტესტი თავისი გარემოს მიმართ არასოდეს გასჩენიათ.

რაშდი: ურთიერთსაწინააღმდეგო იმპულსები ყველა ადამიანშია. არსებობს სახლში ყოფნის და გაქცევის სურვილი, ფესვების ქონის და წასვლის ოცნება. ჩვენ ყველას გვაქვს კომფორტის, სიმყარის, ფამილარული ეგზისტენციის შეგრძნება, როცა ვართ იქ, სადაც შინ ყოფნის განცდა გვიჩნდება. ასევე არსებობს აჩქარების, საკუთარი თავის და სხვისი აღმოჩენის სურვილი, რომელსაც ასევე მძაფრად ვესწრაფვით ჩვენი ცხოვრების მანძილზე. თუმცა, სამშობლოში ყოფნის, ფესვების ქონის ოცნება უფრო პრივილეგირებულია ჩვენს კულტურაში. ჩვენ ვთვლით, რომ ეს კარგია. ჩვენ უნდა მივეკუთვნოთ იმ ადგილს, სადაც შემთხვევით დავიბადეთ. წასვლის ოცნება, განზრახ ნაპოვნი გასასვლელის იდეა უფრო პრობლემატურია და საეჭვო. მაგრამ ეს ისაა, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესოა... შემოქმედებით პროდუქციას რომ გადახედო, იქნება ეს კინო, წიგნები თუ მუსიკა, ჩვენ იმ ხელოვანებს მოვყავართ აღტაცებაში, ვინც „წავიდა“, „დატოვა”. როგორც კი გზას დაადგები, არაფორმალის, ბანდიტისა და კრიმინალის ბედი გხიბლავს, იმ ადამიანის ბედი, ვინც გზიდან უხვევს. ჩვენი ოცნებაც ეს არის. თითქოს, ჩვენი არაწარმოსახვითი „მე“ ცდილობს ააშენოს სახლისა და „მიკუთვნების“ იდეა, ჩვენს წარმოსახვით „მეს“ კი ანარქისტობა უნდა. აი, ეს წინააღმდეგობა მოქმედებს თითოეულ ჩვენგანში.

თქვენთვის, როგორც მწერლებისათვის, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო, თქვენი წარმომავლობა თუ მწერლების საერთაშორისო საზოგადოება?

ფამუქი: მგონი, ორივე. მწერლად ყოფნა ამიტომაც არის საინტერესო – იღებ ზოგად, უნივერსალურ ღირებულებებს წიგნებიდან, გჯერა მათი და გინდა ისინი შენს სამშობლოშიც დაამკვიდრო. ეს ზოგადსაკაცობრიო იდეები საინტერესოა, იმიტომ, რომ ისინი სამშობლოში არ გვაქვს და სამშობლო საინტერესოა, იმიტომ, რომ იქ არ არის ეს უნივერსალური ღირებულებები. მთელი შემოქმედებითობაც, წიგნების წერის იმპულსიც ეს არის – გრძნობ ვალდებულებას წერო, ეძებო, აღმოაჩინო ის იდეები, რომლებიც უნივერსალურია. როცა ახალი იდეების დამკვიდრებას იწყებ, გეუბნებიან: ეს შენი „ევროპული“ იდეები აქ არ მუშაობს, აქ თურქეთიაო, და პირიქით, დასავლეთში გეუბნებიან, თურქული მემკვიდრეობა გაქვს, რაც ჩვენთვის ეგზოტიკურიაო. ამის მიმართ ჩემი პროტესტი ბევრჯერ გამომითქვამს. როცა ჩემი ახალი წიგნი გამოდის, იწერება რეცენზია – თუ სასიყვარულო ისტორიაა, აღნიშნავენ, ფამუქი თურქულ სიყვარულზე წერსო. მე კი მგონია, რომ სიყვარულზე ვწერ. ასე რომ, ამ „შინ“ და „გარეთ“-ს შორის ქრონიკული ჭიდილია. კაცობრიობას, ცხადია, ორივე სჭირდება – შენი მიკუთვნება როგორც უნივერსალურ ღირებულებებთან, ისევე შენს კონკრეტულ სამშობლოსთან.

დიდი პრივილეგია, რაც დასავლელ მწერლებს აქვთ, ის პრივილეგია, რაც ბალზაკის დროს ფრანგულ ლიტერატურას ჰქონდა და ახლა ინგლისურენოვან ლიტერატურას აქვს, ისაა, რომ დასავლელი მწერლები, ერთდროულად, სახლშიც არიან და – „უნივერსალებშიც”. როცა ამას ჩემი „პერიფერიიდან“ ვუყურებ, გულწრფელად ვბრაზობ და მინდა გავიბრძოლო ამის წინააღმდეგ. ზოგიერთი პრივილეგირებული ავტორისათვის, სახლი იქ არის, სადაც მათ კაცობრიობის სახელით, თითქმის პლატონური უნივერსალებით შეუძლიათ ლაპარაკი და იმავდროულად იქ არიან, სადაც თავისი პატარა ქუჩის სუნი და ფერები შეუძლიათ შეიგრძნონ. ეს მხოლოდ იმ ქვეყნებში ხდება, რომლებიც მართავენ მსოფლიოს და აკონტროლებენ კულტურულ სამყაროს... თუმცა, ეს უკვე სხვა მხრივ ხდება პრობლემატური.

რაშდი: როცა დამწყები მწერალი ვიყავი, არ მინდოდა მეწერა ინდოეთზე, როგორც ინდოელ მწერალს. ჩემს პირველ გამოქვეყნებულ რომანში, რომელიც საშინელი ქაქი გამოვიდა, დავესესხე სუფიზმს, მაგრამ მოქმედება დასავლურ გარემოში, თითქმის ფანტასტიკურ კონტექსტში გადავიტანე. ამით მინდოდა მეთქვა, რომ სუფიზმი და მსგავსი ფილოსოფიები არ არის მხოლოდ კონკრეტული კულტურის დამახასიათებელი, რომ ისინი აქტუალობას არც ერთ კონტექსტში არ კარგავენ. ამ მცდელობის რეზულტატი საშინლად ცუდი წიგნი იყო, რომლისაც, ახლა საშინლად მრცხვენია და ჩემი გამომცემლები მახსენებენ, ნუღა ლაპარაკობ ამ რომანზეო. მაგრამ ამ გამოცდილებამ მაიძულა ფუნდამენტურად გადამეხედა ჩემი, როგორც მწერლის დამოკიდებულებებისათვის და, შედეგად, ჩემს საწყისებს დავბრუნებოდი. გადავწყვიტე, რომ იმაზე დამეწერა, რაც გულთან უფრო ახლოს მქონდა და რაც ვიცოდი. იქამდე, ვიდრე მივხვდებოდი რა იქნებოდა „შუაღამის ბავშვები“, ვფიქრობდი, რომ ჩემს ბავშვობაზე დავწერდი რომანს. ამ წიგნის გააზრების პროცესში წარმოდგენაც კი არ მქონდა იმაზე, რომ, საბოლოოდ, ის მიიღებდა სხვა დატვირთვასაც – საჯარო განზომილებას. უბრალოდ, დავრწმუნდი, საკუთარი თავი რომ მეპოვა, მშობლიურთან უფრო ახლოს უნდა მივსულიყავი. ასე რომ, ჩემთვის ეს შინ დაბრუნება ის გასაღები გახდა, რომელმაც კარი გამიღო. როცა ამ კარში გახვალ, მერე სადაც გინდა, იქ შეგიძლია წახვიდე, მაგრამ ჩემთვის ეს „მშობლიური“ რომ არ აღმომეჩინა, ვერ ვიპოვედი საწყისს, წიგნის პირველ წინადადებას.

შეიძლება თუ არა მწერლის წარმოდგენა მისი ქვეყნის გარეშე? იარსებებდა თუ არა ბორხესი არგენტინის გარეშე, ან პრუსტი – საფრანგეთის გარეშე, ან ფოლკნერი – ამერიკის გარეშე?

ფამუქი: რა თქმა უნდა, არა. მაგრამ თქვენი კითხვა პასუხსაც გულისხმობს.

რაშდი: ჰემინგუეი იარსებებდა ამერიკის გარეშე.

ფამუქი: მაგრამ ეს გულისხმობს იმას, რომ ამერიკელებს რაღაც იმპერიული ხედვა აქვთ, რომ ისინი ყველგან „შინ“ გრძნობენ თავს. მოგზაურობენ, მაგრამ

უცხო ქვეყნებში არავინ ეკითხებათ, „რატომ ხარ აქ"? თითქოს ამერიკელებისთვის ყველგან ყოფნა ბუნებრივია. მაშინ, როცა ბოლო 25 წლის მანძილზე, ზუსტად მილიონჯერ მკითხეს, „ნიუ-იორკში" პირველად ხომ არ ხართო.

რაშდი: როცა რამე კომენტარი წამომცდება იმაზე, თუ, მაგალითად, რამდენად აქვს რუდი ჯულიანის შანსი გახდეს რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატი, მეუბნებიან, აჰა, ესე იგი, მიგაჩნია, რომ გესმის ამერიკული პოლიტიკა? ჩემი პასუხია: დიახ! ეს მართლაც უცნაური განსხვავებაა, რომლის ანალიზიც მსოფლიოს ისტორიის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ისტორიის გააზრებასთან მიგვიყვანს. ნაგულისხმებია, რომ დასავლელი მწერლები მსოფლიო მწერლები არიან, ხოლო აღმოსავლელი მწერლები თავის რეგიონში უნდა იყვნენ გამოკეტილი.

ფამუქი: სალმან, სამწუხაროდ ეს არა მხოლოდ დაშვებაა, ეს ფაქტია. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამ ტენდენციას და „ფაქტი" „დაშვებით" ჩავანაცვლოთ.

რაშდი: ანუ, ერთი ფაქტი მეორეთი ჩავანაცვლოთ. ეს ძალიან კარგად მქონდა გაცნობიერებული, როცა „მრისხანებას" ვწერდი. იქ კონფრონტაციაზე ვწერდა, ამის გამო, უფრო მეტი უსიამოვნება შემემთხვა: ესე იგი, რა, ის ჩამოვიდა და ახლა ჩვენ ჩვენს თავზე გვიყვება?

ფამუქი: მოკლედ, ჩვენს სამშობლოზე გვეკითხებიან იმიტომ, რომ მიაჩნიათ, რომ ჩვენ აქ „შინ" არ ვართ. მოდი, მათ ვკითხოთ ეს.

რაშდი: მაქვს სახლი და, სხვათა შორის, მანჰეტენზე. და იქ უკვე დიდი ხანია ვცხოვრობ.

თვლით, რომ ამერიკელი მწერალი ხართ?

რაშდი: არა, ტრადიციული გაგებით, ცხადია, არ ვარ ამერიკელი მწერალი. მაგრამ ამ ქალაქის ყველაზე დიდი ხიბლი ის არის, რომ ყველას, ვისაც აქ თავისი ამბავი ჩამოაქვს, ის ავტომატურად ნიუ-იორკის ამბავი ხდება ხოლმე. ნიუ-იორკში ცხოვრების სიამოვნებაც ეგ არის, რომ აქ მსოფლიოს ამბებია თავმოყრილი და ეს ამბები ერთი ქალაქის ამბები ხდება. სწორად ასეთი წიგნის დაწერა მინდოდა. ვერ დავწერდი რომანს ბიჭზე, რომელიც 40-იანი და 50-იანი წლების ნიუ-იორკში იზრდებოდა. მაგრამ შემიძლია დავწერო ნიუ-იორკელზე, რომელიც ახლახან ჩამოვიდა და რომლის ამბავიც ამ ქალაქის ისტორიის ერთ-ერთი შრე ხდება. ეს უკვე ჩემი თემაა.

ფამუქი: ახლა, როცა უკვე ჩამოვედით ნიუ-იორკში, როცა უკვე აქ ვართ, ჩემთვის საინტერესო ერთ-ერთი თემა პასუხისმგებლობის თემაა. როცა სახლში ხარ, შენს ქვეყანაში, ყველას კარგად უნდა მოექცე. აქ კი, ეს ვალდებულება არ გაქვს.

რაშდი: მე კი მეგონა, რომ სახლი ის ადგილია, სადაც ზუსტადაც რომ არ არის აუცილებელი კარგად მოქცევა, ადგილი, სადაც ყველაფრის მიუხედავად გიტანენ და უყვარხარ.

ფამუქი: კარგი, მაგრამ გაგიზიარებთ ჩემს ერთ-ერთ დეფინიციას, რასაც ამ ბოლო დროს გადავეყარე: ... ღონისძიება მქონდა ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში და იქ ერთ-ერთმა დამსწრემ მკითხა, რით განსხვავდება თქვენთვის ნიუ-იორკი სტამბულისგან? ჩემი ძალიან ინსტინქტური პასუხი იყო, რომ სახლში, თურქეთში მე ყველაფერზე ვგრძნობ პასუხისმგებლობას, აქ კი, ამ პასუხისმგებლობის გრძნობისაგან თავისუფალი ვარ. აქ რომ საკმარისად დიდი ხანი ვიცხოვრო, ალბათ, მეც გამიჩნდება ეს დოსტოევსკისეული განცდა, რომ ყველაზე და ყველაფერზე ვაგებ პასუხს. აქ ვგრძნობ, რომ შინ არ ვარ, იმიტომ, რომ ეს პასუხისმგებლობა თან არ წამომიღია და აქ მხოლოდ საკუთარი თავისუფლების ამარა ვარ. სახლში გაწვება მიკუთვნების და პასუხისმგებლობის განცდა ყველაფერზე, რაც გარშემო ხდება და ყველა კითხვაზე მოგეთხოვება პასუხი. მით უფრო, რომ იქ, სადაც მე ვცხოვრობ, არის ასეთი სტერეოტიპი, თუ მწერალი ხარ, მაშინ ყველაფრის პროფესორი ხარ. უნდა ფლობდე ყველა ინფორმაციას და პასუხი გქონდეს ყველა იმ კითხვაზე, რაც ქვეყნისა და ერის წინაშე დგას. მაშინ როცა, აქ უფრო მეტ თავისუფლებას გრძნობ. ხარ მწერალი, წერ წიგნებს, იძლევი ინტერვიუებს, პრომოუშენს უწევ შენს წიგნებს და წიგნის ხარისხი ერთადერთი რამეა, რაზეც პასუხს აგებ. შეიძლება, ამიტომაც, ჯერ არ გამიჩენია აქ მტრები, არ ვგრძნობ პროტესტს არაფრის მიმართ. ჯერჯერობით მხოლოდ დამკვირვებელი ვარ. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში უფრო რადიკალური განცხადებები გავაკეთო ამა თუ იმ მოვლენისა თუ იდეების მიმართ.

რაშდი: ძალიან ამიჩუყა გული ორჰანის პასუხისმგებლობის გრძნობამ!

ფამუქი: შენზეც ვგრძნობ პასუხისმგებლობას, სალმან!

რაშდი: მე კი – არა! ყოველთვის უპასუხისმგებლო ადამიანი ვიყავი. შენ ამბობ, რომ აქ ყოფნით, თითქოს ჩამოიხსენი პასუხისმგებლობის სიმძიმე და განთავისუფლდი. მე კი, ყოველთვის უპასუხისმგებლობის მომხრე ვიყავი. მაგრამ ის ამბავი, რომ მწერლებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ, მართლა აბსურდია. როცა ვმოგზაურობ, დაუსრულებლად მეკითხებიან, როგორ ხედავთ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარების საკითხსო. როგორც ჩანს, მე ყველა კითხვაზე მაქვს პასუხი და რა უცნაურია, რომ მსოფლიოს მთავრობები ვერასოდეს აცნობიერებენ, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადასაჭრელად, მე უნდა მკითხონ აზრი. ის, რომ მწერლებს აქვთ პასუხები, მითია, და ეს მითი ჩვენ უნდა გავაძლიეროთ, ორჰან!

ფამუქი: აუცილებლად. ამას არ ვაკეთებთ ახლა?

რაშდი: ამ მითის ზედმეტად დეკონსტრუქცია ამ აუდიტორიის წინაშე ცოტა საშიშია.

თქვენ, ორივე, შედარებით სეკულარული ადამიანები ხართ, მაშინ როცა თქვენს ქვეყნებში რელიგიას ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამის გამო ნაკლებად „შინ" ხომ არ გრძნობთ იქ თავს?

რაშდი: არა, იმიტომ, რომ ყოველთვის არის ვიღაც, ვინც შენნაირად ფიქრობს. ორივე ქვეყანაში არსებობს სეკულარიზმის ტრადიცია.

ფიქრობთ, რომ რელიგია თქვენს ქვეყნებს ორად ყოფს?

რაშდი: არა, უბრალოდ გრძნობ, რომ რაღაც დისკუსიის ნაწილი ხარ. ეს არალიტერატურული პასუხია თქვენს კითხვაზე. ლიტერატურული პასუხი კი

ის არის, რომ არ აქვს მნიშვნელობა, გჯერა თუ არა რამის. თუ წერ ადამიანებზე, რომელთაც სწამთ ღმერთის, ეს გულწრფელად უნდა გადმოსცე შენს ხელოვნებაში. ძალიან ცუდი მწერალი იქნებოდი, მხოლოდ საკუთარი მსოფლმხედველობის მატარებელი გმირების შექმნა რომ შეგეძლოს. უნდა მოახერხო და სხვის გონებაში შეძვრე. ამიტომ, პროზის წერისას, არ ვფიქრობ ჩემს რელიგიურ მრწამსზე ან მის ნაკლებობაზე. უბრალოდ, ვცდილობ ჩემმა გმირებმა თავისი ცხოვრებით იცხოვრონ და თუ ისინი რელიგიური ადამიანები არიან, ხომ კარგი. თუ არა და – არა.

თქვენ, ორივე, კარგად გათვითცნობიერებული ხართ ისლამში. თქვენს წიგნებში რელიგიას ცენტრალური ადგილი უჭირავს. ბოლო რომანში „თოვლი“, ორჰან, თქვენ წერთ იმაზე, თუ როგორ შედის არარელიგიური ადამიანი ძალიან რელიგიურ გარემოში. თითქმის ფუტურისტული დამოკიდებულებაა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ რელიგია თქვენთვის მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ თქვენს პირად ცხოვრებაში ის არ არის მნიშვნელოვანი.

ფამუქი: ლიტერატურა გაძლევს იმის საშუალებას, იდენტიფიცირება მოახდინო შენგან განსხვავებულ ადამიანებთან. სწორედ ისაა საინტერესო, წერო ადამიანზე, რომელსაც შენგან განსხვავებული პოლიტიკური და კულტურული შეხედულებები აქვს. „თოვლში“ არის გმირი, რომელიც ფუნდამენტალისტი მუსულმანია და ძალიან ვეცადე, მასთან იდენტიფიცირება მომეხერხებინა იმისათვის, რომ ის, როგორც იტყვიან, კარგ ადამიანად წარმომეჩინა. მიუხედავად იმისა, რომ გონების კუნჭულში გაქვს ღირებულებები, რომელიც განსჯის ამ ადამიანს, წერის დროს მაქსიმალურად უნდა ეცადო დაივიწყო ეს ღირებულებები და შენი გმირის ხმას და სწორ ტონალობას მიაგნო. ეს არის ლიტერატურის გამოწვევაც.

მინდა, დავუბრუნდე იმას, რაზეც ადრე ვსაუბრობდით. კაფკა არის მწერალი, რომელიც ყველგან შინ არის. სალმან, შენ თქვი, რომ ის ადამიანი, რომელიც არასოდეს ტოვებს მშობლიურ სახლს, უბედური ადამიანია. მე კი მგონია, რომ ის არის უბედური, ვინც ყველგან შინ გრძნობს თავს. ყველგან დედას და ძმას ხედავს.

რაშდი: ორჰანის დედას დღეს, ალბათ, ნათელი გადასდის, იმდენჯერ ვახსენეთ.

რამდენიმე წლის წინ დავწერე ესე ჯადოქარ ოზზე და იქ ვთქვი, რომ ერთადერთი, რისიც ამ წიგნში არ მჯერა, ის ადგილია, სადაც დოროთი ამბობს, სახლზე უკეთესი ადგილი არ არსებობსო. ყოფილხართ კანზასში? შავ-თეთრი ქალაქია. ცარიელი. სად კანზასი და სად ჯადოსნური სამყარო! ეს აბსურდია! რა თქმა უნდა, უამრავი ადგილია სახლზე უკეთესი. თუ ოზის გაგრძელებებს წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ დოროთი ბრუნდება ოზში, სახლდება იქ და მერე თავისი ბიძაც თან მიჰყავს. ასევე, არ მომწონს, როცა ბოლოს დოროთი აცნობიერებს, – იმისათვის, რომ ის ესწავლა, რაც ისწავლა, შინიდან წასვლა საერთოდ არ იყო საჭირო. რა თქმა უნდა, სრული სისულელეა. უნდა წასულიყო!

გეუბნებიან ხოლმე, რომ თქვენ ზედმეტად „ვესტერნიზებული“ ხართ და, ამის გამო, აღარ ეკუთვნით თქვენს ქვეყანას?

რაშდი: არა, ჩემს ოჯახს და მეგობრებს მოვწონვარ.

ფამუქი: მე ხშირად მეუბნებიან ამას. მაშინაც კი მეუბნებოდნენ, როცა სულ თურქეთში ვცხოვრობდი. ადამიანს უთხრა ის, რომ ის აღარ ეკუთვნის თავის ქვეყანას, პოლიტიკური იარაღია, რომელსაც მძიმე „არტილერიული თავდასხმისათვის“ იყენებენ. ეს პრობლემისგან თავის არიდებაა. არასოდეს ვუსმენ ხოლმე იმათ, ვინც მეუბნება, რომ მე აღარ ვეკუთვნი სტამბულს, ან ჩემს სამეზობლოს, ან ჩემს ოჯახს. ვიცი, რომ ეს პოლიტიკური რიტორიკაა ვინმესთან საომრად, ან ვინმეს საჯარო დისკრედიტაციისათვის. თითქოს, ჩემი გამოცდილება ამ რეალობას არ ეკუთვნის. ამ დროს, სწორედ ჩემი განცდების, ჩემი პროტესტის მეშვეობით უფრო მძაფრად და ნათლად შევიგრძნობ რეალობას.

„ძალიან ცუდი მწერალი იქნებოდი, მხოლოდ საკუთარი მსოფლმხედველობის მატარებელი გმირების შექმნა რომ შეგეძლოს. უნდა მოახერხო და სხვის გონებაში შეძვრე. ამიტომ, პროზის წერისას, არ ვფიქრობ ჩემს რელიგიურ მრწამსზე ან მის ნაკლებობაზე. უბრალოდ, ვცდილობ ჩემმა გმირებმა თავისი ცხოვრებით იცხოვრონ.“ სალმან რაშდი

რაშდი: ვეთანხმები ორჰანს, რომ პოლიტიკური იარაღია შენი იდეების, შენი დამოკიდებულების, შენი ნაშრომის დისკრედიტირება. ინდოეთის აკადემიურ წრეებში მყავს მეგობრები, რომლებიც ლიტერატურული პროგრამების მოდერნიზებასა და განახლებას თანამედროვე ავტორებით ცდილობენ. ამ დროს ჩნდება კითხვა: და ვინ არის „საკმარისად“ ინდოელი იმისათვის, რომ მოხვდეს სასწავლო ნუსხაში? მოკლედ, ბევრი პრობლემაა...

... რადგან გვაცნობეს, რომ დრო ამოიწურა, დასასრულ, ორჰან, მოდი, არ ვუღალატოთ პირველ ჩვენებას და ვთქვათ, რომ ჩვენ, მწერლებმა, მართლა ყველაფერი ვიცით. ჩვენ გვაქვს პასუხი ყველა კითხვაზე!

ფამუქი: არავითარ შემთხვევაში!

N56, იანვარი 2010

„პირველი რუსის“ ამბავი

ავტორი: ლაშა ბუღაძე

აგერ უკვე თითქმის ცხრა წელი გავიდა „პირველი რუსის“ დაწერიდან და ზოგიერთებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, *რა უფლებით შევძვერი წმინდა მეფის საძინებელში (მოთხრობაზე „გაბრაზებულთა“* ციტირებას ვახდენ) და რატომ არ ავუკრძალე ჩემ თავს, საერთოდ, ამ თემაზე წერა. „გაბრაზებულებში“, რაც ყველაზე სამწუხარო იყო, ახალგაზრდებიც შედიოდნენ და დღესაც, როცა სტუდენტებთან, სკოლის მოსწავლეებთან, ლიტერატურით ან – თუკი უფრო ზუსტები ვიქნებით – ტელევიზორის მეშვეობით გაცნობილი ადამიანის ნახვით დაინტერესებულ მკითხველ-მაყურებლებს ვხვდები, დარბაზში აუცილებლად აღმოჩნდება ხოლმე ამ მოთხრობაზე გაბრაზებული ერთი-ორი მკაცრი ახალგაზრდა.

სიმართლე რომ ვთქვათ, ადრე, თუნდაც სამი-ოთხი წლის წინ, ასეთი „ავები“ შთამბეჭდავ უმრავლესობაში იყვნენ, უმცირესობაში კი, როგორც წესი, ჩემდამი თანაგრძნობით გამსჭვალული თითო-ოროლა მკითხველი იყო (სწორედ მკითხველი – ამას ხაზს ვუსვამ!), რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ „გაბრაზებულთაგან“ ჩემი და ჩემივე ტექსტის დაცვას. სულ ახლახან კი კვლავაც მოვხვდი ერთ-ერთ ასეთ დისკუსიაზე და, არ დავმალავ, სასიამოვნო ცვლილების მომსწრე გავხდი: გაბრაზებულები უმცირესობაში აღმოჩნდნენ, თანაგრძნობით აღსავსენი კი უმრავლესობაში. თუმცა, შესაძლოა, ეს დისკუსია სულაც არ ასახავდა ობიექტურ სურათს და, უბრალოდ, კეთილგანწყობილთა პატარა პლანეტაზე მოვხვდი...

ამ მოთხრობის შესახებ რამდენიმენაირი შეფასება მომისმენია: გაბრაზებულების, რომლებიც უშუალოდ მე მლანძღავენ და არა ტექსტს (ვინაიდან მოთხრობა, ანუ „პირველი რუსი“, როგორც წესი, წაკითხული არა აქვთ და მის შესახებ სხვების დამახინჯებული მონათხრობით მსჯელობენ), – იმედგაცრუებულების: ანუ მათი, ვინც ამაოდ ელოდა ველურ პორნოგრაფიას, რომლის მონაწილეც მათი აზრით (და ჩემი ვარაუდით) თამარ-მეფე უნდა ყოფილიყო და სინამდვილეში კი ბანალური სატირა დაუხვდათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, და ბოლოს – პროფესიონალების, რომელთაც ტექსტი ლიტერატურული თვალსაზრისით არ მოეწონათ (თუმცა მწერლებში ისეთებიც იყვნენ – და ეს ყველაზე მეტად მაკვირვებდა – რომლებიც ამბობდნენ, რომ მოთხრობა *ეთიკურ-მორალური თვალსაზრისით* არ უნდა დამეწერა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჯარო კრიტიკისგან თავს იკავებდნენ, რათა მათი ესთეტიკური სკეფსისი იდეოლოგიური კრიტიკის ნაწილად არ აღექვა ლიბერალურ უმცირესობას.

ასე რომ, პრაქტიკულად ეს მოთხრობა არავის მოსწონებია. უფრო სწორად, რაც პოპულარული გახდა, მას შემდეგ აღარ მოეწონათ, თორემ სკანდალამდე რვა თვით ადრე, როცა „პირველი რუსი“ ირაკლი კაკაბაძის ჟურნალში „დრო მშვიდობისა“ გამოქვეყნდა, არაერთი კომპლიმენტი მიმეღო მის შესახებ.

ვინც ყველაზე ხმაურიანად მლანძღავდა, იმათ – ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვარ – საერთოდ არ ჰქონდათ (და არც აქვთ) ეს ტექსტი წაკითხული. ახლა შევეჩვიე, თორემ ადრე შოკში მაგდებდა ასეთების სიჯიუტე და თავდაჯერებულობა. ერთხელ – შუა სკანდალის დროს – რომელიღაც სატელევიზიო გადაცემაში ვიღებდი მონაწილეობას და კეკლუცურ-მაზოხისტური ჟინით შეპყრობილი, ანონიმ-მაყურებელთა სატელეფონო ლანძღვებს ვისმენდი, ჰოდა, ერთ-ერთს, რომელმაც ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა ფანტაზიორობის თვალსაზრისით (რაც ახსენა, ასეთი არაფერი მეწერა ჩემ მოთხრობაში), პატრიოტული ექსტაზით თქმული მონოლოგი ამ შეკითხვით შევაწყვეტინე: ეს მოთხრობა წაკითხული თუ გაქვთ-მეთქი? მან კი უპაუზოდ, დაფიქრების გარეშე მიპასუხა: არა, მაგ სიბინძურეს როგორ წავიკითხავდიო. ასეთებს დღემდე ვაწყდები. ჯერ იქადაგებენ (მოქადაგე სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები არიან ამ მხრივ საინტერესონი), მერე კი ჭეშმარიტად საბჭოური პათოსით დაგაყრიან მორალისტურ შეკითხვებს: რა უფლებით? როგორ გაბედეთ? რატომ თავი არ შეიკავეთ? და ა.შ. ამ თემაზე, გულწრფელად რომ ვთქვა, მეც ბევრი მიქადაგია: გავბრაზებულვარ მათზე, ვისაც ზედაპირული დამოკიდებულება აქვს საკუთარი ქვეყნის ისტორიის მიმართ და წარსულს (ისევე როგორც აწმყოსა და მომავალს) *სადღეგრძელოებიდან*, კვარცხლბეკებიდან მომზირალი მკვდარი გმირების გამჭოლ ჭვრეტს; მიქადაგია ახალი საქართველოს „მორწმუნე“



იდეოლოგ-ცენზორებზე და დაუღალავად მილაპარაკია ჩემი მოთხრობის პერსონაჟების, თამარისა და იურის ალეგორიულ სახეებზე („თამარი მუდამ მოლოდინში მყოფი, შეურაცხყოფილი და მოტყუებული საქართველოა, იური ბოგოლუბსკი კი – რუსეთი“.), და, ჩემდა სამარცხვინოდ, იმასაც მივმხვდარვარ, რომ ამ ქადაგებასა და საკუთარი სიმართლის მტკიცებაში, უკვე თავად ვქცეულიყავი სადღეგრძელოდ და რომ ბოდიშებს, სინამდვილეში, არც მეტი, არც ნაკლები, კლასიკური პატრიოტული მოთხრობის გამო ვიხდიდი. დღეს ყველაზე მეტად სწორედ ეს არ მომწონს ამ ტექსტში – მისი ბანალური პატრიოტული სწორხაზოვნება (*რუსი* – ცუდია, *ქართველი* – კარგი) და თუკი რაიმეს შევცვლიდი, ან, უფრო სწორად, შევარბილებდი ამ მოთხრობაში არა *საძინებელში მომხდარ ეპიზოდს*, არამედ სწორედ ხსენებულ მყვირალა პატრიოტულ პათოსს. თუმცა, ცხადია, რეალურად არც არაფერს შევცვლი და „პირველი რუსი“ კვლავაც ისეთად და იმად დარჩება, როგორც თავის დროზე დაინერა და რასაც სინამდვილეში წარმოადგენს: ეს ტექსტი ჩემი ერთადერთი პატრიოტული მოთხრობაა და, ეჭვი მაქვს, თუმცა რა ეჭვი, დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე მასაც შეიტანენ სასკოლო სახელმძღვანელოებში...

ამიტომაც იყო, *თავისებურად* რომ ბრაზდებოდნენ მეცამეტე საუკუნის ლიტ-პორნოს წაკითხვის მოლოდინში მყოფი მოქალაქეები, რა *სახმაურო* ეს მოთხრობაა, *არაფერი არ იყოო*. ეს ადამიანები, რომელთაც პირობითად იმედგაცრუებულები ვუწოდე, როგორც ჩანს, ამაოდ ელოდნენ თამარისა და იურის პერვერტული სექსის ჩემეულ აღწერას... რვაასი წლის წინანდელ მათრახებსა და ტყავის ტრიკოებს... ხელთ კი ლიტერატურულ-პოლიტიკური (და, რაც მთავარია, პატრიოტული) სატირა შერჩათ. შესაბამისად, ამიტომაც გაუკვირდათ ზოგიერთებს – აბა, ბოდიში რის გამო მოიხადაო?

საქმეც ესაა: *ბოდიშები* არ ყოფილა. იყო: ცენზურა, შიში და პროპაგანდა.

თუმცა სჯობს თანმიმდევრულად მოვყვე ყველაფერს.

1. პირველი უკმაყოფილო

პირველი ხმაური მოთხრობის გამოქვეყნებიდან რვა (!) თვის თავზე ატყდა. „პირველი რუსი“ 2001 წლის მაისში გამოქვეყნდა ჟურნალში „დრო მშვიდობისა“, რომლის რედაქტორიც ირაკლი კაკაბაძე გახლდათ. ჟურნალი საქართველოში არსებული კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ეგიდით გამოდიოდა და მას ნიდერლანდური ფონდი „ქორდეიდი“ აფინანსებდა (მოგვიანებით ამიტომაც ამბობდნენ, რომ მე სწორედ ჰოლანდიელებმა დამიკვეთეს თამარ მეფეზე *ამის* დაწერა). იდეაში, „დრო მშვიდობისა“ სამეცნიერო, პოლიტიკური ჟურნალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ირაკლი კაკაბაძემ ის ლიტერატურულ-სახელოვნებო გამოცემად აქცია. მართალია, სტატიებიც ბლომად იყო, მაგრამ ძირითად ადგილს მაინც ლექსები, მოთხრობები, ფოტოები და თავად ირაკლი კაკაბაძის ამაღელვებელ-ლირიკული „სიყვარულის დოქტრინები“ იკავებდა. პირველად სწორედ „დრო მშვიდობისას“ რედაქციაში გაარჩიეს „პირველი რუსი“, მე და ირაკლი შეგვაქეს და – თუ არ ვცდები – 100 ლარიც მომცეს (*სისხლიანი ჰოლანდიური ფული*).

როგორც ლელაკო ცისკარიშვილმა მომიყვა მოგვიანებით (ის მაშინ რედაქტორის თანაშემწედ მუშაობდა ამ ჟურნალში), პირველი უკმაყოფილება ჩემი წამოსვლისთანავე გამოთქმულა ცენტრის ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ, – ქართველი კონფლიქტოლოგები ჩაის და ნამცხვრეულს მიირთმევდნენ და ამ უკმაყოფილო ქალბატონსაც სწორედ მაშინ უთქვამს: ისე ეგეთი რამე მაინც როგორ დაწერაო. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ჩემი მოთხრობა მთელი რვა თვის განმავლობაში არ გახსენებიათ.

„დრო მშვიდობისა“, მაქსიმუმ, ორმოცდაათ კაცს ჩავარდნოდა ხელში (კარგი, მაგრამ სრულიად არაპოპულარული ჟურნალი გახლდათ) და, ალბათ, ამდენივე (ან, შეიძლება, ამაზე ცოტა) მკითხველი ჰყავდა ჩემს ტექსტსაც.

რვა თვის შემდეგ – წაკითხვაზე რა მოგახსენოთ – მაგრამ ეს „პირველი რუსი“ მთელი საქართველოს განხილვის საგანი გახდა.

2. პირველი გაბრაზებული

მაისი (მოთხრობის გამოქვეყნების თვე) მშვიდობიანად გაილია, ზაფხულმა კი საერთოდ ჩაკლა მკითხველური ჟინი და „დრო მშვიდობისას“ 2001 წლის პირველი ნომერიც სრულ დავიწყებას მიეცა. ივნისში ერთადერთი მკითხველიღა ჰყავდა ამ ტექსტს და ისიც მე ვიყავი: „პირველი რუსი“ მამაჩემს წავუკითხე რიხიანად (მაშინ ასე ვკითხულობდი) და ხელებიც ენერგიულად ვიქნიე. მამაჩემი, მახსოვს, რომელიღაც მორიგი კედლის მოხატვით იყო დაკავებული (ცხენზე ამხედრებულ მეფეებს ხატავდა), მე კი ქალი-მეფის უიღბლო საქორწინო ღამის ამბებს დავყვიროდი თავზე...

ივლის-აგვისტოში ეს ტექსტი მეც კი არ გადამიკითხავს, 11 სექტემბერს ნიუ-

იორკს ფუნდამენტალისტი-მუსლიმანები დაესხნენ თავს და მსოფლიოშიც ჯვაროსნულ ომებზე დაწერილი რომანები გახდა პოპულარული... ზოოფილებზე დაწერილი ტექსტები სრულიად არააქტუალური გახდა.

ასე განვლო შემოდგომამაც და ახალი წელიც დადგა.

2002 წლის 10 იანვარს, ერთ-ერთ გამომცემლობაში სტუმრობისას, მამუკა ხანთაძემ მეფისტოფელური სიცილით მომაწოდა გაზეთი „რეზონანსი“, რომელშიც დიდი ენთუზიაზმით „მწყევლიდა“ ტრადიციულ ორთაბრძოლათა ცენტრ-სასწავლებელ „ხრიდოლის“ შეფი (სამწუხაროდ, მისი გვარ-სახელი არ მახსოვს).

ამ წერილში უკვე ყველაფერი იყო, რასაც შემდეგ ყველანაირი ჯურის გაბრაზებული გაიმეორებდა: ა) რომ მე მაფინანსებდნენ, რათა ქართული სიწმინდეებისთვის დამეცინა. ბ) რომ მე ვარ რაღაც ჯგუფის ნაწილი, რომელსაც ქართველობის (!) მოსპობა სურს. გ) რომ მე უნდა დავისაჯო წმინდანის შეურაცხყოფისთვის. დ) რომ მე თავად ვარ *ავადმყოფი*. ე) რომ მე მეზიზღება ქართველი ქალი და, საერთოდ, ქალები (მახსოვს, ასეთი ფრაზაც იყო: „რა ქალებთან გაქვთ, თქვე საწყლებო, საქმე?!“. ეს გახლდათ პასუხი აბზაცზე „პირველი რუსიდან“: „უკანალი ჩავარდნილი – ანუ ქართული. ოდნავ შესამჩნევი ღინღლი ნორჩ სახეზე – ესეც ქართული. ჯანმრთელი თმა და გადაბმული წარბები, როგორც ფრესკაზეა“.) ვ) რომ ხელები უნდა დაუმტვრიო ამის დამწერს (ამას კიდევ ხშირად მოვისმენ!) და *ბოლო*: ზ) რომ ჩემნაირები ბოლოს ყველა ვარიანტში ჯოჯოხეთში ხვდებიან (!).

– ესენი ნაღდად გცემენ, – მითხრა მამუკა ხანთაძემ და მერე ამიხსნა კიდეც, ვინ იყვნენ ეს ხრიდოლელები (რაც მართალია მართალია, სახელი კი ერქვათ ტოლკიენის გმირებივით შესაფერისი).

ცხადია, ვინც იქ იყო, ყველა იცინოდა, მათ შორის მეც, მაგრამ, გულწრფელად რომ ვთქვა, *პირველად* სწორედ მაშინ შემეშინდა.

არ ვიცი, ექნებოდა თუ არა ამ წერილს რაიმენაირი გაგრძელება, პასუხი რომ არ დაეწერა ირაკლი კაკაბაძეს. ირაკლი პირველი იყო, ვინც საჯაროდ დამიცვა, ხრიდოლელს საგანმანათლებლო ლექცია წაუკითხა, საქართველოს სიყვარულზე ყვირილი ვერაფერი დიდი პატრიოტიზმიაო და, მართალია, დელიკატურად, მაგრამ თავისი დისიდენტური წარსული და აწმყოც შეახსენა (ანუ მე მართლა *მიბრძოლია*, თქვენსავით ბუტაფორიული ხმლები არ მიქნევიაო).

ირაკლის პასუხებმა დიდი მოწონება დაიმსახურა ჩვენს პაწია წრეში და მე ვიფიქრე, რომ ეს მცირე კონფლიქტი ამოწურულია. კმაყოფილიც კი ვიყავი, რომ ჩემს მივიწყებულ ტექსტს რაღაცნაირი გამოხმაურება მაინც მოჰყვა. თუნდაც მისი დაბეჭდვიდან რვა თვის თავზე.

3. პირველი ცენზორი

მაგრამ ჯერ, თურმე, ყველაფერი წინ იყო. ირაკლი კაკაბაძის პასუხს ხელადვე მოჰყვა ხრიდოლელის პასუხის პასუხი. იგივე ბრალდებებით, იგივე პათოსით და პედაგოგიურ-ძველბიჭურ-სარწმუნეობრივი შეგონებებით. თუმცა ერთი მცირე სხვაობა მაინც იყო, ირაკლი კაკაბაძეს „ირაკლი-ბატონოო“, ასე მიმართავდა (როგორც ჩანს, ოპონენტის დისიდენტურ წარსულს მოეხდინა მასზე შთაბეჭდილება), მე კი კვლავ „უწმინდურად“, „საცოდავად“, „მოღალატედ“ და „ვაი-მწერლად“ მომიხსენიებდა. სხვათა შორის, ამჯერად ისეთი აგრესიულიც აღარ იყო, როგორც პირველ წერილში, აქ აშკარად ცდილობდა, რომ ირონიული ყოფილიყო. მართალია, წყევლა-კრულვა და მუქარები „პასუხის პასუხშიც“ ბლომად ჰქონდა, მაგრამ ტონი მაინც საგრძნობლად შეეცვალა. თვალში გვეცა ტავტოლოგიაც: კვლავ „ვეცოდებოდი“ – რა ქალებთან გაქვს, შე ვაი-მწერალო, საქმეო (ეტყობა, დავიწყებოდა, რომ ერთხელ უკვე შევბრალებოდი ამის გამო, ან იმდენად მოწონდა თავისი ხუმრობა, რომ გამეორება გადაეწყვიტა). ამის მერე – არ მახსოვს, ვინ – მაგრამ ვიღაცამ სერიოზულად შემოგვთავაზა, ხრიდოლელისთვის მისაწერი მორიგი პასუხის მაგივრად სუპერმოდელების ფოტოები დაგვებეჭდა გაზეთში, ფოტოების ქვეშ კი მსხვილი ასოებით მიგვეწერა: „აი, როგორ ქალებთან აქვს საქმე ლაშა ბუღაძეს“.

მახსოვს, ჩემმა ერთ-ერთმა საგაზეთო გულშემატკივარმა ხრიდოლელს ძალიან სასაცილოდ გასცა პასუხი: წმინდანს მაინცდამაინც კლაუდია შიფერის ტანი უნდა ჰქონდეს, რომ გიყვარდეთო?

ცხადია, სრულიადაც არ ვთვლიდი საჭიროდ, რომ კიდევ ერთხელ გვეპასუხა ტრადიციულ ორთაბრძოლათა შეფისთვის, მაგრამ ირაკლი კაკაბაძემ მაინც დაუწერა „პასუხის პასუხის პასუხი“... დისიდენტურ-ინტელექტუალურ-ჭეშმარიტპატრიოტული სიმაღლიდან აშაყირ-ამუნათა და პატრიოტებად ტრანსფორმირებულ ძველ კაგებეშნიკებსაც გადაწვდა...

ჰოდა, როცა გვეგონა, რომ ამით უკვე *საბოლოო წერტილი* დაესვა ამ პოლემიკას, ჩემზე გაბრაზებულებმა პარლამენტში აღიმაღლეს ხმა.

სახელმწიფო ტელევიზიის (იმხანად ასე ერქვა) მეორე არხი, როგორც დღეს, მაშინაც პირდაპირ ეთერში გადმოსცემდა პარლამენტის სხდომებს, ამიტომ ზოგიერთებს უკვე LIVE-ში ეხილათ დეპუტატ-ცენზორთა მგზნებარე გამოსვლები. მე კი *ჩემი ლანძღვა* შუადღის საინფორმაციო გადაცემაში მოვისმინე.

ვერ მივხვდი, უნდა გამხარებოდა თუ პირიქით, შემშინებოდა, ასეთ რეკლამირებას რომ უწევდნენ ჩემ ტექსტს, – აწ გარდაცვლილი პროფესორი გურამ შარაძე ცალ ხელში „დრო მშვიდობისას“ აფრიალებდა, მეორეთი კი მიკროფონს ჩასჭიდებოდა და გაცხარებით მოუწოდებდა ერს *რეაგირებისკენ*...

მან თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა ხრიდოლელის დაწერილი. კერძოდ: რომ მე დაფინანსება მივიღე თამარის შეურაცხყოფისათვის, რომ უნდა *აიკრძალოს* ასეთი ტექსტების ბეჭდვა, რომ ეს არის ბრძოლა, რომელიც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განადგურებისკენაა მიმართული და რომ მთელმა ერმა და ბერმა უნდა ამოიღოს ახლა ხმა. მახსოვს, პარლამენტშივე იღაღადა მსახიობმა (მაშინ დეპუტატიც იყო) ზურაბ ქაფიანიძემ, თითქმის მაგინა, დედამისის

საქორწინო ღამე აღწეროსო, თქვა და რატომღაც მრავლობით რიცხვში გამომლანძღა: უჯიშოები და უთესლოები ეგენიო.

მერე კიდევ სხვებმაც გაიმეორეს, რომ *თამარი მათი დედა იყო* და, მგონი, პარლამენტშივე გაისმა პირველად სიტყვა „განკვეთაც“.

სასწაული ხდებოდა: 21-ე საუკუნის საქართველოს პარლამენტში ლიტერატურული ტექსტის აკრძალვას და ჩემი და ჩემნაირების დასჯას მოითხოვდნენ.

ამის შემდეგ რაღაც უცნაურ და ჩემთვის სრულიად უჩვეულო რეალობაში აღმოვჩნდი: მართალია, მე ვიყავი ამ სკანდალის მთავარი გმირი, მაგრამ ისეთი განცდა მქონდა, რომ რაც ხდებოდა, ხდებოდა *ჩემს მიღმა*, ჩემგან დამოუკიდებლად... გარს უამრავი ადამიანი მეხვია და ყველა რაღაცას მეუბნებოდა, ყველა რაღაცას მირჩევდა... ხან სად დამატარებდნენ, ხან სად... თავს წესიერ ზომბად ვგრძნობდი.

მახსოვს, პარლამენტშივე იღაღადა მსახიობმა (მაშინ დეპუტატიც იყო) ზურაბ ქაფიანიძემ, თითქმის მაგინა, დედამისის საქორწინო ღამე აღწეროსო, თქვა და რატომღაც მრავლობით რიცხვში გამომლანძღა: უჯიშოები და უთესლოები ეგენიო. **მერე კიდევ სხვებმაც გაიმეორეს, რომ თამარი მათი დედა იყო და, მგონი, პარლამენტშივე გაისმა პირველად სიტყვა „განკვეთაც“.**

იმ დღეს, რა დღესაც პარლამენტში გამლანძღეს, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში თავისუფალი სიტყვის (და ჩემი) მხარდამჭერი, საპროტესტო შეხვედრა-პრესკონფერენცია მოეწყო. ვინც კი მაშინდელ ლიბერალად იწოდებოდა, ყველა იქ დამხვდა. თუმცა ეს ამბავიც მოულოდნელად შევიტყვე: ვიღაცამ მითხრა, რომ ჩემს მხარდამჭერ შეხვედრაზე მიდიოდა და მეც წავედი.

თუმცა, მახსოვს, ვჭოჭმანობდი კიდეც, მივსულიყავი თუ არა, მაგრამ რაკი სახლში გაჩერება არ შემეძლო – საერთოდ, ერთ ადგილზე გაჩერება არ შემეძლო იმ დღეებში – ბუნებრივია, წავედი. იქ მყოფი ხალხისთვის (მაშინდელი და აწინდელი ლიბერალებისთვის) *ჩემი თავგადასავალი* მხოლოდ საბაბი იყო, რომ მათ დეპუტატ შარაძეზე, რელიგიურ და ეთნიკურ შოვინიზმზე, საპატრიარქოში ჩაბუდებულ კაგებეშნიკებზე და სიტყვის თავისუფლებაზე ესაუბრათ. თურმე, როგორ ნდომებია ხალხს ლაპარაკი...

მერე რაღაც საერთო ტექსტის დაწერაც ვცადეთ, რომელსაც ამაოდ ვთხზავდით მე და GIPA-ს რექტორი, გიორგი მარგველაშვილი. სხვათა შორის, ამ ქაოსში სწორედ გიორგი იყო, რომელმაც *ნამდვილ* (და არა ეთიკურ-მორალურ) შეცდომაში გამომიჭირა: თამარს რომ თმა ცვივა კიბოს გამო შენ მოთხრობაში, რა, ქიმიას უკეთებდნენო?

ეს იყო პირველი სწორი და არაიდეოლოგიური კრიტიკული მოსაზრება, რომელიც „პირველი რუსის“ შესახებ გამოითქვა...

მართლაც, რა უნდოდა ქიმიოთერაპიას მეცამეტე საუკუნეში? თუმცა არაფერი შემიცვლია: ჩემს საწყალ, მომაკვდავ თამარს *დღესაც ცვივა თმა* „პირველი რუსის“ მეოთხე თავში.

GIPA-ს ლიბერალებისგან განსხვავებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში ცენზორები დამხვდნენ.

ნეტავ რამ მიმიყვანა იმ თოქ-შოუზე? განა არ ჯობდა, სახლში დავრჩენილიყავი და აქედან მედევნებინა თვალი იმ აბსურდისთვის, რაც ჩემს თავს ხდებოდა? ნებისმიერი ჭკვიანი მწერალი განზე გადგებოდა და არავითარ შემთხვევაში არ აღმოჩნდებოდა „მოვლენათა შუაგულში“. მაგრამ მე ხომ მახსოვს, რაც მჭირდა: ვიყავი ეგზალტირებული, მომხდარით აღტაცებულშოკირებული და, რაც მთავარია, 23 წლის.

ჟურნალისტ ეკა ხოფერიას საღამოს თოქ-შოუზე იმ დღის მთავარ გმირებს, ირაკლი კაკაბაძეს, გურამ შარაძეს, ზურაბ ქაფიანიძეს და მე უნდა გვეკამათა ერთმანეთთან. უფრო სწორად, ირაკლის უნდა ეკამათა ამ ორთან, მე ცალკე მეთმობოდა დრო.

მახსოვს, გადაცემაში შესვლამდე საგრიმიოროში ვიჯექი და მოულოდნელად ჩვენი ოპონენტი, გურამ შარაძე შემოვარდა. გაღიმებული მოგვესალმა და ჩემს „შემათეთრებელს“, მხატვარ დათო მელიქიშვილს თავისი ჩვეული, გაბზარულ-მქუხარე ხმით მიმართა:

– რად უნდა ამისთანა ლამაზ ბიჭს დახატვა!

მერე იმწამსვე გაუჩინარდა.

აფერისტი“, – ჩაილაპარაკა დათომ.

კლასიკური ქართული ამბავი იყო: ეთერამდე *მამა-შვილურად* მომეპყრო, ეთერში კი აუცილებლად ჩამქოლავდა.

ჭკუა დამარიგა ოპერატორმა პაატამაც, ჟაკეტზე რის ვაივაგლახით მიმიმაგრა მიკროფონი და თან მზრუნველურად მირჩია:

– არ ინერვიულო, წყნარად ილაპარაკე, საშიში ხალხია ეგენი.

მიუხედავად ამისა, საშინლად ვიბლუყუნე, არც მახსოვს, რეებს მივედმოვედებოდი, – მხოლოდ ის მახსოვს, როგორ ვიმეორებდი ერთსა და იმავე წინადადებას: „ეს სიმბოლური სახეებია... თამარი და იური საქართველო და რუსეთია“, – და როგორ მირეკავდნენ მლანძღველები (ერთ-ერთზე უკვე მოგიყევით, წაკითხული თუ გაქვთ-მეთქი, რომ ვკითხე და მაგ სიბინძურეს როგორ წავიკითხავდიო, კიდევ უფრო

რომ გაბრაზდა).

სამაგიეროდ, ირაკლი კაკაბაძემ იბრძოლა ღირსეულად: გურამ შარაძეს ზვიადისტობის ექსკლუზივი წაართვა – ანუ პატრიოტულ-ეროვნული კუთხიდან შეუტია, ხელისუფლება და ედუარდ შევარდნაძე შერისხა, ეს მოთხრობა თქვენზეა, ხელისუფლებაში ჩაბუდებულ, „საქართველოს გამაოხრებელ“ გიორგი-რუსებზეო და თავისი მგზნებარე პათოსით – ისეთით, რჩეულ ხრიდოლელსაც რომ შეშურდებოდა – არათუ მხოლოდ თოქ-შოუზე მოწვეული პატრიოტები, არამედ (როგორც მოგვიანებით გაირკვა) საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძეც კი დააბნია: შევარდნაძეს ჰგონებია, რომ მე მასზე დავწერე მოთხრობა.

დეპუტატი მთლიანად ჩაიკარგა ირაკლის პატრიოტულ ორატორიაში, ის მხოლოდ ალაგ-ალაგ ახერხებდა სიტყვების ჩადგმას:

– თქვენი მეშინია, ნიჭიერების, თორემ... ბიძაშენი ჭაბუა როგორ გვერდში უდგას ედუარდს და შენ კიდევ... არ შეიძლება ასეთი რამეების წერა, არ შეიძლება!

დეპუტატმა ქაფიანიძემ პარლამენტში ნათქვამი გაიმეორა, მოთხრობები დედამისზე წეროსო. კვლავ თამარის შვილად წარმოუდგა მაყურებელს და ამჯერადაც – ისევე, როგორც დილით, – *თითქმის* მაგინა. თუმცა მისი მკვეთრად ნათქვამი „დედა“, „დედამისი“, „დედათქვენები“ კვლავაც ირაკლი კაკაბაძის პატრიოტულმა ლავამ შთანთქა და იმ საღამოს – იმ ეთერში მაინც – ჩვენ დავრჩით გამარჯვებულები.

ღამე, გადაცემის შემდეგ, ორმა, ჩემზე ბევრად უფროსმა და ჩემთვის ძალიან ძვირფასმა ადამიანმა დამირეკა და თავისი შთაბეჭდილებები გამიზიარა. „უფროსი თაობიდან“ მხოლოდ ეს ადამიანები იყვნენ, რომელთაც ჩემი გამხნევება გადაეწყვიტათ. პირველი პოეტი მიხეილ ქვლივიძე გახლდათ, რომელმაც პასტერნაკის ამბავი გამახსენა, მის „ჟივაგოზეც“ ასე ამბობდნენ, არ წამიკითხავს, მაგრამ ვგმობთო, მეორე კი ტენორი ნოდარ ანდღულაძე, რომელმაც მირჩია, რომ ამიერიდან, როცა ჩემი მოთხრობის ქვეტექსტებზე ვილაპარაკებდი, სიტყვა „სიმბოლურის“ მაგივრად „ალეგორიული“ მეხმარა. მის რჩევას, სხვათა შორის, დღემდე ვითვალისწინებ. ასე რომ, ქართული პოეტური სკოლა (მიხეილ ქვლივიძის სახით) და ქართული ვოკალური სკოლა (ნოდარ ანდღულაძის სახით) ჩემს გვერდით იყო. პროზაიკოსთაგან არავინ შემხმიანებია.

4. პირველი სტუმრობა საპატრიარქოში

მეორე დღიდან პრაქტიკულად ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთში დაიბეჭდა ჩემი სალანძღავი ან მსუბუქად თუ მძლავრად მხარდამჭერი სტატიები. ბრაზიან სტატიებში, ხრიდოლელის მსგავსად, კვლავაც მოითხოვდნენ ჩემს დასჯას, წერდნენ, რომ მე ბოდიში უნდა მომეხადა ქართველი ერისთვის, *თამარისთვის*, და რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყველა იმ სისულელის ბეჭდვა, რასაც ჩემნაირი უნიჭოები და უზნეოები წერენ... ბრაზობდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა – პოლიტიკოსები, მასწავლებლები, მომწერლო სუბიექტები... ეს უკანასკნელნი კი *სხვანაირადაც*: ნუ უწოდებთ ამ აბდაუბდას მოთხრობას, ზედმეტად დიდ ყურადღებას უთმობთ ამ ვაიმწერალს, მაშინ, როცა საქართველოში უამრავი ღირებული, *მორალურად მყარი* და ჭეშმარიტად ფასეული წიგნები გამოდისო. თუმცა იყო მცირე გამონათებებიც: პეტრე ჟღენტის მცირე სტატია, მაგალითად (ფსევდონიმ „პეტრე ჟღენტის“ უკან, ეჭვი მაქვს, ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილი მწერალი იმალებოდა), სტატია მანეკენისტანიან წმინდანებზე შეყვარებულ ვაჟკაც-პატრიოტებზე (რომელიც ზემოთ ვახსენე) და ასევე „პირველი რუსის“ და მთელი ამ ამბის ჩემთვის ძალიან საინტერესო ანალიზი, რომელიც რომელიღაც რუსულ საიტზე გაჩნდა – მყვირალა სათაურით: „ქართველი სალმან რაშდი“. დანარჩენი ტექსტები – ინტერვიუები, ესეები, ოდები და ჩანახატები (ერთი ასეთიც იყო: „გულმოკლული დედის ჩანახატი“), ძირითადად, „ინკვიზიციური“ ხასიათისა გახლდათ. ერთიმეორეს მიყოლებით შემეხმიანენ გამომცემლებიც: ჯერ ხსენებული მამუკა ხანთაძე, მერე კი ბაკურ სულაკაური, და ტექსტის დაბეჭდვა შემომთავაზეს. პირველად ბატონმა ხანთაძემ დამირეკა და ამიტომ სწორედ მას დავთანხმდი, თუმცა შემდეგ, როცა სკანდალი უკვე ჩამცხრალი იყო, მოთხრობის გამოცემა ერთობლივად გადავიფიქრეთ – მე მთელი ამ ამბის დავიწყებას ვცდილობდი, მას კი (როგორც თავად მითხრა) არ უნდოდა, რომ ხელახლა ატეხილიყო ხმაური. მერე, როდესაც გაზეთმა „ალიამ“ დაბეჭდა ეს ტექსტი, ძალიან ვინანე, რომ „პირველი რუსი“ წიგნად არ მქონდა გამოცემული, – როგორც მითხრეს, მარტო ერთ დღეში გაზეთის 14 000 ნომერი გაყიდულა, მოთხრობას ვერსად იშოვიდი.

ჩვენი ოპონენტებისთვის დამაბნეველი თოქ-შოუს შემდეგ ერთი დღეც არ იყო გასული, რომ ირაკლი კაკაბაძემ დამირეკა და მითხრა, რომ *საპატრიარქოში გვიბარებდნენ*. ახლაც ვერ ვხვდები, რატომ დაგვიბარეს და ან ჩვენ კი რატომ გავიქეცით.

ირაკლიმ მითხრა, რომ საპატრიარქოში იყო ჯგუფი, რომელიც ჩემს განკვეთას მოითხოვდა ეკლესიიდან და რომ ისინიც და სხვებიც, ანუ სხვა, ნაკლებად რადიკალური ჯგუფები, ჩემგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ. ირაკლის თქმით, საჭირო იყო საპატრიარქოში მისვლა და ჩვენი პოზიციის დაცვა. „მძიმე კამათი გველის, მაგრამ მოვიგებთ, ჩემო ბატონო!“ – გამამხნევა მან.

ცხადია, მარტო არ წავსულვართ. წამოგვყვა მამაჩემი (კიდევ კარგი, ბებიაჩემი არა!), რომელსაც უკვე ჩემზე მეტად დაეწყო ნერვიულობა, ამერიკიდან ცოტა ხნის წინ ჩამოსული ნიკა რურუა და მუსიკოსი გოგი ძოძუაშვილი. გოგიმ გზაში ლექცია წამიკითხა პრინციპულობის შესახებ: ბოდიშს არ იხდი, შენს არგუმენტებს ამბობ და უკან მოვდივართო, მაგრამ როგორც კი საპატრიარქოს გალავნის მიღმა აღმოვჩნდით და ბნელ და დამთრგუნველ კაბინეტში შეგვიყვანეს, ეს ლექცია მაშინვე დაივიწყა და ხმადაბლა მითხრა: ეხლა სწრაფად მოიხადე ბოდიში და დროზე გავაჯვათ აქედანო. ეზოში რომ შევედით, მახსოვს, რაღაც ძალიან უცნაურად დაიწყეს აქეთ-იქით სირბილი

წვეროსანმა, პირქუშმა ახალგაზრდებმა. ისე ბრდღვინავდნენ, ეჭვიც კი გამიჩნდა, ხრიდოლელები ხომ არ არიან-მეთქი.

დამთრგუნველ კაბინეტში კი ოთხნი დაგვხვდნენ: საპატრიარქოს მაშინდელი პრესმდივანი გიორგი ანდრიაძე, პატრიარქის მდივნად წოდებული შორენა, მეუფე ზენონი და მამა გიორგი თუ მამა დავითი (სამწუხაროდ, არ მახსოვს, რა ერქვა).

სიბრაზე, უფრო კი განაწყენებულობა ამ მეოთხეს, მამა გიორგის თუ მამა დავითს ეტყობოდა, დანარჩენები საკმაოდ კეთილგანწყობილები იყვნენ ჩვენ მიმართ და თუკი გვაკრიტიკებდნენ, მხოლოდ *ღიმილით*. მარტო მამა გიორგი (თუ დავითი) არ იღიმებოდა, თუმცა აგრესიული არც ეგ ყოფილა.

გოგიური იყო, რომ რეალურად არც მახსოვს ეს „არგუმენტები“), გვეუბნებოდა, რომ ეს ტექსტი შეურაცხყოფდა მართლმადიდებელთა განცდებს, ლახავდა მათ უფლებებს და ა.შ. მახსოვს, შევეკამათე კიდეც: თუკი სჯულის კანონებით მივუდგებით ლიტერატურას, შეიძლება, ყველაფერი *შეურაცხმყოფელად* მოგვეჩვენოს-მეთქი.

ნიკა რურუამ კი უთხრა, რომ ლიტერატურის მიდგომა ისტორიისადმი ან, საერთოდ, ნებისმიერი თემისადმი სრულიად სხვაა და ეკლესიის კი სულ სხვა, და რომ მწერალს ყველაფრის დაწერის უფლება აქვს, თუნდაც სისულელისო. ირაკლი კაკაბაძემ მთელი სია ჩამოთვალა იმ ქართველი მწერლების, რომლებიც წმინდან-მეფეებზე წერდნენ, ჩემზე შთამბეჭდავად აღწერდნენ მათ

მორწმუნეს განცდებს“.

როგორც მოგახსენეთ, დისკუსია მშვიდად მიდიოდა, მაგრამ უეცრად კარი გაიღო და ოთახში „ბუშლატის“ ჯიბეებში ხელებშეყოფილი, ნაცრისფერწვერიანი და კინკრიხოზე სუმოისტივით თმაშეკრული ვინმე მამა ტარიელი შემოვიდა. მამა ტარიელმა გაბრაზებულმა მოათვალიერა ოთახი, ჯიბიდან ცალი ხელი ამოიღო და კლასიკური თბილისელი ძველი ბიჭივით, ხრინწიანი ხმით, იკითხა:

– აბა, ერთი რომელმა დაწერეთ ივანე რუსზე?

...„ივანე“ თქვა „იურის“ მაგივრად.

ჯერ დავიბენით, მერე კი ჩვენდაუნებურად გავითამაშეთ ძველი ამერიკული ფილმის, „სპარტაკის“ ფინალი: „მე ვარ სპარტაკი!.. მე ვარ სპარტაკი!“...

მუდმივი კონტროლის ქვეშ ვყავდი საპატრიარქოს „ლიბერალებს“ (მათ ხომ ჩემს უძღებშვილადქცევაზე აღლოთ პასუხისმგებლობა), დღეში რამდენჯერმე მირეკავდნენ (ბ-ნი ანდრიაძე კი, საერთოდ, სახლშიც მადგებოდა) და ქვის კომანდორებივით (მოცარტთან ერთი მაინც იყო, ჩემთან კი სრული სამი), ჯიუტად და უდრეკად მომიწოდებდნენ: მოინანიე! მოინანიე! მოინანიე!

ძირითადად, საპატრიარქოს დოგმატიკოსი *ინტელექტუალი*, პრესმდივანი გიორგი ანდრიაძე გვეკამათებოდა. ჩვენი საუბარი კი, ალბათ, ჰგავდა (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე!) უმბერტო ეკოს „ვარდის სახელში“ აღწერილ ეპიზოდს, სადაც უსინათლო ბერი არისტოტელეს *კომედიის* განადგურების მიზეზს უხსნის ვილჰელმ ბასკერვილელს. დასაწყისში გიორგი ანდრიაძე სულაც არ ჰგავდა გალილეის დამკითხველ ინკვიზიტორს ან, კიდევ უფრო უარესი, მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების საბჭოთა ცენზორს (თუმცა ბოლოს მაინც დაემსგავსა), – თავიდან ის საკმაოდ დამაჯერებლად და დემოკრატიულად გვარწმუნებდა ეკლესიის პოზიციის (ასე ამბობდა!) სისწორეში. ის გვიხსნიდა, თუ რატომ არ შეიძლებოდა წმინდანზე წერა (თუმცა, გამოვტყდები, მისი მონოლოგი იმდენად დემაეროტიკულ-ვნებიან თავგადასავლებს და რომ *განათლებულ მკითხველს* საერთოდ არ უნდა გასჩენოდა ასეთი ტიპის შეკითხვები. „საბჭოური პერიოდის ლიტერატურაზე ამბობ?“ – შეეკითხა პრესმდივანი. აქ უკვე ნაწყენი მამაოც (მამა გიორგი თუ მამა დავითიც) ჩაერთო დისკუსიაში: ჩემს შვილსაც თამარი ჰქვია და შენ მასაც მიაყენე შეურაცხყოფაო (ამ დროს, თვალებში მიყურებდა), ზოგიერთი მორწმუნე კი საერთოდ *დაბრკოლდა*, როცა ეს მოთხრობა წაიკითხაო. მახსოვს, მამაჩემმა უპასუხა: ვაი იმ მორწმუნეს (ეს „ვაი“ არასდროს დამავიწყდება), ვისაც ლაშას მოთხრობა დააბრკოლებს და რწმენას შეურყევსო. ეს კი არ მახსოვს, რურუამ რა ქნა, მაგრამ მეუფე ზენონმა კი სწორედ მას მიმართა ღიმილით: „იურისტო (ასე უთხრა), ეს არ არის სასაცილო, ანგარიში უნდა გაუწიო

მეუფე ზენონს კი აშკარად დაეტყო, რომ სრულებითაც არ ესიამოვნა მამა ტარიელის შემოსვლა. მკაცრად მიმართა კიდეც, მამა ტარიელო, მაგრამ იმან არც მოუსმინა, – სპარტაკის მეთოდმა არ გაჭრა: მამა ტარიელმა შესანიშნავად იცოდა, ვინც იყო *ივანე-რუსის* დამწერი, ჩემკენ წამოვიდა და ხმამაღლა მითხრა:

– ღირსი არ იქნები ეხლა, ხელები რო დაგიმტვრიონ?! თამარზე როგორ დაწერე!

ერთი „ძმაო“ არ დაუყოლებია, თორემ დანარჩენი ყველაფერი მარიო პიუზოს რომანის თბილისელი ადეპტებისგან ჰქონდა გადმოღებული.

მარტო მამა ტარიელისთვის კი არა, ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო ირაკლი კაკაბაძის რეაქცია. ირაკლი ფეხზე წამოხტა და ისტერიულად დასჭყივლა:

– თქვენ ხართ კაგებეშნიკები, ეშ-

მაკეულები და დამნაშავეები! თქვენ არ ხართ ქრისტიანები!

მახსოვს, მე პატრიარქის მდივანს, შორენას მივუბრუნდი და შეშინებულმა შევთხოვე (გულწრფელად რომ ვთქვათ, ისიც დამფრთხალი იყო):

– ირაკლის დიაბეტი აქვს, მაგის ანერვიულება არ შეიძლება, რამე ტკბილი უნდა ვაჭამოთ!

ქ-ნი მდივნის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საიდანღაც მომენტალურად გააჩინა შოკოლადები და მურაბებიც კი, თუმცა, სამწუხაროდ, ვერაფრის გასინჯვა ვერ მოვასწარით – მართალია, მამა ტარიელი გაისტუმრეს, მაგრამ ახლა თავად გიორგი ანდრიაძე გადაიქცა *მამატარიელად*: გეგონება, მოსამართლე ყოფილიყო და საბოლოო განაჩენის გამოსაცხადებლად ემზადებოდა, ვეებერთელა ხის მაგიდის უკან დადგა, წინ ორი ცალი ფურცელი ჩამოიდო და მითხრა, რომ თუკი ბოდიშს არ მოვიხდიდი, შესაძლოა ყველაფრი *გართულებულიყო*. მერე კი ისეთი დაუჯერებელი რამე თქვა, რომ შუასაუკუნეობრივ ინკვიზიციურ დაკითხვაზე, ან, თუკი უფრო ზუსტი ვიქნები, სტალინური ჩეკას ჯურღმულებში მეგონა თავი...

ამ ორ ფურცელზე, მისი თქმით, სხვადასხვა ტექსტი იყო დაბეჭდილი, პირველში *მონანიე უძღებ შვილად* ვიყავი მოხსენიებული, მეორეში კი ეწერა, რომ მე ეკლესიიდან უნდა განვეკვეთე. თუკი საჯაროდ მოვიხდიდი ბოდიშს, პირველ ტექსტს გაახმაურებდნენ (მონანიე უძღებ შვილზე), ხოლო თუკი არ მოვიხდიდი – მეორეს.

ჩვენ ეს ტექსტები არ წაგვიკითხავს, მხოლოდ იმას ვყვები, რასაც ეს ადამიანი *შვრებოდა*, თუმცა იმაში ნამდვილად არ შემიტანია ეჭვი, რომ ამ ფურცლებზე მართლაც ეწერა *უძღები შვილისა* და *განკვეთილის* შესახებ.

გოგი ძოძუაშვილმაც მაშინვე ჩამჩურჩულა: ლაშ, დავახვიოთ აქედანო და მეც ფეთიანივით წამოვხტი, ანერვიულებულმა დავძახე, საბოდიშო არაფერი მაქვს-მეთქი და ოთახიდან გავვარდი.

ცოტა ხანში მამაჩემიც და ჩემი მეგობრებიც გამომყვნენ.

მახსოვს, სანამ კიბეს მივაგნებდი, მანამდე ბნელი და საკმაოდ განიერი დერეფანი გავიარე. რაც უფრო მეტად ვცდებოდი ჩვენს „სადისკუსიო ოთახს“, მით უფრო კარგად მესმოდა ქალის ხმა (ალბათ, მონაზვნის ან იღუმენიის), რომელიც მონოტონურად კითხულობდა ლოცვებს. უეცრად, დერეფანში შეჭრილ რაღაც უცნაურ ოთახს ჩავუარეთ, რომელსაც სუსტად ანათებდა გრძელ შანდლებზე დარჭობილი რამდენიმე სანთელი. კედლებთან მონაზვნები ჩამომდგარიყვნენ. ლოცვებს სწორედ ერთ-ერთი მათგანი კითხულობდა. ხოლო წინ, მაღალზურგიან სავარძელზე – ჩვენგან ზურგით და სახით ფანჯრისკენ – პატრიარქი იჯდა და საპატრიარქოს ეზოს ბნელ ბაღს გაჰყურებდა. მე ის ვიცანი *ხელით*, რომელიც სავარძლის სახელურზე ჰქონდა ჩამოდებული. არა მგონია, რომ ოდესმე დამავიწყდეს ეს *სურათი* და მთელი ის საღამო.

5. მეორედ მისვლა საპატრიარქოში

ალბათ, არც იმ „ბრაზიან მორწმუნეთა“ რეაქციები და სატელეფონო ზარები დამავიწყდება, ფონად რომ გასდევდა მთელ ამ ამბავს. მორწმუნე-პატრიოტთა (დედათა, მასწავლებელთა, მოსწავლეთა, პოეტთა და ა. შ.) წერილები სტალინ-ჟდანოვის დროინდელი „პრავდას“ მამხილებელი, მოწინავე სტატიების პათოსით იყო დაწერილი. მართლმადიდებელ ჟდანოველებად გადაიქცნენ უბრალო მოქალაქეებიც: ერთ-ერთ მინიმარკეტში, მაგალითად, იქ მოღვაწე მუშაკებმა მაინცდამაინც დედაჩემის გასაგონად გაიმეორეს დეპუტატ-მსახიობ ქაფიანიძის მიერ თქმული: თუ კაია, დედამისზე დაეწერაო. ასევე, როგორც მოგვიანებით გაირკვა, თურმე, „მორწმუნე“ ძველ ბიჭთა მცირე ჯგუფსაც გამოუდია ამ მხრივ თავი – ამის დამწერისთვის ხელები უნდა დაგვემტვრია, მაგრამ მამაომ გაგვაჩერაო.

ძირითადი პოლემიკა გაზეთ „რეზონანსში“ იმართებოდა – რეზონანსის რედაქტორმა, ლაშა ტუღუშმა ამაყად მითხრა, ეს სკანდალი ჩვენ განვჭვრიტეთ და გარკვეული თვალსაზრისით ჩვენვე დავგეგმეთო. თუმცა, ცხადია, სტატიები ისე არ გთრგუნავდა (ბოლო-ბოლო, არც წაიკითხვდი), როგორც სატელეფონო ზარები და ცოცხალი რეაქციები. მართალია, რეალურად არც არავის აღუსრულებია თავისი მუქარა და, როგორც ქართველებს სჩვევიათ, ეს ყველაფერი *ვერბალური ტერორიზმით* შემოიფარგლა, მაგრამ ნაკლებად უსიამოვნო როდი იყო სიძულვილის ეპიცენტრში ყოფნა. ყველაზე დამღელი კი მაინც ის გახლდათ, რომ უმეტესად არავის უნდოდა ჩემი არგუმენტების მოსმენა, – ბრაზიანები ხომ თავისთავად, მაგრამ სხვებიც, ანუ მსუბუქად გაბრაზებულებიც აბსოლუტურად დარწმუნებულები იყვნენ, რომ მე შევცდი, ცუდად მოვიქეცი და რომ *ასეთი რამეების წერა არ შეიძლება*.

ზოგი, მაგალითად, იმასაც ფიქრობდა, რომ ფსიქიური ან სხვაგვარი პრობლემები მქონდა. მახსოვს, ერთხელ, ჟურნალ „სარკეს“ კორესპონდენტი მესტუმრა სახლში და უეცრად ყოველგვარი შესავლის გარეშე მითხრა: თქვენზე ამბობენ, რომ რახან ესეთ მოთხრობებს წერს, სექსუალური პრობლემები აქვს და შემთხვევით პედერასტი ხომ არ ხართო? პატარა გოგონა გახლდათ, მაგრამ ძალიან ბრაზიანი. დაბნეულობისგან ენა ჩამივარდა (არ ვიცოდი, რა მეპასუხა), მამაჩემი კი ოთახში შემოვარდა (თურმე, მასაც გაეგონა ჟურნალისტის შეკითხვა) და აღელვებულმა მომაძახა:

– უთხარი, უთხარი, რომ ჰეტერო ხარ, უთხარი, რომ ქალები მოგწონს!

მგონი, სწორედ იმ დღეს „დაგვიბარეს“ ხელმეორედ საპატრიარქოში. ირაკლი კაკაბაძეს, როგორც წესი, მეუფე ზენონი და გიორგი ანდრიაძე ურეკავდნენ ხოლმე და საპატრიარქოს *უახლეს მოთხოვნებს* აცნობდნენ. ეს ორი ისე იქცეოდა, რომ ჩვენ გვეფიქრა: აი, ესენი გვეხმარებიან. არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც ასე ყოფილიყო. თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა, იმ ხანად ყველაზე მეტად სწორედ ეს წყვილი მიშლიდა ნერვებს.

ირაკლი კაკაბაძემ მითხრა, რომ პატრიარქს უნდა შევხვედროდით, მაგრამ ამჯერად რატომღაც მე აღარ წავსულვარ. ასე რომ, პატრიარქს („ჩემს საქმეზე“) თავად ირაკლი, ჟურნალის-

ტებისგან გულდათუთქული მამაჩემი და რატი ამაღლობელი შეხვდნენ. რატი ამ ეტაპამდე არაადეკვატურ ირონიას იჩენდა „ჩემი პროცესის“ მიმართ – დღეში ათ მესიჯს მაინც მიგზავნიდა შემდეგი ტექსტით: ***ლაშა, ილოცე ღამით? მამა ზენონი***, ან: ***ლაშა, არა ვარ შენით კმაყოფილი*** და ა.შ. იმ საღამოს კი, საპატრიარქოში, ჩემი არ იყოს, ეგეც დათრგუნულა. „ლიბერალურ“ ფრთას ხსენებული მ. ზენონი, გიორგი ანდრიაძე და პატრიარქის მდივანი შორენა წარმოადგენდნენ, „ინკვიზიტორებს“ კი ხსენებული მ. ტარიელი და კიდევ ერთი მამაოც, რომლის სახელსაც იქ მყოფი ჩემი წარმომადგენლები ვერ იხსენებენ. პატრიარქის გარდა ამ შეხვედრას დასწრებია მეუფე დანიელიც, რომელსაც, მართალია, ერთხედა „დამსჯელებს“.

პატრიარქს მამაჩემისთვის დაუკისრებია პასუხისმგებლობა: მისი ბრალია, უკეთ უნდა აღეზარდა შვილიო, – და რატის თქმით, ამ მცირე კამათისთვის სწორედ ასეთი დიპლომატიური ხერხით, *მამის ბრალეულობის გამოკვეთით* დაუსვია წერტილი. „ლიბერალებსაც“ სიხარულით აღუქვიათ პატრიარქის მესიჯი: დამნაშავე *უძღები შვილის* ბიოლოგიური მამა ყოფილა, *ბავშვის* დასჯა ვის გაუგონია, აუცილებლად მოინანიებსო.

საპატრიარქოს „ლიბერალების“ აზრით, „დამსჯელების“ გაჩერება მხოლოდ ერთადერთი რამით იქნებოდა შესაძლებელი: მე საჯაროდ უნდა მომეხადა ბოდიში.

ტების... როგორც ჩანს, ყველაზე მეტად სწორედ შიში მღლიდა – ჩემი და სხვისი ფობიები – თორემ ახლა რომ ვიხსენებ იმ დღეებს, რეალურად ეს ყველაფერი არა საშიში, არამედ უბრალოდ *სამარცხვინო* იყო. თუმცა ისიც გასაგებია, რატომაც ვიყავით ასეთი დამფრთხალები: ის, რაც ჩემს (თუ ჩვენს) თავს ხდებოდა, ხდებოდა პირველად და ამიტომ წარმოდგენა არ გვქონდა, ჯერ ერთი, როგორ უნდა მოვქცეულიყავით და მეორეც, მოჰყვებოდა თუ არა რაიმე კონკრეტულად უსიამოვნო იმ ვერბალურ-ფსიქოლოგიურ ტერორს, რომელიც ქართველი „პატრიოტებისგან“ და „მორწმუნეებისგან“ მოდიოდა.

თუმცა, გამამხნევებელთა რიგებს, ზოგჯერ, „ახალი სისხლიც“ ემატებო-

ირაკლიმ მითხრა, რომ საპატრიარქოში იყო ჯგუფი, რომელიც ჩემს განკვეთას მოითხოვდა ეკლესიიდან და **რომ ისინიც და სხვებიც, ანუ სხვა, ნაკლებად რადიკალური ჯგუფები, ჩემგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ. ირაკლის თქმით, საჭირო იყო საპატრიარქოში მისვლა და ჩვენი პოზიციის დაცვა. „მძიმე კამათი გველის, მაგრამ მოვიგებთ, ჩემო ბატონო!“ – გამამხნევა მან.**

ლაც არ ამოეღო ხმა, მაგრამ მკაცრი სახით კი იყურებოდა.

„ინკვიზიტორები“, თურმე, ჩემს განკვეთას მოითხოვდნენ პატრიარქისგან, „ლიბერალები“ კი ამბობდნენ, რომ არ ღირდა ასე მკაცრად ჩემი დასჯა, ვინაიდან *დარწმუნებულები იყვნენ, რომ მოვინანიებდი*.

მამა ტარიელს წინა შეხვედრაზე თქმული (ოღონდ არა მის მიერ) სიტყვები გაუხსენებია – მორწმუნეები ბრკოლდებიანო და ასეთი რამ უამბნია პატრიარქისთვის: მორწმუნეები თამარის ხატს ვეღარ კოცნიან, *იქ აღწერილი ამბები გვახსენდებაო*. და შემდეგ მოკლედ, თუმცა მკაცრად ჩამოუთვლია ის მიზეზები, თუ რატომაც უნდა განკვეთილიყო ეკლესიიდან ამის დამწერი. „ლიბერალები“ მას სუსტად შეწინააღმდეგებიან. საერთოდ კი არც იმის შემჩნევა ყოფილა ძნელი, თუ როგორ აღიზიანებდათ ერთმანეთი „ლიბერალებს“

6. მესამედ მისვლა საპატრიარქოში

თუმცა, ცხადია, ბოდიშის მოხდა არც მიფიქრია. მაშინაც ასე ვფიქრობდი და დღესაც იმავე აზრზე ვარ, რომ საბოდიშო არავისთან არაფერი მქონდა.

სკანდალმა კი უკვე *დამღლელ* ფაზაში გადაინაცვლა: მაგრამ დაიქანცა მხოლოდ ერთი მხარე, ანუ ჩვენ. გაბრაზებულებს დაქანცვის არაფერი ეტყობოდათ, პირიქით: თითქოს უფრო მომრავლებულიყვნენ კიდეც და დამატებითი ენერგიაც მიცემოდათ. ყველაზე აუტანელი კი ეს იყო: რაც უფრო მეტად ვიღლებოდით, მით უფრო გვეშინოდა მოსალოდნელი (თუმცა საკმაოდ აბსტრაქტული) ხიფათის. მახსოვს, როგორ მეშინოდა ქუჩაში გასვლის, ტელეფონის აღების, დაღამების და გათენების, წვერიანებისა და უპეებჩაშავებული უწვერულების, ბრაზიანი დედებისა და აგრესიული ჟურნალისტების... როგორც ჩანს, ყველაზე მეტად სწორედ შიში მღლიდა – ჩემი და სხვისი ფობიები – თორემ ახლა რომ ვიხსენებ იმ დღეებს, რეალურად ეს ყველაფერი არა საშიში, არამედ უბრალოდ *სამარცხვინო* იყო. თუმცა ისიც გასაგებია, რატომაც ვიყავით ასეთი დამფრთხალები: ის, რაც ჩემს (თუ ჩვენს) თავს ხდებოდა, ხდებოდა პირველად და ამიტომ წარმოდგენა არ გვქონდა, ჯერ ერთი, როგორ უნდა მოვქცეულიყავით და მეორეც, მოჰყვებოდა თუ არა რაიმე კონკრეტულად უსიამოვნო იმ ვერბალურ-ფსიქოლოგიურ ტერორს, რომელიც ქართველი „პატრიოტებისგან“ და „მორწმუნეებისგან“ მოდიოდა.

თუმცა, გამამხნევებელთა რიგებს, ზოგჯერ, „ახალი სისხლიც“ ემატებოდა ხოლმე: ერთიმეორეს მიყოლებით დამირეკეს ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა. ჯერ გია ბარამიძემ, რომელმაც მითხრა, რომ თუკი მოვინდომებდი, *ის და ზურა ჟვანია ჩემს მაგივრად მოუხდიდნენ პატრიარქს ბოდიშს*. მერე კი თავად ზურა ჟვანიაც შემეხმიანა, რომელიც ცოტა ხნის წინ გადამდგარიყო პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან, შენი მოთხრობით სულაც არა ვარ აღფრთოვანებული, მაგრამ, მოდი, ახლა ერთად მოვიფიქროთ, როგორ უნდა გამოძვრე ამ უაზრო სიტუაციიდანო. ბოლოს მიხეილ სააკაშვილმაც დამირეკა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდა ორ წელიწადში, მისთვის ჩვეული, ოპტიმისტური გაბმული ფალცეტით იცინა და სხვა-პასხუპით ნათქვამი ამ სიტყვების მერე – „აბა, როგორ ხარ, აბა, როგორ ხარ?“ – ერთადერთი წინადადებით გამამხნევა: *მაგათ* ნედლი წვერი აქვთ, წვერზე

ცეცხლი უნდა წაუკიდო და ყველაფერი დალაგდებაო. გამამხნევა იმხანად შევარდნაძის ოპოზიციაში მყოფმა ზვიად ძიძიგურმაც, რომელიც ირაკლი კაკაბაძეს მოჰყვა და, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის, როგორც „ეროვნული“ ყაიდის პოლიტიკოსისთვის სულაც არ იყო მომგებიანი ჩემნაირი „ანტიქართული“ სუბიექტის დაცვა, მაინც არ შეშინდა და ჩვენს ერთ-ერთ *ძალაგამოცლილ* შეხვედრაზე მოვიდა.

მუდმივი კონტროლის ქვეშ ვყავდი საპატრიარქოს „ლიბერალებს“ (მათ ხომ ჩემს *უძღებშვილადქცევაზე* აეღოთ პასუხისმგებლობა), დღეში რამდენჯერმე მირეკავდნენ (ბ-ნი ანდრიაძე კი, საერთოდ, სახლშიც მადგებოდა) და ქვის კომანდორებივით (მოცარტთან ერთი მაინც იყო, ჩემთან კი სრული სამი), ჯიუტად და უდრეკად მომიწოდებდნენ: მოინანიე! მოინანიე! მოინანიე!

– ბოდიში უნდა მოიხადო, – მეუბნებოდა საპატრიარქოს პრესმდივანი, – თორემ სხვანაირად შეუძლებელი იქნება აღშფოთებული ხალხის დაწყნარება.

– უკვე ძალიან გვიჭირს რადიკალური ჯგუფების კონტროლირება, – მაშინებდა მ. ზენონი, – გარკვეული ნაბიჯის გადადგმაა შენგან საჭირო.

სადაც არ მივდიოდი, ყველგან „ბოდიში მოიხადე“, ან „ბოდიში არ მოიხადო“ მხვდებოდა. სიტყვა ბოდიშს ვერსად ვემალებოდი. თუმცა იყო სხვა სიტყვებიც: „რამ დაგაწერინა“ და „ის მაინც ამოგეღო“... დათო ტურაშვილმა, მაგალითად, თავისი უფროსი ქალიშვილის ოთახში გამომკეტა, მუხლებზე ჩემი მოთხრობა და კალმისტარი ჩამოიდო და მითხრა: რაც ყველაზე მეტად უშლით ნერვებს, ის ადგილები ამოვიღოთ ან გადავაკეთოთო. თუმცა კითხვა რომ დაიწყო, ყველაფერი *გადასაკეთებელი* მოეჩვენა და ხელი ჩაიქნია.

სწორედ დათოსთან ვიყავით, როცა გადაფითრებულმა რატიმ შემდეგი სახის ინფორმაცია მოგვაწოდა: მამაჩემისთვის დაურეკავთ და უთქვამთ, რომ თბილისში *ახალციხის მრევლი ჩამოსულა თავის მოძღვართან ერთად, რათა დღეს ფიზიკურად გამსწორებოდნენ.*

ახლა კი გვეცინება ამ სიტყვებზე, მაგრამ მაშინ კი ძალიან შეგვეშინდა (აი, ის ხიფათიც, რომელსაც ველოდითო!). მე მაშინვე წარმოვიდგინე, როგორ ჩამქოლავდა ჩემი სახლის სადარბაზოსთან *ახალციხის მრევლი* და დათოს სავარძლეულებზე მიმსხდარ ჩემს გულშემატკივრებს გაბზარული ხმით, ზეციისკენ ხელებაღმართულმა მივმართე:

– წამიყვანეთ პატრიარქთან!

ანუ ეს ნიშნავდა: *გბარდებით.*

დათოს სიდედრმაც, ქალბატონმა ნათელამ, ცრემლიანი თვალებით შემომხედა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– ამ დროს, რა კარგი ბიჭი ხარ, კაცო.

პატრიარქმა იმ საღამოსვე მიგვიღო. ამჯერად ჩვენთან ერთად დათო ტურაშვილი (*ჩაბარება* მისი ბინიდან მოხდა) და ნიკო თოფურიძე წამოვიდნენ, რომელსაც, მისივე თქმით, არაფრით დაენახვებოდა მამა ტარიელი. „მე ვიცი რატომაც!“ – ამბობდა იგი. და მართლაც, შენიშნა თუ არა მ. ტარიელმა ნიკო თოფურიძე, ახლოსაც არ გაგვკარებია...

მახსოვს, როგორი აქოშინებული მოვარდა მეუფე ზენონი, – ვიდრე პატრიარქთან შევიდოდით, რაღაც კელიისმაგვარ ოთახში შემიყვანა და მითხრა, რომ თუკი მონანიებას გადავწყვეტდი, კვიპროსზე წამიყვანდა მოსალოცად – ჩადენილზე დაფიქრება გმართებსო – და მოგზაურობის ხარჯების ანაზღაურებასაც შემპირდა.

ამ სიტყვებმა კინაღამ ხელმეორედ გამაქციეს საპატრიარქოდან...

კვიპროსზე წასვლაზე, ცხადია, იქვე ვუთხარი უარი.

პატრიარქმა ღიმილით მიგვიღო, თავზეც ჩამომადო ხელი და მითხრა, ეს რა ამბავი აგიტეხავსო.

ყველანი ვიღიმოდით, მე კი ერთი სული მქონდა, როდის დავიჩივლებდი ახალციხის მრევლზე და როდის მივიღებდი პატრიარქისგან *უსაფრთხოების გარანტიებს.*

ნიკო თოფურიძემ კი მას მეტისმეტად უცნაურად შეახსენა, თუ ვინც იყო:

– უწმინდესო, ჩვენ სუფრაზე შევხვედრივართ ერთმანეთს.

(თურმე, ნასვამი ყოფილა).

პატრიარქმა გვერდით მომისვა და მითხრა, რომ თამარი ქართველი ერის საყვარელი წმინდანია და მისი შეურაცხყოფა არ შეიძლებოდა. მე კი ვთქვი, რომ თამარ-მეფეზე ცუდი არაფერი დამეწერა (ანკი სხვას რას ვიტყოდი!) და რომ ეს მოთხრობა რუსებზე იყო.

– მერე არ გეშინია, რომ რუსებმა ეს მოთხრობა წაიკითხონ და ომი დაგვიწყონ? – მკითხა პატრიარქმა.

იმდენად მოულოდნელი და გულუბრყვილო (მაშინ, ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა) შეკითხვა იყო, რომ პასუხი ვერც მოვიფიქრე, დავიბენი.

მდივან შორენას, მახსოვს, ჟურნალი „დრო მშვიდობისა“ ეჭირა ხელში და, თუ არ ვცდები, ჩემ მოთხრობაში ის ადგილები ჰქონდა გახაზული, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე უხამსად ეჩვენებოდა.

– რატომ დასცინი ლოცვებს? – მკითხა პატრიარქმა, – იქ შენ „მამაო ჩვენოზე“ გიწერია... ჩვენ ხომ ყოველდღე ვამბობთ „მამაო ჩვენოს“.

მე ვთქვი, რომ მეც ყოველდღე ვამბობ და სულაც არ დავცინი, ეს მხოლოდ ლიტერატურული ფორმაა-მეთქი, თუმცა მივხვდი, რომ საერთოდ არ მინდოდა პატრიარქთან კამათი (მით უმეტეს, რომ თვითონაც არ მეკამათებოდა) და დავდუმდი. უფრო სწორად, კამათში კი არ იყო საქმე, უბრალოდ, არ მინდოდა, რომ ამ სიმშვიდეში, ამ *ნელ რიტმში* დისონანსი შემეტანა ჩემი რეპლიკებით და იქ დამკვიდრებული (თუნდაც გარეგნული) სიწყნარის *მიღმა* აღმოვჩენილიყავი. თუმცა ბოლოს მაინც მოვახერხე და აგრესიულთა შესახებ მოვყევი (ძალიან მინდოდა მეთქვა, ზოგიერთ მღვდელს ჩემი ჩაქოლვა უნდა-მეთქი, მაგრამ მომერიდა). პატრიარქმა კი თქვა, რომ ხალხი ღელავს ამის გამო და მათი დაწყნარება არცთუ ისე ადვილი იქნება, მეუფე ზენონმა კი მე შემომხედა და პატრიარქივით დინჯად და მტკიცედ მომმართა: ახლა სწორედ ამ აღელვებული ხალხის დაწყნარებაა საჭიროო (ტექსტი უძღებ შვილზე!)...

მე ჩავიბლუყუნე, რომ თუკი მორწმუნეთა გრძნობებს შეურაცხყოფა მივაყენე, სინანულს განვიცდიდი ამის

გამო და თავი ჩავქინდრე.

– ყველაფერი კარგად იქნება, – გვითხრა პატრიარქმა და აუდიენციაც დასრულდა.

დერეფანში, თუ არ ვცდები, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი დაგვხვდა, რომელიც ცნობისმოყვარედ გვეკითხებოდა: „რა მოხდა? რა მოხდაო?“, პატრიარქის მდივანმა შორენამ კი ვეებერთელა სანთლები დაგვირიგა და ისე *ყოფითად*, ისე ჩვეულებრივად მითხრა, თამარს რომ ნახავ, გადაეცი, პატრიარქთან ვიყავი და მონანიებას ვაპირებო, რომ თავიდან ვერც მივხვდი, რომელ თამარზე მეუბნებოდა – მეთქი, ვიღაც საერთო ნაცნობი გვყავს... თურმე, თამარ-მეფეს გულისხმობდა.

მამა ტარიელის დამაფრთხობელმა, მსუბუქად მოქანავე ნიკო თოფურიძემ ეგზეკუტორებს (*მამა ბასილებს* და სხვა მისნაირ მართლმადიდებლების „დამცველებს“) სჩვეოდათ ხოლმე: ამ *ზონდერჯვაროსნებისგან* ხომ ყველაფერი მოსალოდნელი იყო.

7. პირველი დასასრული

მთელი ღამე გავათენე: ვბრაზობდი, რომ შარაძე-ქაფიანიძე-მამა ტარიელების მსგავს ფარისევლებს, ურაპატრიოტებს და რეტროგრადებს უნდა გაემარჯვათ, თუმცა იმასაც ვხვდებოდი, რომ, ალბათ, სწორედ ეს „ბოდიში“ დაუსვამდა წერტილს მთელ ამ კოშმარს. აბა, რატომ მოითხოვდნენ ჩემგან ასე ჯიუტად ამ *აღიარებას*? ჩემი აზრით, ეს ორგანიზებული აგრესია საპატრიარქოს რადიკალების მიერ იყო მართული და ჩემი „მაპატიეთ, ვგავდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს საწამლავი უნდა დამელია ორ საათში. რატი ჩემთან ერთად იყო და არ მეკამათებოდა – ჩემს *ბოდიშს* ისიც შეგუებოდა, თუმცა ვერც იმის ძალას პოულობდა საკუთარ თავში, რომ ჩემი კომპრომისი გაემართლებინა... თუნდაც ფსიქოთერაპიული მოსაზრებებით.

ფაქტობრივად, ერთდროულად მოვიდნენ (ჩემს წასაყვანად) გიორგი ანდრიაძე და (ჩემი საბოლოო გადაწყვეტილების გასაგებად) ნინია და ირაკლი კაკაბაძეები. მეც, ისე მოხდა, რომ დედაჩემთან და ნინიასთან ერთად აღმოვჩნდი ჩემ ოთახში და მათ უახლოესი გეგმები გავაცანი: ორ საათში *ქართველ ერს* ბოდიში უნდა მოვუხადო-მეთქი. როგორც ჩანს, იმ დილით არც ერთი

... კედლებთან მონაზვნები ჩამომდგარიყვნენ. ლოცვებს სწორედ ერთ-ერთი მათგანი კითხულობდა.

ხოლო წინ, მაღალზურგიან სავარძელზე – ჩვენგან ზურგით და სახით ფანჯრისკენ – პატრიარქი იჯდა და საპატრიარქოს ეზოს ბნელ ბაღს გაჰყურებდა. მე ის ვიცანი ხელით, რომელიც სავარძლის სახელურზე ჰქონდა ჩამოდებული. არა მგონია, რომ ოდესმე დამავიწყდეს ეს სურათი და მთელი ის საღამო.

კი ღიმილით ჰკითხა: შორენა, თქვენ რომელი სკოლა დაამთავრეთო?

სიტუაციისთვის იმდენად შეუფერებელი შეკითხვა იყო (ადამიანი თამარ-მეფესთან შეხვედრას მიგეგმავდა და ამან კი მისი სკოლის ნომრის გამორკვევა დაიწყო), რომ ქ-ნ შორენას პასუხს არც დავლოდებივარ – უხერხულობისგან გამოვეცალე.

მეუფე ზენონმა მამა დავითის ეკლესიაში დამიბარა მეორე დღეს (მგონი, იქ წირავდა): შუადღის თორმეტ საათზე ერთობლივი პრესკონფერენცია უნდა ჩაგვეტარებინა, სადაც მე საჯაროდ მომიწევდა ბოდიშის მოხდა.

იმ დღეს სახლში არ დავრჩენილვარ, მე და რატიმ ძებნილი კრიმინალებივით გავათენეთ ღამე, რადგან გვეშინოდა, რომ სახლთან არ ჩავექოლე ვინმეს (ვთქვათ, ახალციხელ მამაოს), როგორც ეს მაშინდელ ცნობილ შევცდი“ პატრიარქის თვალში კიდევ უფრო აღამაღლებდა (და გააძლიერებდა) იქაურ „ლიბერალებს“ („აი, სწორედ ამათ და არა რადიკალებმა შეძლეს გზასაცდენილის მოქცევა!“), შესაბამისად, პატრიარქი ბევრად უფრო მკაცრი იქნებოდა რადიკალების მიმართ და „თავდასხმებიც“ შეწყდებოდა. თუმცა, შესაძლოა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ვარაუდები ყოფილიყო და სხვა არაფერი.

შუადღის თორმეტ საათამდე (*ანუ საჯარო ბოდიშამდე*) ორი საათი იყო დარჩენილი. მე უსაფრთხოდ მივედი სახლში (რატომღაც მეგონა, რომ თუკი ჩამქოლავდნენ, აუცილებლად სადარბაზოში, ლიფტებთან) და შევეცადე თავი განმეწყო მთაწმინდის პრესკონფერენციისთვის. უძილობის, დამცირებულობის და დეპრესიის გამო დაავადმყოფებულ, გაღიზიანებულ მოხუცს არ ელოდა ჩემგან *ასეთ პრინციპულ კომპრომისს*, ჰოდა, ისე აღშფოთდნენ, რომ გამიკვირდა კიდეც. ნინია ამბობდა, რომ მე საბოდიშო არაფერი მქონდა, და თუკი ბოდიშს მოვიხდიდი, ეს იქნებოდა საშინელი და სამარცხვინო პრეცედენტი. თითქმის იმავეს მეუბნებოდა დედაჩემიც. მოკლედ, გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ იმ დღეს მხოლოდ ამ ორმა შეძლო ჩემი გამხნევება. გიორგი ანდრიაძეს უარი ვუთხარი პრესკონფერენციაზე წასვლაზე, მეუფე ზენონს (რომელმაც ერთი ათჯერ მაინც დამირეკა იმ დილით) პრინციპულად და რაღაცნაირი ნიშნისმოგებითაც კი გავუთიშე ტელეფონი და ჟურნალისტები ჩემ სახლში დავიბარე. მთელი *ჭეშმარიტად* ლიბერალური ბოღმა მათთან უნდა ამომენთხია. დამირეკა მამაჩემმაც, რომელიც ჩემზე მეტად დათრგუნული იყო, და როცა გაიგო, რომ ბოდიშის მოხდას

არ ვაპირებდი, უცნაურად (და სრულიად მოულოდნელად) გამხიარულდა: როგორც საჭიროდ თვლი, ისე მოიქეციო, მითხრა.

ჟურნალისტები მალევე მოვიდნენ და მეც სახელდახელო პრესკონფერენცია მოვაწყვე. ვთქვი ყველაფერი, რასაც გულწრფელად ვფიქრობდი, – *ვთქვი, რომ საბოდიშო არაფერი მაქვს, მაგრამ თუკი მორწმუნეთა გრძნობებს შეურაცხყოფა მივაყენე, სინანულს გამოვთქვამდი ამის გამო.* ასევე ვთქვი, რომ შარაძეებს და მისთანებს არანაირი უფლება არა აქვთ, მწერლებს უბრძანონ, რა წერონ და რა არა; და რომ ლიტერატურა და თავისუფლება სინონიმებია და ცენზორების დრო საბჭოურ წარსულს ჩაბარდა. ეს პათეტიკური ტექსტი სიტყვებით – მე ბოდიშს არ ვიხდი – დავასრულე და ამაყი და აღაჟღაჟებული დავემხე სკამზე.

მე ჩამწერეს ტელეკომპანიების, პირველი არხისა და „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებმა (სხვები, მგონი, არ ყოფილან) და ჩვენც შიშით, თუმც, ვიმეორებ, ამაყად დაველოდეთ მათ საინფორმაციო გამოშვებებს.

მთელი დღის განმავლობაში არც ერთ საინფორმაციოში არ გაუშვიათ ჩემი ინტერვიუ (მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოთხრობის ამბავი იმ კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო და, ვფიქრობ, არცთუ ისე ცოტა ადამიანს აინტერესებდა, როგორ დასრულდებოდა ეს ყველაფერი), საღამოს რვის ნახევარზე კი სახელმწიფო ტელევიზიის დირექტორმა, ზაზა შენგელიამ დამირეკა და ბოდიში მომიხადა იმის გამო, რომ ჩემს ინტერვიუს ვერ გაუშვებდა:

– შორენამ დამირეკა და მთხოვა, არ გამეშვა, – მითხრა მან, – ხომ გესმის, საპატრიარქოს ვერ გადავახტები.

ზაზა შენგელია ბევრად უფრო ღირსეულად მოიქცა (ინტერვიუ მაინც არ დამიჩეხა), ვიდრე „რუსთავი 2“-ის მაშინდელი ხელმძღვანელობა.

„რუსთავი 2“-ის საღამოს საინფორმაციო გადაცემაში გავიდა სიუჟეტი, სადაც მხოლოდ ერთადერთი ფრაზა იყო დარჩენილი ჩემი დილის ინტერვიუდან: „...თუკი მორწმუნეთა გრძნობებს შეურაცხყოფა მივაყენე, სინანულს გამოვთქვამ ამის გამო“, შემდეგ კი *ჟურნალისტის სიტყვები* „დაედო“ ჩემ გამოსახულებას: **მწერალმა ლაშა ბუღაძემ ბოდიში მოიხადა.** სიუჟეტი საპატრიარქოს მაშინდელი პრესსპიკერის, ერთ-ერთი სასულიერო პირის წაკითხული ტექსტით დასრულდა.

ამ ტექსტში *უძლებ შვილად* ვიყავი მოხსენიებული.

ასე რომ, მართალია, პირადად მე ბოდიში არ მომიხდია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, *საჯარო ბოდიში* მაინც შედგა.

და, როგორც ვვარაუდობდი, მაშინვე შეწყდა ვერბალურ ტერორისტთა ზარებიც. თუმცა, სამაგიეროდ, ახლა *თანაგრძნობით აღსავსე* სეირის მაყურებლები მეხმიანებოდნენ, რომლებიც „ბრაზიანებზე“ მეტად მიშლიდნენ ნერვებს: ბოდიში უნდა მოგეხადა, აბა რა, სწორად მოიქეციო. მეც დაუღალავად ვყვებოდი ერთსა და იმავე ამბავს, – ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ დავძლიე შიში, როგორ არ მოვიხადე ბოდიში და როგორ დამწამა ცილი (სავარაუდოდ აქაც საპატრიარქოს ცენზორების ჩარევის შედეგად) „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა. შეიძლება ვცდები, მაგრამ მიუხედავად მათი ჩემდამი კეთილგანწყობისა („მოთანაგრძნობეებს“ ვგულისხმობ), ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ, სინამდვილეში, ძალიანაც გაუხარდათ, ან, ყოველ შემთხვევაში, დამშვიდდნენ მაინც, რომ გმირი ვერ შედგა ჩემგან.

საბოლოოდ კი, მგონი, მას შემდეგ შეწყდა ჩემზე თავდასხმები, რაც საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე ელაპარაკა პატრიარქს. მამაჩემს, მაგალითად, შევარდნაძემ ასეთი გენიალური ფრაზაც კი უთხრა: ეს კაცი (*ანუ პატრიარქი.* – ლ. ბ.) მაგ თანამდებობაზე 1977 წლიდან მუშაობს და ასეთი მძიმე საუბარი მასთან არასდროს მქონიაო.

გაოგნებული ვიყავი, როცა შევარდნაძემ თავის ტრადიციულ „ორშაბათის რადიოინტერვიუში“ ჩემზე და ჩემს მოთხრობაზე ილაპარაკა, თითქოს გამომესარჩლა კიდეც და ხალხს მეტი გულისხმიერებისკენ და სიმშვიდისკენ მოუწოდა. ეჭვი მაქვს, რომ ორგანიზებული ბრაზიანები, ან ისინი, ვინც მისი ცეკას მდივნობის დროს იყვნენ დანიშნულები *საკრალურ პოსტებზე,* ჩემმა ვირტუალურმა ბოდიშმა კი არა, არამედ სწორედ ედუარდ შევარდნაძის პოზიციამ გააჩერა. თუმცა, შესაძლოა, ამჯერადაც ვცდებოდე. ერთი რამ ფაქტია: ედუარდ შევარდნაძის გამოსვლის შემდეგ ვერბალურ ტერორისტთა არც ერთი სტატია აღარ დაბეჭდილა გაზეთებში.

სამდღიან სკანდალს წერტილი დაესვა. ცენზურამ ნაწილობრივ გაიმარჯვა: ტექსტი ვერ აკრძალეს, როგორც საბჭოურ დროს, მაგრამ ჟურნალისტების შეშინება (ან, თუ გნებავთ, დამორჩილება) კი მაინც შეძლეს – ჩემი *ნამდვილი პოზიცია* ხომ არცერთ არხზე არ გასულა.

თუმცა წერტილი მხოლოდ „პირველი რუსის“ ამბავს დაესვა. ზოგჯერ, ახლაც ხდება ასეთი ამბები: თანამედროვე ზონდერმრევლი კულტურ *ჭიაკოკონობაზე* მომლხენ ქართველ თინეიჯერებს ესხმის თავს, უშედეგოდ ცდილობს სატელევიზიო თოქშოუს აკრძალვას („წმინდანთა შეჯიბრი ცოდვაა!“), ღორივით დაკვლით, ლინჩის წესით ჩაქოლვით და – რაც ყველაზე სამწუხაროა, კონიუნქტურულ ხელისუფლებასთან ერთად უნისონში – დაპატიმრებით ემუქრება ინტერნეტმეტიჩრებს, რომელთაც უცენზურო სიტყვები დაადეს პატრიარქის გამოსახულებას. თუმცა ეს შემთხვევები უკვე იმდენად უსუსური და კომიკურია, რომ გაბრაზებულებსაც კი უთხელდებათ თავთავიანთი რიგები. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ ამით – ამ იდიოტიზმითა და ფანატიზმით – თავად რელიგიის, ქრისტიანობის დისკრედიტირება ხდება და ზონდერმღვდლისგან ნაცემ და ნაგინებ თინეიჯერს თუ ექს-თინეიჯერს – ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე – ზოგადად ქრისტიანობაზეც უცრუვდება გული. ეს ადამიანები, ზონდერმამაოები თუ მორწმუნე ამკრძალავები, ვერ ხვდებიან, რომ ამ აგრესიით, ამ ველური და მახინჯი ფანატიზმით არა ჰელოუინის ავ სულებს, ან ინტერნეტის ანტიღვთიურ ბაცილებს, არამედ სწორედ ქრისტიანობას დევნიან ამ ხალხის გულებიდან. რადგან მე ასე მასწავლეს: *როდესაც თავისუფლებას ებრძვიან ადამიანში, ებრძვიან ქრისტესაც.*

FM
ცნობი
98.0

N43, ნოემბერი 2008

ერთსართულიანი ამერიკა

გინდა, ამერიკა დაგანახო?

ავტორი: თამარ ბაბუაძე

***

ჩემს ბავშვობაში უფროსებს ჰქონდათ ასეთი სადისტური ხუმრობა, მოდი, ყურებით აგწევ, მოსკოვს დაგანახებო. მამაჩემის მეგობარი ოთარი, როგორც ჩანს, უფრო წინწასული კაცი იყო, და ყურების აქაჩვით მპირდებოდა, რომ ამერიკას დავინახავდი. ასე დავშინდი პირველად ამერიკით.

***

პირველ კურსზე „ამერიკული საბჭოების“ მიერ მოწყობილ კონკურსში გავიმარჯვე და ამერიკულ კოლეჯში სწავლის ერთწლიანი სტიპენდია მოვიპოვე. გადამწყვეტ გასაუბრებაზე ჩემს წინ ჩემი მეგობარი შევიდა, რომლისგანაც გავიგე, რომ ამერიკელ შემფასებელს, ერიკ ჯონსონს, ნახევარფინალისტების სხვა თვისებებთან ერთად აინტერესებდა ჩვენი თავისუფლების ხარისხი და იუმორის გრძნობა. ჩემზე შებოჭილი არსება იმხანად არავინ მეგულებოდა, ამიტომ ძალიან შევშინდი, და გასაუბრებამდე ათი წუთით ადრე მოვიფიქრე, თუ ვინიცობაა და ჯონსონი რაიმე მხიარული ამბის გახსენებას მომთხოვდა, ჩემი ერთი მეგობრის თავს გადახდენილი ისტორია გამეხსენებინა და ჩემად გამესაღებინა: როგორ ვთამაშობდი კარტს უნივერსიტეტის ეზოში, როგორ წავაგე „მაზიანი“ და როგორ გავიცანი ქუჩაში უცნობი ბიჭი, ანუ როგორ მოხერხებულად გავუმკლავდი უხერხულ სიტუაციას. მოკლედ, ურცხვად ვიცრუე მაშინ, როცა ასეთ რამეს, მიწა რომ გამსკდომოდა, ვერ ვიზამდი. და ზუსტად ამ ტყუილმა გამიშვა ამერიკაში. ჯონსონმა ბევრი იცინა და რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ის ჩემი მეგობარი რეზერვისტთა კანდიდატებში მოხვდა, მე კი – ფინალში, მივხვდი, რატომაც გააკეთეს ამერიკელმა შემფასებლებმა არჩევანი ჩემზე: მე ვიყავი საშუალო სტატისტიკური ქართველი, საშუალო კლასის წარმომადგენელი გოგო, რომლის მშობლებიც საკუთარი ხარჯებით შვილს ამერიკაში სასწავლებლად ვერასოდეს გაგზავნიდნენ და მე ვიყავი გოგო, რომელიც, მორცხვობის მიუხედავად, იუმორის გრძნობითა და თავდაჯერებით გამოირჩეოდა. სწორედ ამიტომ მქონდა შანსი, გავმხდარიყავი selfmade man – ოჯახის დაუხმარებლად, მხოლოდ საკუთარი უნარით, საზოგადოებაში წარმატებულად რეალიზებული ინდივიდი.

ასე წავედი ამერიკაში დიდი მისიით – კიდევ ერთხელ დამედასტურებინა დიადი ამერიკული ოცნების რეალურობა.

***

ადგილი მიმიჩინეს ქალაქ როჩესტერში. რუკას რომ გადავხედე, შტატებში სამი როჩესტერი აღმოვაჩინე. ჩემი მინესოტაში იყო, შუაგულ მიდვესტში, 120 ათასი მოსახლით, ბევრი ტბით, ცივი ზამთრით, ყველაზე ჯანმრთელი მოსახლეობით და იმ დროისთვის ყველაზე მცირე კრიმინალური მაჩვენებლით. მოკლედ, მაშინ, როცა ამერიკა მილიონი ცათამბჯენით მთლიანად გადაბრდღვიალებული ქვეყანა მეგონა, მიმავლინეს ნამდვილ ამერიკაში – უსასრულო საშტატო გზატკეცილებით, ორსართულიანი ხის სახლებით, სიმინდის ფერმებით, ბენზინგასამართ სადგურებთან თავმოყრილი ინფრასტრუქტურით, კომბინიზონიანი და ბენდენიანი „რედნეკებითა“ და ჭუჭყიანი

DEAD
END

მაკდონალდსებით.

***

17 წლის გოგო უინტერნეტო საქართველოს ეპოქიდან – ასეთი ვიყავი, როცა ნიუ-იორკში, ჯონ კენედის აეროპორტში დავდგი ფეხი და გულამოსკვნილმა ვიტირე – ჩემი ერთ წელზე გათვლილი ატრიბუტიკით სავსე ჩემოდანი სადღაც სტამბულსა და ნიუ-იორკს შორის დავკარგე. ვინანე, არ უნდა მეცრუა მაშინ ჯონსონთან, არ დადგება ჩემგან selfmade man-ი, აგერ ვდგავარ, ვტირი და ჩემოდნის ამბის გაგებაც მერიდება, იმიტომ, რომ ინგლისურად დალაპარაკების მრცხვენია-მეთქი. ხმაურმა და უზარმაზარი აეროპორტის სიჭრელემ სულ მომიღო ბოლო. ადამიანები ისეთივე სისწრაფით დარბოდნენ ჩემს გარშემო, რა სისწრაფითაც ლაპარაკობდნენ. ზედაც არავინ მიყურებდა. მე კი მათი არაფერი მესმოდა. ვიყურებოდი აქეთ-იქით ცრემლიანი თვალებით და გონებაში მეათასედ ვიმეორებდი ფრაზას, რომლის ხმამაღლა წარმოთქმაც როგორმე უნდა გამებედა: „უკაცრავად, დაკარგული ბარგი სად შეიძლება მოვიძიო?“ მაშინ ჯერ კიდევ მეგონა, რომ ამერიკა სულ ცათამბჯენებით და აეროპორტებითაა სავსე, ამ ცათამბჯენებსა და აეროპორტებში მილიონი ადამიანი დაქრის და სხაპასხუპით ლაპარაკობს, დაქრის და ლაპარაკობს და მე მათ შორის დავიკარგები. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ 9,83 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმული ამერიკის სოლიდურ ნაწილში ერთი ცათამბჯენიც არ დგას და რომ ამ უზარმაზარი ქვეყნის სოლიდური ფართობი სწორედ ჩემი დანიშნულების პუნქტს – მიდვესტს უჭირავს. ნამდვილი selfmade man-ები კი ზუსტად მიდვესტში იბადებიან.

***

როჩესტერისკენ მიმავალი თვითმფრინავი, ალბათ, ისეთივე ზომის იყო, როგორიც თბილისი-ქუთაისის მარშრუტზე დაფრინავდა. ეკონომკლასში 14-ნი ვისხედით. მათ შორის, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების კოორდინატორი ჯენელ ჰოლტერი (გლობუსივით ქალი, უზარმაზარი ტანით და ვიწრო სახით, რომელსაც რატომღაც სულ არ ერიდებოდა საკუთარი სიმსუქნის და შორტი ეცვა), ჩემნაირი გაცვლითი სტუდენტი მოსკოვიდან – მიშა შამპანოვი და მე. ჯენელი მიხსნიდა, რომ როჩესტერი პატარა ქალაქია, მაგრამ სხვა პატარა ქალაქებისგან განსხვავებით, მას საკუთარი საერთაშორისო აეროპორტი აქვს. ეს იმიტომ, რომ როჩესტერში განთავსებულია მსოფლიოში სახელგანთქმული მეიოს კლინიკა, სადაც თვით მისი აღმატებულება იორდანიის მეფე ჰუსეინ ბინ თალალი მკურნალობდა. სწორედ ასეთი კლიენტების მოსაზიდად მიანიჭეს როჩესტერის აეროპორტს საერთაშორისო აეროპორტის სტატუსი.

საერთაშორისო აეროპორტი მინიატურული აღმოჩნდა. ორი ნაბიჯი გადავდგი და უკვე გარეთ ვიყავი. ჯენელმა ჩემს მასპინძელს მოჰკრა თვალი. დეილ პიდერსენი თავისი „სააბის“ გვერდით იდგა და იღიმებოდა. „სააბი“ შვედური მანქანაა. როჩესტერშიც, ისევე, როგორც მთელ მინესოტაში, ძირითადად, სკანდინავიური წარმოშობის ადამიანები ცხოვრობენ. პიდერსენების ფესვებიც სადღაც ნორვეგია-შვედეთშია გადგმული. როგორ ხარო, – ჰკითხა დეილმა ჯენელს, ხომ კარგად იმგზავრეთო. You bet-ო, – უპასუხა ჯენელმა. ცოტა დავიბენი, რა შუაშია აქ სიტყვა „დანაძლევება“-მეთქი, მაგრამ მერე ილფი და პეტროვი გამახსენდა: ერთ-ერთი მთავარი ლინგვისტური ნიშანი, რითაც უნდა მიხვდე, რომ შტატების მიდვესტს მიადექი, ეს გამოთქმა – You bet არისო, რომელიც არც კი ვიცი, როგორ ვთარგმნო, მაგრამ სუფთა მიდვესტური კი ნამდვილადაა.

***

ამერიკის პატარა ქალაქების ხასიათს, პირველ რიგში, კლიმატი და მიწა განსაზღვრავს – სამხრეთ შტატების პროვინციულ დასახლებებში სიცხე თავისას შვრება, ადამიანებს აზანტებს და ამიტომ აბსოლუტურად რეალურია ფილმებიდან მეხსიერებაში ჩარჩენილი გრილი და ნახევრად ჩაბნელებული ბარის სურათი – ულვაშიანი და სმისგან ცხვირგასიებული კომბინეზონიანი კაცები ბართან ტეკილას ჭიქებს ცლიან და უცხო სტუმრებს ამრეზით უყურებენ; ზრდიან აგავას ბუჩქებს და ხდიან და ხდიან ღვთიურ სამხრეთულ სასმელს. აი, ამერიკის შუა დასავლეთში კი პატარა დასახლებებში მიწის და სიმინდის სუნი დგას. აქ სიმინდის კულტია. სიმინდისა და ბროკოლის. სამხრეთ დაკოტას ერთ პატარა ქალაქში, რომელსაც ტურისტული სანახაობის პრეტენზია აქვს, სიმინდის მარცვლებისგან აშენებული სასახლეც უდგათ. ნამდვილი მარცვლებისგან და ყოველი ახალი მოსავლის აღებაზე განაახლებენ ხოლმე. სიმინდის ფერმები პატარა ქალაქების გარშემოა განლაგებული. გრძელი, სწორი გზები და გარშემო სულ ყანები, სიმინდის ასაღებად მოწყობილი ინფრასტრუქტურით. ურმითა და გუთნით არავინ დადის, მაგრამ ფერმერ კაცებს ხელები შრომისგან მაინც დაკოჟრილი აქვთ. სიგარეტს არ ეწევიან, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით იკვებებიან და სადილზე გემრიელად მიირთმევენ მოხარშულ სიმინდს, ზედ დადებული კარაქის სქელი ნაჭრით. ადრე წვებიან და ადრე დგებიან და მათ წინაშე გაშლილ უსაზღვრო ჰორიზონტზე არაფერი მოჩანს ფერმებისა და გზების გარდა. ამიტომ რა გასაკვირია, რომ მსოფლიო რუკის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. მათი ფერმებიდან ამერიკაც კი იმხელა ჩანს, რომ ატლანტიკის ოკეანის გადაღმა თვალი და წარმოსახვა ვეღარ სწვდება. ჰოდა, ერთი პატარა ჯორჯიაც, სადღაც ევროპაში, სადღაც, ასევე უსაზღვრო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, არავინ იცის.

***

დეილ პიდერსენი განათლებული კაცი აღმოჩნდა, საკუთარი ქვეყნის ისტორია ხომ იცოდა და იცოდა, და ევროპულ ომებს, დინასტიებს, ხელშეკრულებებსა და რევოლუციებსაც ზედმიწევნით სწავლობდა. საერთაშორისო პოლიტიკა აინტერესებდა და მთხოვდა, ჟურნალისტიკაში ამ განხრით მემუშავა. ამიტომ ყველაზე ადეკვატურ კითხვებსაც ჩემი ჯორჯიის შესახებ დეილი მისვამდა. საღამოობით ვივალდის ერთ-ერთ "წელიწადის დროს" ჩართავდა, სარწეველა სავარძელში ჩაჯდებოდა

დიეტური პეპსით ხელში, მომისვამდა გვერდით და ვარჩევდით ქვეყნის ამბებს. როჩესტერიდან და მისი მყუდრო ხის სახლიდან მსოფლიოზე მსჯელობა იოლი და რომანტიკული იყო. პრინცესა დაიანას ტრაგიკული ავარიაც, რომელმაც მსოფლიო შეძრა, დეილის სავარძლიდან შორეული და არც ისეთი ამაღელვებელი გვეჩვენა, როგორც იმ დღეს საფოსტო ყუთში ჩაგდებული „ნიუს-უიკი“ იუწყებოდა. დეილს თავისი პატარა ქალაქის სწორედ ეს თვისება მოსწონდა – რაც არ უნდა მასშტაბური ყოფილიყო ტრაგედია თუ კომედია, ყველაფერს განზე მდგომი აკვირდებოდა. ცივი მინესოტას ერთი პატარა ქალაქის კიდევ უფრო პატარა გარეუბანში ყველაზე დიდი მსოფლიო ხმაურიც კი ექოსავით აღწევდა. ჰოდა, რა გაუცხოები, უცხოები, უცხოები, ვერავის მიესალმები.

***

პიდერსენების სახლამდე დიდი გზატკეცილი მიდიოდა. ქალაქიდან გამოხვიდოდი, დაადგებოდი სწორ გზას, რომელსაც გასწვრივ ცარიელი მინდვრები მიჰყვებოდა, მეტი არაფერი. მერე ერთი-ორი შესახვევ-შემოსახვევი და უცებ პატარა ქუჩა, ზედ ტრაფარეტით – dead-end! რა გასაკვირია, რომ პირველად ფანტაზია არ მეყო სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად, მთლად ქუჩის ბოლოში დაყრილ გვამებამდე არ მისულა ჩემი წარმოსახვა, მაგრამ რაღაც მაგდაგვარი კი მართლა გავიფიქრე.

არადა, ჩიხი ყოფილა! dead-end – გულიანი „პიკაპები“ მხვდებოდა, ზოგი ფერმერი ბიჭი ხელს მიქნევდა და მიღიმოდა. სულ მთლად გამოყრუებულს მსიამოვნებდა კიდეც ეს ჩავლილი ნაცნობობა ჩავლილი მანქანიდან. რამდენჯერ დამღამებია გზაში. მაგრამ სანამ „ტექსაკოს“ ბენზინგასამართი სადგურის განათებულ აბრებს არ დავინახავდი, უკან არ ვბრუნდებოდი. „ტექსაკო“ ნიშანი იყო ქალაქური ცხოვრების დასაწყისის, თუნდაც ეს პატარა პროვინციული ქალაქი ყოფილიყო.

***

ნოემბერში ახალ ოჯახში გადავედი. დაგი „აი-ბი-ემის“ ქარხანაში მუშაობდა და პროგრამისტი იყო, მისი ებრაელი ცოლი ჯოლინი კი – ჩემდა ჭირად გაჩენილი ქალი. როჩესტერში გადმოს-

სრული ვაკუუმი გამოდიოდა – პროვინციული ამერიკული ცხოვრების ვაკუუმი, საიდანაც თავისუფლებას ველოსიპედით ვეძებდი. გავივლიდი ჩემს dead-end–ს, სადაც არასდროს არც ერთი მეზობელი არ შემხვედრია და დავადგებოდი დიდ გზატკეცილს პატარა ქალაქისკენ.

საკვირია, დეილს „ტყუპებში“ წასვლასაც რომ ვერ გააგონებდი. „ტყუპები“ მინეაპოლის-სენტ პოლს ჰქვია – მინესოტას ორ უდიდეს ქალაქს, რომლებიც ერთმანეთზეა გადაბმული და როჩესტერიდან სულ რაღაც ერთსაათიან სამანქანო გზაზე მდებარეობს. ჰოდა, დეილი ამ ერთსაათიან მგზავრობასაც ვერ უძლებდა. თავის ერთ-ერთ ძმას, რომელიც მინეაპოლისის გარეუბანში ცხოვრობდა, ამიტომ მხოლოდ წელიწადში ორჯერ სტუმრობდა – მადლიერების დღეს და შობას. ამბობდა, რომ დიდ ქალაქში თავს დაკარგულად გრძნობს; ურჩევნია, მისი ყოველდღიური სამოძრაო გზა ნაცნობი სახეებით იყოს სავსე. გამოვა მანქანით თავის ვიწრო ქუჩაზე, იშვიათ შემთხვევაში შეხვდება მეზობელი, რომელსაც აწეული ფანჯრიდან ხელის აწევით მიესალმება. 15 წუთში კოლეჯში იქნება, იქ კი ნაცნობების მეტი რა არის? ეს არ ჯობია, თუნდაც ნიუ-იორკის მეტროს? სულ ანუ, გზის დასასრული. ამის იქით აღარაფერია, გარეული ინდაურებისა და შვლების გარდა (მართლაც, პიდერსენების ეზოში 15 წუთით შეყოვნებაც კი საკმარისი იყო იმისთვის, რომ თავზე ფრთებგაშლილ ინდაურს გადაეშხუილებინა, ზამთარში კი, ქუჩაზე ირემს ავტობუსივით ჩაევლო გვერდით). ხოდა აი, ამ გზის დასალიერში გავატარე ჩემი პირველი ორი ამერიკული თვე.

დილას კოლეჯში დეილს მივყავდი, რადგან ჩემს კოლეჯში მუშაობდა; საღამოსაც სახლში ერთად ვბრუნდებოდით, რადგან პიდერსენების სახლამდე ავტობუსი არ მიდიოდა. სრული ვაკუუმი გამოდიოდა – პროვინციული ამერიკული ცხოვრების ვაკუუმი, საიდანაც თავისუფლებას ველოსიპედით ვეძებდი. გავივლიდი ჩემს dead-end–ს, სადაც არასდროს არც ერთი მეზობელი არ შემხვედრია და დავადგებოდი დიდ გზატკეცილს პატარა ქალაქისკენ. გზად ძირითადად ფერმერების საბარვლამდე ლოს-ანჯელესში ცხოვრობდნენ, შემდეგ დაგმა „აი-ბი-ემ“-ში სამსახური იშოვა და, მაღალი ხელფასის ხათრით, მეგაპოლისის ცხოვრებაზე თქვეს უარი. ჯოლინი ამას ვერაფრით შეეგუა. რიტმი, ხმაური და ყოველდღიური დუღილი საშინლად ენატრებოდა. ამიტომ მე გადამეკიდა. კინოშიც ჩემთან და ჩემს მეგობრებთან ერთად უნდოდა სიარული და საყიდლებზეც, „მოლში“. თინეიჯერ გოგოს თამაშობდა და ჩემს მეგობრებთან დროის ტარებით „მაგარი ქალაქური გართობის“ ილუზიას იქმნიდა. თუმცა, ავტობუსის ხათრით ჯოლინსაც ვიტანდი და მის გამოხდომებსაც. ავტობუსი ნამდვილი ცხონება იყო. ჩავივლიდი ერთ ქუჩას და უკვე გაჩერებაზე ვიდექი. მძღოლები მიცნობდნენ, შავკანიანი ჯექსონი განსაკუთრებული სიამტკბილობით მხვდებოდა. ერთი ჩალმიანი ინდოელის გვერდით მომწონდა ჯდომა. ინდოელიც „აი-ბი-ემი“-ს ქარხანაში მუშაო-

ბდა – მხარზე გადაკიდებული ჩანთით მივხვდი, რომელზეც „აი-ბი-ემი“ ეწერა. ხმას არ იღებდა, რაღაც უცნაური სუნი ჰქონდა და ამ ერთგვაროვან და ერთსახოვან მიდვესტში მისი ეგზოტიკა საშინლად მომწონდა. სამ გაჩერებაში ენდი ამოდიოდა – კოლეჯის კაფეტერიის ოფიციანტი, უნარშეზღუდული ბიჭი, რომელიც უცნაურად დადიოდა და სქელშუშიანი სათვალე ეკეთა. ენდის საოცარი პრონონსი ჰქონდა და ნაცნობი სტუდენტების დანახვა საშინლად ახარებდა. დამინახავდა, ტაშს შემოჰკრავდა და მეტყოდა: See, I told you, I'll be seeing you on the bus today! – ხომ გეუბნებოდი, დღეს ავტობუსში გნახავდიო! ხოლო თუ კაფეტერიაში მოგკრავდა თვალს, აუცილებლად გკითხავდა: Are you taking the bus today? – ავტობუსით აპირებ დღეს მგზავრობასო? და როცა კვერს დაუკრავდი, ისევ ტაშის თანხლებით გაიხარებდა: Hopefully I'll see you on the bus today! იმედია, ავტობუსში აუცილებლად შეგხვდებიო. სანამ ნამდვილ მეგობრებს გავიჩენდი, მართლაც რომ დიდი ცხონება იყო ეს ავტობუსი.

***

ენდის გონებაშეზღუდული კი ერქვა, მაგრამ სხვაგვარი გონებაშეზღუდულობა უფრო იყო ამ პატარა ქალაქის პრობლემა. არადა, თითქოს, თავისუფლების სიმბოლო ქვეყანაში ვცხოვრობდი.

საშობაოდ ჩემს მეგობარ მირიამს – ასევე გაცვლით სტუდენტს ციურიხიდან – შეყვარებული ეწვია. მირიამმა წინასწარ ითხოვა ნებართვა თავისი მასპინძელი ოჯახისგან, რომ კრისტიანიც მათ სახლში გაჩერებულიყო. თუმცა, უკვე კრისტიანის ჩამოსვლის შემდეგ გაირკვა, რომ სახლი და ოთახი სინონიმები არ იყო. ძილის წინ, როცა კრისტიანმა და მირიამმა ოჯახის წევრებს ღამე მშვიდობისა უსურვეს და მირიამის ოთახისკენ გაეშურნენ, კართან ოჯახის უფროსი გადაეღობათ – არავითარ შემთხვევაშიო! ეს ჩემი სახლია, მე 12 წლის ვაჟი მყავს და არ მოგცემთ უფლებას, მის წინაშე ასეთი უმსგავსობა ჩაიდინოთ – დაანახოთ უმანკო ბავშვს, რომ დაუქორწინებლადაც შეიძლება ერთ ლოგინში ძილიო. მთელი ორი კვირა კრისტიანი სასტუმრო ოთახში იწვა, გასაშლელ ტახტზე, პლედგადაფარებული. როგორც ვიცი, ის და მირიამი, ნამდვილი სიყვარულით მხოლოდ ზაფხულში დატკბნენ, ნეიტრალურ და თავისუფალ შვეიცარიაში.

***

მოსკოველი მიშა შამპანოვი რუსულ-იმპერიალისტური რემარკებით გამოირჩეოდა. ჩვენს მეგობარ ამერიკელებს სიტყვა „თავისუფლების“ მნიშვნელობაზე მუდამ დასცინოდა. ხანდახან ირონიულად მოსდიოდა, ხანდახან ყალბად, უფრო ხშირად კი – ხისტად. ძირითადად ჩვენი გაცვლითი პროგრამის კოორდინატორთან – ჯენელ ჰოლტერთან კამათობდა ხოლმე. და გრძელდებოდა დაუსრულებლად – „აბა, ამერიკამ რომ ასე...“, „აბა, რუსეთმა რომ ისე...“ მაშინ მივხვდი, იმპერიებს შორის შუღლი პატარა ქალაქების ბინადრების აზროვნებასა და ყოველდღიურობაში ყველაზე უკეთ ჩანს.

როჩესტერში ახალი ჩასულები ვიყავით. ჯენელმა North-West Bank-ში ანგარიშის გასახსნელად წაგვიყვანა, რომელზეც შემდეგ სტიპენდია უნდა დაერიცხათ. დარწმუნებული ვარ, მიშაც, ისევე როგორც ჩვენი ჯგუფის ყველა პოსტსაბჭოთა წევრი, საბანკო ანგარიშს ცხოვრებაში პირველად ხსნიდა. მაგრამ ის მაინც დიდ გულზე იყო, ავიწყდებოდა, რომ ამერიკაში განათლების მიღების შანსი სახელმწიფო დეპარტამენტის წყალობით მიიღო და სანამ ვესტიბიულში ვიცდიდით, ამტკიცებდა, რომ ამერიკელების ყოფითი თავისუფლება უზრდელობა და უკულტურობაა და მეტი არაფერი. ჯენელი კი კარგ ხასიათზე იყო და არ ეკამათებოდა, ღიმილით უსმენდა. იცოდა, რომ პატარა როჩესტერში დაბადებული დიდ და დახვეწილ მოსკოვურ კულტურას ვერაფრით შესწვდებოდა. ამიტომ მიშას ტირადის პასუხად, მაინც უდარდელად აბოყინებდა „კოკა-კოლას“ ყოველი ყლუპის შემდეგ და არც მაგიდიდან აპირებდა სქელი ფეხების ჩამოლაგებას, რომელთაც ისევ პატარა შორტი უმშვენებდა. იმ დღეს მიშას პროპაგანდისტულ თხოვნასაც სცა პატივი (მიშა მთელი წლის განმავლობაში დაუღალავად ცდილობდა ნაცნობი რიგითი ამერიკელების რუსიფიკაციას, თითქოს, ამ წმინდა მისიით იყო მოვლინებული შტატებში) და საგანგებოდ დაისწავლა მოსკოვის „სპარტაკის“ გულშემატკივართა ჰიმნი. სრული ამერიკული თავისუფლებით მღეროდა „მოს-კოვ-სკიი სპარ-ტაკ, მოს-კოვ-სკიი სპარ-ტაკ...“ მაგრამ ამით, მგონი, საპირისპიროს უმტკიცებდა მიშას: როგორი პატარა ქალაქიდანაც არ უნდა იყოს ამერიკელი, შინაგანად დიდი რუსული ქალაქის მაცხოვრებელზე ცოტათი თავისუფალი მაინც იქნება.

***

სწავლის დაწყებიდან ორი თვის თავზე შევიტყვეთ, რომ ჯენელ ჰოლტერი ლესბოსელი იყო. ატყდა განგაში, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა რესპუბლიკელების წარმომადგენლებს შორის. ჯენელის სახით ჩვენ ყველამ პირველად ვნახეთ ლესბოსელი, რომელსაც ვემეგობრებოდით, მხარზე ხელს ვუტყაპუნებდით, და რომელიც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მფარველობას გვიწევდა კიდეც. უნდა ვაღიარო, რომ შოკში ჩავვარდი. მერე შემრცხვა, მაგრამ მერე ისევ გამიქრა სირცხვილის გრძნობა, როცა გავიგე, რომ მთლად კომფორტულად ჯენელის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით ვერც ჩემი ნაცნობი როჩესტერელები გრძნობდნენ თავს. ჯენელი და რენე ერთ სახლში ცხოვრობდნენ და ერთი საბანკო წიგნაკი ჰქონდათ, რომელსაც ეწერა – ჯენელ და რენე ჰოლტერები – ზუსტად ისე, თითქოსდა ცოლ-ქმარი იყვნენ. თუმცა კი დაქორწინების უფლებას მინესოტას კანონმდებლობა მათ არ აძლევდა (ახლა არ ვიცი, რა შეიცვალა იქ ამ თვალსაზრისით). ჯენელი კი სწორედ ამისთვის იბრძოდა. დიდ მიღწევად მიიჩნევდა იმას, რომ როჩესტერის კოლეჯის სასწავლო პროგრამაში ახალი კურსი ჩაუშვეს. ეს იყო კურსი სექსუალური უმცირესობების შესახებ. მიშა, რა თქმა უნდა, ამაზეც ქირქილებდა. ბოლოს „გმირული“ ნაბიჯი დენიელ ვონვილმა გადადგა – ისევ ნეიტრალური და თავისუფალი შვეიცარიიდან; მიუხედავად იმისა, რომ ეს კურსი არა-

ფერში სჭირდებოდა, მაინც არც ერთ ლექციას აცდენდა. როჩესტერის კოლეჯის ყველაზე დიდი გმირი კი ისევ ჯენელი აღმოჩნდა. დენიელმა გვიამბო, როცა სახელმძღვანელოში იმ ქვეთავს მიადგნენ, „გამოსვლა“ (coming-out) რომ ერქვა და რომელშიც საკუთარი ორიენტაციის სახალხო აღიარებაზე იყო საუბარი, ლექციას ჯენელიც დაესწრო და სტუდენტებს პატარა მოხსენებაც წაუკითხა. ჯენელი ამბობდა, რომ ეს აღიარება განსაკუთრებით საჭიროა პატარა ამერიკულ ქალაქებში, სადაც ჯერ კიდევ მყარადაა ფესვგადგმული გაუცხოება უმცირესობების მიმართ; რომ საჭიროა, მათი უფლებების დაცვა და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა. ეს რომ მოვისმინე, მივხვდი, სექსუალური რევოლუცია, „ტყუპები“. პარასკევი ღამე – გართობის ღამე. ეს ნიშნავდა მინეაპოლისამდე ერთსაათიან მგზავრობას და იქ დილამდე მოლხენას. ალბათ, როჩესტერში ახლაც ყველაფერი ამ სცენარით გრძელდება. პარასკევ საღამოს პატარა ქალაქიდან დიდი ქალაქისკენ კვლავაც დაუსრულებლად მიედინებიან თინეჯერების მანქანები. ესეც ამერიკული პროვინციის კიდევ ერთი ხიბლი.

***

ჩემთვის კი კოლეჯის ხიბლი მარკ შრედერი იყო, მასობრივი კომუნიკაციების და ამერიკული კინოს ლექციათა კურსის პროფესორი. კაბინეტის კარზე ჯიმ მორისონის პლაკატი ჰქონდა გაკრული. წითელი „ვრანგლერის“ ჯიპს მართავდა, ყავისფერ „კოვბოებში“ ჩადროს ვისწავლე. გასწორებულ ესეებს უკან რომ გვიბრუნებდა, მისი კომენტარების კითხვას არაფერი სჯობდა. „კარგი დეტალია“, „ყოჩაღ!“ „ეს უკეთ შეგეძლო!“ – მის ამ შეფასებებს ოქროს ფასი ჰქონდა. პროფესორის მისია ასეთი იყო – „აღმოვაჩინო პროვინციაში ხალასი გონება და თავისუფალი აზროვნება“. სწორედ ამიტომ სტუდენტების ტვინებში ყოველგვარ „იდეურ გაბრწყინებას“ უდიდეს პატივს სცემდა. ფავორიტებიც ჰყავდა და მათზე დიდ იმედს ამყარებდა. ჩემზე იცოდა, რომ ისევ საქართველოში ვბრუნდებოდი, ამიტომ წლის ბოლოს განსაკუთრებულად დამარიგა ჭკუა. ვინ იცის, მერამდენედ გამიმეორა, ესა და ეს არის შენი ძლიერი მხარეები და აბა, შენ იცი, უნდა განვითარდე, წინ იარო და ბევრ რამეს

ამერიკაც ჩემთვის ზუსტად ესაა – ყველაზე მეტი შანსი და ყველაზე ბევრი გზა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), რომელს აირჩევ, უკვე შენი ნებაა: ან ხელმოცარული იქნები ან წარმატებული, ან dead-end-ს მიაღწევ, ანდა ვრცელ შარაგზას დაადგები.

რომელიც ამერიკაში დაიწყო, არა თუ მსოფლიოში, ჯერ არც ამერიკაში დამთავრებულა. ის დღემდე გრძელდება პროვინციების ცნობიერებაში.

***

ჩემმა ნორვეგიელმა მეგობარმა ჯენეტმა გადაწყვიტა ნამდვილი ამერიკელი გოგო გამხდარიყო და ამერიკულობის „სრული პაკეტისთვის“ ძველი ამერიკული მანქანა იყიდა, მგონი 500 დოლარად, უკვე ჟანგშეპარული. დავდიოდით იმ რახრახა მანქანით გაყინულ როჩესტერში და ბოლო ხმაზე ამღერებულ ალანის მორისეტს სიმღერას არ ვაცლიდით. მაგრამ ის წელი „ტიტანიკის“ გამოსვლის წელი იყო და ამიტომ ნამდვილი ამერიკელი გოგოები თავიანთ ძველ მანქანებში მხოლოდ სელინ დიონს ამღერებდნენ.

თუმცა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მუსიკალური გემოვნება, გართობის ადგილი ყველას ერთი გვქონდა – ტანებული ჯინსი და კუბოკრული „სარჩოკა“ ეცვა, გრძელი თმა ჰქონდა და სულ თერმოს-ჭიქაში ჩასხმული ყავითა და მოცეკვავის „პახოდკით“ დადიოდა. თუ არ ვცდები, კოლუმბიის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ როჩესტერში თავს მაინც კომფორტულად გრძნობდა. რატომღაც ცხოვრების ასეთი წესი აირჩია, სამუშაოდ კი – პატარა ქალაქი. ამბობდა: მთავარია შინაგანი თავისუფლება და ადამიანების სიყვარული, თუნდაც ამ ადამიანებს პატარა ქალაქის მაცხოვრებელთა აზროვნება ჰქონდეთ; სად იცხოვრე, რა მნიშვნელობა აქვსო. ლექციებს ყოველთვის დისკუსიებად გადააქცევდა ხოლმე. შეიძლება ითქვას, ინგლისურად სწორედ მან ამალაპარაკა. დებატებში ჩართვის და მერე მარკის შექების მოსმენის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ენა ავიდგი. კომპიუტერის კლავიატურაზე ბრმად ბეჭდვაც მისი გაკვეთილებისთვის თემების წერის მიაღწიოო. არ ვიცი, სჯეროდა თუ არა მარკს ბოლომდე ამერიკული ოცნების, მაგრამ ის უკანასკნელი ჭკუის დარიგება ძალიან ამერიკულად კი გამოუვიდა – ზუსტად ისე, როგორც პატარა პროვინციული ქალაქის დიდ პროფესორს, რომელიც იმედის მომცემ სტუდენტს დიდ ქალაქში, დიდ არენაზე უშვებს და არ იცის, ოდესმე კიდევ შეხვდება თუ არა. ამერიკაც ჩემთვის ზუსტად ესაა – ყველაზე მეტი შანსი და ყველაზე ბევრი გზა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), რომელს აირჩევ, უკვე შენი ნებაა: ან ხელმოცარული იქნები ან წარმატებული, ან dead-end-ს მიაღწევ, ანდა ვრცელ შარაგზას დაადგები. და, ვინ იცის, შეიძლება ისეც გამოგივიდეს, როგორც გიტარიან რობერტ ალენ ციმერმანს (შემდეგში ბობ დილანად წოდებულს) მინესოტას უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე პატარა ქალაქ დულუთიდან.

N45, იანვარი 2009

სხეულის ძიებაში

თანამედროვე ცეკვის თეატრი – დაკარგული უბიწოებისა და მიუღწეველი თავისუფლების მოსაზღვრე ტერიტორია

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქორეოგრაფის პინა ბაუშის ფრაზა: „მე არ მაინტერესებს, როგორ მოძრაობენ ადამიანები, მე მაინტერესებს რა ამოძრავებთ მათ“, დიდი ხანია, თანამედროვე ქორეოგრაფიის მთავარ პოსტულატად იქცა. ტექნიკური სიახლეებისადმი საზოგადოების ლამის ავადმყოფური ლტოლვა ხელოვნებასაც დაახლოებით იგივე მოთხოვნებს უყენებს, რაც ინოვაციისადმი გარკვეულ მორჩილებაში გამოიხატება. არადა, ისტორიული თვალსაზრისით, სოციალური კომფორტი და ხელოვნება ანტირითმაა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა თანამედროვე ცეკვის თეატრში, რომელიც, ნონკომფორმისტების საერთო საცხოვრებელს თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში კი სიახლითა და აკვიატებული იდეებით „შეპყრობილ“ ქორეოგრაფთა საგიჟეთს ჰგავს. მაგრამ შემოქმედებითი სიგიჟე არტ-ისტების, ძირითადი თუ არა, თანამდევი მისიაა...

გალაკტიონის ნაცნობი სტრიქონი – „სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“ – შეიძლება განვიხილოთ როგორც მათი თავისუფლების, ისე ამბიციებისა და შეხედულებების განსამტკიცებელი დევიზი. მზარდი და მულტიკულტურული შემოტევის ფონზე თანამედროვე ცეკვის ადეპტები (უფრო კონკრეტულად ქორეოგრაფები, რეჟისორები, მოცეკვავეები) სიახლეს სწორედ იქ ეძებენ, სადაც ერთი შეხედვით ყველაზე ნაკლებად იგულისხმებთ: სიჩუმეში, რიტუალში, ეკრანზე, ფოტოზე, ცირკში, ეროტიკაში, ახალ ტექნოლოგიებში... თანამედროვე ცეკვამ, რომელსაც დასავლეთში, დიდი ხანია, Contemporary dance-ს უწოდებენ, აკადემიურ თეატრს იმდენი რამ წაართვა, რამდენსაც საკუთარი, ახალი და ჯერ კიდევ დამაბნეველი სტატუსის განსაზღვრას მოახმარდა.

ისტორიული კონტექსტი

რადგან ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია, შეგვიძლია ისტორიის შავ-ბნელი ლანდებიდან ექსპერიმენტულად მანათობელი სახელები გამოვიხმოთ: ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ექსპერიმენტული ჟინითა თუ ჯინით შეპყრობილმა ავსტრიელმა მსახიობმა, მხატვარმა, მეორეხარისხოვანი რევიუს მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა, რუდოლფ ფონ ლაბანმა ერთი შეხედვით წარმოუდგენელი ავანტიურა განიზრახა – კლასიკური ბალეტისათვის ნამუსი ფაქიზად, მაგრამ საჯაროდ აეხადა.

ვენისა და ბერლინის მოდურ და ალტერნატიულ კლუბებში (დაახლოებით ისეთი, „კიტ-კეტ კლუბს“ რომ ასახავს ბობ ფოსი „კაბარეში“) თაყვანისმცემლთა მცირე ჯგუფთან ერთად იგი უცნაური იმპროვიზაციითა და ექსპერიმენტებით ცდილობს კლასიკური ცეკვის კულტის დამსხვრევას. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ცეკვის ძირითადი ვექტორი სწორედ „გადაგვარებულმა ავსტრიელმა არისტოკრატმა“ (როგორც თანამედროვეებმა უწოდეს პრესაში) – რუდოლფ ფონ ლაბანმა განსაზღვრა; მაგრამ არც პლასტიკის ჯადოქრების – გერმანელი მარი ვიგმანისა და ამერიკელი მართა გრეჰემის სახელების დავიწყება შეიძლება. თუმცა, ამ ორი ქალბატონის შესახებ – ოდნავ ქვემოთ.

მეოცე საუკუნის 20-30 წლებში გაცვეთილ პუანტებსა და ქათქათა „პაჩკებს“ სხეულის სრული თავისუფლება და საუკუნეებიდან ამოზრდილი რიტუალური ცეკვა უპირისპირდება. ახალი დროის დრამატულ ცვლილებებს კი რუდოლფ ფონ ლაბანი ჯერ დაწერილ „თანამედროვე ცეკვის მანიფესტში“, შემდეგ კი სასცენო შემოქმედებაში ასახავს. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში კაბარეს კულტურის შემოჭრა ცეკვის ლანდშაფტს მთლიანად ცვლის. უკვე ფეხშიშველა ცეკვავს ლეგენდარული მოცეკვავე აისიდორა დუნკანი, უცნაური ამერიკელი ქალბატონი რუთ სენ-დენი დასაყრდენს აღმოსავლურ რიტუალსა და ცეკვებში ეძებს, ხოლო რითმო-პლასტიკური სკოლის შემქმნელი, ფრანგი თეორეტიკოსი ემილ ჟაკ-დალკროზი მოსწავლეებს სიჩუმის „მოსმენისა“ და მუსიკის გარეშე ცეკვისკენ მოუწოდებს. და ეს მეოცე საუკუნის ბოლოს თანამედროვე ქორეოგრაფიაში კონტრაპუნქტის ნიშნად იქცა.

თავიდან ეს რეალობისადმი უთანასწორო დაპირისპირებას ჰგავდა, რადგან კლასიკური ბალეტის მითი ჯერ კიდევ მძლავრი და სიცოცხლისუნარიანი იყო. რევოლუციამდელი რუსეთიდან გამოქცეული ვაცლავ ნიჟინსკისა და ანა პავლოვას სახელები ევროპელ თაყვანისმცემლებში, იდუმალების გარდა, რაღაც აუხსნელ მოწიწებასა და დისიდენტურ თანაგრძნობას აღძრავდა. და მაინც, „ახალი ცეკვის“ ვირუსმა ევროპაში შეაღწია და შედეგიც გამოიღო. ყველაზე სწრაფად გერმანიაში გაიხარა, სადაც ექსპრესიონისტული თეატრი და კინო იოლად ამკვიდრებდა, თუ იტანდა ნებისმიერ სახელოვნებო სიახლეს.

ფონ ლაბანის ერთგულმა მოსწავლეებმა – კურტ იოსმა და მარი ვიგმანმა, რომლებიც დისიდენტებივით იტანდნენ ესთეტიკურ დევნასა და დამცირებას, მოგვიანებით თავად მოახდინეს ნამდვილი ქორეო-რევოლუცია. 30-იან წლებში კიოლნში, მათ მიერ დაარსებულ, დღეს უკვე ისტორიულ „ფოლკვანგის“ სკოლაში კაბარესა და დრამატული თეატრის პროფესიონალი მსახიობები ფიზიკური და მუსიკალური მომზადების შესანიშნავ სკოლას გადიოდნენ... და, რაც მთავარია, ეპოქის შესატყვის ავანგარდულ დამღას ამაყად ატარებდნენ. მართალია, კურტ იოსი, მარი ვიგმანი და „მთელი მისი ამფსონები“ – ანუ „ფოლკვანგის“ სკოლაში გაწვრთნილი მოცეკვავეები, ნაციზმმა „ჩასარეცხებად“ მალევე გამოაცხადა და ქვეყნიდან გარეკა (ან საკუთარ სამსახურში ჩაიყენა), მაგრამ ჯინი ბოთლიდან უკვე გამოშვებული იყო. კურტ იოსის ლეგენდარული სპექტაკლი „მწვანე მაგიდა“ და მარი ვიგმანის აბსტრაქტული „რითმოპლასტიკური ექსპერიმენტი“ დღევანდელი გადასახედიდან ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობისაა.

ცხადია, ნაცისტურმა იდეოლოგიამ „თავხედურ“ ექსპერიმენტებს მალევე ბოლო მოუღო. თუმცა ცნობილია, რომ ნაცისტები და თავად ჰიტლერი ხშირად ტკბებოდნენ ჰარმონიული, შიშველი სხეულების ცქერით მრავალრიცხოვან აღლუმებზე თუ ცოცხალი სკულპტურების გამოფენებზე, რასაც ადასტურებს ლენი რიფენშტალის ცნობილი დოკუმენტური ფილმებიც. ყველაზე არსებითი, რაც „ფოლკვანგის“ სკოლამ მოახერხა, ეს იყო თანამედროვე ცეკვის თეატრისა და „ახალი სხეულის“ ესთეტიკის ჩამოყალიბება, რომელიც მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ისევ აღორძინდა. ხოლო თავის დროზე პინა ბაუშის საკულტო სპექტაკლით – „კაფე მიულერით“ მოხიბლულმა კინორეჟისორმა პედრო ალმოდოვარმა გერმანელი ქალბატონის ქორეოგრაფია თავისებურად უკვდავყო ფილმში „ესაუბრე მას“, რომლის მთავარი პერსონაჟები სწორედ „კაფე მიულერის“ წარმოდგენაზე ხვდებიან ერთმანეთს.

დიდი და პატარა ჩიტები

პინა ბაუშის სპექტაკლები და სოციალურ-კულტურული განზომილება ცარიელ ადგილას არ აღმოცენებულა. მას ზურგს გერმანული ექსპრესიონისტული ცეკვის ტრადიცია და ზემოხსენებული „ფოლკვანგშულე“ უმაგრებდა, რომელიც, ბანალურად რომ ვთქვათ, თანამედროვე გერმანული ცეკვის სამჭედლოა. ცნობილი ქორეოგრაფ-რეჟისორები: იოჰან კრესნიკი, სუზან ლინკი და პინა ბაუში თანამედროვე გერმანული კულტურის ისეთივე მნიშვნელოვანი ნაწილია, როგორც, ვთქვათ, ჩვენში „სუხიშვილები“, ოღონდ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით: მათ არ სტანჯავთ ესოდენ მნიშვნელოვანი, დამთრგუნველი და ტრადიციული ხალხური ცეკვის არქეტიპები, როგორც – ჩვენებურებს. ისე კი, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებით შემოქმედებითად „შეწუხებული“ არც ფოლკლორისტები მინახავს და არც ქორეოგრაფები.

შესაძლოა იმიტომ, რომ თანამედროვე ცეკვის თეატრი აუცილებლად გულისხმობს აქტიურ სოციალურობას (როგორც, მაგალითად, კლასიკოს პინა ბაუშისა და შედარებით ახალგაზრდა ქორეოგრაფის საშა ვალცის წარმოდგენებში), ან უფრო იშვიათად პოლიტიკურ განზომილებას (იოჰან კრესნიკის გენიალური პერფორმანსები „სამოთხის ბაღი“ და „ფრიდა კალო, სიცოცხლე და სიკვდილი“). არც ის არის შემთხვევითი, რომ თანამედროვე ცეკვის თეატრის პუბლიკას ძირითადად ინტელექტუალები, თანამედროვე ხელოვნებით დაინტერესებულები და მემარცხენეები შეადგენენ.

40-50-იან წლებში ამერიკაში „მოდერნ დანსის“ ნამდვილი კულტია, რომლის სათავეებთან

თანამედროვე ცეკვის თეატრი აუცილებლად გულისხმობს აქტიურ სოციალურობას – როგორც, მაგალითად, კლასიკოს პინა ბაუშისა და შედარებით ახალგაზრდა ქორეოგრაფის საშა ვალცის წარმოდგენებში, ან უფრო იშვიათად პოლიტიკურ განზომილებას – იოჰან კრესნიკის გენიალური პერფორმანსები „სამოთხის ბაღი“ და „ფრიდა კალო, სიცოცხლე და სიკვდილი“.

ნამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ქორეოგრაფის, პინა ბაუშის წარმოდგენებში ცეკვის თეატრი სრულიად ორიგინალურ, სოციალურ და მულტიკულტურულ ფორმას ღებულობს.

როცა გოეთეს გერმანული კულტურის ინსტიტუტმა თბილისში დაახლოებით ორი წლის წინ „ფოლკვანგის“ სკოლისა და კურტ იოსის სპექტაკლების ამსახველი ვიდეოჩვენება მოაწყო, თვით ქორეოგრაფიაში გათვითცნობიერებულ პუბლიკასაც კი გაუჭირდა ჯერ კიდევ უცნობ, ისტორიულად მოუთელავ „ქორეოგრაფიულ ხატებთან“ დაახლოება. ყოველ შემთხვევაში, ასობით დაკონსერვებულ „ჟიზელსა“ თუ „ბაიადერაზე“ გაზრდილ საზოგადოებას იმ ჩვენებიდან გაუცხოების შთაბეჭდილება ნამდვილად დარჩა.

მედგრად დგანან რიტუალური ცეკვის დედამთავარი მარტა გრეჰემი და ჯაზივით მრავალგანზომილებიანი, შავკანიანი ალვინ ეილი. „სხეული არასოდეს იტყუება“ – მარტა გრეჰემის ეს აფორიზმი შეიძლება მისი შემოქმედების ძირითად კრედოდ განვიხილოთ. ქორეოგრაფი, რომელმაც ლამის მთელი მეოცე საუკუნე იცხოვრა, კრიტიკოსების აზრით, ფემინისტური ქორეოგრაფიისა და რიტუალური ქორეოდრამის ერთ-ერთი დამაარსებელია. ყველაზე ცნობილი ოპუსები: „გულის გამოქვაბული“ (1947), „ღამის მოგზაურობა“ (1949), „ფედრა“ (1961), შეიძლება საეტაპოდ მოვიჩნიოთ ექსპერიმენტული ქორეოგრაფიისა და ფიზიკური თეატრის განვითარებაში. მარი ვიგმანთან ერთად მართა გრეჰემმა შეცვალა წარმოდგენა ქალ

ქორეოგრაფზე, რომელთა როლი ადრე მხოლოდ მოკრძალებული სოლოთი შემოიფარგლებოდა.

მადონა, რომელიც თავის დროზე მარტა გრეჰემის სახელგანთქმულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში სწავლობდა, ასე აღწერს თავის მოგონებებში ლეგენდარულ ქორეოგრაფთან შეხვედრას: „როდესაც საკლასო ოთახიდან გამოვვარდი, დერეფანში პირველად შევეჩეხე ამ უცნაურ არსებას. სკოლაში მკაცრი, სპარტანული რეჟიმის გამო, აკრძალული გვქონდა დირექციასთან ახლო ურთიერთობა, მაგრამ იმ წუთას ცარიელ დერეფანში, სადაც მარტო მე და ეს გაყინული, წვრილნიკაპიანი, ფაიფურის ქანდაკება ვიყავით, ვიგრძენი, რომ ნამდვილად მომნუსხველი იყო. ჩემი ენაწყლიანობა და თავხედობა სადაღაც გაქრა, ენა დამება და მის ცნობისმოყვარე გამომეტყველებას ესღა შევაგებე, – „ტუალეტში მივდივარ“. მან თითქოს გამიღიმა, რომელშიც უფრო მეტად ზიზღი თუ ქედმაღლობა იგრძნობოდა და მითხრა – „ჰო, ჯობს, არ ჩაიფსა და კარგად იცეკვო, ვიდრე პირიქით.“

ჯაზმა, ჰოლივუდმა და მიუზიკლმა, ცხადია, დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე ამერიკული ცეკვის განვითარებაზე. ლეგენდარული მოცეკვავე, ქორეოგრაფი და რეჟისორი ბობ ფოსი ბროდვეიზე დადგმული მიუზიკლებით – „მშვენიერი ჩარეტი“ და „კაბარე“ (მოგვიანებით ამავე სახელწოდების ფილმები) 50-60-იანი წლების საკულტო პერსონად იქცა. თუმცა, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა შემდეგ ეტაპზე მერს კენინჰემის, პოლ ტეილორის, კაროლინ კარლსონის, უილიამ ფორსაიტის, ტრიშა ბრაუნის შემოქმედებას, რომელთა გავლენა თანამედროვე ცეკვის თეატრზე უდიდესია.

არანაკლებ საინტერესოა ქორეოგრაფიის ისტორია იაპონიაში მეოცე საუკუნის 60-იან წლებში. ფილოსოფოსმა და პუბლიცისტმა ტუსუმი ხიძიკატამ და პროფესიით ბოტანიკოსმა მინ ტანაკამ ამერიკული მოდერნ დანსი, ევროპული ავანგარდი და ტრადიციული იაპონური თეატრის ელემენტები უცნაური სითამამით შეაჯვარეს. მიღებული ცეკვის ახალი სახეობა – „ბუტო“ მედიტაციურ-ფილოსოფიური მოძრაობებისა და სხეულის ფლობის უმაღლეს ხელოვნებად აქციეს. მოცეკვავე გათავისუფლებული იყო ქორეოგრაფიის დიქტატისაგან და მისთვის მისაღწევ ფარგლებში შეეძლო სხეულის შესაძლებლობები სრულად წარმოეჩინა.

არასოდეს დამავიწყდება პირველი შეხება თუ შეხვედრა „ბუტოსთან“, ვენის თანამედროვე ცეკვის ფესტივალზე „იმპულსტანცი“. 70 წლის კარლოტა იკედა (პირველი თაობის „ბუტოისტი“, რომელიც, დიდი ხანია, პარიზში ცხოვრობს და „ბუტოს“ მითის ცოცხალი ნაწილია) ცეკვავდა დაახლოებით 35–წუთიან სოლოს სტრავინსკის „კურთხეულ გაზაფხულში“. ეს თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ უკვე ცხოვრებაგავლილი, ფეხშიშველა ქალი საოცარი უშუალობით და ექსპრესიით ანსახიერებდა ქალწულს, რომელმაც არ იცის განაყოფიერების „გემო“. მაგრამ არსებითი სწორედ ისაა, რომ სწორედ ქალური გამოცდილება ანიჭებს მას ერთგვარ უპირატესობას – ზუსტად იცის, სად და როგორ მოგვატყუოს, რათა დავუჯეროთ და ვიგრძნოთ.

„ბუტოს“ შემქმნელებიც და დღეს უკვე თანამედროვე ცეკვის თეატრის ავტორ-ქორეოგრაფებიც (ეს, პრაქტიკულად, ქორეოგრაფიულ რეჟისურას უდრის) მოცეკვავის სხეულს ფილოსოფიურ ჭრილში განიხილავენ და მას, როგორც ცარიელ ჭურჭელს, ისე აღიქვამენ. მნიშვნელობა არ აქვს, ამ ჭურჭელს რითი აავსებ — სხვისი ცხოვრების აჩრდილებით თუ გამხმარი ბალახის ნაყენით. სხეულის პროპორციები, დახვეწილობა და ასაკი ასევე კარგავს მნიშვნელობას. განვლილი წლები ხაზს უსვამს სიბრძნეს და არა უძლურებას. და როცა ზემოხსენებული, ლეგენდარული მოცეკავავე კარლოტა იკედა „კურთხეულ გაზაფხულში“ ქალიშვილის პარტიას ასე გულწრფელად ცეკვავს, ეს პირველ რიგში მაყურებელზე სულიერ ზემოქმედებას ნიშნავს და არა ირონიულ დისტანციას პუბლიკასა და შემსრულებელს შორის.

80-90-იან წლებიდან, ანუ ახალი ტექნოლოგიების ბუმიდან მოყოლებული „ბებერ კონტინენტზე“ ხელოვნებისადმი დამოკიდებულება იცვლება და განვითარების სრულიად ახალი ეტაპი იწყება. შესაბამისად, იცვლება თანამედროვე ცეკვისადმი მიდგომა. ცალკე მსჯელობის საგანია „ფიზიკური თეატრის“ ახლებური აღქმა (უკვე დამკვიდრებული ეს ტერმინი ხშირად უფრო ზუსტია, ვიდრე „თანამედროვე ცეკვის თეატრი“). ახალი დროის ლიდერები – ბელგიაში იან ფაბრი, ანა-ტერეზა დე კეერსმაკერი; ჰოლანდიაში ჰას ვან მანენი, ირჟი კილიანი; საფრანგეთში დომინიკ ბაგუე, კარინ საპორტა, ფილიპ დეკუფლე, ანჟელენ პრელჟოკაჟი; გერმანიაში – სუზან ლინკი, საშა ვალცი, იოჰან კრესნიკი – ცვლიან არა მხოლოდ ქორეოგრაფიულ შინაარსებსა და ლანდშაფტს, არამედ პოსტმოდერნისტული ირონიით უბრუნდებიან სხეულის პირობითობებისგან გათავისუფლების, დამიწებისა თუ დემითოლოგიის თემას. შემთხვევითი არ არის, რომ ახალი დროის ერთ-ერთი ლიდერის, გერმანელი ქორეოგრაფის საშა ვალცის სპექტაკლებს პირდაპირ ასე ეწოდება – Korper (გერმანულად „სხეული“) ან NoBody („არასხეული“).

სახელებით გადატვირთულ ამ ფონზეც კი განსაკუთრებულად აღსანიშნავია შვედი ქორეოგრაფისა და რეჟისორის მატს ეკის შემოქმედება, რომელიც თანამედროვე ევროპულ ქორეოგრაფიაში განსაკუთრებული მოვლენაა. თავის მუზასა და მეუღლესთან – ანა ლაგუნასთან ერთად მატს ეკი ქმნის კომპაქტურად ზუსტ, მკვეთრად თანამედროვე და ირონიულ-ფსიქოანალიტიკურ სპექტაკლებს. დაწყებული კლასიკური რეპერტუარით („ჟიზელი“, „გედის ტბა“, „კარმენი“, „დონ-ჟუანი“) და დამთავრებული ესპერიმენტული ოპუსებით (Smoke,

„აპარტამენტი“, „ხელბორკილები“), იგი ქმნის დეფორმირებულ სამყაროს, სადაც კლასიკური ბალეტიდან ნაცნობი ფაქიზი განცდებისა და რომანტიკული იდუმალების ადგილი არ რჩება. სამაგიეროდ, დიდი დოზითაა შენარჩუნებული ირონია, როგორც იარაღი საბალეტო კლიშეებისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი მოწოდებულია ძალდაუტანებელი სიმსუბუქით, „ტეხილი“ პლასტიკითა და ამბისადმი შენარჩუნებული დისტანციით.

ზოგადად, დღევანდელი ქორეოგრაფია ნაწილობრივ მაინც გამოხატავს თანამედროვე ფიზიკური თეატრის შესაძლებლობებს და ცეკვის თეატრის ირონიულ-აპოკალიფსურ კონტექსტს; ექსპერიმენტებით ნატანჯი სხეულის ბრწყინვალებასა და სიღატაკეს; დაკარგულ უბიწოებას და მიუღწეველ თავისუფლებას; რეფლექსიას და ირონიას... და რადგან ევროპაში ქორეოგრაფიული ექსპერიმენტები უხვად დაგროვდა, თანამედროვე ცეკვისადმი მიძღვნილი სპეციალური ფესტივალების ჩატარების აუცილებლობა (არა მხოლოდ პუბლიკისთვის) გარდუვალი გახდა.

ცეკვის ფესტივალი, როგორც თვითგამოხატვის ახალი საშუალება

80-90-იან წლებში ტერმინმა „თანამედროვე ცეკვა“ კონკრეტულ შინარსთან ერთად, ცოტა არ იყოს, მისტიკური მნიშვნელობა შეიძინა. ახალი თაობის ევრო-ამერიკელ ქორეოგრაფებს, რომელთა მხოლოდ ჩამონათვალი რამდენიმე თაბახს დაიტევს, ამბიცია გაუჩნდათ თავიანთი შინნაზარდი, ლაბორატორიული ოპუსები მაყურებელთა გაცილებით ფართო წრისთვის გაეცნოთ. თუმცა ამისთვის მათ კანონიზებული სივრცე (ანუ ფესტივალები), არცთუ ცოტა ფული და თანამოაზრეთა მხარდაჭერა სჭირდებოდათ. უკვე დაგროვილი გამოცდილება და ექსპერიმენტები ერთდროულად ახალისებდა დამწყებთ და გამოცდილებს, რომ მათი დროული თავგანწირვა „ცუდად“ მაინც არ ჩაივლიდა... და, პრინციპში, ასეც მოხდა. ამას დაუმატეთ თანამედროვე მხატვრობის, დიზაინისა და პერფორმანსის გავლენა ცეკვის თეატრზე, რომელიც გამომსახველობაში, ორიგინალურ

City Sport საშუალებას გაძლევთ, დაიქირავოთ კორტები 30%-იანი ფასდაკლებით.
20 ლარის ნაცვლად, თქვენ გადაიხდით მხოლოდ 14 ლარს.
ვაუჩერით სარგებლობა შეეძლება კორტების პირველ 100 სტუმარს.
დაგვიკავშირდით: 593 253 853
www.citysport.ge

CITY SPORT

სივრცით გადაწყვეტასა და სხეულისადმი ირონიულ დამოკიდებულებაში აისახა.

ათვისებულ და უკვე ტრადიციულ ავინიონისა და ედინბურგის თეატრალურ ფესტივალებს, უკვე კარგა ხანია, შეემატა მონპელიეს, ლიონისა თუ ვენის სპეციალიზებული, თანამედროვე ცეკვისადმი მიძღვნილი ფესტივალები, რომლებიც სულ უფრო მზარდი პოპულარობით სარგებლობენ მაყურებელთა შორის. უკვე ცეკვით შეპყრობილთა სექტაც გამოიკვეთა, რომელიც მხოლოდ ამგვარ ფესტივალს ირჩევს და არა დრამატული თეატრების ფესტივალს. სხვათა შორის, კრიტიკოსების მოსაზრებითაც, თანამედროვე თეატრში ყველაზე საინტერესო ამბები ხდება და ნაირგვარ პროვოკაციასაც სწორედ ცეკვის თეატრში წააწყდებით. ამის მაჩვენებელია, მაგალითად, თანამედროვე ცეკვის ფესტივალი „იმპულსტანცი“, რომელიც 80-იანი წლებიდან მოყოლებული ვენაში ყოველი წლის ივლისში იმართება. ხოლო ქალაქში, სადაც კლასიკური მუსიკისა და ვალსის კულტია, ალბათ თავად მიხვდებით, რომ თანამედროვე როკვა მხოლოდ დაცინვად აღიქმება. თუმცა, როგორც ჩანს, ორგანიზატორებმა ეს თავიდანვე იციან და ვენის კლასიკურ-ფილარმონიულ გარემოსა და თანამედროვე ცეკვის სივრცეს შორის არჩევანის საშუალებას ტოვებენ.

თავის დროზე სამხრეთ საფრანგეთის ისტორიულ, ლამაზ ქალაქ მონპელიეში ქორეოგრაფიული ფესტივალის დაარსება (სწორედ 80-იანი წლების დასაწყისში) შესანიშნავი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის, დომინიკ ბაგუეს სახელს უკავშირდება. სამწუხაროდ ნაადრევად გარდაიცვალა, თუმცა ერთდროულად მადლიერმა თუ გესლიანმა კრიტიკამ მას თანამედროვე ქორეოგრაფიის „პატარა პრინცი“ უწოდა. დაახლოებით ამავე პერიოდში აღმოცენდა ლიონის „თანამედროვე ცეკვის ბიენალე“, რომელიც უპირველეს ყოვლისა საფრანგეთის იმდროინდელი კულტურის მინისტრისა და თანამედროვე ცეკვის თაყვანისმცემლის, ჟაკ ლანგის სახელს უკავშირდება. თანამედროვე ცეკვას დიდად სწყა-

მისამართი: ასათიანის 7ა (თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია)

ლობდნენ ბერლინშიც, სადაც ყოველი წლის ზამთარში ჰებელის სახელობის თეატრში ე.წ. ტანცვინტერი, ანუ თანამედროვე ცეკვის თეატრის „ზამთრის საღამოები“ იმართებოდა.

რაც შეეხება კლასიკურ ვენას, ქალაქში, სადაც მოცარტისა და ვალსის კულტი სახიფათო ზღვარს აღწევს, ქალაქის კულტურის პოლიტიკის მთავარმა მრჩეველმა და მენეჯერმა კარლ რეგენსბურგერმა თანამოაზრესა და ქორეოგრაფ ისმაელ ივოსთან ერთად 1984 წელს დააარსა ფესტივალი „იმპულსტანცი“, რომელიც ევროპაში ალბათ ყველაზე საინტერესოა მიდგომითა და სიახლისადმი ლტოლვით. იმ დროიდან მოყოლებული ისინი ყოველ წელს ეპატიჟებიან ყველაზე თავზე ხელაღებულ, თანამედროვე, პროვოკატორ ქორეოგრაფებს ფანტაზიის სრული რეალიზაციისთვის.

კარგი მარკეტინგის წყალობით, „იმპულსტანცი“ თანდათან ტურისტულ-კულტურული ვენის განუყოფელ ნაწილად იქცა. ყოველი წლის ივლისში, როცა ვენაში ტურისტების მოზღვავებაა, „ბურგთეატრის“ წინ დამონტაჟებულ სპეციალურ ეკრანზე, შთამბეჭდავად „ამეტყველებული“ სხეულები მოუწოდებენ მათ, არ გამოტოვონ მატილდა მონიეს, მეგ სტიუარტის, აკრამ ხანის, ტრიშა ბრაუნის, იან ფაბრის, მარი შოინარის, ემიო გრეკოს და სხვათა წარმოდგენები. როგორც ფესტივალის მონაწილე, არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე პრეს-ცენტრში როგორი სიამაყით აცხადებდნენ, – რეკლამა შედეგიანია და პუბლიკის დიდ ნაწილს სწორედ ტურისტები შეადგენენო. სხვა საქმეა, რამდენად ესმის, ან რატომ მოსწონს ვენის სანახაობას დახარბებულ ტურისტს დაახლოებით ორი საათის განმავლობაში თანამედროვე ქორეოგრაფიის ენაზე მოთხრობილი სხეულებრივი თავგადასავლები.

ორგანიზატორთა მიერ აშკარად წახალისებულ ექსპერიმენტებსა და აუცილებელ ქორეოგრაფიულ სიჭრელეს ემატება მრავალრიცხოვანი დისკუსიები, შეხვედრები და ვორკშოპი. და ეს ყველაფერი – თითქმის ერთი თვის განმავლობაში. შენარჩუნებულია გეოგრაფიული პოლიტკორექტულობაც – იდუმალი აღმოსავლეთი და ტრადიციული დასავლეთი, აუცილებელი ამერიკა და სულიერი იაპონია, ეგზოტიკური აფრიკა და ბოლომდე აუთვისებელი პოსტსოციალისტური სივრცე. არცთუ იშვიათია კო-პროდუქციული წარმოდგენები, როგორც, მაგალითად, ცნობილი ქორეოგრაფისა და მოცეკვავის, ბრიტანელი ინდოელის, აკრამ ხანისა და ჩინეთის ნაციონალური ბალეტის ერთობლივი პროექტები.

სხეულები თანამედროვე ცეკვის თეატრში ყველაფერს გამოხატავენ სამთვლიანი ვალსის, კლასიკურ „პა“-ს თუ „ბატმანს“ გარდა, ხოლო ნაირგვარი ჯურისა და ესთეტიკის გამომხატველი ქორეოგრაფები სხეულის მოცემულობას ახალ განზომილებასა თუ კოორდინატთა სისტემაში განიხილავს. როგორც ჩანს, ინტერნეტის ეპოქამ და მულტიმედიურმა კულტურამ უკვე დეფორმირებული კლასიკური ხატები (ნაირგვარი ჟიზელები, სილფიდები და პრინცები), საგანგებო ფეხგარჯილობა და კლასიკური პლასტიკა სანიმუშოდ მოინელა. მიზანდასახული ხულიგნობის დრო და სოციალურ-სექსუალური რევოლუციების ქორეოგრაფიული გამოძახილიც მალე წარსულს ჩაბარდება... ჩვენთან კი ეს დრო არც დაწყებულა.

„ახლა ქორეოგრაფები სიჩუმის გაცოცხლებით, ყალბი ტრანსფორმაციით, ობიექტების გასულიერების პრეტენზიით და სხეულისადმი საშინელი მოპყრობით არიან დაკავებულნი, “ – წერდა ერთ-ერთი კრიტიკოსი ვენის არტ-ჟურნალში, ფესტივალ „იმპულსტანცის“ შესახებ. თუმცა, ვიდრე სხეულებს „საშინლად“ მოვეპყრობით, ალბათ გაცილებით მარტივ და კინემატოგრაფიული ასოციაციებით დატვირთულ კითხვაზე პასუხის გაცემა მოგვიწევს, – „რა საჭიროა სხეული, თუ მას ქორეოგრაფიამდე არ მოვყავართ?“

სხეულები თანამედროვე ცეკვის თეატრში ყველაფერს გამოხატავენ სამთვლიანი ვალსის, კლასიკურ „პა“-ს თუ „ბატმანს“ გარდა, ხოლო ნაირგვარი ჯურისა და ესთეტიკის გამომხატველი ქორეოგრაფები სხეულის მოცემულობას ახალ განზომილებასა თუ კოორდინატთა სისტემაში განიხილავს.

თანამედროვე ცეკვის ფესტივალის ორგანიზატორებს კი დღემდე უხდებათ იმის გარკვევა, დარჩა თუ არა თეატრში ჯერ კიდევ აუთვისებელი ქორეოგრაფიული სივრცე; ან სად გადის ბედკრული დრამისა და თავისუფლებით გათავხედებული ცეკვის თეატრის საზღვრები. და რაც მთავარია, არის თუ არა ოკუპირებული ქორეოგრაფიის მოსაზღვრე ტერიტორია მეზობელი არტ-განზომილებების (დიზაინი, ფოტო, ვიდეო, ინსტალაცია, პერფორმანსი, კომპიუტერული ტექნოლოგია) მიერ ბოლომდე ოკუპირებული.

N50, ივნისი 2009

ბედისწერათა არქიპელაგი

ავტორი: ლევან ბერძენიშვილი

საბჭოთა კავშირის სასჯელაღსრულებითი სისტემის, სახელგანთქმული არქიპელაგ გულაგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო მორდოვეთის ბანაკების სისტემა, რომელსაც ისტორიულად დუბრავლაგი ეწოდებოდა; დუბრავლაგის პოლიტიკური ბანაკის ოფიციალური დასახელება კი იყო ЖХ 385/3-4 (ქალთა პოლიტიკური ბანაკი) და ЖХ 385/3-5 (მამაკაცთა პოლიტიკური ბანაკი). მე და ჩემი ძმა, დავით ბერძენიშვილი ამ ბანაკში მოვხვდით საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მიერ ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის ბრალდებით გასამართლების შემდეგ. ჩვენ ზონაში სასჯელს იხდიდნენ ე.წ. „დემოკრატები“ (ჩვენი კოლეგები, ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისთვის გასამართლებულები, ე.წ. სამოცდაათიანელები, რადგან შესაბამისი სტატია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსში რიგით სამოცდამეათე იყო), სამშობლოს მოღალატეები, უცხო ქვეყნების (ძირითადად, აშშ, ჩინეთისა და იაპონიის) ჯაშუშები, პოლიტიკური ტერორისტები და სამხედრო დამნაშავეები (ძირითადად, მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპანტებთან მოთანამშრომლე კოლაბორაციონისტები). ამ ბანაკში თავს გადამხდარი ამბებიდან, ბუნებრივია, მეგობრებისთვის და ახლობლებისთვის ბევრი რამ მომიყოლია. ხშირად მეუბნებოდნენ, – ეს ამბები უნდა აღწერო, მარტო შენი საკუთრება არ არისო, – მაგრამ მე, რატომღაც, მუდმივად თავს ვიკავებდი. პოლიტიკური ბანაკიდან სასჯელის სრულად მოხდიდან თითქმის მეოთხედი საუკუნის გავიდა და ერთ მშვენიერ დღეს ვიგრძენი, რომ ყველაზე ძვირფასი, რაც მორდოვეთთან მაკავშირებდა, უნდა აღმეწერა. ყველაზე ძვირფასი კი, პოლიტიკურ ბანაკში, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ადგილას, ადამიანი და მისი ბედისწერაა. მორდოვეთის ასსრ, ტენგუშევოს რაიონის დასახლება ბარაშევო ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან იქ ეტაპით ჩაყვანილ და პატარა, დაახლოებით საფეხბურთო მოედნის ტოლ სივრცეში გამომწყვდეულ ადამიანებს, ჩემს თანამოსაკნეებს. რამდენიმე მათგანზე მოგითხრობთ ჩემი ჩანახატები.

არკადი

ორი სიცოცხლე ჰქონდა, უფრო სწორად, ისეთ დაწესებულებაში (ეს სიტყვა საბჭოთა კავშირის შემდეგ არც უნდა იხმარებოდეს, იმდენად მკვიდრად საბჭოურია და აღიარებს სახელმწიფოს მიერ ადამიანისთვის დადგენილი წესის უზენაესობას), კერძოდ, ისეთ და-წეს-ებ-ულ-ებ-ა-ში ЖХ 385/3 5 იმყოფებოდა, რომ სიცოცხლე სულ არ ჰქონდა, მაგრამ მან ამის შესახებ არ იცოდა; მან იცოდა, რომ ის არის არკადი დუდკინი, სამამულო ომის გმირი, კაცი, რომელმაც ეკლესიის თავზე (რა თქმა უნდა, კინოში ნანახ რაიხსტაგს გულისხმობდა, ეტყობა, მისი წარმოდგენით, გუმბათი მხოლოდ ეკლესიას შეიძლება ჰქონდეს) ქანთარიასთან ერთად წითელი დროშა დაამაგრა, ხოლო გორობოვი (ამ გვარში არკადი მელიტონ ქანთარიას თანამედროშეს, სახელგანთქმულ მიხაილ ეგოროვს გულისხმობდა) იქ არ ყოფილა. კიდევ არკადიმ იცოდა, რომ 13 მაისს თავისუფლდებოდა, ოღონდ ან წლების აღრიცხვა შეწყვიტა, ან აღარ ახსოვდა, რამდენი ჰქონდა მისჯილი, ან მისთვის დადგა ერთი

საბოლოო და უსასრულო წელიწადი, რომელშიც იგი ყოველწლიურად უნდა გათავისუფლებულიყო, მაგრამ ბოროტი ადამიანები, მისი სიტყვებით, „სუპოსტატები“ არ ათავისუფლებდნენ.

კიდევ ბევრი რამ იცოდა არკადი დუდკინმა – მაგალითად, ვლადიმირის ციხეში საკანში მასთან ერთად მჯდარმა ბრეჟნევმა რომ ომში სისხლითა და ოფლით მოპოვებული მედლები და ორდენები მოჰპარა, რომ იგი ტანკიდან „გამოაპულტირეს“ (меня пультировали-ო, უყვარდა თქმა) და კიდევ ბევრი ასეთი რამ, რაც ავლენდა მის ხაზს, მის გულუბრყვილო, არაპროფესიულად დამუშავებულ ლეგენდას, რომელიც დაპატიმრების დღიდან აირჩია და რომლისთვისაც აღარ უღალატია: იბრძოდა ომში, მოიპოვა მედლები და ორდენები, დროშა დაამაგრა, სადაც საჭირო იყო და სულ ტყუილად დააპატიმრეს. ამ ლეგენდის დამუშავებაში, ეტყობა, მას ეხმარებოდა ის ფაქტი, რომ მისი უფროსი ძმა, ვასილი დუდკინი მართლა იბრძოდა სამამულო ომში, მართლა გმირი იყო და, რაიხსტაგზე დროშა თუ არ დაუმაგრებია, რაიხსტაგის აღების ოპერაციაში მართლა მონაწილეობდა.

დიახ, არკადიმ იცოდა, რომ გმირი იყო, მაგრამ მისი ცოდნა არ ეთანხმებოდა ზონის ადმინისტრაციისა და, კაცმა რომ თქვას, მთელი ზონის ცოდნას. ეს უკანასკნელი კი აღიარებდა მხოლოდ ერთ ფაქტს: ომის დროს არკადი პოლიცაი იყო. როდესაც გერმანელები შევიდნენ მის ბელარუსულ სოფელში, არკადი 15 წლის იყო და ტყეში არ თუ ვერ გაიქცა, რომ ომის პირველივე დღეებიდან გმირული პარტიზანობა დაეწყო, ხოლო 17 წლის რომ შესრულდა, არკადის, ამ უწვერულ და წერა-კითხვასთან მწყრალად მყოფ ცოტა იმნაირ ბიჭს პოლიცაის ფორმა ჩააცვეს, ხელში „შმაისერი“ მისცეს და სოფელში წესრიგის დამყარება მოთხოვეს. იარაღის გასასინჯად ტყისკენ წავიდა და რამდენიმე ჯერი დაცალა (ეს უკანასკნელი საქციელი საბრალდებო დასკვნაში ასე აისახა «сделал выстрел в сторону партизан»). ორი დღის შემდეგ სოფელი პარტიზანებმა დაიკავეს და არკადის პოლიციელობაც დასრულდა. პარტიზანებს ჭკუასუსტის დასჯაზე არც უფიქრიათ. საბოლოოდ პოლიცაის ფორმის ჩაცმა (მეტი დანაშაული საბრალდებო დასკვნაში არ იყო აღწერილი, იმიტომ, რომ სოფელში სულ ხუთი ოჯახი იყო, ებრაელები იქ არ ყოფილან, კომუნისტები არ ყოფილან და რა რეპრესიები უნდა განეხორციელებინა პოლიცაი დუდკინს, თანაც 48 საათის განმავლობაში, უცნობია) არკადის ძვირი დაუჯდა: ისედაც სუსტი გონება, რომლითაც იგი სამყაროს ბავშვურად აღიქვამდა, კიდევ უფრო აერია, თავს დაღუპულ ძმად ასაღებდა, ომის ეპიზოდებს თხზავდა და თავის როლს პოულობდა ყველა ეპიზოდში; ამიტომ იგი ერთდროულად ლენინგრადის ბლოკადასაც არღვევდა, სტალინგრადშიც იბრძოდა, კურსკის რკალიც გაარღვია და ბერლინი ხომ აიღო და აიღო. სოფელს ეცოდებოდა, მისი ორდღიანი სასაცილო პოლიციელობაც ახსოვდა და ისიც, რომ არკადი, კაცს კი არა, ჭიანჭველას არ აწყენინებდა და ეთამაშებოდა ამ თამაშს, ის კი არა, სამოწყალოდ ინახავდა კიდეც, როგორც შინაურ სულელს და ძველ ეკლესიასთან ერთად მთელი სოფლის ერთადერთ ღირსშესანიშნაობას.

არკადის წერა-კითხვა აღარ უსწა-

ვლია, მაგრამ კინო უყვარდა და ყოველი ახალი ფილმის შემდეგ თავის პატარა ისტორიას თხზავდა, რომელშიც იგი (და არა სტალინი და ჟუკოვი) გვევლინებოდა საბჭოთა კავშირის მხრიდან ომის მთავარ მამოძრავებელ ძალად. ცხოვრება ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მარადფხიზელმა და ყოვლისმცოდნე ბელარუსმა მზვერავმა პიონერებმა (მათი საერთო სახელი იყო следопиты), კომკავშირული და პარტიული ხელმძღვანელობის სრული და განუხრელი მხარდაჭერით არ მიაგნეს, ამხილეს და სამართალი არ აღუსრულეს (ფორმალურად, პიონერებს არ დაუჭერით, მილიციამ „ივაჟკაცა“, მაგრამ რამდენიმე პიონერის გვარი მაინც აღმოჩნდა არკადი დუდკინის საბრალდებო დასკვნაში). 1972 წლიდან სასჯელს იხდიდა როგორც სამშობლოს მოღალატე და სამხედრო დამნაშავე.

ის ამბავი, რომ საბჭოთა „კაგებემ“ სოფლის უწყინარი გიჟისგან სამშობლოს მოღალატე გამოიყვანა, არავის გაკვირვებია, მაგრამ დისიდენტების დაჟინებული მოთხოვნით (ზონაში ჩასვლისთანავე მე და დათოც შევუერთდით ამ მოთხოვნას) და დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ყოველწლიურად ჩამოდიოდა კომპეტენტური კომისია მოსკოვიდან, რომელშიც საბჭოთა ფსიქიატრიის „ასები“ შედიოდნენ (აკადემიკოსსა და პროფესორზე ნაკლებს როგორ შეიყვანდნენ ასეთ კომისიაში, მათ დასკვნებს ხომ მსოფლიო ნდობა უნდა მოეპოვებინათ) და განუხრელად (კომუნისტების საყვარელი სიტყვა იყო) ეს კომისია ადგენდა შემდეგს: არკადი დუდკინი ფსიქიურად ნორმალურია, დანაშაულის ჩადენის დროსაც შერაცხადი იყო და ახლაც ასეთია, ასე რომ, ვადამდე მისი განთავისუფლების მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლოა, ჩვენი ხალხი ყოველთვის მკაცრად მოჰკითხავს სამშობლოს მოღალატეებს და იმათაც, ვისაც პირსისხლიანი პოლიციისგან უწყინარი ყმაწვილის გამოყვანა სურს.

სწორედ ამიტომ, ყოველი წლის 13 მაისს, როცა ზონელი ქართველები 1981 წლის დიუსელდორფის სტადიონზე თბილისის „დინამოს“ ისტორიულ საფეხბურთო გამარჯვებას, დარასელიას და გუცაევის გმირობის წყალობით, ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვებას აღვნიშნავდით, ლიტველი და ლატვიელი კათოლიკეები რომის პაპის, იოანე-პავლე მეორის სახელზე ლოცულობდნენ, რომელიც იმავე წლის იმავე დღეს სასწაულებრივად გადაურჩა „რუხი მგლის“, მეხმეტ ალი აგჯას ორ ტყვიას, ყველა ელოდებოდა საღამოს 6 საათს. საღამოს 6 საათისთვის მთელი ზონა ე.წ. „კურილკასთან“ იდგა მარადიული სპექტაკლის მოლოდინში.

სპექტაკლს ერთადერთი მონაწილე ჰყავდა. ეს იყო ერთი მსახიობის თეატრის ბარაშევული ვარიაცია: პირველ აქტში ბარაკიდან გამოსული არკადი დაიძვრებოდა ადმინისტრაციის შენობისაკენ, თავისი ჯოხით მიადგებოდა იმ ოთახის ფანჯრებს, რომელშიც ფსიქიატრიული კომისია იკრიბებოდა ხოლმე და ანტრაქტის გარეშე გადადიოდა მეორე აქტზე: გამწარებით ურტყამდა ამ ჯოხს კედელს; ხოლო მესამე აქტში ბელარუსულად რაღაც უცნობ მონოლოგს კითხულობდა, რომლის შინაარსის გარკვევას ზონის სახელგანთქმული სლავისტები, მიხაილ პოლიაკოვი და გელი დონსკოიც კი ვერ ახერხებდნენ. როგორც ჩანს, მშობლიურ ენაზე გათავისუფლებას მოითხოვდა.

არკადის არ აჩერებდნენ, წესრიგისკენ არ მოუწოდებდნენ. ერთ საათს ურტყამდა თავის ჯოხს კედელს და ადმინისტრაცია დუმდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაღლილი და ვალმოხდილი „კურილკასთან“ შეუერთდებოდა დანარჩენებს, გამოჩნდებოდნენ კონტროლიორები და კედლის დაზიანების დონეს ამოწმებდნენ. ამ პოლიტიკური აქტისთვის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, სადაც 2 მმ სიგრძის თმის მოშვებისთვის 15-დღიანი შიზო (ШИЗО, т.е. Штрафной ИЗОлятор, სადამსჯელო იზოლატორი) იყო გარანტირებული, არკადი არასოდეს დაუსჯიათ – ზონის ადმინისტრაციამ და კონტროლიორებმა მშვენივრად იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე, ისინი ხომ დიდი აკადემიკოსები არ ყოფილან, რომ გიჟი და ნორმალური ვერ გაერჩიათ.

როგორც ზონის მკვიდრთა აბსოლუტური უმრავლესობა, არკადი მწეველი იყო, მაგრამ თამბაქო ან წეკო არასოდეს არ ჰქონდა, ფარდულით ანუ „ლარიოკით“ (თვეში ერთხელ თითოეულ პატიმარს ხუთი მანეთის ღირებულების ნივთების შეძენის უფლება ჰქონდა, ოღონდ საკუთრივ ფულის ერთეულები საქმეში არ მონაწილეობდა) არ სარგებლობდა, ფულს ზოგავდა მომავალი ცხოვრებისთვის, რომელიც, მისი განმარტებით, რომელიღაც წლის 13 მაისს დაიწყებოდა; ამიტომ არკადი ჩამოყალიბდა კლასიკურ „მსროლელად“ (სალაპარაკო რუსულში стрелять ზმნას აქვს ასეთი მნიშვნელობაც: „მოპოვება“, „შოვნა“, „თხოვნა“), ანუ წეკოს მოკრძალებულ გამომძალველად. ამ ფაქტის გათვალისწინებით მწეველი ზონა ორ არათანასწორ ნაწილად გაიყო: უმრავლესობაში იყვნენ ისინი, ვინც არკადის წეკოს არ მოაწევინებდა არც ერთ შემთხვევაში, ხოლო ღრმა უმცირესობაში აღმოჩნდნენ ისინი, ვისაც პრინციპულად შეეძლო გარკვეულ გარემოებებში არკადისთვის წეკოს მიცემა. გაგება ორივე ნაწილისა შეიძლებოდა, ვინაიდან ზონაში ყველაფერი დათვლილია და არკადისთვის წეკოს მიცემა საკუთარი თავისთვის სიამოვნების მოკლებას ანუ პატიმრობის ვადის მომატებას ნიშნავდა – ამით იმის თქმა მინდა, რომ სიამოვნების ის წუთები, რომელიც წეკოს მოჰქონდა, თავისუფლებასთან იყო ასოცირებული (პატიმრის გამარტივებული წარმოდგენით, თავისუფლება ის ადგილია, სადაც უთვალავი სიამოვნება არსებობს), სწორედ ამიტომ ზონაში თამბაქოსთვის თავი არავის დაუნებებია, ხოლო არამწეველების მწეველებად მოქცევა კი მომხდარა.

არკადიმ იცოდა, რომ უბრალო „მომაწევინეთი“, ერთი-ორი გულუბრყვილო პატიმრის გარდა, ვერავის გამოსძალავდა წეკოს, „მომაწევინე“ აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა იყო მისი „გამოსვლისა“, რომელსაც ის „ასრულებდა“ და ასრულებდა ისეთი ოსტატობით, რომ გასაგები ხდებოდა, გერმანელებმა ფორმა რო-

გორ ჩაცვეს, ან მთელი ცხოვრება გამოგონილ ლეგენდას როგორ მიჰყვებოდა: არკადი დუდკინი მსახიობად იყო დაბადებული.

დავუშვათ, არკადიმ დაინახა, რომ „კურილკაში“ დგას რაფაელ პაპაიანი, იგი დაუყოვნებლივ იწყებდა გამოსვლას და თანდათან „სასროლ“ მანძილზე უახლოვდებოდა პაპაიანს: „ერთხელაც ვმსახურობდი მარშალ ბაგრამიანის ხელმძღვანელობით“. აქ უნდა ითქვას, რომ არკადი თავისი ბელარუსული საქცევებით ხანდახან თავის სიტყვას ძველ სლავურ ანუ თითქმის მითოსურ განზომილებას ანიჭებდა, მაგალითად, ის ამბობდა არა «служил я как-то», არამედ «служив я как-то». ამასობაში არკადი კიდეც, – «Не верю»-ო, – და არკადის წეკოს გარეშე ტოვებდა.

უთვალავი სიკეთიდან, რომელიც არკადის ახასიათებდა, ყველაზე საინტერესო მისი მედგარი ხასიათი და გაუტეხელობა იყო. კაცმა აშკარად არ იცოდა პაუზა. პაპაიანთან წარუმატებელი გამოსვლა დამთავრებული არ ჰქონდა, კურილკაში მდგომი რომელიმე ქართველისკენ რომ გადაიხრებოდა და თითქმის ჰომეროსული ობიექტურობით და მიუკერძოებლობით იწყებდა ახალ ისტორიას, რომლისთვისაც ჯიბეში მართლა არ ჩაიყოფდა ხელს: ისტორიები ბლომად ჰქონდა და ერთი და იმავეს განმეორებას ერიდებოდა. ბუბუნებდა თავისი მსუბუქი ბელარუსული აქცენტით: „მანამდე გენერალ ლესელიძესთან ვმსახურობდი. აი, ვინ იყო ნამდვილი სამხედრო, ჯარისკაცების მამა. ლიონია ბრეჟნევიც იქ გავიცანი, შემდეგში მედლები და ორდენები მომპარა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. გენერალი ლესელიძე ჩემი დიდი მეგობარი იყო, მეუბნებოდა, – ბერლინზე დროშა შენ უნდა აგატანინო, გოროხოვს კი არაო. ქართული სიმღერა უყვარდა – საკვარლის საპლავს... მომაწევინე ერთი... ვეზებდიი. ნეტავ, ბაქოში არის ლესელიძის ქუჩა?“

მიუხედავად გეოგრაფიაში აშკარა გაურკვევლობისა (ვერაფრით ვარწმუნებდით, რომ საქართველოს დედაქალაქს თბილისი ჰქვია და არა ბაქო), ჩემზე არკადის ყველა სამსახიობო გამოსვლა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა, ასე რომ, ჩემი წეკოს ყოველთვიური მარაგის ნაწილი ულაპარაკოდ მისი იყო. ერთხელ, თეატრალებს შორის მიმდინარე ტრადიციულ ზონურ კამათში, თუ ვინ უფრო ძლიერად შეასრულა ოტელოს როლი ორმოცდაათიან წლებში, როდესაც ყველა საბჭოთა სცენაზე არხანგელსკიდან ვლადივოსტოკამდე შექსპირის „ოტელო“ გრგვინავდა (რა თქმა უნდა, სტალინის ამბები იყო), სსრკ სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ, თუ ამავე რეგალიების მქონე, ასევე სსრკ სახალხო არტისტმა ვაგრამ პაპაზიანმა (სხვათა შორის, ვასაძის იაგოს ყველა ერთხმად აღიარებდა), მე ვიხუმრე, – რამდენიც უნდა იკამათოთ, ყველაზე დიდ მსახიობად მაინც არკადი მიმაჩნია-მეთქი. სწორედ მაშინ ჩვენმა თანაზონელმა, დიდმა ფსიქოლოგმა, ბორის მანილოვიჩმა არკადის, რო-

მე და ჩემი ძმა, დავით ბერძენიშვილი ამ ბანაკში მოვხვდით საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მიერ ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის ბრალდებით გასამართლების შემდეგ. ჩვენ ზონაში სასჯელს იხდიდნენ ე.წ. „დემოკრატები“ , სამშობლოს მოღალატეები, უცხო ქვეყნების (ძირითადად, აშშ, ჩინეთისა და იაპონიის) ჯაშუშები, პოლიტიკური ტერორისტები და სამხედრო დამნაშავეები.

აგრძელებდა: „აი, ვინ იყო ნამდვილი ხელმძღვანელი! ჩემი ტანკი მოსწონდა ძალიან. მეხვეწებოდა, – გამიცვალეო. რა კაცი იყო! ნამდვილი სამხედრო. სომხები შესანიშნავი მეომრები არიან, თურქებს კი არ ჰგვანან! მომაწევინე ერთი. მარშალ ბაგრამიანის შთამომავლობა თუ არსებობს ნეტავ?“ თავდაპირველად რაფაელი უხალისოდ იძლეოდა წეკოს, მაგრამ რაც უფრო გადიოდა დრო, პაპაიანის გამოჭერა პრიმიტიული სომხური პატრიოტიზმით სულ უფრო ძნელი ხდებოდა. არკადისდა საუბედუროდ, სახელგანთქმული სომეხი დრამატურგის შვილს და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, რაფაელ არამაშოტის ძე პაპაიანს სულ უფრო ეხვეწებოდა გემოვნება და ეს ჰუმანიტარი კაციც სულ უფრო იხრებოდა სტანისლავსკისეული „არ მჯერასკენ“, ხანდახან იტყოდა

ბრიშა

ბრიშა ფელდმანი ყველაზე ხალისიანი და ცოცხალი კაცი იყო იმ ასორმოცდაათამდე პატიმარს შორის, მე რომ მინახავს. 1982 წელს იყო დაპატიმრებული და ექვსი წელი ჰქონდა მისჯილი ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისთვის. ებრაელი კაცი იყო, გორც უკვე აღიარებული ხელოვანის გვარი ებრაულ ყაიდაზეც გადააკეთა: დუდკინდი (ანტისაბჭოთა პუბლიკაში ფრიად მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული ლიტერატორ ეტკინდს).

არკადი დუდკინი 1987 წლის 13 მაისს უნდა გათავისუფლებულიყო. 12 მაისს გარდაიცვალა. ფეხსაცმელი გახადეს და უსახელო საფლავს მიაბარეს. ასე რომ, თავის გმირ ძმასთან, რომლის როლსაც მთელი ცხოვრება ასრულებდა, ფეხშიშველი მივიდა.

საშუალო განათლება ჰქონდა, ელექტრიკოსად მუშაობდა რკინიგზის საავადმყოფოში უკრაინის სუმის ოლქის ქალაქ კონოტოპში. რაიმე განსაკუთრებული არ ჩაუდენია, უბრალოდ, ებრაელი იყო და ისრაელს გულშემატკივრობდა არაბეთთან ომში და სულ ამაზე ლაპარაკობდა დაპატიმრებამდეც და დაპატიმრების შემდეგაც.

როგორა ხარო, – რომ ჰკითხავდი, – ხალისიანად გიპასუხებდა: ავტომატები არის, ტყვიებს მოიტანენ და არაბებს და-და-და-და-და! ვირტუალური ავტომატი აშკარად გამოცდილ ხელებს ეჭირა და არაბების მიმართულებაც იდეურად სწორად იყო შერჩეული, გრიშა უმიზნებდა ადმინისტრაციული კორპუსის სააგიტაციო ნაწილს, რომელიც სავსე იყო ბრძნული წარწერებით, მათ შორის იყო ასეთებიც: „პური ყველაფრის თავი და თავია“ (Хлеб всему голова, რა შუაში იყო სახელმწიფო დამნაშავეებთან ეს სიბრძნე, კარგად ვერ იქნა დადგენილი) და „სჯობს იფიქრო მანამდე, ვიდრე შემდეგ – დემოკრიტე“ (Лучше думать до, чем после – Демокрит). როგორც ანტიკური ლიტერატურის სპეციალისტი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დემოკრიტეს მსგავსი არასდროს არსად არაფერი უთქვამს, თუმცა ზონის ადმინისტრაციას და, კერძოდ, იდეოლოგიის მამა პოლკოვნიკ განიჩენკოს თავისი ჩანაფიქრი ჰქონდა. მას მოსწონდა სახელი დემოკრიტე; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ნებადართული და მატერიალისტური სახელი იყო, მაგალითად, ცუდი და ბნელი ჰერაკლიტესგან განსხვავებით და, მეორეც, იგი იოლად ასოცირდებოდა დემოკრატებთან, ეს კი ჩვენი დასაცინი სახელი იყო ზონაში – ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის გასამართლებულებს ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაცინვით სწორედ „დემოკრატებად“ მოგვიხსენიებდნენ. ავტორიტეტული პატიმარ-ფსიქოლოგის, ბორის მანილოვიჩის განმარტებით, ამ გამონათქვამით ოცდახუთი საუკუნის წინ დემოკრიტე გვასწავლიდა, რომ ბოლოს და ბოლოს საბჭოთა უშიშროებასთან თანამშრომლობას თუ აპირებ, ჯობს ეს აქტი დაპატიმრებამდე განახორციელო, ვიდრე დაპატიმრების შემდეგო.

საღამოს პლაცზე მოწყობისა და სიის ამოკითხვის დროს გრიშა სულ ზემოთ იყურებოდა. როგორც კი პატიმრები თავს მოიყრიდნენ, ბარაკის სახურავზე მტრედები გროვდებოდნენ და ღუღუნს იწყებდნენ, გრიშა სწორედ მტრედებს მისჩერებოდა თბილი და წყლიანი თვალებით. მსუნაგი კაცი იყო – ყველაფრის ჭამა შეეძლო. ამიტომაც, ხმა რომ გავრცელდა, – მტრედი მოკლა და შეჭამაო, – არავის გაჰკვირვებია. საინტერესო იყო მხოლოდ ტექნიკური დეტალები, როგორ მიუახლოვდა, რითი მოკლა, როგორ დაამუშავა და ბოლოს და ბოლოს როდის შეწვა ან მოხარშა (და საერთოდ, შეწვა თუ მოხარშა, თუ ჯერ მოხარშა და მერე შეწვა), არავის რომ არ გაუგია. ზონის ერთმა ნაწილმა მომხდარი გაიაზრა, როგორც თავის გადარჩენის, სიცოცხლის შენარჩუნების ბუნებრივი ინსტინქტის მორიგი გამოვლენა, ხოლო მეორე, უფრო ინტელექტუალურმა ნაწილმა – როგორც ადამიანის სულიერი დაცემის ერთ-ერთი ახალი ნიშანი. რაც მთავარია, არც ერთ ნაწილს არ მიუჩნევია, რომ ჩადენილისთვის გრიშა უნდა დაესაჯათ. ასე ეგონა ყველას, სანამ სახელგანთქმულმა უკრაინელმა სოციალისტმა, ფრიდრიხ (ფრედ) ანადენკომ, ავტორმა ცნობილი ანტისაბჭოთა წიგნისა „ლენინიდან ბრეჟნევამდე“, საღამოს სასაუბროდ არ დაგვიბარა, მისი წარმოდგენით, საიმედო შემადგენლობა, ე.წ. „განდობილები“ და ზონის ეზოში წინ და უკან ჯგუფური სეირნობისას გამოთქმით და სათანადო აქცენტებით არ წაგვიკითხა თავისი წერილი, რომელიც საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორისთვის მიეწერა:

გრიშა მსუნაგი კაცი იყო – ყველაფრის ჭამა შეეძლო. ამიტომაც, ხმა რომ გავრცელდა, – მტრედი მოკლა და შეჭამაო, – არავის გაჰკვირვებია. საინტერესო იყო მხოლოდ ტექნიკური დეტალები, როგორ მიუახლოვდა, რითი მოკლა, როგორ დაამუშავა და ბოლოს და ბოლოს როდის შეწვა ან მოხარშა, არავის რომ არ გაუგია.

„სსრკ გენერალურ პროკურორს,

ალექსანდრ მიხაილის ძე რეკუნკოვს

ამხანაგო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გენერალურო პროკურორო, ალექსანდრ მიხაილის ძევ,

მოგახსენებთ, რომ პატიმარმა გრიგორი ზინობის ძე ფელდმანმა ЖХ 385/3-5 დაწესებულებაში უკანონოდ მოიტაცა და შეჭამა მტრედი ან მტრედები (რაოდენობა დადგენილი არ არის). ეს კი დაუშვებელია, ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილია, რომ მტრედი მშვიდობის სიმბოლოა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაუყოვნებლივ მიიღოთ შესაბამისი ზომები.

პატივისცემის გარეშე,

უსამართლოდ სასჯელმისჯილი პოლიტიკური პატიმარი ფრიდრიხ ფილიპის ძე ანადენკო“.

სასეირნო განხილვა გახსნა მიხაილ პოლიაკოვმა, რომელმაც, მართალია, მოიწონა თამამი „პატივისცემის გარეშე“, მაგრამ შემდეგ დაუფარავი ირონიით განაცხადა, რომ გენერალური პროკურორი რეკუნკოვი, შესაძლოა, არ ეთანხმებოდეს იმ კონცეფციას, რომ მტრედი მშვიდობის სიმბოლოა, რადგან აღნიშნული კონცეფცია ბიბლიიდან იღებს სათავეს, ხოლო ამხანაგ რეკუნკოვს, როგორც ჭეშმარიტ მარქსისტს, კომუნისტს და სოციალისტს (ამ სიტყვაზე პოლიაკოვმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა, რადგან ანადენკოს სოციალისტობა როგორც ჭეშმარიტ ლიბერალს და დემოკრატს გულზე არ ეხატებოდა), ბიბლიასთან კონფლიქტური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს. მათემატიკოსმა-ტოპოლოგმა, პოლიგლოტმა და, საერთოდ, ტვინიკოსმა, ანატოლი იანკოვმა განაცხადა, რომ ადამიანები მხოლოდ სიმბოლოებს ჭამენ, რადგან ძროხას, ღორს, ცხვარს, ფრინველებს და თევზებს სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვა აქვთ და აქ იანკოვმა დააპირა თავისი უგზოუკვლო ცოდნის გამომჟღავნება, მაგრამ ამასობაში ანადენკო გაგვიბრაზდა, აკანკალებული ხელით კონვერტზე მარკა დააკრა და წერილი დემონსტრაციულად ჩააგდო ადმინისტრაციული კორპუსის კედელზე ჩამოკიდებულ საფოსტო ყუთში. ჩემი ბოლო კომენტარი იყო, რომ უყურადღებოდ არ უნდა დაგვეტოვებინა ანადენკოს უანგარო საქციელი, რადგან მან მთელი ახალი კონვერტი და მთელი ერთი მარკა გაიმეტა საზოგადოებრივი საქმისთვის. ვინაიდან მარკა და კონვერტი პოლიტიკურ ზონაში უსასტიკესი დეფიციტის საგნებს წარმოადგენდა, ჩემი მოკრძალებული კომენტარი გამოცდილმა პატიმრებმა დადებითად მიიღეს.

არ ვიცით, მიაღწია თუ არა ანადენკოს წერილმა ადრესატს, მაგრამ გრიშა ფელდმანს მშვიდობის სიმბოლოს შეჭმა ხახვივით შერჩა; მაგრამ ამით გრიშას გასტრო-კულინარიული ეპოპეა არ დასრულებულა. ფელდმანი პროფესიონალი ელექტრიკოსი იყო და გამუდმებით აკეთებდა ხოლმე ელექტროლუმელს, რომელსაც „კურილკად“ ხმობილ რვაონკანიან პირსაბანის ბოლოში ამონტაჟებდა და რომლითაც მთელი ზონა სარგებლობდა, სანამ ზონის ხელმძღვანელობას უცებ თავში რაღაც არ მოუვიდოდა და თანამოსაკნეებზე მზრუნავი თანა-

მედროვე პრომეთევსის ამ გამოგონებას დიდი ხნით არ გააქრობდა.

ერთხელ, როდესაც ახალი წლის წინა დღეებში ზონაში არსებული ცალკეული კულინარიულ-გასტრონომიული დაჯგუფებები (პატიმართა არაფორმალური ჯგუფები, რომელთაც საერთო გასტრონომიული მეურნეობა ჰქონდათ, მათ შორის, ებრაული „ქიბუცი“, „ქრისტფედი“ – სამხრეთ კავკასიის ხალხთა ქრისტიანული ფედერაცია, ლიტვურ-ლატვიური „უნია“ და უკრაინული „სხოდსტვო“) თავისი კვებითი რესურსების, უმი და მზა პროდუქციის ინვენტარიზაციას ახდენდა, „ქრისტფედის“ ერთ-ერთ წევრს, რაფაელ პაპაიანს მეუღლის, ანაჰიტ პაპაიანის მიერ ბოლო შეხვედრაზე წელიწადნახევრის წინ ჩამოტანილი მთელი ორლიტრიანი ქილა ცხვრის ყაურმა აღმოაჩნდა. ყაურმა პატიოსნად ინახებოდა საერთო საწყობში, ე.წ. „კაპტიორკაში“ და თავის რიგს ელოდებოდა. როგორც ჩანს, ეს უსასრულო მოლოდინიც დასრულდა და ყაურმის დროც დადგა. ფედერაციის წევრები – ბერძენიშვილი, ლაშქარაშვილი, ხომიზური, ალთუნიანი და პაპაიანი გასტრონომიული სასწაულის მოლოდინში ესწრებოდნენ ყაურმის გახსნის ცერემონიალს. ორლიტრიან ქილას ხრახნიანი თავსახური ჰქონდა; როგორც კი პაპაიანმა მესამე მცდელობისას, როგორც იქნა, ბედნიერი სახით მოატრიალა სახურავი, ქილამ ცუდი ბუყბუყი დაიწყო და მალე ბარაკში ისეთი სუნი დადგა, რომ სამამულო ომის ვეტერანმა, გერმანელმა პოლიცაიმ და სსრკ სოციალისტური შრომის ყოფილმა გმირმა ვერხოვინმა იყვირა, «Внимание! Иприт! Газовая атака! Все на выход!» და მთელი ბარაკი ეზოში გაცვივდა.

უკანასკნელი ბარაკიდან გრიშა გამოვიდა ყაურმიანი ქილით ხელში და კავკასიელებს გვკითხა, – ამას რას უშვრებით, უნდა გადააგდოთო? და დადებითი პასუხი რომ მიიღო, ქილიანად „კურილკას“ ანუ თავის ელექტროღუმელს მიაშურა; ამას შედეგად მოჰყვა რამდენიმე მწეველი პატიმრის სწრაფი გამოვარდნა „კურილკიდან“. გრიშამ განაცხადა, – ჩემი ღუმელი პლუს ოთხას გრადუსს უზრუნველყოფს, ყველა ბაქტერიას კლავს და ცხვრის ყაურმა რა უნდა იყოს ასეთიო. ერთ საათს ადუღა მყრალი ყაურმა, გამოიტანა ქვაბი, ეზოს შუაგულში მაგიდას მიუჯდა და მთელი ზონის თვალწინ მთელი ქვაბი მეთოდურად და აუღელვებლად შესანსლა. ოცდაათი მეტრის რადიუსში მომწამლავი სუნის ყაურმას ვერავინ, ვერც ზონის ადმინისტრაცია ვერ მიეკარა. ამას მოჰყვა რამდენიმე, მათ შორის, მკვახე ანტისემიტური კომენტარიც, რისთვისაც გრიშას ყურადღება არ მიუქცევია. დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ ყაურმის ეპიზოდთან დაკავშირებით ფრედ ანადენკო ახალი უპატივცემულო წერილით მიმართავდა გენერალურ პროკურორს, მაგრამ, რაც მართალი მართალი, ჩვენთვის ამ ახალი საჩივრის გაცნობა მას აღარ შემოუთავაზებია.

ყაურმის ეპიზოდიდან დიდი დრო არ გასულა და გრიშა ზონიდან გაიყვანეს. როგორც გავიგეთ, მორდოვეთის დედაქალაქში, სარანსკში წაუყვანიათ და იქაურ იზოლატორში ჩაუსვამთ. კარგა ხნის განმავლობაში გრიშას შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გვქონია, არავისთვის მოუწერია, გარედანაც არანაირი ამბავი არ მოსულა. გავიდა ოთხი თვე და ერთ მშვენიერ დღეს გრიშა დაბრუნდა – თმამოშვებული, მოსუქებული და უმზეური. სახის კანის ფერის მიხედვით ჩვენთვის უბრალო საქმე იყო დაგვედგინა, თუ რამდენ ხანს იჯდა ადამიანი იზოლატორის საკანში. ფელდმანის ფერი გვკარნახობდა, რომ მთელი ოთხი თვე გრიშამ იზოლატორში გაატარა და მზესთან ერთსაათიანი გასეირნების, ე.წ. „პრაგულკის“ გარდა, სხვა კონტაქტი არ ჰქონია. ზონის ოდესღაც ყველაზე მხიარული და ხმაურიანი ბინადარი რაღაცნაირად ჩაქრა, არაბებზე და ავტომატებზე აღარ ლაპარაკობდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, კულინარიულ ექსცესებსაც შეეშვა. ის კი არა და, თავისი სახელგანთქმული ელექტროღუმლის გამართვაზეც არ უფიქრია. ვიღაც-ვიღაცები სათანადო დასკვნებს გვთავაზობდნენ, მაგრამ დამაჯერებელი ინფორმაცია არავის არ ჰქონია.

უნდა ითქვას, რომ ქართველები კარგი პატიმრები არიან. ამით იმის თქმა მინდა, რომ ქართველები პატიმრობაში არ წუწუნებენ და, რაც მთავარია, ფიზიკურად სამაგალითო გამძლეობის ნიმუშებს წარმოადგენენ. მიუხედავად ჩვენი ასეთი მაღალი რეპუტაციისა, 1986 წლის შემოდგომაზე ზონაში გრიპის ვირუსი შემოიჭრა და სხვებთან ერთად მეც წამაქცია. მაღალი სიცხით ვიწექი რამდენიმე დღე ბარაკში და ექიმმა თქვა, – კიდევ ორი დღე სიცხე თუ არ დაგიწევს, „ბალნიჩკაში“ გადაგიყვან და დიეტას დაგინიშნავო (დიეტა ზონაში ნიშნავს კარაქს, თეთრ პურს და არა იმას, რასაც საერთოდ). მოკლედ, ვწევარ ორმოცი გრადუსით ბარაკის შესასვლელში, საღამოს ცხრა საათია, გრიშას, ჩემს და ორიოდ მოხუც ლიტველს გარდა, ბარაკში თითქმის არავინ არ არის და შემორბის ჟორა ხომიზური სენსაციური განცხადებით, – „ვრემიაში“ გრიშა იქნებაო. საბნიან-ლეიბიანად ავდექი და კლუბ-სასადილოში გავეშურე. ტელევიზორი ძალიან მაღალზე იყო დამონტაჟებული, რომ თორმეტივე გრძელ მაგიდას მიმსხდარ ყველა პატიმარს დაენახა.

საინფორმაციო გადაცემა „ვრემიაში“ ყველაფერი გვითხრეს კომპარტიის პოლიტბიუროს პლენუმის შესახებ, კალეიდოსკოპურად ჩაიარეს ქარხნებმა, ფაბრიკებმა, კომბაინებმა, ტრაქტორებმა და კულტურამ. აშკარად მომწიფდა სპორტისა და ამინდის პროგნოზის საკითხები და სწორედ ამ დროს ეკრანი მთლიანად დაიკავა, როგორც წამყვანმა ბალაშოვმა განაცხადა, ეგრეთ წოდებულმა პოლიტპატიმარმა, ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის გასამართლებულმა, გრიგორი ზინობის ძე ფელდმანმა.

და თქვა გრიშამ: ისრაელი საშინელი სახელმწიფოა, საბრალო არაბებს აწამებენ, შემირცხვენია ეგენიო. დღე და ღამე ჰოლოკოსტზე საუბრობენ და თვითონ გენოციდს უწყობენ არაბებს და პალესტინელებს და საერთოდ, ამქვეყნად სიონიზმზე დიდი

საშინელება ვერც კი წარმომიდგენია, რა შეიძლება იყოსო. რაც შეეხება იმ ბანაკს, რომელშიც ვიმყოფები, ჩემი ეგრეთ წოდებული თანაპატიმრებისგან გული მერევა, ამდენმა გარეწარმა ერთად როგორ მოიყარა თავი, ეს კიდევ რა უბედურებაა. საბჭოთა ხალხო, მაპატიე, თუმცა ჩემი პატიება არც შეიძლება და არც უნდა მეპატიოსო.

„ვრემიაში“ გრიშა სპორტმა და ამინდის პროგნოზმა შეცვალა, ხოლო გაოგნებული პატიმრები ნელ-ნელა დაიძრნენ ბარაკებისკენ. მე ჩემი საბან-ლეიბით სასწრაფოდ დავუბრუნდი ჩემს ლოგინს. გრიშა ჩემგან სამიოდ მეტრში იყო თავის ლოგინზე ჩაცმულ-დახურული წამოკოტრიალებული. გარეთ რაღაც პატარა ჩოჩქოლის შემდეგ ბარაკში ე.წ. „სირცხვილის დელეგაცია“ შემოვიდა ფრედ ანადენკოს ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიოდნენ მიშა პოლიაკოვი და ჟორა ხომიზური. ეს სამკაციანი დელეგაცია ფელდმანის ლოგინისკენ დაიძრა. გრიგორი ზინობის ძევ, რით შეგიძლია იმართლო თავიო, – ჰკითხა ჩუმი ხმით ანადენკომ. რით შემიძლია ვიმართლო თავი? – გაიმეორა შეკითხვა გრიშამ და მის ხმაში დამცინავმა უკრაინულმა აქცენტმა გაიელვა. აი ამით: გრიშა გადაბრუნდა, კომისიას უკანალი მიუშვირა და უკანალმა ისეთი მგრგვინავი ხმა გამოსცა, „გარგანტუას და პანტაგრუელის“ სახელოვან ავტორს, დიდ ფრანსუა რაბლესაც კი გააკვირვებდა. კაცი არ ყოფილხარო, – თქვა გაწბილებულმა ანადენკომ და კომისიამ ბარაკი დატოვა. ამ დღის შემდეგ გრიშა პოლიტიკური კეთროვანი გახდა და მას არავინ მიჰკარებია. ძალიან სწრაფად დაჩაჩანაკდა და ჩაეშვა. მის დაცემას განსაკუთრებით ჩვენი ებრაელები განიცდიდნენ, – თავი მოგვჭრა ამ არაბების მეხოტბემო.

გრიშა შეიწყალეს და გაათავისუფლეს 1987 წლის 9 თებერვალს. ხუთი დღის შემდეგ, 14 თებერვალს ბარაშევოს ზონაში არც ერთი „დემოკრატი“ არ დარჩა, პერესტროიკის ეპოქაში პოლიტიკური პატიმრების დრო დამთავრდა. ისრაელი დიდხანს ამბობდა უარს ფელდმანის მიღებაზე. ამბობენ, – ამ საქმეში მოსადი ურევიაო. არ გამოვრიცხავ, რომ მისი ყოფილი თანამოსაკნეებიც არ გულშემატკივრობდნენ მის ალიას. ოცი წლის მანძილზე გრიშა ამაოდ ცდილობდა განაწყენებული თანამემამულეების გულის მოგებას და მხოლოდ 2006 წელს მიაღწია საწადელს და აღთქმულ მიწაზე ავიდა სამოცდაათი წლის, მოხუცი, დაღლილი და გამოფიტული. როგორც კი თვითმფრინავიდან ჩასულა და ისრაელის მიწისთვის ფეხი დაუდგამს, ხმამაღლა რუსულად დაუყვირია, – მაპატიეთო და იქვე, თელ-ავივის აეროპორტში დაულევია სული.

Dilato Fitness Club

მისამართი: პეკინის გამზ. 5/II, სართული 4
ტელ.: + 995 (32) 36 56 76
ელ ფოსტა: office@dilatofitnessclub.ge
www.dilatofitnessclub.ge

N55, დეკემბერი 2009

ბებიაჩემის პატივსაგებად

ავტორი: ანა არგანაშვილი



ბებიაჩემი 78 წლისაა და დემენცია აქვს.

გაგიგიათ ალბათ: ჯერ ფრაგმენტები უვარდებათ მეხსიერებიდან, შემდეგ ახლობლებს ვერ ცნობს, მალე ბავშვობის მოგონებებში გადადის და იქ ცხოვრობს. მან ეს ეტაპები გაიარა და ახლა უკვე ჩუმად ზის. მხოლოდ შიგადაშიგ გამოფხიზლდება და ლუღლუღებს.

ბოლოს რომ ვნახე გავიფიქრე – როგორ გაუმართლა. იმიტომ რომ მის არსებობას დემენციის გარეშეც საშლელით წაშლიდნენ. აი, თუ არ გჯერათ...

90-იანებში საბჭოთა კავშირი დაიშალა. ჩვენ კი ისე შეგვრცხვა, ისე შეგვრცხვა, რომ ბოლო 20 წელი მხოლოდ იმას ვამტკიცებთ რომ ის დაიშალა. მარტივი თეზაა, რასაც გამწარებით ამტკიცებ, იმის გულში არც შენ გჯერა და ასეცაა. დაიშალა დე ფაქტო, დე იურე, მაგრამ დარჩა ფსიქიკაში, აზროვნების სტრუქტურაში, ღირებულებებში.

სტოპ. ბოლო ფრაზა რამდენჯერმე წაიკითხეთ, ინტონაცია გაბრაზებიდან, წყენამდე, ვაჭრობამდე, მოწყენილობამდე ჩამოაჩოჩეთ (დიდ ტრავმასთან გამკლავების ფაზები) და ბოლოს სრულიად ემოციისგან დაცლილმა თქვით: „დაიშალა დე ფაქტო, დე იურე, მაგრამ დარჩა ფსიქიკაში, აზროვნების სტრუქტურაში, ღირებულებებში“.

ეს ფაქტია და რაც უფრო მალე მივიღებთ ამას როგორც მოცემულობას, მით უფრო მალე განვაგრძობთ ცხოვრებას და ბებიაჩემსაც აპატიებთ, რომ ახალგაზრდობაში თვალებმილულული მღეროდა სტალინზე.

არ არსებობს „კარგი“ და „ცუდი“ ღირებულებები, იმიტომ რომ მათი მფლობელი აკრიტიკულია მათ მიმართ. ღირებულებები მოცემულობაა: არის ან არ არის და გაცილებით საინტერესოა გაარკვიო რატომ არის ისეთი როგორიც არის, ვიდრე მოითხოვო „ცუდის“ გაუქმება. ღირებულებები ადამიანის აფექტურ კომპონენტზე დგას, ისინი არ წყდება, არამედ, ნაცვლდება იმავე გზით, როგორც ჩამოყალიბდა თავის დროზე – მწვავე რეზისტენტობის ისტორიით.

ბებიაჩემი 90-იანების ბოლოს ზვიადისტი გახდა. რა გასაკვირია, ადამიანს თუ ეტყვი, რომ ყველაფერი, რისიც სჯეროდა და რა რწმენებითაც ცხოვრობდა – ნაგავია, ის ახალი რწმენების ძიებას დაიწყებს. პრეზიდენტად რომ აირჩიეს, აივანზე გავიდა და ტაშს უკრავდა. მერე უთხრეს ზვიადიც მორჩაო. მიტინგებზე იარა, კარგად მიბერტყეს. კიდევ ერთხელ კრახი, დაბნეულობა, ქაოსი...

ბოლო სამი კვირა თეა თუთბერიძის ამბავი და ეს კატეგორიული ტონი: გამოხატვის თავისუფლება, სეკულარიზმი, დაოიზმი...

თქვენ გინდათ მითხრათ, რომ პირობითად 78 წლის ბებიაჩემი დავსვა და ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი ვუკითხო გამოხატვის თავისუფლებაზე? მერე ვუთხრა, ბებო კიდევ ერთხელ გეყო რაც აქამდე იყო, ახალი ცხოვრება იწყება–თქო?

უფრო ადვილია ვთქვათ, რომ მათ არაფერი ესმით და ვერც გაიგებენ. ნუ... აი იმიტომ, რომ საბჭოთა ადამიანები არიან რა. ხომ გეუბნებოდით, დემენცია ისეთი კარგი გამოსავალია.

მსოფლიო ბანკის მკვლევართა ჯგუფის წევრი მაიკლ ვულკოკი და ჯო რიცი თავიანთ კვლევაში წერენ (2000): „მე მახსოვს როგორ დაინგრა ბერლინის კედელი და შედეგად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გაითავისუფლეს თავი კომუნიზმისგან. მე მახსოვს დასავლეთ ევროპის მმართველების ბედნიერების განცდა და მოლოდინი, რომ ამ ქვეყნების მიერ მოპოვებული თავისუფლება მალე ეკონომიკურ სიძლიერეში და აღმასვლაში გამოვლინდებოდა. მაგრამ, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა იმას, რომ ამ ქვეყნების შემოსავალი 20%-დან 50%-მდე დაეცემოდა 10 წელიწადში და ყველაზე მწარე რეალობა კი ის არის, რომ 1998 წლის მონაცემით, მხოლოდ სამმა: პოლონეთმა (117), სლოვაკეთმა (100) და სლოვენიამ (104) შეძლეს შეენარჩუნებინათ ცხოვრების სტანდარტი იმ ხარისხით, როგორც ეს 1989 წელს იყო (100). სად მოგვივიდა შეცდომა? რატომ ვერ გავთვალეთ ეს კრიზისი?

იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი სოციალური წესრიგის ცვლილების ვერშეფასებაა. ამგვარი ცვლილება განუხრელად ითხოვს ადამიანის ჯგუფებს შორის ახალი ურთიერთობის ტიპის განსაზღვრას, იმის გათვლას თუ რა ხარისხით მოხდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინკლუზია თუ მარგინალიზაცია. ამ ცვლილებების აუცილებელი პირობაა, არსებულმა საზოგადოებრივმა ინსტიტუციებმა კონფლიქტების მართვის, ადამიანის უფლებების დაცვის, შესაძლებლობების გათანაბრების მენეჯმენტი განახორციელონ. სწორედ ადამიანის ჯგუფებს შორის სოციალური კოჰესიის, სოციალური სოლიდარობის დაბალი ხარისხი შეიძლება იყოს ერთ-ერთი ამხსნელი პრინციპი ეკონომიკური კოლაფსისა პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიდ უმრავლესობაში“.

დღევანდელ სიტუაციაში ადამიანების დიდი ჯგუფის მარგინალიზაცია მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი სხვა ღირებულებებით ცხოვრობენ? ღი-

რებულებები, რომელიც ხშირად მათ ცნობიერად არ აურჩევიათ, და მარტო იმიტომ ჩამოუყალიბდათ, რომ რაღაც უბედური დეტერმინიზმით იმ დროსა და სივრცეში დაიბადნენ, სადაც დაიბადნენ. რომელთაც აქვთ რეზისტენტობა ყოველივე ახალზე, იმიტომ რომ ის ახალია და ჩვენ არატოლერანტულად ვუცხადებთ, რომ რისიც სჯერათ, არის ნაგავი.

რაღაც დეჟა ვუა თითქოს.

გამოუცხადებთ ვინმე ბებიაჩემს სოციალურ სოლიდარობას თუ მარტივად გავაცილოთ კომუნისტური გადმონაშთი?

არადა, მიყვარს მე ეს ბებია და არ მინდა კიდევ ერთხელ უთხრან, რომ უაზრობისთვის იცხოვრა. მე მისი კომუნისტური წარსულის, კომკავშირში ბუქნაობის, ჩაის კულტურის კრეფის და ბევრი სხვა გამოცდილების ასიმილაციას გავაკეთებ ჩემში და ვიქნები „მე“, რომელიც არ უარყოფს და არ რცხვენია, რომ კომუნიზმიდან მოდის. იმიტომ რომ ეს ჩემი არჩევანი არ ყოფილა, იმიტომ რომ მე და ბებიაჩემს არავინ გვკითხა ბრეჟნევს მოვუსმენდი თუ მ.ლ. კინგს. მერე ეს ასიმილირებული „მე“ მხოლოდ იმას შეეცდება, რომ ჩემს გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა ჩემს წარსულს არ დავაკისრო და „აქ და ამჟამად“ გადავწყვიტო იმ პრინციპებით, რაც მისაღებია. მერე ბებიაჩემს ვეტყვი, რომ მას აქვს უფლება სჯეროდეს იმის, რისიც უნდა და არავინ მიაყენებს მის რწმენას და შესაბამისად პიროვნებას შეურაცხყოფას. მერე ავდგები და ჩემ შვილს მოვუყვები ჯერ ბებიაჩემზე, მერე ჩემზე და მასთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ ჩემში შევცვლი ღირებულებებს. ღირებულებებს შევცვლი პრაქტიკით და არა მხოლოდ მათი დეკლარირებით. ღირებულებების ცვლილებისას ვიქნები მზად იმისთვის, რომ ისინი ერთ დღეში არ შეიცვლება. რომ ღირს ყველას ჩემ გარშემო ცალ-ცალკე ავუხსნა რატომ უნდა დაიცვან სხვისი უფლება, მანამ სანამ საკუთარს დაიცავენ და როცა ვერ გაიგებენ (იმიტომ რომ ახალი ვერ უნდა გაიგო და თუ გაიგებ, არ უნდა დაიჯერო, სანამ არ განიცდი, ან იქნები ფარისეველი), კიდევ და კიდევ და კიდევ ავუხსნი. ამ ახსნით არ მივაყენებ შეურაცხყოფას და არ ვეტყვი, რომ ის არის გადმონაშთი და მასთან ლაპარაკი არ ღირს. ჩავთვლი, რომ უბრალოდ მე გამიმართლა, რომ სხვა დროში დავიბადე და განათლება დასავლეთში მივიღე. შესაბამისად, ასმაგად მეტი სოლიდარობა მომეთხოვება მე მათ მიმართ, რადგან შესაძლებლობების გათანაბრების პრინციპით ჩვენი სასტარტო პირობები (შესაძლებლობები) არ იყო თანაბარი.

მე წავუკითხავ ბებიაჩემს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, მაგრამ არ ვეტყვი რომ მას დემენცია აქვს და ვერაფერს გაიგებს.

არჩევანის თავისუფლებაა, მეგობრებო, ვისაც ბებიაჩემის „გაცილება“ უფრო მოგეხერხებათ, განცხადებას პანაშვიდის საათებზე ფეისბუქში გამოვაქვეყნებ. მას დააფასებენ თანამედროვე ღირებულებების მატარებელნი. მანდ მაინც გაიხარე, ბებო.

P.S. მადლობა ჩემს მეგობრებს ა.დ.-ს, გ.კ.-ს და ს.კ.-ს, რომლებიც მარწმუნებენ ხოლმე, რომ ფიქრი გავაგრძელო და ხანდახან – ხმამაღლაც.

PROSPERO'S BOOKS

"KNOWING I LOV'D MY BOOKS, HE FURNISH'D ME FROM MINE OWN LIBRARY WITH VOLUMES"
Prospero… - The Tempest, William Shakespeare

გამომცემლობა „ემ ფაბლიშინგის“ ჟურნალები – „ლიბერალი“, „ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“ უკვე **Prospero's Books & Caliban's Coffee**-ს წიგნის მაღაზიასა და კაფეში იყიდება!

მუშაობს ყოველ დღე: 9:30 – 20:00
ბავშვთა საათი: კვირა, 12:00

მისამართი: თბილისი, რუსთაველის 34
ტელეფონი: (995 32) 92 35 92



რალაცეები ჰემინგუეის შესახებ

ავტორი: აკა მორჩილაძე

1.

დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ როცა ბიჭი თვრამეტი-ცხრამეტი წლისაა და ცოტ-ცოტა წიგნებსაც კითხულობს, ჰემინ-გუეი მსოფლიოში საუკეთესო მწერა-ლი ჰგონია.

მგონი მეც ასე ვიყავი.

მისი კარგა მოზრდილი სურათიც მქონდა, რომელიც მეცხრე საავადმყო-ფოს მიწისქვეშა გადასასვლელში ვიყიდე, კრუგთან, როგორც მაშინ ამბობდნენ.

კრუგი იმ ადგილს იმიტომ ერქვა, რომ ოდესღაც ტრამვაი უხვევდა. ასე მითხრეს ძველმა ვაკელებმა, იქ თავ-დებოდაო.

მაგრამ ეს ჰემინგუეის არ ეხება. მიწისქვეშეთში უზარმაზარ ფოტო-ქაღალდებზე დაბეჭდილი ბუნდოვანი პლაკატები იყიდებოდა - „ბიტლზი“, ხელიხელგადახვეული სიუზი კვატრო და კრის ნორმანი, „პინქ ფლოიდი“. ვერ იყო ღირსეული გამოსახულებები, მაგრამ სულ არაფერს ჯობდა ხოლმე. ჰოდა, ჰემინგუეიც ამათში იყო. მგონი მეცხრე კლასში ვიყიდე.

ეს იყო საბჭოთა კავშირში ჰემინ-გუეის ყველაზე გავრცელებული ფოტო, რომლისთვისაც პერანგის ზედა ღილები და საყელო რეტუშით შეესწორებინათ.

ჰემინგუეის ხელი ჩამოედო რაღაცა-ზე და სევდიანი ღიმილით უყურებდა ობიექტივს. რახან სრულიად განუმეო-რებელი გამოხედვა ქონდა, ჰემინგუეი ძალიან პოპულარული იყო.

ამ ფოტოს ბავშვობიდან ვიცნობდი: ასეთი სერიის წიგნაკი გვქონდა: ერთი მოთხრობის ბიბლიოთეკა და ყდაზე ყოველთვის მწერლების ფოტოები იყო. ერთი მოთხრობა და ფოტო. ჰოდა, გვქონდა „კილიმანჯაროს თოვლია-ნი მთა“, ზედ კი ეს ფოტო, რომელიც მერე გადიდებული ვიყიდე. ოღონდ წიგნაკის ყდაზე მას კუბოკრული პე-რანგი ეცვა, გადიდებულზე კი - უფე-რო; ანუ იქაც რეტუში იყო.

ახლა, როცა ვეღარც იმ წიგნს ვპოუ-ლობ და ის სურათიც სადღაც გაქრა, რატომღაც მგონია, რომ სურათი ჰე-მინგუეის წიგნებისთვის ძალიან მნიშ-ვნელოვანი იყო.

ის იერი გაკითხებდა. თეთრწვერა ჰემინგუეი ძალიან მაგარია სურათე-ბზე. სულ სხვანაირი, ვიდრე სინა-მდვილეში იყო. თუმცა, აქვე უნდა გამოვტყდე, რომ „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“ ეგრეც ვერ წავიკი-თხე, ვერც მაშინ (ალბათ იმიტომ, რომ 13-14 წლის ვიყავი და ძალიან მოსაწყენი და ბუნდოვანი რამ იყო ჩემთვის, თუ იმას გამოვაკლებთ, რომ მოქმედება აფრიკაში ხდება) და ვერც მერე.

ამ წიგნს ჯადოსნური ეპიგრაფი აქვს. სრულიად გადასარევი. არც ვიცი სხვა წიგნი, ასეთი მაგარი ეპიგრაფი რომ ჰქონდეს. მერე რომ ვცდილობდი „კილიმანჯაროს“ წაკითხვას, მეჩვენე-ბოდა, რომ ეპიგრაფი ბევრად ჯობია თვითონ წიგნს. არ ვიცი, ეს რისი ბრა-ლი იყო, მაგრამ მაინც ვეღარ წავიკი-თხე. ეგებ იმიტომ, რომ ჰემინგუეის კითხვა ისე აღარ მიყვარდა, როგორც ოცი წლის წინათ.

არის ასეთი სულელური ფილმი „კი-ლიმანჯაროს“ მიხედვით, თვითონ ჰე-მინგუეისაც არ მოსწონდა: გრეგორი

პეკი თამაშობს. იქ ესპანეთის ომის ამბებიცაა ჩამატებული. ის ფილმი რომ ვნახე, მერე კიდევ ვცდილობდი „კილიმანჯაროს“ წაკითხვას და მაინც არაფერი გამომივიდა.

ერთი დრო იყო და ჰემინგუეის ნაწერებით ვცხოვრობდი და მეგონა, რომ იმ ნაწერებში ვიყავი და ცხოვრებაც ისეთია, როგორც იმათში იყო აღწერილი. მეტს არც არაფერს ვკითხულობდი და რახან რაღაცეების წერა მინდოდა, მეგონა, რომ მასზე უკეთ ამას ვერავინ ახერხებდა. საერთოდ, ახლაც მგონია, რომ ჰემინგუეიმ უამრავი რამ შეცვალა ნაწერში. ოღონდ ისე მოხდა, რომ რომანები მოსაწყენი გამოუვიდა, მოთხრობები კი, მგონი, მსოფლიოში საუკეთესო.

ასევე მგონია, რომ მოთხრობას, ნოველასაც რომ ეტყვიან, მან აზრი დაუკარგა. უფრო სწორად, მის სერიოზულად წერას, იმიტომ, რომ სრულიად წარმოუდგენელია, კაცმა ისეთი სერიოზულობით დაწეროს მოთხრობა, როგორც ამას ჰემინგუეი ახერხებდა. არ გამოუვა და მორჩა. თუ მის გამოთვლებს და წერის მანერას გაჰყვება, ეს უბრალოდ გამეორება იქნება და მორჩა. სხვანაირად კი ისეთი არ გამოვა.

როგორ ვთქვა, არ ვიცი, ამ ჭკვიანურ ლაპარაკებში მოვისუსტებ. გვერდების იმ მოცულობაზე, ჰემინგუეის მოთხრობა რომაა განფენილი, შეუძლებელია სხვამ იმდენი დატიოს, რამდენსაც ის ტევდა. ჩვენს ბავშვობაში მოარულ ფანტასმაგორიებს შორის, ერთ-ერთი ასეთი იყო, რომ იაპონელებმა თითის სიგრძე ბოთლი გააკეთეს, რომელშიც სამი ლიტრი ეტევაო. აი, რაღაც ასეთია. თვითონაც რომ ლაპარაკობდა, აისბერგიო. დღეს ცოტა უბრალო შედარებად ჩანს, მაგრამ მაინც, ეგრეა და მორჩა.

სხვა ვერავინ შეძლებს ასეთი ნოველების წერას. ეს კაცი დილის ექვს საათზე დგებოდა და ფეხზე მდგომი წერდა საწოლ ოთახში, მაღალ მერხთან, ფანქრით ხელში. ითვლიდა და ხაზავდა. თუ თავი მოვაბი, მერე დავწერ, როგორ წარმომიდგენია მისი სამოთხრობე მუშაობა.

2.

ჰემინგუეის პირველი მოთხრობა, რომელიც წავიკითხე, ისეთი იყო, რომ ავტორს მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაშინ სკოლაში ვსწავლობდი და ჩემმა კაი ამხანაგმა გამოაძვრინა წიგნი გაკვეთილზე.

მოთხრობის წაკითხვის არსი ერთადერთი იყო - იქ აღწერილი ეროტიკული სცენა. მოთხრობას ერქვა „იქ, მიჩიგანში“, „უ ნას ვ მიჩიგანე,“ „აფ ინ მიჩიგან“ და თუ არ ვცდები, ეს იყო პირველი მოთხრობა, რომელიც ცხოვრებაში გამოუქვეყნეს ჰემინგუეის.

მოთხრობამ მოულოდნელად ვიღაცის აღმოჩენით მოიპოვა პოპულარობა ჩვენს კლასში და ზოგიერთები იმასაც კი ეშმაკობდნენ, რომ ცდილობდნენ, გოგოებისთვის წაეკითხინებინათ.

ამ მოთხრობიდან რაც მახსოვს, სიცივეა, მიჩიგანის ტბის პირად რომ დგას. გოგოს მგონი ლიზი ჰქვია, ბიჭს კი - მჭედელი ჯიმი, ან რამე სხვა. იქ მათი სექსია აღწერილი. გოგოსთვის ეს პირველია. ეს არის მთელი მოთხრობა. ახლა რომ ვფიქრდები, კიდევ რა მახსოვს, პირველ რიგში რაღაცნაირი სისველე მაგონდება, ნესტი, თუ რაღაც ასეთი, ფიცრები და ის, რომ შემთვრალ ჯიმს თმა გასწეწოდა. საუცხოოდ დაწერილი მოთხრობაა, ოღონდ ეს იყო საბჭოთა კავშირი და ეროტიკა - თუ ფოტოებს და სასწაულით ხელში მოხვედრილ ჟურნალს, ან იატაკქვეშა ფოტოებს არ ჩავთვლით, იძებნებოდა თვით „დეკამერონსა“ და „დიდოსტატის მარჯვენაში“, ასევე, ნებისმიერი ფილმის ნებისმიერ კადრში - რავი, ყველგან. ამიტომ, დიდად არ ვთვლი, რომ ეს ჩემი ნამდვილი ნაცნობობა იყო ჰემინგუეისთან. თანაც, მოთხრობა ეროტიკის დასამახსოვრებლად ძალიან პირქუში იყო და გოგოც წარმოუდგენლად საცოდავი; ანუ, ავტორმა თავისი საქმე გააკეთა და იმან აბა, რა იცოდა, როცა ანასტას მიქოიანთან ერთად არაყს სვამდა, რომ სამხრეთ საბჭოეთში (და ეგებ სხვაგანაც) მისი პირველი მოთხრობა ეროტიკულ შთაგონებათა წყარო შეიქნებოდა ყმაწვილთა შორის.

ჰემინგუეის პირველი წიგნი, რომელიც წავიკითხე, იყო „ჰარი მორგანი“. ცალხელა შკიპერის ამბავი, კი უესტსა და ჰავანას შორის რომ დაცურავს, კონტრაბანდისტებთან, რევოლუციონერებთან, ემიგრანტებთან ერთად, და შინ ცოლი და სამი ქალიშვილი რომ ჰყავს.

აქვე უნდა გამოვტყდე, რომ ეს არის ჰემინგუეის ერთადერთი რომანი, რომელიც თავიდან ბოლომდე და იმავდროულად, ბევრჯერ წამიკითხავს და თან, ფურცლები არ გამომიტოვებია. მაგრა მომწონდა „მშვიდობით, იარაღო“, მაგრამ იქაც კი გამომიტოვებია რაღაცეები. „ფიესტაზე“ აღარაფერს ვამბობ. რა თქმა უნდა, ეს ჩემს სასახელოდ არაფერს ამბობს, მაგრამ აქვე დავამატებ, რომ „ვის უხმობს ზარში“ ყველაზე მეტი გამომიტოვებია და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კომუნისტების დროს ეს წიგნი კუპიურებით იყო გამოცემული, შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, არც წამიკითხავს.

ახლა მინდა გამოვტყდე, რომ ჰემინგუეის ომისშემდგომი წიგნებიდან ყველაზე უფრო „მარადიული დღესასწაული“ მომწონს. ბოლო დროს არქივში ნაპოვნი „სამოთხის ბაღი“ ვერ დავამთავრე, „მდინარის გაღმა, ხეთა ჩრდილებში“ ორ საღამოს მომევლინა სატანჯველად, ხოლო „სახიფათო ზაფხული“ მაინც უბრალო ჟურნალისტური წიგნი მგონია, ისევე როგორც „აფრიკის მწვანე ქედები“, რომელიც ამას მირჩევნია.

მოკლედ, ამის წამკითხველი იტყვის, რომ თუკი რამე მეჯავრება ქვეყნად, ჰემინგუეის რომანებია.

ოღონდ აქვე უნდა ვთქვა, რომ ის ჩემი საყვარელი მწერალია და თუ ვეღარ ვკითხულობ, უფრო ჩემი ბრალი უნდა იყოს, ვიდრე მისი. მიზეზები არ მიძებნია. მოსაწყენობა - იოლი სიტყვაა.

ის კი ზუსტად ვიცი, რატომ ვკითხულობ „ჰარი მორგანს“ ხშირად (ოღონდაც მწერლის და მისი ქალის ამბების გამოტოვებით): იმიტომ, რომ ამბავი მომწონს და ისიც, რომ რაღაცნაირად, მგონი, ჰემინგუეისთვის სრულიად მოუწესრიგებლადაა დაწერილი.

ოღონდაც, ეს სულ არაფერს ნიშნავს, რადგან ჰემინგუეის მოთხრობებზე არაფერი მითქვამს.

თავიდან „ნიკ ადამსის მოთხრობებს“ ვკითხულობდი, ისევ მიჩიგანურ ამბებს. იმათში ყველაზე მაგარი ჩემთვის „ათი ინდიელი“ იყო: როცა ნიკს მამა უამბობს, რომ მისი ინდიელი მიჯნური, პრუდი ვიღაცასთან დაინახა ტყეში. ისე დახვეწილად უამბობს, ისე დგას გზაში, სხვადასხვა ადგილას ათი მთვრალი ინდიელი... ჰემინგუეის დედა არ უყვარდა. მამამისმა თავი მოიკლა სანადირო თოფით, მერე თვითონაც - სანადირო თოფით. ნიკის მოთხრობებში ყველგან მამაა. როცა თვრამეტი წლის ხარ და ათასი პრობლემა გაქვს, ხშირად თავი ნიკი ადამსი გგონია. თუ, რა თქმა უნდა, კითხულობ მის ამბებს. თან, მგონი, წარმოიდგენ კიდეც, რომ ბარე ორმოცი წლის ჰემინგუეი ხარ და ეს ყველაფერი დაწერე. თან ისიც გგონია, რომ ეს ყველაფერი გაიარე, რაღაც ამის მსგავსი შენც გემართება. ნიკი ადამსის ამბებში არაფერი ისეთი არ არის, თვრამეტი წლის ბიჭისთვის უცნობი რომ იყოს, ოღონდაც, რას ნიშნავს ეს ამბები - თვრამეტი წლის ბიჭი გვიანღა ხვდება. იმ დროს კი, როცა კითხულობს, თავგადასავლებშია გახვეული: სვამს კიდეც, უარესებსაც სჩადის ხოლმე და, რა თქმა უნდა, გოგოს ეძებს. იქ, ჰემინგუეის ბიჭს პირველი გოგო ჰყავს აღწერილი: ეს ინდიელი პრუდი. არ ვიცი, სხვა ვინ მოიფიქრებდა პირველი გოგოს აღწერას, თუმცა, ალბათ, ყოველ კაცს ახსენდება თავისი პრუდი. ასეთი რამ, მგონი, არც ჯეკ ლონდონს გაუკეთებია და არც ვინმე სხვას, თუნაც ისეთებს, სულ ქალებზე რომ წერენ. გავიცინოთ: მარკიზ დე სადსაც არ მოფიქრებია. საერთოდ, კიდევ, ჰემინგუეი ქალებში ძალიან მაგრად ერკვეოდა. მთელი ცხოვრება მათთან მარცხდებოდა, მაგრამ ერკვეოდა. ალბათ ბევრს ფიქრობდა მათზე. „ვის უხმობს ზარში“ ერთი ადგილია, უმაგრესი. წეღან რო ეროტიკულ სცენას ვიხსენებდი მიჩიგანიდან, ის არაფერია ამასთან შედარებით. სრულიად არაფერი. იქ, უბრალოდ, დიალოგია. „ჰარი მორგანში“ ასეთი დიალოგები ცოტა უხამსია, ჰარის ცოლი ვერ ითმენს, აქ კი, გაქანებულ ომში... რა ვიცი, უამრავ მაგარ ლექსს სიყვარულზე ეს ადგილი ჯობია. მე მირჩევნია და სხვას კი არ ვეხვეწები.

3.

ყველაფერ იმაში, რაც ჰემინგუეის დაუწერია, ჩემი პირველი უსაყვარლესი ნაწერია მოთხრობა „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“. იმის მერე - „მკვლელები“ და „მარადიული დღესასწაული“, მაგრამ ამაზე ახლა არ მოვყვები.

„ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“ არის უსასტიკესი, უსაშინლესი, უმძიმესი ამბავი კაცზე, რომელიც ბედნიერების წამს მოკვდა. თუ თავისუფლების წამს. თუ მაშინ, როცა იფიქრა, რომ ღირსებამ არ მიატოვა.

“მოხუცსა და ზღვაში“ ჰემინგუეი წერდა, კაცი დამარცხებისთვის არ დაბადებულა, შეგიძლია მოსპო, მაგრამ ვერ დაამარცხებო. მაკომბერი კი ოცი წლით ადრინდელია. მგონი ოცით, ჰო.

ახლა ამ მოთხრობის შინაარსის მოყოლა სისულელეა.

უბრალოდ, პირველად რომ წავიკითხე, სწორედ მაშინ ვიფიქრე, რომ მოთხრობების წერას აზრი არა აქვს.

აქა-იქ წამიკითხავს, რომ ჰემინგუეის სიუჟეტების პრობლემა ჰქონდა.

მგონი უფრო ბოლო 15-20 წელიწადს. ეს მოთხრობა კი იმ დროისაა, როცა ის ყველაზე კარგად წერდა.

მერე და მერე, სულ ვფიქრობდი, როგორ მოიფიქრა მან ასეთი დასასრული, როცა ქალი გაისვრის და თავის კაცს დააჭედებს შუბლში. რა თქმა უნდა, თავიდანვე იცოდა. საერთოდ, როგორ იგონებდა ასეთ მოთხრობებს?

ტორეროებზე რომ არის კიდევ, „50 ათასი“ ჰქვია და კიდევ სხვებიც. უბრალოდ, ეს „მაკომბერი“ ძვალსა და რბილში ატანს. არის კიდევ ერთი ეგეთი მოთხრობა, „სამდღიანი უამინდობა“, „კატა წვიმაში“ და კიდევ „თეთრი სპილოების მსგავსი მთები“ და კიდევ - „ბატონი და ქალბატონი ელიოტი“ და ამ ნაწერებში ყველაფერი ქალზე და კაცზეა. ერთგან უშვილობა, მეორეგან შვილის მოლოდინი, მესამეგან სასტუმროს ოთახი, მეოთხეგან კი, მაკომბერის ამბავში - ტყვია შუბლში. არანაირი რომანტიკა და სირბილე ამ მოთხრობებში არ არის. კი არა, ისიც მეეჭვება, რომ მის საომარ და სანადირო თავგადასავლებში არის რაიმე რომანტიკა. ის ლოთი იყო. ნამდვილი, კულტურული ლოთი, რომელიც დილიდან ნელ-ნელა შეუდგება საქმეს. მას უყვარდა ტურგენევი და ჯოისი და მისი საუკეთესო მოთხრობები რაღაცით გავს ჯოისის „დუბლინელებს“ და ტურგენევის „მონადირის ჩანაწერებს“. მაგრამ მისი კაცები ხშირად რაღაცით გვანან ჯეკ ლონდონის კაცებს. მგონი ბედისწერის ამბავში, ხოლო ნიკი ადამსი უღიმილო ტომ სოიერი თუ იქნება. ეს რომანტიკა კი რატომ ვახსენე, ვერ მივხვდი: თითქოს ჩვეულებრივ ამბებშიც კი დამალულია დიდი თავგადასავალი. ასეთი გამოდის ჰემინგუეის მოთხრობები. დიდი დრამების, დიდი ტრაგედიების სიჩუმით თხრობა. ფაქტიურად, სიჩუმით. იმიტომ, რომ მან ყველაზე უბრალო ინსტრუმენტები აირჩია და ისინი ხელიდან აღარ გაუგდია.

რომანებში ეს რატომღაც იკარგება. ალბათ იმიტომ, რომ რომანი სქელია, მოთხრობა კი თხელი. საერთოდ, რომანებიც მოთხრობებია. თუკი რამ არის იქ კარგი, გადასარევი მოთხრობა იქნებოდა, ოღონდ რახან რომანშია მოქცეული და ტერიტორიის პრობლემა აღარ აქვს, იჩაგრება.

„მაკომბერი“ კიდევ... - ეგ მე მგონი მაგ კაცის ცხოვრებაა. უფრო სწორად, კოშმარი, რომელიც ქალებში გახლართულ ჰემინგუეის ეწვევოდა ხოლმე. ცოლი სულ ოთხი ჰყავდა, მანამდე აგნესა ფონ კიროვსკი, ბოლოს კი ადრიანა ივანჩიჩი უყვარდა. ჯავრობდა და ნერვიულობდა. მგონია, რომ ბევრ კოშმარულ რამეს ფიქრობდა. ფრენსის მაკომბერიც ერთი ასეთი კოშმარია. ოღონდ კოშმარი რომ დრამად გადაექცია, ძალიან მაგარი მწერალი უნდა იყო. ჰოდა, ჰემინგუეი იყო ის მწერალი, რომელსაც ედგარ პოს მსგავსი ამბები მოსდიოდა თავში.

პო ბრწყინვალედ წერდა. მის მოთხრობებში მათემატიკაცაა, ისევე, როგორც ჰემინგუეის მოთხრობებში, მაგრამ პოს მოთხრობებში იქაური დახვეწილი კოშმარების მიუხედავად, არ არის ტრაგედიის შეგრძნება; ანუ ის, რაც ასე მაგარია პოსავე ლექსებში.

ჰემინგუეისთან კი არის, ოღონდ კოშმარს რომანტიკული იერი დაკარგული აქვს და ყოფით ამბადაა ქცეული.

ასე რომ მივყვე, გავაჭრელებ და ძალიან შორს წავალთ.

ისე კიდევ, რაღაც მომენტში, განსაკუთრებით ბიჭობაში, ის შენი ასაკის ტკივილების და განცდების კონსპექტს გაწვდის. ოღონდ მაშინ არ იცი, რომ სამყარო ამას იქითაც არსებობს.

4.

საიდან იწყება ჰემინგუეის არწაკითხვა?

თავს ვერ დავდებ, მაგრამ მგონი ოცდაათ წელიწადს რომ მიუახლოვდები.

მგონი, ნაბოკოვი ამბობდა, ჰემინგუეი საყმაწვილო ლიტერატურაა. არ ვიცი, იმან ეგრე იცოდა ხოლმე თქმა, ისე გამოსდიოდა, მარტო მე ვიცი სწორად წერაო.

მაგას მოვეშვათ.

საბჭოთა კავშირში ხო როგორ იყო?

საინტერესო ადამიანების პორტრეტები მითებით იყო სავსე. მით უმეტეს, თუ მაინცდამაინც ინტელექტუალი არ იყავი და იმაზე უკეთესი წიგნები არ გქონდა, რაც სხვას.

ახლა გავიხსენებ, რა ვიცოდი ჰემინგუეის შესახებ.

მონადირე, მოკრივე, ყველა ომში პირველი გარბოდა, პირველ მსოფლიოში მძიმედ დაიჭრა, მერე ნობელის პრემიის მისაღებად თავისი ძმაკაცი, კოხიმარელი მეთევზეები წაიყვანა, მერე თავი მოიკლა.

კიდევ რა? არც მახსოვს. ზოგჯერ ესპანეთის ომის ქრონიკაში გამოაჩენდნენ კომუნისტები და მორჩა. მაგრამ იქ იმდენად უცხო იყო, რომ სახესაც ვერ დაიმახსოვრებდი, პოლ რობსონთან ერთად ახსენებდნენ.

ამ ამბებიდან მართალი თითქმის არცერთი არ იყო; ანუ, იყო მთლიანი ტყუილები და ნაწილობრივიც. ნობელის პრემიის ასაღებად ჰემინგუეი საერთოდ არ წასულა. კოხიმარელი მეთევზე კი პრეს-კონფერენციაზე გამოიყვანა, რათა ამ უკანასკნელს დაედასტურებინა, მწერალს ჩემი თავგადასავალი არ მოუპარავსო.

დაჭრით მართლა დაიჭრა, მთელი ორასი ნამსხვრევი ჰქონდა ფეხში, მაგრამ არა ბრძოლაში, არამედ იმიტომ, რომ სიმშვიდეში მოწინააღმდეგის მხარეს ინტერესისთვის გაისროლა და ამას უაზრო ბრძოლის დაწყება მოჰყვა. ის სანიტარულ ბატალიონში იყო და იმ დღეს მგონი პირველად მივიდა ფრონტის ხაზზე.

მონადირე და მეთევზე მართლაც კარგი ყოფილა, ასე ამბობენ. თუმცა, არ მგონია, რომ ომების დროს ადამიანებს ხოცავდა. მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, ლონდონში მყოფმა, მეორე ფრონტის გახსნის წინ, მთვრალმა ფეხი მოიტეხა და მესამე ცოლმა, მაგარმა ჟურნალისტმა მარტა გელჰორნმა სასტიკად დასცინა, როგორც მეომარს. მერე ანდრე მალროსთან მოუხდა ჩხუბი (მალრო მაგრა იბრძოდა და რაღაცეები მგონი იმანაც შეახსენა) ერთ-ერთი ფრანგული სასტუმროს ნომერში, რის შემდეგაც მისი ძმაკაცი, შოტლანდიელი სერჟანტი მალროს მისაღების ნებართვას სთხოვდა.

ეს უარყოფითები უფრო უყვართ, თუმცა, სადაც იყო, პატიოსნად იყო და ბევრი კარგიც გაუკეთებია, დაჭრილობდა თმაზე, რომელიც გასცვივდა და ის უკნიდან ჰქონდა წამოფარებული.

ისე კი ამ ორ სურათს შორის საერთო მაინც იყო - თვალები. ზუსტად ისე, როგორც „მოხუცი და ზღვაში“ დაწერა, მოხუცს ყველაფერი ბერული ჰქონდა, გარდა თვალებისაო. ამ წიგნს რომ წერდა, ორმოცდაათი წლის იქნებოდა და უკვე მოხუცს ჰგავდა. ეს ის დრო იყო, როცა სასმელს ჩაის ფინჯნებში ისხამდა, რადგან დღის განმავლობაში ნორმირებული ჰქონდა და ამ ფინჯნებით ატყუებდა თავის ბოლო ცოლს, მერის.

ჰო, როდის იწყება ჰემინგუეის არწაკითხვა?

მგონი მაშინ, როცა მოთხრობების ყველაფერი იცი და მის რომანებზე გადახვალ. რომანები კარგია, მაგრამ მათსა და მოთხრობებს შორის ერთი სხვაობაა:

გვერდების იმ მოცულობაზე, ჰემინგუეის მოთხრობა რომაა განფენილი, შეუძლებელია სხვამ იმდენი დატიოს, რამდენსაც ის ტევდა. ჩვენს ბავშვობაში მოარულ ფანტასმაგორიებს შორის, ერთ-ერთი ასეთი იყო, რომ იაპონელებმა თითის სიგრძე ბოთლი გააკეთეს, რომელშიც სამი ლიტრი ეტევაო. აი, რაღაც ასეთია.

ისეთი რომანებია, რომ შეგიძლია გადადო და დიდხანს არ დაუბრუნდე, ხშირად კი ეს დიდხანს სამუდამოდ გამოდის, მერე კი აღარც მოთხრობებს უბრუნდები. ისინი ზეპირად იცი და სიახლის შეგრძნება დაკარგული გაქვს.

მაგრამ ამასთან ერთად, ჰემინგუეის არწაკითხვა იქედანაც შეიძლება დაიწყოს, როცა მისი ცხოვრების შესახებ წიგნების ფურცვლას იწყებ.

ჩვეულებრივ, ეს იმის შემდეგ ხდება, როცა მისი მოთხრობები უკვე ზეპირად იცი და აღარც ცხრამეტი წლისა ხარ.

სიმართლე რომ ვთქვა, ჰემინგუეის შესახებ ოთხი წიგნი მაქვს წაკითხული. აქედან ორი - რუსების დაწერილი. ერთი გრიბანოვის, ბიოგრაფია, მეორე პაპოროვის „ჰემინგუეი კუბაზე". პაპოროვი ჟურნალისტად იყო კუბაზე და წიგნი კარგია. რა ვიცი, მე მომწონს. იქ ბევრი ისეთი ამბავია, სხვაგან რომ ვერ შეხვდები და მთელი წიგნი ჰემინგუეის მსახურების და კუბაზე დარჩენილი მისი ძმაკაცების მოგონებებითაა სავსე. წიგნი კეთილგანწყობილია, ამბები დამაფიქრებელი და მძიმე.

მოკლედ, ამ წიგნის წაკითხვისას მიხვდები, რომ მას მძიმე ცხოვრება და რაღაც სისულელეებით შეჭმული ხასიათი ჰქონდა, საკუთარ თავთან გამკლავებას კი ძალიან იშვიათად ახერხებდა. ასევე, აქედან ამოიცნობ, რომ ბრძენიც არ იყო და მის შესახებ დაწერილ ყოველ სტრიქონს საშინლად განიცდიდა.

ბოლო ათ წელიწადს ის იშვიათად ერეოდა რამეს, თვით საკუთარ წიგნებსაც კი.

ხოლო თუ გინდათ, რომ ის საბოლოოდ განადგურებული და გაბურთავებული იხილოთ, ენტონი ბერჯესი უნდა წაიკითხოთ.

მე რაც ვიცი, ბერჯესს ორი წიგნი აქვს ჰემინგუეიზე, ერთი - „ერნესტ ჰემინგუეის სამყარო", რომელიც 80-იანი წლების ბოლოს ქართულადაც გამოვიდა, ოდნავ გრძელი სათაურით. ამ ქართულ წიგნზე ჰემინგუეის ფოტოა, რომელშიაც ის ფიდელ კასტორს ჰგავს, იმიტომ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ჰემი, კუბელთათვის კი პაპა, გრძელი წვერით დაიარებოდა და არც მოხუცურად გათეთრებული ჰქონდა.

ეს სწორედ ის დრო იყო, როცა მარტა გელჰორნთან მოუხდა უვარგისობა. მარტა მაგარი ამერიკელი ჟურნალისტი იყო, მგონი ახლახან გარდაიცვალა. ის შიგნიდან იცნობდა პაპას და ხშირად დასცინოდა კიდეც, განსაკუთრებით ბოლო დროს. როცა ჰემინგუეიმ ლონდონში ჩააკითხა, ამბავიც იქ მოხდა. ადრე კიდევ, ჰემი მარტას მეგობარ მაგარ-მაგარ და ელიტურ ჟურნალისტებთან სმას ვერ იტანდა და იმათთან ლაპარაკსაც. მას სმა სხვა ხალხში უყვარდა. ჰოდა, მარტასთან ჩხუბ-ჩხუბში გადაეყარა მერის. მერის მშობლებს ის არ მოსწონდათ.

მას ლოთის და მაწანწალა კაცის სახელი ჰქონდა, ამერიკულ გაზეთებს თუ გაადევნებდი თვალს. მარტას ის არ დანანებია. უზარმაზარი ხორცის ნაჭერი, რომელსაც სპირტის სუნი უდის. ერთ ფილმში ასეთი ფრაზაც კია, ხანდახან მაინც დაიბანეო.

მისი ბიოგრაფია უცნობი და მომხიბვლელი იყო. სინამდვილეში კი არ არსებობდა იმ სახით, როგორითაც ნებისმიერ, მისი წიგნებით აღფრთოვანებულ კაცს შეეძლო წარმოედგინა და პრობლემაც აქვე იწყებოდა.

მე, პირადად, ძალიან ვბრაზობდი, როცა ერთი-ორი ჭკვიანი უფროსი რაღაც ამნაირს იტყოდა, გაბერილი და გაბუქულიაო, თვითონ ბევრი არაფერი საერთო აქვს იმასთან, რასაც ამბობენ და ბევრად უსუსური და რთული კაციაო.

აბა, ჩვენ რა ვიცოდით...

ჰო, ამასობაში კიდევ, ბერჯესის მეორე წიგნი: „ჰემინგუეი", რომელიც მის პირად ცხოვრებას აღწერს. ბერჯესს იუმორი აქვს. მას დაცინვაც ეხერხება. ცინიკურობაც გამოუვა. ტიპიური ინგლისური რამეები ბიოგრაფიული წიგნისთვის. წიგნი ქართულად არ არის, არც რუსულად, მგონი. იქ ჰემინგუეი უბედური, მდაბალი, სახელს, ტრაბახს გამოკიდებული და საცოდავია. მერე ძნელია „ვის უხმობს ზარის" კითხვა.

ომის შემდეგ, ჰემინგუეიმ ამერიკული მედალი დაიწუნა, უფრო მაღალი ჯილდო მერგებოდაო, ოღონდ მაინც მიიღო.

საერთოდ, ჰემინგუეის დრამატულ ამბებში და მის შინაგან სიმძიმეებში, რომელთაც საგულდაგულოდ მალავდა (ვინ არ დამალავს) მთავარი ის იყო, მას წარმოედგინა, რომ რაღაც უნდა დაემტკიცებინა. როგორც ნაწერებში, ასევე ცხოვრებაში. პრობლემა მაშინ იწყებოდა, როცა ორივე უჭირდა - წერაც და ცხოვრებაც. ცხოვრება სულ უბრალო რამეთა გამო წაუხდებოდა ხოლმე, წერა კი უფრო და უფრო გავდა სატანჯველს. წერაში სისხარტე დაკარგა. ბევრს მუშაობდა, მაგრამ ყველაფერი მოსაწყენი და ტლანქი ჩანდა. ცხოვრებაში სიმშვიდე რომც მოეპოვებინა, წერა მაინც არ გამოსდიოდა.

მის ცხოვრებაში სიახლე აღარ იყო: ნადირობა აფრიკაში, სმა ჰავანაში და ახალი რა? ადრიანა რომ შეუყვარდა, ხვდებოდა, რომ მერის ველარ მოშორდებოდა. ჯერ ორმოცდაათისაც არ იყო, მაგრამ უკვე მოხუცი, რომელიც გრძნობს, რომ ველარაფერს შეცვლის. და უცებ, ამას მოჰყვა „მოხუცი და ზღვა". მაინც მოახერხა. ჟურნალმა „ლაიფმა" დაბეჭდა. ტირაჟი მთელ კვირას იზრდებოდა. უცებ ნობელის პრემია მიიღო. მაგრამ ცხოვრება ძველებურად გაგრძელდა.

მგონი მას უნდოდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ყველას ერთად ეთქვა, რომ ის არა მხოლოდ დიდი მწერალია, არამედ მამაცი და სრულიად განუმეორებელი ადამიანი. ის დონ კიხოტი ნამდვილად არ იყო, თუმცა მხეცებთან გალიაში ნამდვილად შესულა.

ეს ჰავანაში მოხდა. ცირკის გაქნილმა იმპრესარიომ მისი გვარი აფიშას დააწერა, რათა წარმოდგენა გადაერჩინა. მხეცების მომთვინიერებელი ავად გახდა. სისულელე იყო, მაგრამ იმპრესარიო მის ვაჟკაცობას გაეთამაშა და ცოლის პროტესტის მიუხედავად, ჰემინგუეი გალიაში შევიდა და ვეფხვები ახტუნავა. ეს მართლა გამაოგნებელი ამბავია სამოცს მიტანებული კაცისგან. მას სწორედ ეს უნდოდა.

მეტიც უნდოდა, მას უნდოდა ბელადი ყოფილიყო:

ერთხელ, აფრიკიდან დაბრუნებულმა, თავის მეგობარს უამბო, რომ ერთ იქაურ ტომში ვაჟკაცების შეჯიბრში გაიმარჯვა, რითაც ტომის ბელადის

ქალიშვილი დაიმსახურა და ამ ქალისგან ახლა ბიჭი შეეძინა, რომელიც ტომის ბელადი გახდება.

ჰო, ამ მეგობარს რაღაც ძვირფასი დანა გაატანა აფრიკაში, ეს ჩემს შვილს გამოადგება, ბელადი რომ გახდებაო.

კაცი გაოგნებული იყო: რის ტომის ბელადი, რა ქალი, რომელი შვილი...

უფრო სწორად კი მეგობარი ექიმი იყო და ყველაფერს მიხვდა. დანა თვითონ შეინახა და პაპასაც აღარაფერი უკითხავს.

ასეთი ამბავი უამრავია.

მისი ფრაზა - კაცს არა აქვს ლოგინში სიკვდილის უფლება: ან ბრძოლაში, ანდა ტყვია შუბლში, - ვაჟკაცობის აუცილებლობის დამტკიცებას გულისხმობს.

ალბათ ამის ბრალიცაა. ძალიან ცხადად ადარებ მის წიგნებსა და ცხოვრებას. ცხოვრებას კი ისეთი თვისება აქვს, რომ წიგნებს გააფერმკრთალებს ხოლმე. ეს რომ მარკიზ დე სადი ყოფილიყო, პრობლემა არ იქნებოდა: რასაც წერდა, იმას ცხოვრობდა და რასაც ცხოვრობდა, იმას წერდა. მაგრამ ეს ჰემინგუეია. ის ცდილობდა ეცხოვრა ისე, როგორც ესმოდა და რაღაც აკლდა, წიგნებში ეს რაღაც შუბლით გაჰქონდა, ცხოვრებაში კი ნაკლებად. ჰოდა, გასაჭირიც ეს იყო.

მერე წიგნებშიც გაუჭირდა.

5.

წაკითხვა-არწაკითხვა... ვერწაკითხვა... საერთოდ ერთია, როცა ცოცხალ მწერალს კითხულობ და მეორე, როცა ძველს. ეს სისულელეა. იმიტომ, რომ არ იცი, როდის მიუბრუნდები და როდის შეძლებ ჰემინგუეის ხელახლა წაკითხვას. ეგებ უცებ ისევ დაგიახლოვდეს, სწორედ იმ დროში, რომელიც წინ გაქვს, და რომელიც მის ერთ მოთხრობაშია აღწერილი - დაუძლურებული მწერალი რომ ძლივსღა დაჩოჩავს სახლში.

ჰემინგუეი ამბობდა, რომ ცხოვრება ტრაგედიაა, რადგან მისი ავი ბოლო თავიდანვეა ცნობილი. სიკვდილზე ყურადღების გამახვილება მისთვის ჩვეული რამ იყო. სიკვდილთან შეხვედრა, მგონი, საერთოდაც უმნიშვნელოვანესი რამ.

"მკვლელებში" არის სრულიად გასაგიჟებელი ადგილი, როცა შვედი მოკრივე ოლე ანდერსონი სახლში წევს, კედლისკენ გადაბრუნებული და მკვლელებს - ელს და მაქსს ელოდება. ნიკი აფრთხილებს, გეძებენო. ის კი წევს და ელოდება.

რატომ?

დაიღალა?

მოთხრობა ადრინდელია, მაგრამ ჰემინგუეი ადრიდანვე გრძნობდა დაღლას.

ისე კიდევ, თავის საუკეთესო წლებში ის ვირტუოზი გახლდათ. წერის სისტემა, რომელიც მან მოიგონა, სრულიად უნივერსალურია, თუმცა ფასდაკარგული, რადგან სულ სხვა წიგნებში, სულ სხვა ავტორების ნაწერებში მისი არამოცნობა შეუძლებელია. იქ კი მათ ფასი არა აქვს.

ეს მთელი ჯადოა: კითხულობ რაღაც წიგნს და ჰოპ! უცებ თეთრი წვერი, ნაღველში ჩაფლული თვალები... - აი, ეგ არი მისი სისტემა. ასლების

მე ძალიან შევშფოთდი, როცა ახალგაზრდა ჰემინგუეის ფოტო ვნახე პირველად. ერთი ჩამრგვალებული, ულვაშიანი ჯენტლმენი, გადაკვანწილი თმებით, არაფრით არ გავდა იმ ადრე დაბერებულ, წარმოუდგენელი მომხიბვლელობით სავსე კაცს, რომელიც კუბაზე ფეხშიშველა დატანტალებდა, შორტებსა და ჩაღეღილ პერანგში გამოწყობილი.

მისი თვითმკვლელობა ელექტროშოკით ნამკურნალევი მძიმე ავადმყოფის საქციელი იყო. მაგრამ მან ამით ის დაამტკიცა, რის გამოძერწვასაც ბოლო ოც წელიწადს ცდილობდა: რომ ვაჟკაცი იყო.

არ ვიცი, ამბობენ, ბოლოს დევნის შიში ჰქონდაო, ფედერალური ბიუროს აგენტები ელანდებოდაო, ვეღარ გაუძლო და ამიტომაც მოიკლა თავიო. თუ ასეა, ეს უბედურებაც ისევე გამოუვიდა, როგორც წიგნები და ცხოვრება. თავი მოიკლა და ეს მის სიმამაცეს უჩვენებდა, ღრმა მიზეზები კი სხვა იყო. თვითონ გასროლა და მისი აისბერგი ერთმანეთს არაფრით გავდნენ.

არ ვიცი.

ისიც არ ვიცი, მოქმედებს თუ არა ეს ამბები მის ვეღარწაკითხვაზე, მაგრამ როგორღაც მისი ცხოვრება ცხადი ხდება. მგონი, არც ვიცი სხვა მწერალი, მისი პირადი ცხოვრების შესახებ ამდენი რომ წამეკითხოს და მესმოდეს.

კეთებაზე კი არ ვამბობ, კაი მწერალს რომ უცებ გაეპარება. ისე მოახერხა, რომ ვეღარსად წაუხვალ. კი, არის კაფკიანური რომანები, ფოლკნერიანული, ჯოისიანური, პრუსტიანულიც იქნება... - გასაგებია, ასეთი საუკუნე იყო.

მაგრამ ჰემინგუეის ნაწერი სხვანაირად მოიპარება. მან მოიგონა საუკუნის ტემპი, საუკუნის დიალოგი, საუკუნის ნოველა. თან ის ისე მოიპარება, რომ ძალაუნებურია და არა წინასწარგანზრახული, რომ აი, მე ჯოისი მიყვარს და ასე ვწერ.

ოდესღაც მარკესი დიდი მწერლების სტილში წერდა მოთხრობებს. ჰემინგუეისნაირიც აქვს: „ქალი, რომელიც ზუსტად ექვსზე მოდიოდა". მაგარი მოთხრობაა. სრულიად არაპაროდიული და არც იაფად გადმოღებული. ეს მოთხრობა იმიტომ გამახსენდა, რომ ლუი დე ბერნიეს ლათინოამერიკულ თარგზე ნაწერი რომანები მომაგონ-

და. ეს ინგლისელი მწერალი ამბობს, მე მარკესის პარაზიტი ვარო. თუმცა, მშვენიერი მწერალია და „კაპიტან კორელის მანდოლინაც“ მშვენიერი წიგნია, მაგრამ პარაზიტობა ცნობილი ამბავია. გომბროვიჩი ადრევე იძახდა, დღესო, ყოველ ნასწავლ კაცს შეუძლია მწერალი გახდესო. და გახდება კიდეც, თუ სწავლა არ ეზარება და ლიტერატურაში ერკვევა. მარკესის ის ძველი მოთხრობაც ამას ადასტურებს. სხვა არის, რომ მარკესი ამნაირ მწერლობას არ აპირებდა და თავისი მოიგონა. ასეთ მწერლებს კი არ ექნებათ ისეთი ჭირი და ტანჯვა, ჰემინგუეის რომ ჰქონდა, რადგან პაპა უკვე იტანჯა მათ მაგივრად. მგონი ყველას მაგივრად იტანჯა. ის ხომ ბოლო დიადი თვითმკვლელი იყო.

უკვე ბიტნიკები, ჩარლი ბუკოვსკი, ათასი სხვა რამე და ეს ძველმოდური ვითომ დევგმირი, რომელსაც არც ხილვები სჭირდება, არც ხელოვნური კონფლიქტები და არც ტკივილების და განცდების გამოწვევა... უჰ... ეს ლაპარაკი ძალიან შორს წაგვიყვანს.

მარკესი ძალიან მაგარი მწერალია, მაგრამ მგონი არ გადარეულა, რომ საუკეთესო წიგნი ორმოცი წლის წინათ დაწერა. ჰემინგუეი კი ამაზე გიჟდებოდა.

ძველი დრო, ძველი ტკივილი... ოთხი ცოლი, ჰავანა, რომელიც დაკარგა, ამერიკა, რომელიც დიდად არ უყვარდა, მუშტი, რომლითაც ამაყობდა და რომელიც ისე ხმებოდა, რომ ხეირიანად არავის მოხვედრია, სმის ფილოსოფია, აგუხას წერის ფილოსოფია, უვარგისი ფილმები, მისი წიგნების მიხედვით რომ გადაიღეს... ჰემინგუეის ყველა ქანდაკება სასაცილო იქნება. ასევე ყველა ტილო, რომელზეც მას აღბეჭდავენ. ფიგურაა ასეთი.

ჰოდა, ერთი მითხარი, რა მნიშვნელობა აქვს, უბრუნდები თუ არა მის წიგნებს?

ის მთელი ცხოვრება „ჰაკლბერი ფინის თავგადასავალს“ წერდა, ოღონდ მის ჰაკი ბავშვობიდან ჯარისკაცი იყო და იბრძოდა. იცოდა, რომ დამარცხდებოდა, მაგრამ მაინც... სულ ბოლომდე. ბოლოს კი ტყვედ არ ჩაბარდა.

ჰოდა, ძალიან მიყვარს. თუნდაც იმიტომ, რომ ოდესღაც ცხოვრება სწორედ ისეთი მეგონა, ის რომ იგონებდა. ეს ყველაფერი ძვალსა და რბილში ატანდა.

ისე, რომ ახლაც დარჩენილია: როგორია „კატა წვიმაში“ და როგორ წარმოუდგენლად ძნელია იპოვო ადგილი, სადაც თბილა და სინათლეა.

პრილაჟენიე

პაესტკის წიგნი

ახლა საერთოდ აღარ არი ეგეთი რამეები, თუმცა ადრეც დიდი იშვიათობა იყო. ერთმა ჩვენმა ამხანაგმა პაესტკაში ჰერმან მელვილის „მობი დიკი“ წამოიღო. სულ შვიდი გვერდი წაიკითხა და სიმართლე რომ ითქვას, აღარც უნდოდა დიდად კითხვა, მაგრამ სქელი, შავი წიგნი მთავარი გასართობი შეიქნა და მასზე მთელი საპაესტკო სერიალი აეწყო. ბოლო-ბოლო, მთელ სიცილ-ხარხარს რო მოილევდი, მაინც იგივეს ეკითხებოდი, ამსისქე წიგნი რამ გათრევინაო და ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა.

ერთხელ თქვა, რავი ზღვაზე მოვდიოდით და წამოვიღეო. ჰოდა, იქ გავიგონე ძაან უცნაური და სამუდამო პასუხი:

თუ მაინცდამაინც ზღვაზე წიგნი გინდოდა, „მოხუცი და ზღვა“ წამოგეღო, ამაზე თხელი ხო მაინც არიო.

ჰოპ... სიმართლე ვთქვა, ჯერ „მოხუცი და ზღვა“ წავიკითხე და მერე, როდის როდის „მობი დიკი“.

საერთოდ, მგონია, რომ მელვილს უზარმაზარი გონება ჰქონდა, ოღონდ ამაზე ხეირიანად არასდროს უფიქრია. ჰემინგუეი კი გამუდმებით თავისი გონების გამო ფიქრობდა. 30-იანი წლების ბოლოდან, მისთვის წერა ძალიან რთული იყო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ის ძალიან ბევრს წერდა, ოღონდ მანამდელი ხარისხი ვეღარაფრით გაიმეორა. ამას თვითონაც მშვენივრად ხვდებოდა. მგონი დაახლოებით მაგ დროს თქვა ფოლკნერმა, ჰემინგუეის ცვლილების ეშინია, აწვება თავის ხერხს და გამბედაობა აკლიაო. ჰემინგუეიმ სულ ძმაკაც გენერლებს აწერინა, მისტერ ფოლკნერ, პაპა მამაცი კაცია და ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართო.

ორი დიდი მსახიობი, სპენსერ ტრეისი და ენტონი ქუინი ცდილობდნენ ეთამაშათ მოხუცი. ღიმილისმომგვრელი როლებია. წყალი ისე სასაცილოდ ესხმებათ... ჰემინგუეის გადაღება შეუძლებელია. ეკრანიზაციები ერთმანეთზე დიდი სისულელეები გამოდის.

“მოხუცი და ზღვა“ კი... მაგარია, მაგრამ ამას სხვა მისი ნაწერები მირჩევნია. ამ წიგნზე ბევრის თქმა შემიძლია, მაგრამ აქ ამის ადგილი არ ჩანს. წიგნიდან შეჯიბრის სული მახსოვს. მოხუცი ეჯიბრება სენ ფუეგოსელ ზანგს მკლავჭიდში, მოხუცი ეჯიბრება ბედს და იღბალსაც. ჯო დი მაჯიოს ძვლის კორძი სტკივა და შეჯიბრში ვერ მონაწილეობს... იცით რა არ მომწონს ამ წიგნში? თევზის დიდი ჩონჩხი. ვერ არის ისეთი სიმბოლო, მთლად რომ უხდებოდეს.

და კიდევ: ბოლო წინადადება - მოხუცს ლომები რომ ესიზმრებოდა.

ჰემინგუეისაც ლომები ესიზმრებოდა. ყოველ შემთხვევაში, უნდოდა, რომ დასიზმრებოდა მაინც. მას ბევრი ლომი ყავდა ნანახი. მოკლულიც. კარგად გამოიყენა. საუცხოოდ. მაგრამ მაინც რაღაც სხვაა.

ამ წიგნში ყველაზე მეტად თევზის ამბავი კი არ მიზიდავს, არამედ ბიჭის და მოხუცის ლაპარაკები და ის, თუ როგორ უვლის ბიჭი მოხუცს.

მგონია, რომ ყოველგვარი ბრძოლების გარეშე, ჰემინგუეი ძალიან მაგარი იქნებოდა. შეჯიბრი საჭირო არ იყო.

ისე კი რა უცნაურია: მელვილი სხვა რამეს ფიქრობდა და წიგნი სულ სხვა რამეში გადაიზარდა. ჰემინგუეი კი რასაც ფიქრობდა, ზუსტად ის გააკეთა და მაინც არ იცი, ნავში მარტო მყოფი რომელ წიგნს წაიღებდი - „მობი დიკს“ თუ მოხუცის ამბავს.

მე მართლა არ ვიცი. უფრო მაინც მელვილს.

ხოლო პაესტკაში - არცერთს...“მობი დიკი“ ნამეტანია, „მოხუცი და ზღვა“ კი მომცრო და ეგებ ჩემოდანში ვეღარც შეამჩნიო, თუ მიგავიწყდა. მოხუცს სულ დაუჭრა ხელები თოკმა. ეს თავის თავზე დაწერა, არ დავმარცხდებიო.

როგორ დაგავიწყდება? უბრალოდ, პაესტკა არ არის ამის ადგილი.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პროკრედიტ ბანკში მიიჩევენ
ის პირის ჩემთვის უპირველესი

www.procreditbank.ge 220 22 22

www.facebook.com/ProCreditBankGeorgia

ცხოვრება საოცრად
საინტერესოა